


ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 5

2000

ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი

№ 5

D Z I E B A N I

**The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences**

Tbilisi

2000

თბილისი

63.4 (2Γ)
902/904 (479.22)
ძ531

მთავარი რედაქტორი: **ოთარ ლორთქიფანიძე**
Editor-in-Chief: **Otar Lordkipanidze**

სარედაქციო საბჭო: **ვ. ლიჩელი, ირ. ჯალაღანია, გ. კვირიკელია,**
ვ. ჯაფარიძე, გ. ნარიმანიშვილი,
ბ. ჯორბენაძე, გ. მინდიაშვილი,
დ. ბაქრაძე

Editorial council: **V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirvelia,**
V. Japaridze, G. Narimanishvili, B. Jorbenadze,
G. Mindiashvili, D. Bakradze

სარედაქციო კოლეგია: **დ. კაჭარავა, გ. კვირიკელია,**
გ. ნარიმანიშვილი, ბ. ჯორბენაძე

Editors of the Volume: **D. Kacharava, G. Kvirvelia,**
G. Narimanishvili, B. Jorbenadze

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2000

შინაარსი Contest

ს ტ ა ტ ი ე ბ ი Articles

ლ. გაბუნია, ა. ვეკუა, დ. ლორთქიფანიძე, გ. ბოსინსკი (გერმანია), მ. თვალჭრელიძე, თ. იორისი, ა. იუსტუსი (გერმანია), გ. მაისურაძე, ა. მუსხელიშვილი, მ. ნიორაძე, კ. სვიშერი (აშშ), ჯ. სოლოლაშვილი, რ. ფერინგი (აშშ). ნამარხი ადამიანის ნაშთების ახალი მონაპოვრები დმანისში	5
L. Gabunia, A. Vekua, D. Lordkipanidze (Georgia) G. Bosinski (Germany), R. Ferring (USA), O. Joris, A. Justus (Germany), G. Maisuradze, A. Mouskhelishvili, M. Nioradze, D. Sologashvili (Georgia), C. Swisher (USA), M. Tvalchrelidze (Georgia). New Findings of the Remains of Fossil Man from Dmanisi (Summary)	12
გ. ფხაკაძე. მტკვარ-არაქსული კერებისა და სადგრების გავრცელების საკითხისათვის	15
G. Phakadze. On the Disribution of Kura-Araxes Hearths and Andrions (Summary)	19
ნ. შანშაშვილი. „სამწილადი კომპოზიციები“ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტაციაში	27
N. Shanshashvili. "Three-Part Compositions" in the Ornament of The Kura-Araxes Culture (Summary)	29
გ. მირცხულავა. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები საქართველოში	37
G. Mirtskhulava. Stages of the Origin and Development of Wheeled Transport in Georgia (Summary)	42
გ. ნარიმანიშვილი. ძვ.წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში	47
G. Narimanishvili. Ritual Routes of the 2 nd Millennium B.C. in Trialeti (Summary)	49
ლ. სახაროვა. ოყურემის ბრინჯაოს განძის შესახებ	52
L. Sacharowa. Über den Bronzehort aus dem Dorf Okureschi (Westgeorgien) (Zusammenfassung)	53
რ. პაპუაშვილი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის	55
R. Papuashvili. Towards the Structure of the Necropolis of the Late Bronze – Early Iron Ages from Central Colchis (Summary)	59
ნ. სულავა. სამთავროს სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის	65
N. Sulava. Towards Dating the Burials with Fibulae at the Necropolis of Samtavro (Summary) ..	67
მ. საგინაშვილი. მინის სანელსაცხებლების – Kohl-tube-ების გავრცელება საქართველოში	72
M. Saginashvili. Distribution of Kohl-Tube Glass Unguentaria in Georgia (Summary)	75
თ. ჭანიშვილი. თიხის სანელსაცხებლები დედოფლის გორის სასახლიდან	77
T. Chanishvili. Clay Unguentaria from Dedoplistgora (Summary)	79
ი. ვარშალომიძე. რომაული ხანის მონეტების განძი გონიო-აფსაროსიდან	81
I. Varshalomidze. Hoard of Coins of the Roman Period from Gonio-Apsaros (Summary)	83
დ. მინდორაშვილი. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი გველეთის სამაროვანზე	87
D. Mindorashvili. The Structure of Burials and Burial Customs at the Necropolis of Gveleti (Summary)	92

მ ი ლ ო ც ვ ა
C o n g r a t u l a t i o n

ოთარ ტყეშელაშვილი – 75 წლისაა	96
O. Tqeshelashvili – 75	96
ალექსანდრე რამიშვილი – 70 წლისაა	97
A. Ramishvili – 70	97

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა
H i s t o r y o f A r c h a e o l o g y

გ. გამყრელიძე. დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890)	98
G. Gamkrelidze. Dimitri Bakradze (1826-1890)	98
ჯ. კოპალიანი. ლევან მუსხელიშვილი (1900-1942)	99
J. Kopaliani. Levan Muskhelishvili (1900-1942)	99
ბ. ჯორბენაძე. ლევან მუსხელიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია	100
B. Jorbenadze. L. Muskhelishvili's Works Bibliography	100

ქ რ ო ნ ი კ ა
C h r o n i c l e

ბ. ჯორბენაძე, ხ. ჯორბენაძე. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1999 წელს	102
B. Jorbenadze, Kh. Jorbenadze. The Centre for Archaeological Studies in 1999	102

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა
I n M e m o r i a m

რ. პაპუაშვილი. თეიმურაზ (გული) მიქელაძე (1925-1998)	115
R. Papuashvili. Teimuraz (Guli) Mikeladze (1925-1998)	115
შემოკლებათა სია	118
Abbreviations	118

ს ტ ა ტ ი მ ბ ი
ARTICLES

**ლეო გაბუნია, აბესალომ ვეკუა, დავით ლორთქიფანიძე, გერჰარდ ბოსინსკი (გერმანია),
მერაბ თვალჭრელიძე, ოლაფ იორისი, ანტია იუსტუსი (გერმანია), გივი მაისურაძე,
ალექსანდრე მუსხელიშვილი, მედეა ნიორაძე, კარლ სვიშერი (აშშ), ჯემალ სოლოლაშვილი,
რიდი ფერინგი (აშშ)**


ნამარხი ადამიანის ნაშთების ახალი მონაცემები დმანისში

1999 წლის მაისის ბოლო რიცხვებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების ლაბორანტი გ. კილაძე გაზაფხულის ძლიერი წვიმების შემდეგ ეწვია დმანისის ადამიანის ადგილსაპოვებელს. გ. კილაძემ შეამჩნია, რომ წვიმას გათხრების ადგილი ჩამოეშალა, ხოლო ჩამოშლილ ქვიშაში იპოვა თავის ქალას პატარა ზომის ნატეხი, რომელიც გადასცა ა. ვეკუას, მან კი ეს ძვლის ფრაგმენტი სავარაუდოდ ჰომინიდს მიაკუთვნა. გადაწყდა დაუყოვნებლივ შეგვემოწმებინა ადგილსაპოვებელი.

1999 წლის 31 მაისს დმანისში გაემგზავრნენ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯ. კოპალიანი, არქეოლოგი კ. კახიანი, გ. კილაძე და პალეონტოლოგი ა. ვეკუა. ადგილზე ვარაუდი დადასტურდა და წვიმისაგან საგრძნობლად დაზიანებული ჰომინიდის თავის ქალა, მაშინვე ქანიანად იქნა ამოღებული ძვლიანი შრიდან და თბილისში ჩამოტანილი. ქალა (D 2280) აღმოჩნდა ადგილსაპოვებლის იმავე ორმოში და იმავე შრეში, რომელშიც 1991 წელს აღმოჩნდა დმანისის ადამიანის ქვედა ყბა (D 211) ამ პირველი მონაპოვრიდან დაახლოებით 3,5 მ მანძილზე [10]. ივნისის დასაწყისში დმანისის ადგილსაპოვებლის გათხრები განახლდა და 22 ივლისს ისევ იმავე ორმოში, პირველი თავის ქალის პოვნის ადგილიდან დაახლოებით 2 მ დაშორებით აღმოჩნდა ნამარხი ადამიანის კიდევ ერთი საკმაოდ დეფორმირებული თავის ქალა (D 2282), რომელსაც შემორჩენილი აქვს ზედა ყბა ოთხი კბილით. აღნიშნულ მონაპოვრებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ადრე მოპოვებულ ნამარხი ადამიანის ქვედა ყბასთან ერთად, ეს ორი თავის ქალა შესაძლებლობას გვაძლევს უკვე საკმაოდ სრული წარმოდგენა ვიქონიით დასავლეთ ევრაზიაში დმანისის უძველეს ნამარხ ადამიანზე და მის ფილოგენეზურ კავშირებზე.

დმანისის ძვლოვანი შრეების გეოლოგიური პირობები დეტალურადაა აღწერილი პირველ პუბლიკაციებში, რომლებიც მიემდგვნა ამ ადგილსაპოვებელს [3; 8; 12; 13; 17; 19; 23]. დმანისში დღეისათვის გათხრილია დაახლოებით 150 მ² ფართობი (სურ. 1). ნაპოვნია 1000-ზე მე-

ტი ქვედა პალეოლითური ეპოქის პრიმიტიული ქვის იარაღი. მას შემდეგ ჩვენს წარმოდგენაში დმანისის ადგილსაპოვებლის წარმოშობისა და გეოლოგიური ასაკის შესახებ არსებითი ცვლილება არ მომხდარა, თუმცა ამ წლების მანძილზე მოპოვებულია საკმაოდ მდიდარი არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალა. ეს უკანასკნელი შეიცავს ნამარხი ადამიანის ტერფის მესამე ძვალს, პანტერის თითქმის სრულ წინა კიდურსა და მღრნელების კბილებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძვლოვანი შრეების დათარიღების საქმეში [11; 14]. სულ ახლახან ამერიკელმა მკვლევარმა კ. სვიშერმა განმეორებით შეასრულა გაზომვები დმანისის ძვლოვანი შრეების ქვეშ მდებარე დოლერიტული ლავების იზოტოპური ასაკის დასადგენად. მიღებულმა შედეგებმა (1,85 მლნ. წ. ±10000 წ.) დაადასტურა შმინკესა [17] და მის მიერ ადრე დადგენილი ასაკი. ამავე ავტორმა დმანისში ჩაატარა ძვლიანი შრეების საკმაოდ დეტალური პალეომაგნიტური გამოკვლევა და დაადგინა, რომ უკვე მეხუთე შრეში ჩნდება უარყოფითი დამაგნიტების ნიშნები (გავიხსენოთ, რომ ბაზალტები და მათზე მდებარე მეხუთე შრე, რომელშიც ნაპოვნია დმანისის ადამიანის ნაშთები, მთლიანად დადებითადაა დამაგნიტებული).



მაშასადამე, ახალი პალეონტოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ყოველ შემთხვევაში ძვლის შემცველი IV-VI შრეები სულ ადრე პლეისტოცენურია (ოლდუვაის ბოლო ან ოლდუვაის შემდგომი მატუიამაში გარდამავალი პერიოდი).

დავუბრუნდეთ ჰომინიდების აღმოჩენებს, რომლებსაც განვიხილავთ მათი აღმოჩენის დროის თანმიმდევრობის შესაბამისად. ქალა D 2280 (სურ. 2) წარმოადგენს თითქმის მთლიანი ქალას სარქველს, რომელიც, ალბათ, მოზრდილ მამაკაცს მიეკუთვნება. ნაკერები ქალაზე შუბლისა და თხემების ნაწილებში ძნელად შეიმჩნევა, მაგრამ კეფის ლამბდისებრ ნაკერს არ განუცდია არსებითი ობლიტერაცია. თავის ქალას არ შემორჩენია თხემისა და საფეთქლის ძვლების მხოლოდ ზოგიერთი ნაწილი. გაცილებით ცუდადაა შემონახული ქალას ბაზალური მხარე: მარჯვნივ ნაწილობრივ შემორჩენილია სოლისებური ძვლის ფრთისებრი მორჩები და საფეთქელ-სახის შეერთების ადგილი. თითქმის მთლიანად დამსხვრეულია ყვრიმალის რკალები და ცხავის ძვალი. მარცხენა მხარეს ფუძესთან მომტვრეულია დვრილისებრი მორჩი, მაგრამ შედარებით უკეთაა შენახული ყბა-საფეთქლის შესახსრება და ყურის სვრელის მიმდებარე უბანი.



სურ. 2

თავისქალას სრული სიგრძეა 177 მმ, ბიპარეტალური სიგანე 125 მმ, ქალას მაჩვენებელია 69. ტვინის კოლოფის მოცულობა დაახლოებით 775 სმ³-ია. ქალას სფენოიდალური ფორმა აქვს; მაქსიმალურად განიერი ჩანს უკანა ნაწილში, უფრო ზუსტად მასტოიდის ზედა ქედების დონეზე. ქალას სარქველის ლატერალური პროფილისათვის დამახასიათებელია შუბლის ქიცვის თანდათანობითი ამალღება, რომელსაც ოდნავი ამობურცულობა მხოლოდ მეტაპიონის უბანზე ემჩნევა. ამის შემდეგ პროფილი მაქსიმალურ სიმაღლეს აღწევს ბრეგმის სიახლოვეს, შემდეგ კი ჰორიზონტალურად მიემართება თითქმის

დვრილისებრი მორჩების დონემდე. ობელიონთან მიახლოებისას ის თანდათან იხრება, ხოლო ლამბდის შემდეგ ეშვება ქვემოთ ინიონამდე, სადაც მკვეთრად უხვევს უკან. პროფილის ხაზის აღნიშნული გარდატეხა წარმოადგენს კეფის ზედა და ქვედა ნაწილებს შორის საზღვარს (მათ შორის კუთხე 180°-ია).

ვერტიკალურ ნორმაში (სურ. 3) ყურადღებას იქცევს ქალას სარქველის თვალბუდისუკანა საგრძობი შევიწროება (შუბლის უმცირესი სიგანეა 74მმ, მისი შეფარდება მთლიან სიგრძესთან უდრის 42, ხოლო თვალბუდის მორჩების დონეზე შუბლის სიგანესთან 66). უშუალოდ გლაბელას მოსდევს სუსტად გამოსახული კილი, რომელიც ბრეგმასთან მიახლოებისას ოდნავ მაღლდება, ხოლო შემდეგ თხემის არეში შეუმჩნევლად დაბლდება ისრისებური ნაკერის გასწვრივ და ლამბდამდე ქმნის სუსტად გამოსახულ შუალედურ ღარს. საფეთქლის ქედები კარგადაა განვითარებული, სათავეს იღებს შუბლისგარეთა მორჩებთან და მიემართება მედიალურად და უკან. თხემის ნაწილში პორიონის დონეზე ქედები უახლოვდება ერთმანეთს (საფეთქლის ხაზსა და საგიტალურ ქედს შორის უმცირესი მანძილი 23 მმ-ია), ხოლო აქედან ისინი მკვეთრად შორდება ერთმანეთს. ქედები ქმნიან უკანა და ლატერალურად მიმართულ რკალებს, რომლებიც კეფასთან ახლოს მედიალური მხრიდან ესაზღვრებიან თხემის ძვლის საკმაოდ ამობურცულ კუთხის ლილვებს (*torus angularis ossis parietalis*) და თავისი ბოლოებით უახლოვდებიან მასტოიდისზედა ქედებს (*crista supra mastoidea*). საფეთქლის ქედები შუბლის ძვლების, შუბლის უკანა და წინა უბნებში ძლიერ ბლაგვდება, ზოგიერთ ადგილას კი თითქმის ქრება. იქ მათ ორივე მხარეს (მედიალურად და ლატერალურად) მიუყვება პატარა ღარები. შუბლის ნაწილში მედიალური ღარები ქმნის საგიტალურ ჩაღრმავებას. თხემის ძვლის ზედაპირი არ არის მთლად სწორი, მას ახასიათებს თავისებური ნაჭდევეები, რომელთაგან ზოგიერთი, შესაძლოა, სიცოცხლეშივე მიღებული დაზიანების კვალი იყოს.



სურ. 3

ლამბდას უბანი რამდენადმე დაზიანებულია, მაგრამ ქალას თხემზე მაინც შეიმჩნევა მცირე ჩაზნექილობა. როგორც უკვე აღინიშნა, ლამბდისებური ნაკერი უკეთაა გამოსახული, ვიდრე კორონალური და ისრისებური, რომელთა შეზრდა, როგორც ჩანს, გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ლამბდისებურისა. ქალას სარქველის კეფის კიდე, რომელიც კეფის ლილვსა და მასთან მომიჯნავე *linea nuchalis superior*-ს ემთხვევა, ქმნის შედარებით რეგულარულ რკალს, ამ რკალის მაქსიმალური მოხრის შუა წერტილში, სადაც *crista occipitalis externa* იწყება ჩანს მკვეთრი შვერილი, რომელიც ემთხვევა ინიონს.

კეფის დაზიანების მიუხედავად, კარგად შეიმჩნევა მისი სტრუქტურის ძირითადი ელემენტები, რაც ზოგიერთი მნიშვნელოვანი განზომილების აღების საშუალებას იძლევა. კერძოდ, ქალას კეფის საგიტალური სიგრძე ქორდაზე 70,5 მმ-ია, ბიასტერიული სიგანე 104 მმ, ლამბდა-ინიონის სიგრძე 47 მმ, ხოლო ინიონ-ოპისტონისა 47 მმ. კეფის ძვლის წინა და უკანა ზედაპირებს შორის კუთხე 108°-ია, წინა ნაწილსა და ფრანკფურტის სიბრტყეს შორის 78°, იმავე ნაწილსა და გლაბელა-ინიონის ხაზს შორის – 70°. კუნთების რელიეფი აშკარად შეიმჩნევა: კარგად გამოსახული კეფის ლილვს (*torus occipitalis*) წინიდან ესაზღვრება განივი ნაჭდევი (*sulcus superior toralis*), რომელიც ლატერალური კიდეებისაკენ თანდათან ქრება. თვით *torus occipitalis* შესამჩნევადაა გამოშვერილი ლატერალურად და ოდნავ დაბლდება მედიალურად. უკნიდან ის იფარგლება ზედა ნუხალური ხაზით. ქვედა ნუხალური ხაზი შედარებით სუსტია და დაშორებულია ზედას 23-24 მმ-ით.

კარგად განვითარებული საგიტალური ქედი (*crista occipitalis externa*) იწყება მკაფიოდ შემოფარგულ *protuberantia occipitalis externa*-სთან და გრძელდება *f. magnum*-ის უკანა კიდემდე. ნუხალური მოედნის ლატერალურ უბანში კარგად შეიმჩნევა ნაჭდევები, წვრილი გრძივი ქედები და ხორკლიანობა, რომლებიც მდებარეობენ *crista occipitalis externa*-ს ზედა ნაწილის გვერდებზე. აქ მაგრდება კეფის კუნთების ბოჭკოები. მთლიანად ნუხალური მოედნის საერთო ამოზნექილობა და კეფის ქედის გვერდებზე მდებარე საკმაოდ ღრმა ნაჭდევები ქმნიან რელიეფს, რომელიც მოგვაგონებს აფრიკის ადრეპლეისტოცენური ჰომინიდების (ER 3883 და სხვა.) კეფის რელიეფს.

საფეთქლის მიდამოებში ყურადღებას იქცევს დვრილისებრი მორჩების მასიურობა და ძლიერი პნევმატიზაცია (შემორჩენილია მხოლოდ მარცხენა დვრილის ფუძე, რომლის წინა-უკანა და ლატერალური დიამეტრები შესაბამისად 23 მმ

და 27 მმ-ია). მასტოიდური ქედი თითქოს აგრძელებს კეფის ძვლის ზედა ნუხალურ ხაზს და ლატერალურ ზედაპირს ყოფს წინა და უკანა ნაწილებად. საფეთქლის ძვალი შედარებით გრძელია და ზომიერად მაღალი. მის შუა ნაწილში შეიმჩნევა ასევე *sulkus arteriae temporalis mediae*, რომელიც ქვემოდან ებჯინება *crista supramastoidea*-ს. ეს უკანასკნელი მიემართება განივად დვრილისებური მორჩის მიმართ და ვრცელდება საფეთქლის ძვლის ქიცვზე, თითქმის საფეთქელ-სფენოიდალურ ნაკერამდე. აღნიშნულ ქედსაც ეტყობა პნევმატიზაციის კვალი, რომელიც გრძელდება ყვრიმალის რკალის ბოლომდე და სოლისებურ ძვალზეც. მასტოიდისზედა ქედი ქმნის ფრანკფურტის ჰორიზონტთან დაახლოებით 23°-იან კუთხეს და გამოყოფილია დვრილისებური მორჩისაგან ორი სუსტი ღარით. მორჩის ფუძის მედიალურ მხარეს *incisura mastoidea*, ხოლო ამ უკანასკნელსა და კეფა-მასტოიდურ ნაკერს შორის მოთავსებულია *crista occipitomastoidea*.

ტიმპანური ფირფიტა ორიენტირებულია ვერტიკალურად. მისი წინა კიდის ლატერალური მხარე მიხრილია უკან და გარეთა სმენის ხვრელის საგებს ქმნის. ფირფიტა ოდნავ მედიალურად იხრება და თავდება პატარა წაწვეტებული მორჩით. მისი ფუძის უკანა მხრის თითქმის შუა ნაწილში მოთავსებულია ხვრელისებური ნაჭდევი სადგისისებური მორჩისათვის (*pr. styeroidea*), რომელსაც გარედან ებჯინება მკაფიოდ გამოხატული *A. stylomastoidea*. ტიმპანური ფირფიტის სრული სიგრძეა 32 მმ, ხოლო სიმაღლე 17 მმ. სმენის ხვრელის განივკვეთი ოვალური ფორმისაა, რომლის გრძელი ღერძი თითქმის სწორ კუთხეს ქმნის ფრანკფურტის ჰორიზონტთან. მისი ვერტიკალური დიამეტრი 13 მმ-ია, ხოლო ჰორიზონტალური 6,5 მმ. პირამიდის ბაზალური ზედაპირიდან ჩანს *canalis caroticus*, ხოლო აქ შემორჩენილი პტერიგოიდის დიდი ფრთიდან შეიმჩნევა *f. ovale* და *f. spinosum*, რომლებიც ნაწილობრივ მოთავსებულია საფეთქლის ძვალზე (იკვეთება საფეთქელ-სფენოიდალური ნაკერით). ქალას სარქველის მარცხენა ქვედაყბის ფოსო კარგადაა წარმოდგენილი. მისი გრძელი ღერძი საგიტალურ ზედაპირთან ქმნის 115°-იან კუთხეს. ის ზომიერად გრძელია (21 მმ) და საკმაოდ განიერი (31 მმ). სასახსრე ფოსოს სიღრმე 8 მმ-ია. სახსრისუკანა მორჩი (პოსტგლენოიდალური) სასახსრე ფოსოს განიერ და ზომიერად მაღალ (11 მმ) უკანა კედელს ქმნის. ოდნავ მასზე მაღალია (12 მმ) სასახსრე ბორცვი, რომლის ზედაპირი ოდნავ ჩაზნექილია გარდიგარდმო და წინისაკენაა დახრილი. ფოსოს მედიალურ კედელს ქმნის საგრძნობლად გამოწეული ენტო-სასახსრე მორჩი, რომლის შიდა კედელზე შეიმჩნევა ტემპორალურ-სფენოიდალური ნაკერი. დაბოლოს, სარქველის წინა ნა-

წილში ჩანს *celulae etmodale*, შუბლის სინუსის ფრაგმენტები და *crista frontalis*.

სახის ზედაპირზე შემორჩენილია თვალბუდეების ზედა კიდეები, მიმდებარე თვალბუდისზედა ლილვით და ძლიერ დაზიანებული ცხვირის ძვლებით, რომლებიც მომტვრეულია თითქმის ცხვირ-შუბლის ნაკერის თავზე. მიუხედავად იმისა, რომ მომტვრეული ცხვირის ძვლების შუბლის ძვალთან შეერთების წერტილი შემორჩენილია, ჩვენ მიერ შემოთავაზებული D 2280 ქალას ცხვირის ნაწილის აღდგენის ცდა რამდენადმე პირობითად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან არა ვართ დარწმუნებული, რომ საკმარისი სიზუსტით განვსაზღვრეთ ცხვირის ძვლის დახრილობა. თვალბუდისზედა ლილვი ზომიერადაა განვითარებული, წინიდან მომრგვალებული, სუსტად გამოწეულია წინ, ხოლო ლილვისუკანა პატარა ღარის არსებობა განაპირობებს შუბლის უკვე აღნიშნულ თანდათან ამაღლებას.

თვალბუდისზედა ლილვი მაქსიმალურ სისქეს (12 მმ) აღწევს შუა ნაწილში, ლატერალურ კიდეებთან ის საგრძნობლად წვრილდება (9,1 მმ), ხოლო კიდე უფრო მეტად – პირამიდის მახლობლად (8,1 მმ).

მთლიანად ქალას სარქველის კედლები არ გამოირჩევა დიდი სისქით: შუბლის კიდის ნაწილში 13 მმ-ია, თაღის ცენტრალურ ნაწილში 6 მმ, საფეთქლის ძვლის ქიკვის მიდამოში 5 მმ, კეფის ნაწილში, ინიონთან 8 მმ, ხოლო კეფის ქედზე 14 მმ. დმანისის ჰომინიდის თავის ქალა ამ ნაწილშიც უახლოვდება კობი ფორას *H. ergaster*-ის თავის ქალებს [26].


D 2282 თავის ქალას მნიშვნელოვანი ლატერალური და დორსოვენტალური დეფორმაცია განუცდია. საგრძნობლად დაზიანებული ქალას მარცხენა საფეთქლის ნაწილი, შედარებით ნაკლებად – მარჯვენა მხარე. ჩაჭყლებილია და დამსხვრეულია პატარა-პატარა ნაწილებად კეფა და თითქმის მთლიანად განადგურებულია ქალას ბაზალური ნაწილი. ყბის ზედა ნაწილში შემორჩენილია სუსტადმოცვეთილი მარცხენა P^4 , M^1 , და მარჯვენა M^1 , M^2 , ასევე ყველა კბილის ალვეოლები (სურ. 4-6).

კბილების სუსტი მოცვეთა (P^4 და M^1 -ზე შეიმჩნევა დენტინის მცირე კუნძულები), ქალას სარქველზე მკვეთრად გამოსახულ ნაკერებთან ერთად, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ძალიან ახალგაზრდა ინდივიდთან (დაახლოებით 13 წლის). შედარებით პატარა ზომები (ქალას სიგრძე 167 მმ-ია), შუბლისა და კეფის ძვლების სუსტად განვითარებული რელიეფი, ალბათ, მიუთითებს იმაზე, რომ ქალა ეკუთვნის მდედრობით სქესს.

ქალას ფორმა (სურ. 4, 5) ისეთივეა როგორც D 2280 ქალასი: სფენოდალური, ოდნავ გაგანიერებით ღვრილისებრი მორჩების უბანზე

(დაახლ. 128 მმ). შუბლის უმცირესი სიგანე 66 მმ-ია, ხოლო სიმაღლე ბერგმა-ინიონი) დაახლოებით 74 მმ. ქალას სხვა განზომილებები მოცემულია საერთო ცხრილში (ცხრ. 1).

ქალას ლატერალური პროფილი გავს D 2280 ქალას პროფილს, იმ გასხვავებით, რომ თვალბუდის ზედა ლილვის შემდეგ შუბლი აშკარად უფრო მკაფიოდ მალდება, რაც გამოწვეულია თვალბუდისუკანა ღარის არსებობით, რომელიც საერთოდ არ შეინიშნება D 2280 ქალაზე.



სურ. 4

მაქსიმალურ სიმაღლეს ქალა აღწევს ბრგემის მიდამოებში, რომლის შემდეგ პროფილის ხაზი ოდნავ დაბლდება, რაც გამოწვეულია ქალას დაზიანებით, მაგრამ შემდეგ სწორდება და მხოლოდ ობელიონთან იხრება ქვევით. ოპისტოკრანიონი და ინიონი, ისევე როგორც D 2280 ქალაზე აქაც ემთხვევა ერთმანეთს.

ვერტიკალურ ნორმაში შესამჩნევია ქალას მკვეთრი შევიწროება, რომელიც თითქოს ნაკლებად საგრძნობი გვეჩვენება, ვიდრე D2280 ქალაზე (შუბლის შევიწროების ინდექსი პირველ ქალაზე 66-ია, ხოლო მეორეზე 70). აქ ყურადღებას იპყრობს უკვე აღნიშნული თვალბუდისუკანა ღარი, რომელიც საკმარისად განიერია და კარგად აჩენს წინ გამოწეულ ზომიერად სქელ თვალბუდისზედა ლილვს. მეტაპიონის უბანზე ჩანს მეტ-ნაკლებად განვითარებული შუბლის ბორცვები, ხოლო შუბლ-თხემის კილი ქალას ლამბდისებური ნაწილის საგიტალური ხაზის მთელ სიგრძეზე, განსაკუთრებით კი ისრისებური ნაკერის გასწვრივ. ლამბდას უბანი გართულებულია წვრილი დამატებითი ძვლებით, რომლებიც არ შეიმჩნევა არა მარტო D 2280 ქალაზე, არამედ არც სხვა აფრიკულ ადრეულ *H. erectus* და

H. ergaster-ის თავის ქალაზე. აღნიშნული დამატებითი ძვლები გააჩნია მხოლოდ ER 1470 ქალას, რომელსაც დღეს *H. rudolfensis*-ს აკუთვნებენ [4], ასევე ზოგიერთ აზიურ *H. erectus*-ის ქალას. საფეთქლის ქედები საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული ჩვენს ახალგაზრდა ეგზემპლარს და ქმნის ლირისებურ ნახაზს ზუსტად ისე, როგორც D 2280 ქალაზე. უკან და ლატერალურად მოხრილი საფეთქლის ქედები D 2282 ქალაზე, ალბათ, მიემართება მასტოიდისზედა ქედებისაკენ, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ ქალაზე არ ჩანს. ასტერიონთან ახლოს საფეთქლის ქედები, უფრო ზუსტად, მარჯვენა მხარის ქედი, რომელიც უფრო უკეთაა შემონახული, უფრო ამობურცული ხდება და თუმცა ჩვენ ვერ ვხედავთ ვამპტიცოთ, რომ აქ შეინიშნება *torus angularis parietalis*-ის ჩასახვა, მაგრამ ამ შესაძლებლობის გამორიცხვაც არ მიგვაჩნია სწორი; მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს ახალგაზრდა, და ჩვენი ვარაუდით, მდებარეობითი სქესის ქალასთან, რომელსაც ეს ნიშანი სუსტად ჰქონდა გამოსახული ან სულაც ჩანასახის მდგომარეობაში შეიძლება ყოფილიყო. ქალას სარქველის ზედაპირი საფეთქლის ძვლების უბანზე სწორია და განივკვეთში თანაბრად გამობურცული რკალის ფორმა აქვს, რომელსაც შუა ადგილას პარიეტალური კილის შესატყვისი შვერილი გააჩნია. სუსტი ჩაზნექა, რომელიც *H. ergaster*-ს უშუალოდ ლამბდის წინ ემჩნევა აქ არ ჩანს.

D 2282 ქალას კეფის ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, ძალზე ცუდადაა შემონახული, განსაკუთრებით მისი უკანა ნაწილი. მიუხედავად ამისა აქ ამკარად შეინიშნება სუსტად გამოსახული კეფის ქედი და ზედა ნუხალური ხაზი, რომლებიც გამოყოფენ ერთმანეთისაგან კეფის ზედა და ქვედა მოედნებს. საფეთქლის ძვალი არ არის მაღალი და საშუალო სიგრძისაა. მარცხენა მხარეს, როგორც უკვე ითქვა, წარმოდგენილია მეტნაკლებად სრული, მაგრამ მედიალურად გადანაცვლებული გარეთა სმენის ხვრელი, ხოლო მარჯვენა მხარეს ცუდად დაცული ტიმპანური ძვალი, ქვედა ყბის სასახსრე ფოსოს მიმდებარე ნაწილებით. ამ ძვლების განვითარების ხასიათი, მდებარეობა ქალაზე და დახრილობის დონე დმანისის ორივე ქალას (D2280 და D2282) თითქმის ერთნაირი აქვს. D2282 კეფის ნაწილის საგრძნობი დეფორმაციის მიუხედავად, შესაძლებლად მივიჩნით მიახლოებით განგვესაზღვრა მისი ტვინის მოცულობა, რომელმაც 520 სმ³ შეადგინა. ამას დავუმატებთ 50 სმ³, რაც, ჩვენი ანგარიშით, სავსებით შეესაბამება ჩაჭყლელი ნაწილის მოცულობას, და მივიღებთ ტვინის კოლოფის მოცულობა 570 სმ³. თუ ამას დაემატება, ნარიოკოტომეს ადამიანის ანალოგიის მიხედვით, 30 სმ³, რომლითაც შეიძლე-

ბოდა გაზრდილიყო დმანისის ადამიანის თავის ტვინის მოცულობა ზრდის დასრულების შემთხვევაში, მივიღებთ 600 სმ³ ტვინის კოლოფის მოცულობას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული თავის ქალა შეიძლება მდებარეობითი სქესის ინდივიდს ეკუთვნის და, მაშასადამე, შედარებით ნაკლებია ვიდრე მამაკაცისა, მაშინ ორ ქალას შორის მიღებული მოცულობის მკვეთრი სხვაობა არ უნდა იყოს დიდად მოულოდნელი.

D2282 ქალაზე ზომიერად განვითარებული თვალბუდისზედა ლილვი ქალას არსებით ელემენტს წარმოადგენს. თუმცა გლაბელას წინა კიდე მიმდებარე ცხვირის ძვლებით მომტვრეულია, მაინც ჩანს, რომ მისი ზედაპირი მხოლოდ ოდნავ დადაბლებულია და თვალბუდისზედა ლილვი თითქმის მთლიანია. ლილვი გამოირჩევა საგრძნობი სიგანით (დაახლ. 87 მმ). მისი ვერტიკალური სისქე თვალბუდის შუა წერტილის დონეზე დაახლოებით შეადგენს 9,4 მმ, რაც საგრძნობლად ნაკლებია იქვე გაზომილ წინაუკანა სისქეზე (13,5 მმ). აღსანიშნავია, რომ თავისი ამობურცული ზედაპირით ლილვი მიმართულია არა მარტო წინ, არამედ რამდენადმე ზემოთაც, რის გამოც უფრო გამოკვეთილად ჩანს არც თუ ისე ღრმა, მაგრამ განიერი შელფისებური ლილვისზედა ღარი. თვალბუდისზედა ლილვი საგრძნობლად წვრილდება ლატერალურად (მისი სისქე სამკუთხედის დონეზე არ აღემატება 8 მმ). თვალბუდის გარეთა კიდეებს შორის მანძილი (დაახლოებით 93 მმ) საკმაოდ დიდია ისეთი ახალგაზრდა ეგზემპლარისათვის, როგორცაა D 2282. ამ მაჩვენებლით თავის ქალა, როგორც ჩანს, ამკარად აღემატება ნარიოკოტომის WT 15000 შესაბამის ზომებს (ცხრ. I) [24]. თვალბუდის ზედა კიდე თითქმის ჰორიზონტალურია, ხოლო ლატერალური დაახლოებით ვერტიკალური. ყვრიმალის რკალები შედარებით განიერია, მიმართულია წინ ლატერალურად. ყვრიმალის თვალბუდის ზედაპირი ალბათ ოდნავ ჩაზნექილია. ცხვირ-ალვეოლარული კლივუსი შედარებით განიერია და ბრტყელი. ეშვის ქედი ძლიერაა განვითარებული, მაგრამ მისი ამობურცული ზედაპირი ამკარად შებრტყელებული ჩანს. მისგან ლატერალურად მოთავსებულია ოდნავ შესამჩნევი დადაბლება, რომელიც *fossa canina*-ს შეესაბამება, ხოლო მედიალურად, შუა საჭრელების ზემოთ – სუსტად გამოსახული ამობურცულობა, რომელიც ცხვირის ხვრელთან მიახლოებისას ქრება.

D 2282 ქალას სასა თითქმის სრულია (სურ. 6), ზომიერად გრძელია (განივი ნაკერიდან ორალამდე 45,5 მმ-ია, სტაფილონ-ორალე კი დაახლოებით 53 მმ) და განიერი (M²-ის დონეზე 31 მმ). სასა არ გამოირჩევა სიმადლითაც (დაახლ. 16 მმ). მისი სისქე სასის ნაკერის შუაში არ აღემატება 5 მმ-ს. სასის ზედაპირი შუა და

უკანა ნაწილებში გლუვია და შედარებით სწორი, ხოლო წინა-საჭრელებისწინა ნაწილებში დაბლდება და ხაოიანი ხდება. კარგადაა გამოსახული სასის განივი ნაკერი, რომლის ამობურცული მხარე ორალურადაა მიმართული. ასევე კარგად შეიმჩნევა დიდი ხვრელიც, რომელიც, სხვა ჰომინიდების მსგავსად, მოთავსებულია სასის უკანა გარეთა კიდეზე.

ზედა ყბის ალევოლარული რკალი ზომიერი სიგრძისაა (დაახლოებით 61 სმ) და ვიწრო: მისი სიგანე M^2 -ის დონეზე 40 მმ-ია, M^1 -ის დონეზე 36, P^1 -ის დონეზე 33, P^3 -ისა 31, ეშვებზე-28,5, I^2 -ზე 25,7, ხოლო I^1 -ზე დაახლ. 15 მმ. ყბის პრემოლარების წინა ნაწილი აშკარად დამოკლებულია და მობლაგვებული: რკალის შესაბამისი ნაწილი ზომიერადაა ამობურცული და შედარებით სუსტადაა წინ გაშვერილი.



სურ. 5

ყბაში მოთავსებულია სუსტად მოცვეთილი მარჯვენა P^4 , M^1 და მარცხენა M^1 და M^2 . ყბას დანარჩენი კბილები არ შერჩენია. კბილები შედარებით დიდი ზომისაა, განსაკუთრებით მოლარები (ცხრ. II). ამ ზომების მიხედვით, დმანისის ჰომინიდები უახლოვდებიან ER 3733 და WT 15000-ს [6; 24; 26]. კბილები სტრუქტურით მოგვაგონებს *H. ergaster*-სას, თუმცა რამდენადმე განსხვავდება მათგან ზოგიერთი ნიშნით, რომლებიც, შესაძლოა, მოკლებული არ იყოს სისტემატიკურ მნიშვნელობას. განსაკუთრებით თვალში საცემია P^4 -ის პატარა ზომა, M^1 და M^2 -ის დისტალური კიდის უკანა - ლინგვალური შვერილი და მოლარებზე კარაბელის კომპლექსის ნიშნების არსებობა.

დასკვნები

D2280 და D2282-ის შესახებ მოტანილი მორფომეტრული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ორივე ეს ქალა არსებით მსგავსებას ამჟღავნებს *H. erectus*-ის თავის ქალებთან [15; 20; 25] გან-

საკუთრებით ამ ჯგუფის ადრეულ აფრიკულ ფორმებთან [26], რომელთაც დღეს განსაკუთრებულ სახეს *H. ergaster*-ს აკუთვნებენ. მართალია, ყველა ავტორი არ თვლის ჯერ კიდევ დასაბუთებულად *H. ergaster*-ის ცალკე სახედ გამოყოფას, მაგრამ მისი გეოლოგიური სიძველე, აღმოჩენის ადგილების საგრძნობი სიშორე აზიის ტიპობრივი *H. erectus*-ების გავრცელების უზნიდან და ქალასა და კბილების პლეზიომორფული და აპომორფული ნიშნების თავისებური ერთობლიობა გვაფიქრებინებს, რომ *H. ergaster* ნამდვილი დამოუკიდებელი სახეა. გავიხსენოთ, რომ *H. ergaster*-ს, გარდა ტიპობრივი ER 992-სა და ქვედა ყბებისა ER730 და ER 820, აკუთვნებენ ისეთ კარგად დაცულ თავის ქალებს, როგორცაა ER 3733, ER 3883, WT 15000 და არასრულ ქალას SK 847. ბუნებრივია, რომ დმანისის ნამარხ მასალას ძირითადად სწორედ *H. ergaster*-ის აღნიშნულ თავის ქალებს ვაძარებთ.

დმანისის D 2282 მხოლოდ წლინახევრით და ორი წლითაა უფროსი WT 15000-ზე [18], მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ის შესაძლოა, მდებარეობით სქესისაა. ნაწილობრივ ამით აიხსნება, ალბათ, მისი აშკარად პატარა ზომები და ტვინის კოლოფის მცირე მოცულობა, რომელიც ჩვენი გამოთვლით არ აღემატება 500-600 სმ³. არის სხვა განსხვავებაც WT 15000-საგან როგორც ქალას ზოგად პროპორციებში, ისე სახის ჩონჩხის და კბილების აღნაგობაში [5]. თუმცა დმანისის ამ ეგზემპლარის თავის ქალას სიგრძე მხოლოდ 8 სმ-ით ნაკლებია ნარიოკოტომისაზე (ქალას მაქსიმალური სიგანის ინდექსი დმანისის ქალაზე უდრის 67, ხოლო WT 15000-ზე 78). დმანისის ეგზემპლარის სახის ზედა ნაწილში ყურადღებას იქცევს აშკარად უფრო ვიწრო ცხვირის ხვრელი: მისი მაქსიმალური სიგანე D 2282 ქალაზე უდრის 28,1 სმ, ხოლო ნარიოკოტომის ქალაზე 34,6 მმ. გარდა ამისა მას, WT 15000-საგან განსხვავებით, აშკარად გამოსახული ცხვირისწინა ფოსოები აქვს, ხოლო მსხლისებური ხვრელის კიდეები რამდენადმე მობლაგვებულია. რაც შეეხება კბილებს, დმანისის ჰომინიდს P_4 უფრო მოკლეა WT 15000-ს შესატყვის კბილზე, ხოლო M^1 შესამჩნევად უფრო დიდია. დმანისის ეგზემპლარის ორივე მოლარზე შეიმჩნევა კარაბელის კომპლექსის ნიშნები, რაც არ გააჩნია არა მარტო ნარიოკოტომის ჰომინიდის კბილებს, არამედ არც ერთ ჩვენთვის ცნობილ *H. ergaster*-სა და *H. erectus*-ის წარმომადგენლებს. დაბოლოს, D 2282 ქალას სარკველის კედლების სისქე უფრო ნაკლებია ვიდრე ნარიოკოტომისაზე, ხოლო კალვარიის ზედაპირზე ლამბდის უბანში მას შემორჩენილი აქვს დამატებითი

ძვლები, რომლებიც არა აქვს არც WT 15000 და არც *H. ergaster*-ის სხვა წარმომადგენლებს (ისინი ახასიათებს მხოლოდ *H. rudolfensis*-სა და ზოგიერთ *H. erectus*-ს). მაინც ქალას ფორმის მსგავსება, შუბლის თითქმის ერთნაირი დაქანება, მსგავსი პროფილი და საფეთქლის ხაზების მოხაზულობა, შედარებით სუსტად განვითარებული თვალბუდისზედა ლილვი, სახის ჩონჩხის მსგავსი პროპორციები, ალვეოლარული რკალის თითქმის ერთნაირი მოხაზულობა და საერთოდ შედარებით პატარა ზომები აახლოებენ დმანისის ეგზემპლარს ნარიოკოტომის ჰომინიდთან. განსხვავება ამ უკანასკნელისაგან შეიძლება არსებითად აიხსნას განსხვავებული სქესითაც. თუმცა როგორც დმანისის თავის ქალების ერთმანეთთან შედარებამ გვიჩვენა, მათ შორისაც კი არის საგრძნობი განსხვავება, რაც ძირითადად მიეწერება ამ ეგზემპლარების განსხვავებულ ინდივიდუალურ ასაკს და სქესობრივ კუთვნილებას.



სურ. 6

კარგად ჩანს ასევე D 2282-ის მსგავსება *H. ergaster*-ის სხვა თავის ქალებთან (ER 3733 და ER 3883), რომლებსაგანაც ის განსხვავდება არსებითად იმავე თავისებურებებით, რომლებიც მას ნარიოკოტომის ფორმისაგან განასხვავებენ. თუმცა ამ შემთხვევაში ზოგიერთი აღნიშნული თვისება გასაგები მიზეზების გამო (პირველ რიგში იგულისხმება მნიშვნელოვანი ასაკობრივი განსხვავება) მას უფრო მკვეთრად აქვს გამოხატული (მაგალითად შედარებით მცირე ზომები, ქალას სარქველის კედლების ნაკლები სისქე, შუბლის თვალბუდისწინა შევიწროება, ქალას სარქველის შედარებით ნაკლები სიგანე, შედარებით ნაკლებად განვითარებული თვალბუდისზედა ლილვი და სხვ.).

ზომებით (ცხრილი I) და ქალას სარქველის საერთო იერთ უდავოდ ახლოსაა ერგასტერთან დმანისის ზრდასრული ჰომინიდიც (D 2280), რომელიც განსხვავდება ER 3733 და ER 3883 ეგზემპლარებისაგან ძირითადად *torus an-*

gularis parietalis-ის არსებობითა და ქალას ნაკლები სიგანით, განსაკუთრებით მისი თვალბუდისუკანა და კეფის ნაწილებში (D2280-ის ბიასტერული სიგანე უდრის 100, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებლები ტურკანის ER 3733-სა და ER 3883-ზე უდრის შესაბამისად 123 და 115, ხოლო ნარიოკოტომის ყმაწვილის – 106). ასევე ქალას მორფოლოგიის ზოგიერთი დეტალით (მაგალითად გლაბელას მიდამოს შედარებით ნაკლები ჩაზნექილობა, საფეთქლის ქედების შედარებითი სიბლავე და მაღალი მდებარეობა, მათი ლირასებური მოხაზულობა, უფრო დიდი კუთხე სუპრამასტოიდურ ქედსა და ფრანკფურტის სიბრტყეს შორის, შედარებით სუსტად გამოხატული *tuos* ოქციპიტალის და *sulcus sup-ratoralis* და სხვ.).

რაც შეეხება D 2280-ის მსგავსებას *H. ergaster*-ის შესდარებელ თავის ქალებთან, მათ საერთო ზომებსა და პროპორციების მსგავსებასთან ერთად, ახასიათებთ დაახლოებით მსგავსი თვალბუდისუკანა უბნის შევიწროება, პროფილი, კეფისა და შუბლის ფრანკფურტის ჰორიზონტისადმი დახრის დონე, ქალას თხემის შეფარდებითი სიმაღლე, ნაკერების განლაგება, თვალბუდისზედა ლილვის განვითარების დონე, კეფის მოედნის რელიეფი, ქალას სარქველის კედლების სისქე, საფეთქელქვედა ყბის დამახასიათებელი შესახსრება, ტვინის კოლოფის შედარებით მცირე მოცულობა (დაახლ. 780 სმ³ D 2280 ქალასი და 775 სმ³ ER 3733-სათვის) ასევე შუბლთხემის კილის განვითარება, ქვედაყბის სასახსრე ფოსოს განივი ღერძის საგიტალური სიბრტყეებისადმი მდებარეობა და სხვ.

რაც შეეხება დმანისის ეგზემპლარის განსხვავებას აზიურ *H. erectus*-ებისაგან, კერძოდ, იმათგანაც, რომლებიც უახლოვდებიან საერთო ზომებით (*Pithecanthropus* I და II), მათ ძირითადად ანსხვავებს შედარებით ნაკლებად განვითარებული თვალბუდისზედა რკალი, ქალას სარქველის ძვლების ნაკლები სისქე, შედარებით განიერი ქალა, აშკარად პატარა მოცულობის ტვინის კოლოფი და სხვ. არსებითად ეს ის ნიშნებია, რომლებიც განასხვავებს აზიურ *H. erectus*-ებს აფრიკის ადრეულ *H. erectus*-ებისაგან, რომლებსაც დღეს *H. ergaster*-ს აკუთვნებენ. უნდა აღინიშნოს, რომ დმანისის ჰომინიდს აქვს ისეთი თავისებურებებიც, რომლებიც არ შეინიშნება *H. ergaster*-თან (მაგალითად M¹-სა და M²-ზე კარაბელის სისტემის კვალის არსებობა). *H. erectus*-თან ისეთი საერთო ნიშანი კი, როგორცაა *torus angularis parietalis* იგი არ გვხვდება კობი-ფორას ფორმებში (ER 3733 და ER 3883) და არც ნარიოკოტომის თავის ქალაზე (WT 15000). თუმცა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ *t. angularis* შესაძლოა

წარმოშობილიყო ჰომინიდების განვითარების სხვადასხვა შტოში და სხვადასხვა დროს პარალელურად. გავიხსენოთ, რომ Tobias [22] აღნიშნავს ამ ნიშნის არსებობას OH5-ის ქალაზე, ხოლო Brauer და Mbua [7] OH 9 და OH 12 ქალებზე. ამიტომაც დმანისის ადამიანის თავის ქალებზე *torus angularis*-ის, ხოლო M¹ და M²-ზე კარაბელის სისტემის არსებობა, ისევე, როგორც შედარებით დაბალი ქალა და დამრეცი შუბლი, ქალასა და კბილების ზოგიერთი სხვა ნიშანი არ ცვლიან საერთო სურათს: ამ ნიშნების უმრავლესობა უთუოდ არ ადასტურებს *H. erectus*-ის სინაპომორფულობას და დამახასიათებელია, ალბათ, *Homo*-ს უძველესი წარმომადგენლებისთვის. თუ ვიმსჯელებთ აქ განხილული დმანისის ნამარხი ნაშთების ნიშნების ერთობლიობის მიხედვით, უნდა დავასკვნათ, რომ დმანისის ადამიანი უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული *H. ergaster*-თან, ვიდრე *H. erectus*-თან (ვიწრო გაგებით). მსგავს დასკვნამდე ჩვენ მიგვიყვანა ჯერ კიდევ 1992 წ. დმანისის ქვედა ყბის (D 211) შესწავლამ, რომლის შესახებ მაშინ ვწერდით, რომ მისი მსგავსება ER 992-თან და ER 730-თან მიგვანიშნებს დმანისის ნამარხი ჰომინიდების სიახლოვეზე აფრიკის ადრეულ *H. erectus*-თან, რომლებსაც შუალედური ადგილი უკავიათ *H. habilis*-სა და გვიანდელ *H. erectus*-ს შორის [9]. დმანისის ადამიანის *H. ergaster*-თან მსგავსების შესახებ ახლახან წერდნენ Rosas და Bermudez de Castro [16] და Tattarsall [21].

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ჯერ-ჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ არა ეს მსგავსება, რომ დმანისის ჰომინიდი გავაიგივოთ *H. ergaster*-თან. დმანისელი ჰომინიდის შედარებით ვიწრო ცხვირის ძვალი, ქალას სარქველის შედარებით მცირე სიგანე, M¹ და M²-ზე კარაბელის სისტემის ნიშნების არსებობა, P⁴-ის საგრძნობი დამოკლება, ასევე ქვედა ყბისა და ქვედაყბის კბილების ზოგიერთი თავისებურება და სხვა [1; 9; 10], შესაძლოა, მოწმობს ამ ნამარხი ადამიანის ერთგვარ სისტემატიკურ განმხლოებულობას. ამიტომ დმანისის ჰომინიდის თავის ქალების უფრო დეტალურად და ღრმად შესწავლამდე, მართებულად მიგვაჩნია მივაკუთვნოდ იგი *Homo ex gr. Ergaster*-ს.

ამავე დროს, ვეყრდნობით რა დმანისის ნამარხი ადამიანის ქალასა და კბილების „ერექტუსებისათვის“ დამახასიათებელ ნიშნებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დმანისის ადამიანი ეკუთვნოდა აფრიკიდან შემოდღეულ იმ უძველეს ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც ევრაზიაში განსახლებისა და ზომიერი სარტყლის პირობე-

ბისადმი შეგუების პროცესში გამოეყო *H. erectus*-ის აზიური შტო.¹

L. Gabunia, A. Vekua, D. Lordkipanidze (Georgia) G.Bosinski (Germany), R.Ferring (USA), O. Joris, A. Justus (Germany), G. Maisuradze, A. Mouskhelishvili, M. Nioradze, D. Sologashvili (Georgia), C. Swisher (USA), M. Tvalchrelidze (Georgia)

NEW FINDINGS OF THE REMAINS OF FOSSIL MAN FROM DMANISI
(Summary)

The geologic, paleontological, geochronologic, and paleomagnetic studies of the Dmanisi site point to an earliest Pleistocene age, ca. 1.7-1.8 Ma.

In 1999 the site yielded two hominid skulls. Both D2280 and D2282 display a number of essential similarities with the crania of *H. erectus* sensu lato and particularly with its early African forms, attributed at present to *H. ergaster*. In particular, they share similar overall dimensions and proportions including the relative narrowness of the post-orbital region and moderate height of the cranial vault, small endocranial volume, similar frontal and occipital inclination relative to the Frankfurt Horizontal, similar relief of the occipital area (particularly apparent in D2280), comparable appearance of the lateral profile and temporal crests, thickness of the cranial vault bones, substantial pneumatization of the mastoid area, similar morphology of the temporo-mandibular articulation, similar proportions of the facial skeleton including the narrowness of the alveolar arch, and morphology of the supraorbital tori as well as the character of the fronto-parietal keeling, and the disposition of the foramina in the base of the calvaria.

D2280 and D2282 differ from Asian *H. erectus* specimens, in particular those closest in overall measurements such as Trinil and Sangiran 2, in essentially the same features that differentiate *H. erectus* sensu stricto and *H. ergaster* of Africa.

If we base our judgement on the combination of the most significant features of the cranium and teeth of the Dmanisi hominids, they are closer to *H. ergaster* than to *H. erectus* sensu stricto. Nevertheless, at this time pending more detailed investigation of the crania we prefer to assign the Dmanisi hominids to *Homo ex cf. ergaster*. Given the presence of some *H. erectus* features of the Dmanisi hominid crania and teeth we suggest that these hominids represent those that initially dispersed from Africa and from which the Asian branch of *H. erectus* was derived.

¹ ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის № 1318 გრანტის დახმარებით.

ლიტერატურა

1. **Габуния Л. К., Векуа А. К.** Дманисский ископаемый человек и сопутствующая ему фауна позвоночных. Тбилиси, 1993.

2. **Габуния Л. К., Векуа А. К., Юсугс А. О.** О нижней челюсти ископаемого человека из позднего виллафранка Дманиси. – Известия АН Грузии, серия биологическая т. 18, № 6, 1992, с. 418-427.

3. **Габуния Л. К., Векуа А. К., Лордкипанидзе О. Д.** Природная обстановка первичного проникновения древнего человека в умеренные широты. – Известия АН России, серия географическая, № 6, 1996, с. 36-37.

4. **Alexeev V.P.** The Origin of the Human Race. Moscow, 1986.

5. **Begun D., Walker A.** The Endocast. – The Nariokotome Homo Erectus Skeleton. Ed. A. Walker and R. Leakey. Harvard, 1993, pp. 326-358

6. **Braun B., Walker A.** The Dentition. – The Nariokotome Homo Erectus Skeleton. Ed. A. Walker a. R. Leakey. Harvard, 1993, pp. 161-192

7. **Brauer G., Mbua E.** 1992. Homo Erectus Features Used in Cladistics and their Variability. – Asian and African hominids. J.Hum. Evol., 22, 79-108, London.

8. **Dzaparidze V., Bosinski G., Bugianishvili T., Gabunia L., Justus A., Klopotovskaja N., Kvavadze E., Lordkipanidze D., Maisuradze G., Mgeladze N., Nioradze M., Pavlenishvili E., Schmincke H., Sologashvili D., Tushabramishvili D., Tvalcrelidze M., Vekua A.** Der altpalaolitische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). – JRGZ, 36, 1991, Mainz, S. 67-116.

9. **Gabunia L.K.** Der menschliche Unterkiefer von Dmanisi (Georgien, Kaukasus). – JRGZ, 39, 1992, S. 185-208

10. **Gabunia L., Vekua A.** La mandibule de L'Homme fossile du Villafranchien superieur de Dmanissi (Georgie orientale). – L'Anthropologie (Paris), 1995, v. 99, № 1, pp. 29-41.

11. **Gabunia L., Vekua A., Lordkipanidze D.** A hominid Metatarsal from Dmanisi (Eastern Georgia). – Anthropologie, 37, 1, 1999, Brno. pp. 45-48.

12. **Kvavadze E., Vekua A.** Vegetation and Climate of the Dmanisi Man Period (East Georgia) from Palynological Data. – Acta Palaeobotanica. Cracov, № 33(2), 1993, pp. 343-355.

13. **Maisuradze G.** Geologisch-geomorphologisch Untersuchungen im Masavera-Becken (Südost-Georgien). – JRGZ, 42, 1995, Mainz, S. 25-49.

14. **Muskchelishvili A.** Die Kleinfauна von Dmanisi. – JRGZ, 42, 1995, Mainz, pp.181-182

15. **Rightmire G.P.** The Evolution of Homo Erectus. Cambridge, 1990.

16. **Rosas A. a. J.M. Bermudez de Castro.** On the Taxonomic Affinities of the Dmanisi

Mandible (Georgia). – Amer. J. Phys. Anthropol., 107, 1998, 145-162.

17. **Schmincke H.-U., Bogaard P.**, Die Datierung des Masavera-Basaltlavastroms. – JRGZ, 42, 1995, Mainz, S. 75-76.

18. **Smith B.Holly.** The Physiological Age of KNM-WT15000. – The Nariokotome Homo erectus skeleton. Ed. A. Walker a. R. Leakey. Harvard, 1993, pp. 195-220.

19. **Sologashvili D., Pavlenishvili E., Gogichajshvili A.**, Zur Frage der palaomagnetischen Stratigraphie einiger junger Vulkanite und Sedimentgesteine im Masavera-Becken. – JRGZ, 42, 1995, Mainz, S. 51-74.

20. **Stringer C. B.** The Definition of Homo Erectus and the Existence of the Species in Africa and Europe. Cour Forsch. Inst. Senckenberg, 69, 1984, pp. 131-143.

21. **Tattersall I.** Out of Africa Again...and Again? – Scientific American, April, № 4, 1997, pp. 60-67

22. **Tobias P.V.** The Cranium and Maxillari Dentition of Australopithecus (Zinjanthropus) Boisei. – L. S. B. Leakey, ed. Olduvai Gorge, vol. 2. Cambridge, 1967.

23. **Vekua A.** Die Wirbeltierfauna des Villafranchium von Dmanisi und ihre biostratigraphische Bedeutung. – JRGZ, 42, 1995, Mainz. S. 77-180.

24. **Walker A., Leakey R.** The skull. – The Nariokotome Homo erectus skeleton. Ed. A. Walker a. R. Leakey. Harvard, 1993, pp. 63-94.

25. **Weidenreich F.** The Skull of Sinanthropus Pekinensis: a Comparative Study on a Primitive Hominid Skull. Paleont. – Sinica n.s.,D, 10, 1-484, Peking.

26. **Wood B .A.** Koobi Fora Research Project, Volume 4, Hominid Cranial Remains From Koobi Fora, pp. 1-492. Oxford, 1991.

სურათების აღწერილობა

სურ. 1. – დმანისის ადგილსაპოვებლის გათხრების გეგმა.

სურ. 2. დმანისის ნამარხი ადამიანის ქალა (D 2280) წინიდან.

სურ. 3. დმანისის ნამარხი ადამიანის ქალა (D 2280) გვერდიდან.

სურ. 4. დმანისის ნამარხი ადამიანის ქალა (D 2282) წინიდან.

სურ. 5. დმანისის ნამარხი ადამიანის ქალა (D 2282) გვერდიდან.

სურ. 6. დმანისის ნამარხი ადამიანის ქალა (D 2282) სასის მხარე.

Description of the Figures

Fig. 1. Map of Excavation

Fig. 2. D-2280 Superior view

Fig. 3. D-2280 Lateral view

Fig. 4. D-2282 Superior view

Fig. 5. D-2282 Lateral view

Fig. 6. D-2282 Occlusal view

ცხრილი I

განზომილებები (მმ-ში)	D2280	D2282	ER3733	ER3883	WT-15000	სანგირანი	H. erectus erectus
გლაბელა – ინიონი	176	166	182	182	175	17	194
ბრგემა – ინიონი	127	125	---	---	---	---	---
გლაბელა – ბრგემა	100	(95)	(106)	104	---	---	113
ბრგემა – პორიონი	91	(70)	92	(82)	(87)	92	99
ბრგემა – ბაზიონი	(105)	(92)	108	107	(102)	(105)	---
თვალშუბლის სიმაღლე	---	(37)	36	36	---	---	36
შუბლის უმცირესი სიგანე	75	66	91	88	90,5	(79)	86
ბიორბიტალური	---	(93)	(104)	108	83,5	---	---

ცხრილი II

	D2282			ER3733*			WT 15000**			სანგირანი4***			H. erectus erectus***		
	სიგრძე	სიგანე	ინდ.	სიგრძე	სიგანე	ინდ.	სიგრძე	სიგანე	ინდ.	სიგრძე	სიგანე	ინდ.	სიგრძე	სიგანე	ინდ.
P ₄ მარჯ.	8	10	125	8,1	12,1	149	8,1	11,7	144	8,2	12,2	149	8	11,6	145
M ¹ მარჯ.	12	12,9	105	---	---	---	12,2	12,2	100	11,8	13,3	113	11,8	13,2	112
M ¹ მარცხ.	12,5	13	104	12,6	---	---	11,3	12,1	107	---	---	---	---	---	---
M2 მარცხ.	12,9	12,1	94	12	13,7	142	11,8	11,3	96	12,9	13,8	11,5	12,3	14	114

* B. Wood (1991)

** A. Walker . R. Leakey (1993)

*** F. Weidenreich (1937)

გურანდა ფხაკაძე

მტკვარ-არაქსული კერძებისა და საღვრების გავრცელების საკითხისათვის

კერა და საღვარი მტკვარ-არაქსის კულტურის ისეთივე დამახასიათებელი და აუცილებელი ატრიბუტია, როგორც მისი განმსაზღვრელი სპეციფიკური კერამიკა.²

მტკვარ-არაქსული კერა და საღვარი მხოლოდ ამ კულტურის კუთვნილებაა და არც წინამორბედ ეპოქაში (ენეოლითი) და არც მომდევნო შუა ბრინჯაოს ხანაში არ გვხვდება.³

თიხის სტაციონარული კერები და საღვრები დაფიქსირებულია სამხრეთ კავკასიის ყველა ნასახლარზე როგორც საქართველოში, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში: თეთრი წყარო, ოზნი, ქულბაქები, ხიზანანთგორა, ქვაცხელა, ციხიაგორა, ორხევი, უნვალი, გუდაბერტყა, ამირანის გორა, ზველი, არგვეთი და სხვ. (საქართველო), არმავირ-ბლური, შრეშ-ბლური, შენგავითი, გარნი, ელარი, არიჭი და სხვ. (სომხეთი), ქიულთეფე I, II, ბაბადერვიში და სხვ. (აზერბაიჯანი).

ცნობილია ისინი ჩრდილო კავკასიის ძველებიდანაც: ლუგოვოე, სერჟენიურტი (ჩაჩნეთ-ინგუშეთი), დოლინსკოე (ყაბარდო-ბალყარეთი), ველიკენტი, ჩირკეი, გალგალათლი (დაღესტანი).

მტკვარ-არაქსული კერები თიხისაა, მრგვალი ფორმის, ჩვეულებრივ შიდა ზედაპირი მოპირიანებული აქვს. გარეთა მხარე კი უხეში, რადგან კერა, როგორც წესი, სათავსოს ცენტრში იატაკშია ჩადგმული. საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერის ყველა ტიპია დამოწმებული. ისენია: ბორდიურიანი, ქორდიანი, ძირზე გახვრეტილი, შვერილებიანი.

როგორც არქეოლოგიური მასალები ცხადყოფენ, ამათგან ყველაზე ადრეული ბორდიურიანი კერაა. იგი წარმოადგენს მიწაში ჩაჭრილ თიხის შემოღესილ ორმოს, რომლის ნაპირიც იატაკზე თიხითაა შემოღესილ-ამაღლებული. კერის ეს ტიპი თავის პროტოტიპს ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძველებზე პოულობს (შულავერი, ხრამის დიდი გორა), მიწაში ჩადგმული კვერცხისფორმის თავგადაჭრილი ჭურჭლების სახით, რომლებიც „უქრობი ცეცხლის“ შესანახად იყო განკუთვნილი. იქვეა წმინდა ნაცრის ორმოები, შიგნით სარიტუალო კვერებიტა და ანთროპომორფული ფიგურებით [6, გვ.6].

² მოხსენება წაკითხულია 1998 წ. მაისში იხ. აკც V სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 5-6.

³ ბედენისა და მტკვარ-არაქსის შერეულ კულტურულ ფენაში (ნაცარგორა, ციხიაგორა) კერის არსებობა ბუნებრივად მიგვაჩნია, ხოლო სუფთა ბედენურ ნასახლარზე (ბერიკლდეები) კერის აღმოჩენა ისევე მტკვარ-არაქსულ ტრადიციებზე მიგვითითებს.

ბორდიურიანი კერები დადასტურებულია მტკვარ-არაქსის ისეთ ადრეულ ნასახლარ ფენებში, როგორცაა ხიზანანთგორის E დონე [3, გვ. 36] და თეთრი წყაროს ნასოფლარის ქვედა ჰორიზონტი [1, გვ. 37] (ტაბ. I₁).

კერის ეს ტიპები განაგრძობს არსებობას მტკვარ-არაქსის კულტურის მთელ სიგრძეზე, მხოლოდ უფრო გვიანდელ ეტაპზე მათი ბორდიური ქვისგან კეთდება (ოზნი, თეთრი წყარო). ზოგ შემთხვევაში იგი ორნამენტითაა გაფორმებული, მაგ. წეროს გამოსახულება ამირანის გორის კერაზე, სპირალები და ორმაგი დროშის გამოსახულება ელარის კერის ბორდიურზე [18, ტაბ. XV]. ოთხი რელიეფური რკალი და M-სებური დანადგარები სიგიტმას ნასახლარის კერაზე და სხვ. [10, გვ. 220].

აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში იგი კერის ერთადერთი ტიპია – ღრმა თასის ფორმისა, განიერი შესქელებული და გადმოშლილი ნაპირით (ქიულთეფე I, II), [7, გვ. 134, ტაბ. 23], ველიკენტი, ჩირკეი, მეკევი [9, გვ. 220]. ამავე ტიპს მიეკუთვნება მრგვალი კერა ძირზე გაჭრილი ნახვრეტიტით. იგი თეთრი წყაროს ნასახლარის მრგვალ ნაგებობაში აღმოჩნდა და გ. გობეჯიშვილის მიერ „სამსხვერპლოდ“ იყო მიჩნეული (ტაბ. I₂).

ასეთივე კერის ერთი სახეობაა ქორდიანი კერა, რომელიც საკმაოდ იშვიათია, საღვრისოდ თეთრი წყაროდან და არგვეთის ნასახლარიდანაა ცნობილი. დანიშნულება ცოტა გაურკვეველია, თუმცა გ. გობეჯიშვილი მას „ლამპარს“ უწოდებდა (ტაბ. II₁).

ცეცხლთან და კერასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ჩვენი აზრით, მრგვალი, ფართო და დაბალი ტაფისებური ჭურჭელი, რომელსაც ბრტყელი ძირი, სწორი კედლები და ცალ მხარეს დიობი ჰქონდა. ისინი გარედან უხეშია, ხოლო შიგნიდან ნაპირალებია და გაფორმებულია ნახვრეტებით პირქვეშ (გალგალათლი I) [9, გვ. 143] ან შვერილებით დიობის ორივე მხარეს (ხიზანანთგორა E) [3, სურ. 4].

ანალოგიური ჭურჭელი ბევრია ქვაცხელაზე, გუდაბერტყაზე, ბემთაშენში, ოზნიში. ჩვეულებრივ დიობის მოპირდაპირე მხარე შედრეკილია და ზედ ყურია მიძერწილი. ხიზანანთგორის ასეთი ცალი ცეცხლისაგან შემდგომია, ამიტომ ი. კიკვიძე მათ სარიტუალო ჭურჭლად მიიჩნევდა, რაც სავსებით დამაჯერებლად გვიჩვენება. სომხეთში იგი ცნობილია არევიკიდან [17, გვ. 163-164], აზერბაიჯანში ქიულთეფედან [7, გვ. 134].

კერის ყველაზე გავრცელებული ფორმა შვერილებიანი კერაა. იგი მტკვარ-არაქსის განვი-

თარებულები და ფინალური ეტაპებისათვისაა დამახასიათებელი. შვერილები ნაირგვარია: ქიმიკური, მომრგვალებული, წამახვილებული, დაწახნაგებული და სხვ., რომლებიც ჩვეულებრივ კერის შიდა მხარესაა მიძერწილი (ტაბ. II_{2,3}).

ცნობილია ერთ, ორ, სამ, ოთხ და ხუთშვერილიანი კერები. კერის შიდა პირი, ჩვეულებრივ, ზედმიწევნითაა გაპრალელებული. შვერილები არათანაბრადაა განაწილებული და ორ შვერილს შორის ზოგჯერ თაროსებური შეღრმავება გვხვდება, ზოგჯერ კი პატარა ტყუბი შვერილი. ხშირად შიდაპირი ორნამენტირებულია (სპირალები, ორმაგი ღუზა).

შვერილებიანი კერები აღმოჩნდა თეთრი წყაროს, ოზნის, ქულბაქების, კულუხომის, ხიზანანთგორის, ქვაცხელას, ამირანის გორის, ციხიანგორას, ორხევის, ჟინვალის, არგვეთის, დიდუბის (მოდელი) და სხვ. ნასახლარებზე.

სომხეთში კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს შენგავითის, გარნის, ელარის შვერილიანი კერები. აზერბაიჯანში, როგორც უკვე ითქვა, შვერილიანი კერები არ გვაქვს.

კერა, როგორც წესი, სათავსოს ცენტრშია ჩადგმული, მის უკან მოთავსებულია ცენტრალური ბოძი, ხოლო კედელთან თიხის შემადგენელი მოედანი-პოდიუმი, რომელზედაც ხშირად დამხობილია საგანგებოდ შესრულებული და შემკული ჭურჭელი. აქვეა თიხის მოლესილი ნაცარგროვები (ხიზანანთგორა, ქვაცხელა). სათავსოს ეს ნაწილი ოჯახის წევრების თავშეყრისა და საკულტო რიტუალების ჩატარების წმინდა ადგილს წარმოადგენდა.

კერის ახლოს, ჩვეულებრივ, სადგრებიც გვხვდება, სადგრები შინაარსითა და სიმბოლიკით სწორედ კერასთან არის დაკავშირებული და ერთი საერთო იდეა-რწმენის გამოხატულებას წარმოადგენს.

კერისა და სადგრის ერთიანობაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ხიზანანთგორის E ფენაში აღმოჩენილ ბორდიურთან კერის ძირზე რქიანი სადგარი იყო მიძერწილი. საინტერესოა აზრი აქვს გამოთქმული ამასთან დაკავშირებით ი. კიკვიძეს, რომელიც თვლიდა, რომ შვერილიანი კერები წარმოიშვა ბორდიურიანი კერისა და რქისებური სადგრის შერწყმის შედეგად [3, გვ. 177]. ქვაცხელას ნასახლარის C ფენაში ნანახია თიხის მოდელი – სამფეხა სადგარზე მდგარი ოთხშვერილიანი კერა – რაც კიდევ ერთი დადასტურებაა კერისა და სადგრის ერთიანობის.

მტკვარ-არაქსის სადგრები სხვადასხვა ფორმისაა, არის კოჭისებრი, ცილინდრულ-ბლოკისებური, კონუსისებური, ხარის რქისებური და ნალისებური (ტაბ. III). სომხეთსა და აზერბაიჯანში უფრო ხშირია წელში გამოყვანილი ჭურჭლისებური, მთლიანი ხარის ფიგურისებური და სამფეხა სადგრები (ქიულთეფე, ბაბადერვიში, არევიკი, შრემ-ბლური, არიჭი და სხვ.) [15, გვ. 99; სურ. 21]. ფეხიანი კოჭისებური, კონუსისებური და რქიანი სადგრები აღმოჩნდა ჩრდი-

ლოეთ კავკასიაშიც (ტაბ. IV). როგორც ირკვევა, მთელ ამ ჩამოთვლილ სადგრებში ყველაზე მეტი გავრცელება მაინც რქისებურმა სადგარმა ჰპოვა. მაგრამ ეს ფორმა ყველა რეგიონში ერთნაირი არ არის. მაგ., აზერბაიჯანის (ქიულთეფე I, II, ბაბა-დერვიშის [10, გვ.15]), განსაკუთრებით კი ჩრდილო კავკასიის რქიანი სადგრები მასიურია, ოთხკუთხედის ფორმის, გვერდში ნახევრეტი და ზოგჯერ ნახევარსფერული ყურით. ცალ მხარეს რქისებრი წანაშვერები აქვს. მათ „რქიან აგურებს“ უწოდებენ. ასეთია დოლინსკოეს (ყაბარდო-ბალყარეთი), ლუგოვოეს [14, გვ. 171, ტაბ. III], სერჟენ-იურტის (ჩაჩნეთ-ინგუშეთის) [15, გვ. 543. ტაბ. 78, 79], შაულეგეტის (ჩრდილოეთ ოსეთის) მასალები. საქართველოში აღმოჩენილი რქიანი სადგრები უფრო ნაკლებ მასიურია და დახვეწილობით გამოირჩევა. ცალი მხარე მრგვალია და აქ გამჭოლი ნახევრეტი აქვს, მოპირდაპირე მხარეს კი რქისებური წანაშვერები (ზემო ავჭალა, კულუხომი, ზღუდრისგვერდა, ქულბაქები და სხვ.).

ბ. კუფტინი თვლიდა, რომ რქიან სადგრებში არეკლილია „დიდი დედის“ კულტი და მისთვის შესაწირი ცხოველი – ხარი [12, გვ. 70-71].

ო. ჯაფარიძეს ხარის საკულტო ობიექტად ქცევა სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა, მისი პროლექტულობის და გამწვევ ძალად გამოყენების გათვალისწინებით. ხარის კულტს უკავშირებდა გ. გობეჯიშვილი ნაცარგორის გვიანბრინჯაოს ხანის სამლოცველოში აღმოჩენილ რქიან სამსხვერპლოს ნალისებრ კერასთან და რქიან სადგრებთან ერთად [2, გვ. 260].

რქიანი სადგრები აღმოჩენილია მერსინში [24, გვ. 135, 143; სურ. 90, 166]. იორდან-თეფეზე, კორკუტთან, კრეტა-მიკენის კულტურებში [22, გვ. 332, სურ. 189].

ამ მოსაზრების სამართლიანობას ადასტურებს სომხეთის სადგრები, რომლებიც ხარის მთლიან ფიგურას ასახავენ ზურგზე ყურით [18, ტაბ. VII] (ტაბ. IV₂).

ყველაზე გავრცელებული სადგრის ტიპი მაინც ნალისებურია. მარტივ ნალისებურ სადგრებს შუაში ყური აქვთ. ხოლო უფრო რთულს ანთროპომორფული და ზომორფული დაბოლოებები. ამათ მკვლევართა ნაწილი გადასატან კერას უწოდებს და თვლის, რომ მათ დამოუკიდებელი საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა (მუნჩაევი, კოზეი, საგონა და სხვ.).

საქართველოში ნალისებრი სადგარი აღმოჩენილია ხიზანანთგორაზე [3, გვ. 52. სურ. 85], ოზნში [19, გვ. 36], ზღუდრისგვერდაზე [4, გვ. 83] და ამირანის გორაზე [5, გვ. 57] (ტაბ. III_{4,6}).

ნალისებური სადგარი განსაკუთრებით ბევრია მდ. არაქსის აუზში – არმავირ-ბლური, გარნი, შენგავითი, კოსი-ჩოტერი, ქიულთეფე, ამასია, ელარი [18, გვ. 178]. ქიულთეფეს ნალისებური სადგრების ცენტრში მოგრძო ფორმის შვერილია, რომელსაც ზურგიდან ყური აქვს

მიქერწილი, სადგრის დაბოლოებები ადამიანის ტერფს გამოსახავენ, ზოგიერთ მათგანზე პატარა წანაშვერებია ფეხის თითების მსგავსი [7, გვ. 135, ტაბ. 23].

ნალისებრი სადგარი, ცენტრალურ შვერილზე ადამიანის სახის გამოსახულებით, ცნობილია სამხრეთ დაღესტნიდან – შარაკუნდანი [16, გვ. 45]. განსაკუთრებით საინტერესოა სომხეთში აღმოჩენილი ნალისებრი სადგრები; ზოგი მათგანი სამ ფეხზე დგას, ხოლო დაბოლოებები ცხვრის თავებს წარმოსახავენ. ასეთი სადგრები არის არიჭიდან, ამასიადან [19, გვ. 72] და შენგავითიდან [8, გვ. 225]. საინტერესოა რომ ყველა შემთხვევაში ცხვრის ფიგურები განსხვავებული სტილითაა შესრულებული (ტაბ. IV).

სომხეთის მთიანეთის ერთ-ერთ ძველზე ნალისებური, შუაში წანაშვერიანი სადგრების ბრტყელი ტერფისებრი დაბოლოებები ძალიან საინტერესოა გაფორმებული. ზედ გამოსახულია ადამიანის სახე: ორი ფოსო – თვალები, რელიეფური ხაზი – ცხვირი. თითო დაბოლოებაზე ასეთი გამოსახულება ორია, ერთი ზედა კიდესთან, მეორე კი – ქვევით ძირთან [18, სურ. 13, ტაბ. VII] (ტაბ. IV_{7,8}). ზოგ წანაშვერს ფალოსის ფორმა აქვს. საქართველოში დადასტურებულ ნალისებრ სადგრებს შორის ყურადღებას იქცევს ახალციხის ამირანის გორის სადგრები. მათი ცენტრალური შვერილი მამაკაცის სახეს გამოსახავს, ბრტყელ თავზე ფოსოა დატანილი [5, გვ. 81]. ყოველი მათგანი ითიფალურია და, როგორც ტ. ჩუბინიშვილი ფიქრობდა, ფეხებგაშლილი მამაკაცის გამოსახულებას წარმოადგენს.

ნალისებრი სადგრები, ისევე როგორც შვერილიანი კერები, მტკვარ-არაქსის მოგვიანო, განვითარებულ ეტაპს ახასიათებს.

რაც შეეხება ცილინდრულ-ბლოკისებურ, კოჭის ფორმის, ჭურჭლის ფორმისა და სამფეხა სადგრებს მათ, როგორც ჩანს, უფრო პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. ნაწილი სამამფურეებად იყო მიჩნეული (ბ. კუფტინი, ვ. ლამბი, რ. ამირანი და სხვ.), ნაწილი კი ჭურჭლის სადგამებად გამოიყენებოდა (პ. კოზეი).

კერისა და სადგრის ფუნქციისა და შინაარსის შესახებ ბევრი აზრია გამოთქმული, თუმცა მათი საკრალური დანიშნულება არც ერთ მკვლევარში ეჭვს არ იწვევდა. ბ. კუფტინი მრგვალ კერას, პირველყოვლისა, მუდმივ ცეცხლისა და ნაყოფიერების მფარველ „დიდი დედის“ კულტს უკავშირებდა. ხოლო რქისებურ სადგრებს ხარის გამოსახულებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ დიდი სარგებლიანობის გამო (ხორცი, ტყავი, გამწვევი ძალა) „დიდი დედის“ წმინდა ცხოველს წარმოადგენდა. მრგვალ ბოლოში დატანილ ნახვრეტში, მისი აზრით, წმინდა ხის ტოტს ამაგრებდნენ („ჩიჩილაკს“) და ეს იყო სრული რიტუალი ნაყოფიერების ქალღვთაების კულტმსახურებისა. აქ მას მოჰყავდა შედარება კრეტა-

მიკენის რქიან საკურთხევლებთან, რომელთა ნახვრეტში ორმაგი ცულის გამოსახულება იდგებოდა (რქიანი საკურთხევლები აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარგორაზე).

ნაყოფიერებისა და გამრავლების კულტი ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩაისახა, და მფარველი ქალის სახით იყო გააზრებული. ცნობილია ქალის მცირე ფიგურები როგორც კავკასიის, ასევე წინა და მცირე აზიიდან. იგი თავის კულმინაციას აღწევს მწარმოებლური მეურნეობის დამკვიდრებასთან ერთად, როდესაც ოჯახის ერთიანობის, სიმტკიცისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ იქცევა.

მიწათმოქმედების განვითარება და ნაყოფიერების ზრდა დიდად იყო დამოკიდებული მზისა და ციურ მნათობთა მოძრაობაზე, რამაც წარმოშვა კოსმოგონიური წარმოდგენები: კერა გაიკვივებული იქნა მზესთან, ხარის რქები – მთვარესთან. ხოლო თუ ფოლკლორსაც მოვიშველიებთ, მზე ქალია, მთვარე კი – მამაკაცი. ი. კიკვიძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საკულტო საგნები და რიტუალები და შეაჯერა ეთნოგრაფიულ მონაცემებთან, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კერა, სადგარი და მუდმივი ცეცხლი – ეს არის ტრიადა, რომლითაც წარმოდგენილია მიწათმოქმედი საზოგადოების ასტრალური პანთეონი და რომელიც კარგად უკავშირდება ქართველ ტომთა ძველთაგან მომდინარე რელიგიურ შეხედულებებს [11, გვ. 182, 186, 190].

შემდგომში, როგორც ითქვა, ხდება მრგვალი კერისა და რქიანი სადგრის შერწყმა, რის შედეგადაც მკვიდრდება შვერილიანი კერები. ამავე პერიოდში დიდ გავრცელებას პოულობს ნალისებრი ფორმის სადგრები ანუ ზესადგრები.

თავდაპირველად ნალისებრი ფორმის სადგრებიც მკლავებგაშლილ ქალღმერთის – „დიდი დედის“ კულტს დაუკავშირეს (ბ. კუფტინი), მაგრამ ამირანის გორაზე აღმოჩენილმა ნალისებრმა სადგარმა რადიკალურად შეცვალა ეს აზრი. ამ სადგრის ცენტრში გამოსახული იყო მამაკაცის სახე და ხაზგასმული მამაკაცური ნიშნები, რის საფუძველზედაც ტ. ჩუბინიშვილმა, სავსებით სამართლიანად მიიჩნია იგი ფეხებგაშლილ მჯდარ მამაკაცად, რომელიც კერის ახლოს ან მისი ზესადგრის მდგომარეობაში კერის განაყოფიერების რიტუალს ემსახურებოდა. ნალისებრი სადგრები საზოგადოებაში მამაკაცის როლის გაზრდისა და პატრიარქატის მანიშნებელი იყო.

ჩვენ მიზანს არ შეადგენს კერებისა და სადგრების და მათ მიმართ გამოთქმული სხვადასხვანაირი მოსაზრებების ყოველმხრივი და დეტალური განხილვა. ჩვენთვის მთავარი იყო შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა ამ საგნების უდიდესი მნიშვნელობა იმდროინდელი ადამიანისათვის. ცხადი გახდა, რომ მტკვარ-არაქსულ საზოგადოებას უკვე სავსებით ჩამოყალიბებული წარმოდგენები ჰქონდა სამყაროზე, კოსმოსზე, ბუნების მოვლენებზე; რიტუალების ტრადიცია

ნაყოფიერების, გამრავლების, მოწათმოქმედების, მუდმივი ცეცხლის ოჯახისა თუ გვარის მფარველ ღვთაებათა თავყანისცემისათვის.

ეს რთული სულიერი სამყარო თავისი სიმბოლოებით: კერა, სადგარი პოდიუმი, შელესილი ნაცარგროვები, წმინდა ნაცრის ორმოები და სხვ. სწორედ მტკვარ-არაქსელის შეგნების, აღქმისა და აზროვნების დონის გამოხატულებას წარმოადგენდა. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ ელემენტების აღმოჩენის ფაქტები მტკვარ-არაქსის ძირეული ტერიტორიის გარეთ.

ცნობილია, რომ მტკვარ-არაქსი გასცილდა კავკასიის ფარგლებს და გავრცელდა წინა და მცირე აზიის მიმართულებით (ანატოლია, სირია, პალესტინა, ირანი). ნიშანდობლივია, რომ ყველა ნასახლარზე, სადაც გვაქვს მტკვარ-არაქსული კერამიკა დასტურდება ამ კულტურის დამახასიათებელი კერა და სადგრები. გამოთქმის ირანი წარმოადგენს, იქ ტიპიურ მტკვარ-არაქსულ ნასახლარებზე (გეოთეფე, იანიკთეფე, გოდინთეფე) კერები და სადგრები არ ჩანს, შესაძლოა იმიტომ რომ მის მოსაზღვრე აზერბაიჯანშიც ისინი ნაკლებად ჩანს გამოყენებული.

რაც შეეხება ანატოლიის ძეგლებს, იქ მტკვარ-არაქსის კულტურის წამყვანი ელემენტები სრულადაა წარმოდგენილი; ესენია: ქარაზი, პულური, დეჯერმენთეფე, ტეპეჯიკი, კორუკთეფე, ნორშუნთეფე, ბიუკთეფე-ჰუიუკი, სოსთეფე და სხვ.

ქარაზის გორანასახლარის 15-17 ფენებში ტიპიური მტკვარ-არაქსული დასახლებაა ტერასული ტიპისა. ქვის საძირკველზე გამართულ ალიზის ნაგებობაში აღმოჩენილია სამ- და ოთხშვერილიანი კერები, ორ შემთხვევაში შვერილებაწეული, ორნამენტირებული (ტაბ. VI).

პულურის გორანასახლარზე სახლებსა და ოთახებში (№ 62, 64, 79, 100, 101 და სხვ.) დაფიქსირებულია თიხის მრგვალი ბორდიურიანი კერები, ნალისებრი სადგრები, რომლებსაც თვით ჰ. კოზეი „სამსხვერპლო გადასატან კერას“ უწოდებს. რამდენიმე შემთხვევაში ნალისებური სადგარი პირდაპირ კერაზე დგას და კერის განაყოფიერების სცენას წარმოსახავს [24, ტაბ. X], სადგრის ცენტრსა და ორივე დაბოლოებაზე ადამიანის სახეა გამოსახული [გვ. 38]. ოთახებში არის პოდიუმები ზედ დამხობილი ჭურჭლებით.

გამთხრელი ჰ. კოზეი წერს: „ეს რეგიონი იმდენად ახლოა ერთი მხრივ კავკასია-ირანთან, ხოლო მეორე მხრივ სირია-პალესტინასთან, რომ ინვაზიებისა და მოძრაობის დიდი შესაძლებლობაა; კერძოდ კი ეს პერიოდი (ადრეული ბრინჯაო) ძლიერ უცხოურ გავლენებზე მეტყველებს“ [26, გვ. 121].

დეჯერმენთეფე, I-IV ადრეობრინჯაო. კერამიკის 84% მტკვარ-არაქსულია, ალიზის შენობათა ცენტრში სამფეხა, კოჭისებური და ნალისებური სადგრის ფრაგმენტებია. რ. დურუ ავლებს პარალელებს ნორშუნს, პულურსა და ქარაზთან [21, გვ. 76-77] (ტაბ. V_{2,3}).

ტეპეჯიკის ადრეობრინჯაო II-III ფენები ალიზის ნაგებობებითა და მტკვარ-არაქსული კერამიკითაა წარმოდგენილი. უ. უსინი „კირბეტკერაკს“ უწოდებს. იატაკებში ჩადგმულია მრგვალი ბორდიურიანი და ნალისებრი მოყვანილობის კერები. ზოგის ზედაპირი ოქრით წითლად შეღებილი [23, გვ. 84, 86]. ანალოგიური სურათია კორუკთეფეზე (ტაბ. V).

ნორშუნთეფე ხელოვნური ბორცვია, მე-18-19 ფენები ადრეობრინჯაოს ეპოქისაა (ადრეული ბრინჯაოს I, II, III). ალიზის ოთკუთხა სახლებში მრგვალი თიხის კერებია აღმოჩენილი. ნორშუნთეფეს კერები რამდენიმე ტიპისაა: ბორდიურიანი, ორშვერილიანი და სამშვერილიანი. არის ნალისებრი (V) ფორმის კერებიც, რომელთა უკან თიხის სკამია, ზედ დამხობილი ჭურჭლით. კერამიკის უმრავლესობა მტკვარ-არაქსულია [25, ტაბ. 182; 6, ტაბ. 30-32] (ტაბ. V_{5,6,7}).

ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ორი ძეგლი ითხრება, ორივეზე მტკვარ-არაქსული ფენებია აღმოჩენილი.

ბიუიუკთეფე-ჰუიუკის ადრეობრინჯაოს ფენაში მოწნული ქვის საძირკველზე ნაგები სათავსოებია, რომლებშიც თიხის მრგვალი კერები და ნალისებრი სადგრები დადასტურდა ანთროპომორფული და ფალოსისებური დაბოლოებებით [27, გვ. 71. სურ. 2]. ა. საგონას აზრით, ეს კერები ტიპიური დამახასიათებელი ნიშანია ტრანსკავკასია-ანატოლიისა და ლევანტისათვის. ფენა ძვ.წ. III ათასწ. პირველი მეოთხედით თარიღდება.

სოს-ჰიუკზე (ძვ.წ. 28-25 სს.) ადრეობრინჯაოს 5 სამშენებლო ჰორიზონტია, შენობები წნულია, თიხით შელესილი, შემდეგ კი ალიზისაა ქვის საძირკველზე. კერამიკა მტკვარ-არაქსულია, რომელსაც ა. საგონა უწოდებს „ტრანსკავკასიურს“. ოთახებში დაფიქსირებულია მრგვალი თიხის კერა აწეული შვერილებით ქარაზის ტიპისა, ბორდიურიანი კერები და ნალისებური სადგრები ფალოსისებური ბოლოებით ან ზედაპირზე ფოსობით (ტაბ. IV_{4,5}). ესენი ავტორს საკრალურ ნივთებად მიაჩნია. ამგვარივე კერები ცნობილია ტაშკუნმეგკისა და გუზელოვას ნამოსახლარზე [28, გვ. 33. სურ. 9] (ტაბ. VI_{1,2,3}). კერები და განსაკუთრებით ნალისებური სადგრები ცნობილია ამუქიდან (ტბარა ელ-აკრადი), კირბეტ-კერაკიდან, ბეტ-შანი და ბეტ-იერადან და აის ნასახლარიდან. აის ნასახლარის სადგრის ცენტრალურ შვერილსა და ტერფისებურ ბოლოებზე ადამიანის სახეა ამოკვეთილი. რ. ამირანი თვლის, რომ ამ რიგის ნივთები ჩნდება ადრეობრინჯაო III პერიოდში და ამკარად საკულტო-რიტუალური დატვირთვა აქვს [20, გვ. 9]. ისინი ძალზე გავრცელებულია „ტრანსკავკასიურ კულტურაში“ და აღწევს სირია-პალესტინასაც (კირბეტ-კერაკი); მათ უწოდებენ ხან ზესადგრებს, ხან კი უბრალოდ სადგრებს. რ. ამირანი წერს: „კირბეტ-კერაკის კულტურა შემოსულია მისი სამშობლოდან ტრანსკავკასიიდან

არა ვაჭრობითა და ექსპორტით, არამედ მათი შემქმნელი ხალხის მიგრაცია-ექსპანსიით [20, გვ. 9]. მართლაც, ესაა სავსებით ლოგიკური დასკვნა არსებული მასალებისა და ფაქტების ობიექტური გააზრების საფუძველზე.

როდესაც ლაპარაკია ლითონის ნივთების, იარაღ-სამკაულის ან თუნდაც ნედლეულის (ობსიდიანი, მადანი) გავრცელებაზე სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის გარეთ, ეს შეიძლება აიხსნას ვაჭრობით, გაცვლა-გამოცვლით, გამოცდილებისა და ჩვევების გადაღებით, თუმცა ზოგი მკვლევარი (ნ. მერპეტი) თვლის, რომ ამ შემთხვევაშიც კი ალბათ ხელოსნის და ხელოსანთა ჯგუფების გადაადგილება ხდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას კერამიკულ პროდუქციაზე. მაგრამ როცა საქმე ეხება სრულიად განსაზღვრული ტიპის კერის და სადგრის გავრცელებას, მის ტრადიციულ ადგილს სათავსოს ინტერიერში, მის უკან მოთავსებულ თიხის პოდიუმებს, ზედ დამხობილი თიხის ჭურჭლით – ეს უკვე უბრალო დამთხვევა არ შეიძლება იყოს. ჩვენ შემოთავაზებთ, რომ კერა, სადგარი და მასთან დაკავშირებული ატრიბუტიკა მტკვარ-არაქსის საზოგადოების რთული სულიერი სამყაროს, მისი აზროვნებისა და მისი რწმენა-წარმოდგენების გამოხატულებაა. ამიტომ მათი დადასტურება დაშორებულ რეგიონებში უნდა განვიხილოთ არა როგორც ფაქტი მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენისა ან ურთიერთობებისა, არამედ ამ კულტურის მატარებელი მოსახლეობის მოძრაობა-გადაადგილებისა მცირე და წინა აზიის მიმართულებით.

G. Phakadze

ON THE DISTRIBUTION OF KURA-ARAXES HEARTH S AND ANDRIONS (Summary)

Hearths and andirons are the most characteristic features of the Kura-Araxes culture in the Caucasus as well as its specific ceramic production.

They belong to the Early Bronze Age, not occurring in Aeneolithic and Middle Bronze cultures.

Clay hearths and andirons are discovered in all settlements of south Caucasus; in Georgia (Tetritsqaro, Gudabertqa, Kvatskhela, Khizanaant Gora, Amiranis Gora, Ozni, Zveli, Argveti, etc), in Armenia (Shresh-blur, Armavir-blur, Shengavit, Elar etc), in Azerbaijan (Kültepe I, II, Babadervish, etc). They are common as well at North Caucasus settlements (Lugovoe, Sezjen-Urt, Velikent, Chirkey etc).

Kura-Araxes clay hearths are of round shape and usually fixed in the floor in the centre of the room. There are known several types of hearths, but two of them – hearths with bordure, and hearths with projections are most common. Among various clay andirons (potstands) two

main forms must be mentioned: horn-shaped and horseshoe shaped ones.

Hearths with three and more projections and horseshoe shaped andirons with zoomorphic and anthromorphic ending are characteristic of the developed and final stages of the Kura-Araxes culture. As a rule, they are met always side by side and are interpreted as cult implements, although their practical function is not excluded.

Apparently they reflect the complicated beliefs of Kura-Araxes society with corresponding cult rituals (astral, fertility, fire, farming etc).

The Kura-Araxes culture was widespread from the Transcaucasus to the south towards Asia Minor and the North East.

In the Iranian settlements (Geoi-tepe Yanik-tepe, Godin-tepe etc), where Kura-Araxes cultural layers and pottery are attested, hearths and andirons of the above-mentioned type, are unfortunately, not known yet.

But absolutely similar hearths and andirons of the same function have been discovered at settlements in Anatolia, Syria and Palestine (so-called Khirbet-Kerak culture) with typical Kura-Araxes pottery (Karaz, Pulus, Norshun, Tepejik, Sos Hüyük, Koruku, Amuq plain). Scholars suppose that this culture must be of Transcaucasian origin (R. Amiran, A. Sagona, Ch. Burney).

Hearths and andirons represent the spiritual and religious symbols of Kura-Araxes society, and its distribution beyond the Caucasus manifests not only mutual influences, but even migration of Kura-Araxes tribes towards Asia Minor and the Near East.

ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი გ. თეთრიწყაროს ნასოფლარი. თბ., 1973.
2. გობეჯიშვილი გ. სტალინის ნაცარგორა. – მიმოხილველი, II, თბ., 1951, გვ. 209-276.
3. კიკვიძე ი. ხიზანანთ გორის ადრეებინჯაოს ხანის ნასახლარი. თბ., 1972.
4. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ისტორიისათვის. ლითონის წარმოება ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.
5. ჩუბინიშვილი ტ. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა. თბ., 1965.
6. ღლონტი ლ., ჯაფანიშვილი კ., კიდურაძე თ. სრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები. – მმ, № 33, 1973, გვ. 5-16.
7. Абибуллаев О А. Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР. Баку, 1982.

8. **Байбуртян Е. А.** Культурный очаг из раскопок Шингавитского поселения в 1936-1937 гг. – ВДИ, № 4, 1938, с. 255–259.

9. **Гаджиев М. Г.** Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. М., 1991.

10. **Исмаилов Г. С.** Археологические исследования древнего поселения Баба-Дервиш. Баку, 1977.

11. **Киквидзе Я. И.** Земледелие и земледельческий культ в древней Грузии. Тб., 1988.

12. **Куфтин Б. А.** К проблеме энеолита внутренней Картли и Юго-Осетии. – ВГМГ, XIV-В, 1947, с.67-88.

13. **Куфтин Б. А.** Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.

14. **Круглов А. П., Подгаецкий Г. В.** Долинское поселение у г. Нальчика. – МИА, 3, 1941, с.23-147.

15. **Мунчаев Р. М.** Кавказ на заре бронзового века. М., 1975.

16. **Пикуль М. И.** Раскопки в Южном Дагестане в 1961-1962 гг. Махачкала, 1973.

17. **Ханзадян Э. В.** Раннебронзовое поселение близ с. Аревик. Ереван, 1964.

18. **Ханзадян Э. В.** Культура Армянского нагорья в III тысячелетии до н.э. Ереван, 1967 (на арм. яз.).

19. **Хачатрян Т. С.** Древняя культура Ширака. Ереван, 1975.

20. **Amiran R.** A note on two items of the Kirbet-Kerak ware culture. – Anatolia and the Ancient Near East. Ankara 1989, p. 8-13.

21. **Duru R.** Dejermentene excavations Keban project, 1978. Ankara, 1977.

22. **Evans A.** The Palace of Minos II. London, 1928.

23. **Esin U.** Tepejik excavation 1974. – Keban project. Ankara, 1982, p. 95-127.

24. **Garstang J.** Prehistoric Mersin Oxford 1983.

25. **Hauptmann H.** Die guabungen ouf them Norshuntäpe 1974. –Keban project. Ankara 1982, p. 41-95.

26. **Kozay H.** Pular Excavations 1968-1970. – Keban project. Ankara, 1976.

27. **Sagona A.** Büyük tepe Hüyük – Anatolian Studies, XLIII, 1993, p. 41-69.

28. **Sagona A.** Sos tepe excavations. – Anatolian Studies, XLVI, 1996, p.27-53.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. – კერები. 1 – ბორდიურით, 2 – ნახვრეტით, თეთრი წყაროდან.

ტაბ. II. – კერები. 1 – ქორდიანი, თეთრი წყაროდან, 2-3 – შვერილებიანი, ციხიაგორადან.

ტაბ. III. – სადგრები საქართველოს სხვადასხვა ძეგლებიდან: ზღუდრისგვერდა, ზემო ავჭალა, ამირანის გორა.

ტაბ. IV. – სადგრები 1-2, 7,8 – სომხეთიდან, 3,5 – ჩრდილო კავკასიიდან; 4, 6 – აზერბაიჯანიდან.

ტაბ. V. – კერები 1 – ქარაზიდან, 2, 3 – დეჯერმენტეფედან; 4 – კორუკუთეფედან; 5, 6, 7 – ნორშუნთეფედან; 8-9 – ტეპეჯიკიდან.

ტაბ. VI. – სადგრები 1, 2, 3 – სოს-ჰუიუკიდან, 4, 5 – ბუიუკთეფე-ჰუიუკიდან.

Descriptions of the Plates

Pl. 1. – Round hearths with bordure, 2 -round hearth with sacrificial hole from Tetri Tsqaro.


Pl. 2. – Round hearth with chord, 2, 3, round hearths with projections from Georgia. (Tetri Tsqaro, Tshikiagora).

Pl. 3. – Various types of andirons (potstands). 1 – bobbinshaped, 2 – cylindric, 3 – horn-shaped, 4, 5, 6, horseshoe shaped 7 – tripod Georgia. (Zghudrisgverda, Zemo Avchala, Amiranis Gora, Kvatskhela).



Pl. 4. – Andirons of various types: 1, 2, 7, 8 from Armenia, 3, 5 from North Caucasus, 4, 6 from Azerbaijan.

Pl. 5. – Hearth from Karaz, 2 – hearths with bordure from Dejermentepe, 4 – hearth from Korukutepe, 5, 6, 7, hearths from Norshuntepe, 8, 9 hearths from Tepejik (Turkey).

Pl. 6. – Andirons from Sos Hüyük 1, 2, 3, from Büyük-tepe-Hüyük 4, 5 (Turkey).




1





2





ტაბ. II



1




2




3






1




2




3



4



5



6




7


ტაბ. IV




1




2




3




4




5




6




7




1




2




3




4




5




6



7




8






9



ტაბ. VI





1




2




3



4



5



ნინო შანშაშვილი

„სამწილადი კომპოზიციები“ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტაციაში

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტაციაში გავრცელებული მოტივი – ორმაგი სპირალი, ზოგჯერ გვხვდება ე.წ. „სამწილადი კომპოზიციების“ ცენტრში. იგი ფლანკირებულია ორი ერთნაირი, ერთმანეთისაკენ პირისპირ გამოსახული ფიგურებით (ტაბ. I₁₋₅). მარნეულის რაიონში გათხრილი დანგრეული გორის ყორღანის კერამიკაზე ორმაგი სპირალი გამოსახულია ორი ფრინველის თანხლებით [4, სურ. 56 – 5, 13]. მსგავსი გამოსახულებაა ამირანის გორაზე XVII-ა სათავსოში აღმოჩენილ ერთ-ერთ ჭურჭელზე [4, სურ. 13 -3]. სომხეთის ძეგლებზე „სამწილადი კომპოზიციები“ ზოგჯერ სხვა სახითაც გვხვდება: ცენტრში გეომეტრიული ფიგურაა – სამკუთხედი ან რომბი, გვერდებზე კი სპირალია [8, გვ. 101, 155-158].

„სამწილადი კომპოზიციები“ ხშირად გვხვდება სხვადასხვა ხალხების ხელოვნებაში. ხალხური ხელოვნების ზოგიერთ ტრადიციულ სფეროში კი (ნაქარგობა, ორნამენტი ხეზე) შენარჩუნებულია ჩვენ დრომდე. ასეთი გამოსახულებების ცენტრშია მთა, მცენარე, ყვავილი, ანდა ანთროპომორფული (ან ზომორფული) ფიგურა, გვერდებზე კი მისკენ მიქცეული აღორანტების, ანდა ცხოველების ფიგურები [9, გვ. 47]. ასეთი კომპოზიციები პოპულარულია ტრადიციულ რუსულ, გერმანულ და ბალტიისპირულ ხელოვნებაში [9, გვ. 48, ნახ. 20 ი-პ]. პოპულარულია ასეთი მოტივები ჩინურ ტრადიციულ იკონოგრაფიაში [9, გვ. 48].

„სამწილადი კომპოზიციები“ ჩნდება და ძალზე გავრცელებული ხდება ძვ.წ. III ათასწლ. წინა აზიასა და ეგვიპტეში (ტაბ. II). გამოსახულებები, რომელთა ცენტრში ხე, ღვთაება, ანდა რაიმე სხვა ფიგურაა და გვერდებზე ორი ერთმანეთისკენ მიტრიალებული ანთროპო- ან ზომორფული ფიგურებია, ცნობილია შუმერულ, აქადურ, ძველბაბილონურ, ხეთურ, ხურიტულ ხელოვნებაში.

„სამწილადი კომპოზიციების“ გამოჩენას წინ უსწრებს მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმომქმედო კულტურების ძალზე შინაარსობრივი და მდიდარი ორნამენტის გაღარიბება [14, გვ. 110].

ძვ.წ. VII-IV ათასწლ. მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო სიმბოლურად ძალზე დატვირთული, ხშირად ტრიალის პრინციპზე აგებული, მანდალას ტიპის ორნამენტებიანი კერამიკა (ტაბ. III, IV).

მანდალა სანსკრიტული სიტყვაა და ნიშნავს საკრალურ ჯვარს ან წრეს, ბორბალს, ცენტრს [16, გვ. 16].

მანდალა ეს არის საკრალური გამოსახულება, რომლის ცენტრში ჯვარია, ან რაიმე სხვა ფიგურა, მის ირგვლივ წრეა, ან კვადრატი, რომლებსაც აქვთ ე.წ. „ღერეფნები“ სივრცეში. ეს გამოსახულება კიდევ შემოსაზღვრულია წრით.

მანდალა უნივერსალური სიმბოლოა. გ. ტუკის აზრით, ეს არის უნივერსუმის სქემა [15, გვ. 29].

იგი გავრცელებულია ყველა მსოფლიო რელიგიაში. შესაბამისად ცენტრში გამოსახულია ღვთისმშობელი, ან მაცხოვარი, ქაბას ქვა, ან ბუდა.

ლამაისტურ სამყაროში მანდალა ეს არის სამყაროს მითური გამოსახულება. ცენტრში მბრძანებლის ადგილია, საიდანაც იგი სამყაროს ამოძრავებს [15, გვ. 29], (ტაბ. V₁).

მანდალა საფუძვლად უდევს კოსმიურ კანონზომიერებას ბუნებაში, მიკრო და მაკროკოსმოსში. მრავლად გვხვდება მანდალას ფორმის სიმეტრიული სტრუქტურები. მანდალას ფორმისაა ყვავილი, თვალი, ობობას ქსელი, ხის ჭრილი, ყინულის კრისტალი [16, გვ. 18].

როგორც ნიდერლანდელი მხატვარი პ. ტორენსმა წერს, მანდალა არის ადამიანთა შინაგანი საჭიროების, გარემოსთან ურთიერთშეთანხმების, ერთიანობისა და მთლიანობის აღდგენის საშუალება [16, გვ. 35].

მანდალა არქეტიპია. ეს ცნება მოდის არქაული დროის მითებიდან და ზღაპრებიდან და სპონტანურად იხსება თანამედროვე ადამიანის ქვეცნობიერებიდან ოცნებებში, სიზმრებში, ფანტაზიებში, ნახატებში [16, გვ. 17].

მანდალა ძალზე პოპულარული გახდა თანამედროვე ფსიქოთერაპიაში. მას იყენებენ მედიტაციისათვის გარესამყაროსთან ჰარმონიული თანხმობის შეგრძნებისათვის. სულიერად არამდგრად ადამიანებს ურჩევნ მანდალას გამოსახვას ნებისმიერი საშუალებით გარემო სამყაროსთან ჰარმონიის დასამყარებლად [16, გვ. 35-36].

სწორედ ეს არქეტიპი იყო ძალზე პოპულარული ძვ.წ. VII-IV ათასწლ. მახლობელი აღმოსავლეთის მოხატული კერამიკის ორნამენტაციაში.

ჟ. დ. ფორესტის აზრით, ეს წრიული გამოსახულებები სამყაროს უნივერსალურობას გამოგვიცემენ. ცენტრში შემქმნელები არიან, ქალების, ჯვრების, ანდა სხვა სიმბოლოების სახით, მათ ირგვლივ კი – საზოგადოება. ყველა უწყვეტ კავშირსა და მოძრაობაში არის [14, გვ. 37].

ობეიდის პერიოდის ბოლოს ორნამენტაცია ღარიბდება [14, გვ. 110]. ძვ.წ. III ათასწლეულიდან კი მახლობელი აღმოსავლეთისა და ეგვიპ-

ტის ხელოვნებაში გაბატონებულ ადგილს იკავებს ე.წ. „სამწილადი კომპოზიციების“ გამოსახულება.

ამ ცვლილებას ჟ. დ. ფორესტი უცნაურ ფენომენად თვლის. მისი აზრით, ეს გამოწვეულია „სპეციალიზაციის მექანიზმის“ ცვლილებით – კერამიკის დამზადება ქალის ხელიდან გადადის მამაკაცის ხელში [14, გვ. 110].

კერამიკის ორნამენტაციის გაღარიბება ჟ. დ. ფორესტის აზრით, გამოწვეულია სოციო-კულტურული ცვლილებებით [14, გვ. 110]. შესაბამისად იცვლება იდეოლოგიაც.

ნეოლითში გავრცელებული ჯვრის, ან ვარსკვლავის გამოსახულება იცვლება მცენარეული (საკრალური ხის) გამოსახულებით. რქოსანი ცხოველები კი საკრალური ხის მოპირდაპირე მხარეებზე განასახიერებენ საზოგადოებას. ეს მეტაფორული გამოსახულება – საკრალური ხე, რომელიც ბადებს საზოგადოების სუბსტანციას და აძლევს სიცოცხლისეულ ძალას, უეჭველია უკვე მეფეა, რომელიც იკავებს სცენის ცენტრს და ხელმძღვანელობს მოქმედებას. იგი იკავებს მედიატორის ადგილს ღვთაებასა და თავის ხალხს შორის. ეს არის სამეფო ძალის იდეოლოგიის ჩამოყალიბების პირველი ცდები. მეფე არის წესრიგის გარანტი. იგი აწესრიგებს ადამიანთა ცხოვრებასა და კოსმიურ კანონზომიერებას. იგი არის უზენაესი ღვთაების განგება [14, გვ. 138-139]. გ. ვაგნერის აზრით, მსგავსი კომპოზიციები გადმოგვცემენ არა კონკრეტულ გამოსახულებას, არამედ დიდ, ღოგმატურ ცნებას [7, გვ. 50-52].

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე გამოსახული „სამწილადი კომპოზიციების“ ცენტრალური ფიგურა – ორმაგი სპირალი, კ. კუშნარიოვასა და ტ. ჩუბინიშვილის აზრით, საკრალური ხის განსახიერებას წარმოადგენდა [10, გვ. 167]. ა. დემირხანიანის აზრითაც, „სამწილადი კომპოზიციების“ ცენტრალური ფიგურა კოსმიურ ღერძს განასახიერებს [8, გვ. 157-158]. ჩვენი აზრით, ორმაგი სპირალი, უზენაესი ღვთაების სიმბოლო იყო [12].

უნდა აღინიშნოს, რომ „სამწილადი კომპოზიციები“ მტკვარ-არაქსულ კერამიკაზე ჩნდება მისი არსებობის ბოლო ეტაპზე.

გ. მინდიაშვილის გამოკვლევებით, ეს ის დროა, როდესაც ხდება დიდი სოციალური ძვრები საზოგადოებაში: „ის გარეობა, რომ სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ერთმანეთის გვერდით არსებობს ერთმანეთისაგან სიმდიდრით განსხვავებული ინდივიდუალური რიგითი სამარხები, კოლექტიური (სოჯახო) ყორღანები და ინდივიდუალური სხვადასხვა ზომისა და სიმდიდრის ყორღანები, რომელთა შორისაც საკმაოდ ხშირად გვხვდება გამორჩეული პატივით დაკრძალულთა განსასვენებლები, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური, ანუ ად-

რეყორღანული ეტაპის საზოგადოება თავისი ხასიათით ადრეკლასობრივთან უნდა ყოფილიყო მიახლოებული და ამდენად, რა თქმა უნდა, მასში უკვე თავისთავად იგულისხმება სამხედრო-დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები“ [1, გვ. 95-96].

იზიარებს რა ჰ. კლაესნის და კ. სკალნიკის შეხედულებას ადრეული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპების თაობაზე, გ. მინდიაშვილი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ძვ.წ. III ათასწლ. შუა ხანებიდან მაინც კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ადრეული სახელმწიფოს ჩამოყალიბების I ან II საფეხურზე უნდა მდგარიყვნენ [1, გვ. 96].

ადრეული სახელმწიფოების საწყისი ეტაპის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობებს შესაბამისი იდეოლოგიაც უნდა ჰქონოდა. ვინაიდან „სამწილად კომპოზიციებში“ ცენტრალური ფიგურა ყოველთვის საკრალურ ხესთან, სამყაროს ღერძთანაა გაიგივებული, ჩვენ გამოსახულებებში კი ცენტრალური ფიგურა – ორმაგი სპირალი, უზენაესი ღვთაების სიმბოლო გამოსახულებად შეიძლება ჩაითვალოს, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ აქ საქმე გვაქვს ტომის ბელადის, ტომის საერო და სასულიერო ძალაუფლების მატარებლის უზენაეს რანგში აყვანის იდეასთან.

ჯ. ფრეზერის გამოკვლევებით, მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული რწმენა, რომ ბელადს, ან მეფეს გააჩნია ზებუნებრივი თვისება, რომლის მეშვეობითაც მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს არა მარტო ადამიანებზე, არამედ ბუნების ძალებზეც. არქაულ ცივილიზაციებში მეფე ღმერთის მონაცვლე იყო დედამიწაზე, ღმერთის შვილი, მისი წარმომადგენელი და წესრიგის დამამყარებელი [11, გვ. 105].

შესაძლოა, ამგვარი იდეის მატარებელია „სამწილადი კომპოზიციები“ მტკვარ-არაქსის კერამიკაზე.⁴

ძვ.წ. II ათასწლ. შუა ხანებიდან წინა აზიის ხელოვნებასა და არქიტექტურაში კვლავ თავს იჩენს და ძალზე ფართოდ ვრცელდება საკრალური მანდალა. მანდალას პრინციპზე იგება ქალაქები, ტაძრები, ყორღანები, სამარხები [15], (ტაბ. V_{2,3}; ტაბ. VI). მანდალას ხელოვნებაში გაბატონებულ მდგომარეობას აქვს. ცენტრალურ ადგილს მანდალაში იკავებს ახლა არა

⁴ მოგვიანო ხანაში, ძვ.წ. II ათასწლ. წინა აზიაში სამწილადი კომპოზიციები უფრო აშკარად იძენს „იმპერიულ“ ხასიათს. ასირიულ მაგალითებზე დაყრდნობით, ს. პარპოლა ასკვნის, რომ საკრალური ხე ანტიეთეური ფიგურებით დამახასიათებელია იმპერიული იდეოლოგიისათვის. იგი ჩნდება სამეფო ტანსაცმელზე, საიუველირო ნაწარმზე, ოფიციალურ საბეჭდავებზე, კედლის მხატვრობაში და ქანდაკებებზე სამეფო სასახლეში. ამურნასირფალ II-ის სატახტო ოთახში, კალხაში იგი ცენტრალურ მოტივს წარმოადგენს [18, 163].

ღვთაებრივი ძალა და სამყაროს შემქმნელი სული, არამედ – მეფე-ღმერთი.

არ არის გამორიცხული, რომ ძვ.წ. III ათასწლ. სამხრეთ კავკასიური ყორღანები და ანატოლიაში აღმოჩენილი სამეფო სამარხები, რომლებიც ასევე მანდალას პრინციპზეა აგებული, სწორედ მეფის ღვთაებრიობის იდეის მატარებელი იყო.

ამდენად, მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპზე სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს, ადრეული სახელმწიფოს ჩასახვას, მოჰყვა ცვლილებები იდეოლოგიაშიც, რამაც ასახვა ჰპოვა კერამიკის ორნამენტაციასა და დაკრძალვის რიტუალში.

N. Shanshashvili

"THREE-PART COMPOSITIONS" IN THE ORNAMENT OF THE KURA-ARAXES CULTURE (Summary)

The paper deals with ornament characteristics of the final stage of the Kura-Araxes Culture – the so-called "three-part compositions": a double spiral in the centre and two birds on each side.

In the 7th-5th millennia B.C. richly ornamented pottery was widespread in the Near East. An ornamental type similar to mandala was characteristic of this pottery. Mandala is of Sanskrit origin, meaning a holy magic disc, circle, wheel, centre. Since the 3rd millennium B.C. the ornament of pottery became poor. So-called "three-part compositions" prevailed in the part of the Near East with a tree, deity or some other figure represented in the centre, flanked on each side by anthropo- and zoomorphic figures. Such representations are known in Sumerian, Akkadian, Ancient Babylonian, Hittite and Hurritic art.

Impoverishment of ornamentation on pottery was possibly caused by socio-cultural changes. The diffusion of "three-part compositions" was possibly connected with the establishment of class society. In the author's view, this process was reflected in the ornamentation of the final stage of the Kura-Araxes Culture.

ლიტერატურა

1. **მინდიაშვილი გ.** ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში. – დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1993 (ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში).
2. **მინდიაშვილი გ.** ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში (სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი). – სადისერტაციო მაცნე ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1993.
3. **ორჯონიკიძე ა.** სამცხე-ჯავახეთი ადრე-ბრინჯაოს ხანაში. თბ., 1983.
4. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971). თბ., 1975.
5. **შანშაშვილი ნ.** მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტული მოტივის ინტერპრეტაციისათვის. თბ., 1997.
6. **ჩუბინიშვილი ტ.** ამირანის გორა. თბ., 1963.
7. **Вагнер Г. К.** Проблема жанров в древнерусском искусстве. М., 1974.
8. **Демирханян А. Р.** К проблеме символики трехчастной композиции Древней Армении. – ИФЖ, № 4, Ереван, 1982, с. 98–165.
9. **Евсюков В. В.** Мифология китайского неолита. Новосибирск, 1988.
10. **Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н.** Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н.э.). Л., 1970.
11. **Фрезер Дж.** Золотая ветвь. М., 1986.
12. **Чубинишвили Т.** К древней истории Южного Кавказа. Тб., 1971.
13. **Ben-Tor A.** The Archaeology of Ancient Israel, New Haven. London, 1992.
14. **Forest G. D.** Mesopotamie. L'apparition de l'État. VII^e-III^e Millenaires. Paris, 1996.
15. **Brentjes B.** Das Ur-Mandala (?) von Daschly-3. – Ir.An., vol. XVIII, 1983, p. 24-49.
16. **Huysen A.** Das Mandala – Arbeitsbuch. München, 1996.
17. **Jastrow M.** Bildermappe zur Religion Babiloniens und Assyriens. Leipzig, 1912.
18. **Parpola S.** The Assyrian tree of life: tracing the origins of Jewish monotheism and Greek philosophy. – JNES, 52, n.3. 1993, p. 161-208.
19. **Prinz H.** Altorientalische Symbolik. Berlin, 1915.
20. **Tobler A.** Excavation at Tepe Gawra, vol. II, Levels IX-XXX. Philadelphia, 1950.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. შულავერი [4, გვ. 113, სურ. 56-13; 10, სურ. 44-113]; 2. სადახლო [10, სურ. 44-112]; 3. ამირანის გორა [3, ტაბ. IX₈]; 4. დანგრეული გორა [4, გვ. 113, სურ. 56-2]; 5. ამირანის გორა [3, ტაბ. IX₉]; 6. დანგრეული გორა [4, გვ. 113, სურ. 56₆]; 7. ამირანის გორა [12, ტაბ. XXVII_{33,34}; XIX₂].

ტაბ. II – 1-3. ძველი ეგვიპტე [19, ტაბ. IV_{2,3,5}]; 4-7. ასურეთი [17, სურ. 55, 214-216].

ტაბ. III – 1-2. თეფე გავრა, XX-XVII ღონე [20, ტაბ. სXIX, სურ. 72, 71]; 3-6. თეფე გავრა, **ფ** ფენა [20, ტაბ. CXI, სურ. 18, 21, 15, 16].

ტაბ. IV – 1. თელ-გჰასული, ვარსკვლავი, კედლის მხატვრობა [13, ტაბ. VIII]; 2-9. სამარა [14, სურ. 22].

ტაბ. V – 1. კლასიკური ტიბეტური მანდალა [15, სურ. 3]; 2-3. დამლი-3, ქალაქის გეგმა და აქსონომეტრია [15, გვ. 33].

ტაბ. VI – 1. აღ-მანსურის ქალაქი ბაღდადში, VIII ს. [15, სურ. 11]; 2. არჟან-ფორდანი, ტუვა, ძვ.წ. VIII ს. [15, სურ. 8]; 3. კოი-კრულგან-კალა, ხორეზმული ქალაქი, ძვ.წ. IV ს. [15, სურ. 10].

Description of the Plates

Pl. I – 1. Shulaveri [4, p. 113, figs. 56-13; 10, figs. 44-113]; 2. Sadakhlo [10, figs. 44-112]; 3. Amiranis-gora [3, pl. IX₈]; 4. Dangreuli-gora [4, p. 113, fig. 56₂]; 5. Amiranis-gora [3, pl. IX₉]; 6. Dangreuli-gora [4, p. 113, fig. 56₆]; 7. Amiranis-gora [12, pls. XXVII_{33,34}; XIX₂].







Pl. II – 1-3. Ancient Egypt [19, pl. IV_{2,3,5}]; 4-7. Assyria [17, figs 214-216; 55].

Pl. III – 1-2. Tepe-Gawra, levels XX-XVII [20, pl. CXIX, fig. 72, 71]; 3-6. Tepe-Gawra, layer "A" [20, pl. CXI, figs 18, 21, 15-16].


Pl. IV – 1. Tel-Ghasul [13, pl. VIII]; 2-9. Samara [14, fig. 22].

Pl. V – 1. Classical Tibetan mandala [15, fig. 13] 2-3. Dashly-3, plan of the city and axonometry [15, fig. 11].

Pl. VI – 1. City of Al-Mansur in Baghdad, 8th century [15, fig. 11]; 2. Arjan-barrow, Tuva, the 8th century B.C. [15, fig. 8]; 3. Koi-Krylgan-kala, city of Khoresm, 4th century B.C. [15, fig. 10].




ტაბ. II




1




2




3



4





5




6




7





1




2





3



4










5




6

ტაბ. IV










1



2



3



**ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობისა და განვითარების
პტაპები საქართველოში**

მწარმოებლური მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობა. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნიკური განვითარების პროცესში. დიალექტიკურ კავშირში განიხილება აგრეთვე ბორბლის, კერამიკული მორგვისა და კვირისტავის შექმნა. ტრანსპორტის წარმოშობას მოჰყვება სამეურნეო და კულტურულ ურთიერთობათა გაძლიერება და იწყება დიდი ეთნიკური მიგრაციების პერიოდი. ცნობილია, რომ უძველესი დროიდანვე დასახლების კრიტიკული რიცხვებზე რეგულირდებოდა გამოყოფითა და ახალი დასახლების შექმნით. ტრანსპორტის წარმოშობამ ეს პროცესი გააიოლა და სამოდრო არეალი გააფართოვა. ასე ჩანს ეს ინდოევროპელთა დიდი მიგრაციების დროს [22, გვ. 731], როცა მიგრაციებს ხელს უწყობს ტრანსპორტი, ხოლო თავისთავად მიგრაცია ხელს უწყობს საზიდრების დიდ არეალზე გავრცელებას. ასევეა მტკვარ-არაქსის კულტურაშიც, როცა ეს კულტურა დიდ რეგიონებს მოედო, ხოლო შემდეგ კავკასიასაც გასცდა [7, გვ. 17].

საკითხს, სად და როდის წარმოიშვა ბორბლიანი ტრანსპორტი, არქეოლოგებთან ერთად იკვლევენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და ენათმეცნიერები. გ. ჩაილდი თვლის, რომ ბორბლიანი საზიდარიცა და კერამიკული მორგვიც ურუკის პერიოდის შუემერის გამოგონებაა [48, გვ. 358]. მართლაც IV ათასწლეულის II ნახევრით არის დათარიღებული ურუკის ფირფიტები შუემრული პიქტოგრაფიული ნიშნებით [47, გვ. 69], სადაც გამოსახულია სახნისი, ბორბლიანი საზიდარი და მარხილი. ამავე დროისაა ტელ-ფარაზე აღმოჩენილი ოთხ მასიურ ბორბალზე შემდგარი ცხოველის თიხის ფიგურა [47, გვ. 43]. III ათასწლეულის დასაწყისს ეკუთვნის შუემერისა და ელამის „სამეფო სამარხების“ საზიდრები [36, გვ. 22] და სხვ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან იზრდება და ფართოვდება საზიდრების გავრცელების არეალი: ჩნდება კავკასიაში (ბედენი [6], ელისტა [43, გვ. 147, 153]), ჩრ. შავიზღვისპირეთში [46, გვ. 71, სურ. 28] და ლუნაისპირეთში [26, გვ. 109, სურ. 4]. III ათასწლეულის ბოლოს ჩნდება დასავლეთ ევროპაში. მესოპოტამიაში ადრევე ჩანს როგორც ორბორბლიანი, ასევე ოთხბორბლიანი საზიდრები. II ათასწლეულის დასაწყისიდან აქ ოთხბორბლიანი საზიდრები აღარ არის, არის მხოლოდ ორბორბლიანი, ხოლო ამ დროიდან ოთხბორბლიანები ჩნდება მცირე აზიაში [24, გვ. 191, ტაბ. I]. ფიქრობენ, რომ III ათასწლეულის დასაწყისში, კარპატოდუნაისპირეთში, მახლობელი აღმოსავლეთის გავლენით, შეიძლება შეიქმნა კულტურული კერა, სადაც უნდა ყოფილიყო ბორბლიანი საზიდრები [24, გვ. 191]. ამ დასკვნის საშუალებას თითქოს უნდა იძლეოდეს იქ აღმოჩენილი პიქტოგრაფიული ნიშნები, ტრიპოლიეს კულტურის თიხის ბორბლები და სხვა მონაცემები [41, გვ. 205].

წინა აზიასა და ევროპაში, კავკასიასა და შუა აზიაში ამ ადრეულ პერიოდში დაფიქსირებული ორ თუ ოთხბორბლიანი საზიდრების ბორბლები მთლიანი ხისგან არის გამოთლილი, ან 2 ან 3 სეგმენტისა, აქვს მასიური მორგვი, უმეტესად ორმხრივ.

თავდაპირველად გამწვევ ძალად ეკვიდები ჩანს, შემდეგ ჩნდება ხარი – ხოლო შუა აზიაში – აქლემი [24, გვ. 191]. ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელების სურათი და განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე მასიური ბორბლების კონსტრუქციის ერთგვაროვნება, მკვლევარებს აფიქრებინებს ამ გამოგონების იდეის დიფუზიის შესახებ მისი წარმოქმნის ცენტრიდან [48, გვ. 358]. ეს უნდა იყოს არეალი, რომელიც მდიდარია მკვრივმერქნიანი ხის მასალით და სადაც განვითარებულია ბრინჯაოს მეტალურგია, ვინაიდან ლითონის იარაღის გარეშე შეუძლებელია საზიდრების დამზადება [22, გვ. 733]. ასეთ რეგიონად მიჩნეულია ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და სამხრეთ კავკასიას შორის ტერიტორია. აქედან საზიდრების გავრცელების საგარაუდო გზები შემდეგნაირად წარმოიგინება: 1. წინა აზია – მცირე აზია – ბალკანეთი – დასავლეთ ევროპა; 2. წინა აზია – კავკასია – ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი – დასავლეთ ევროპა. ვარაუდობენ აგრეთვე კასპიისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს გზას ვოლგისპირეთზე და აღმოსავლეთისაკენ ინდოეთსა და ჩინეთამდე [22, გვ. 734]. გ. ჩაილდი, რ. ჰანჩარი, ს. სოპრონი, ი. სმოლიანი და სხვები კავკასიის გზის მომხრენი არიან. ტ. სულიმირსკის აზრით, კავკასიიდან ევროპაში გავრცელდა ორბორბლიანი საზიდრები, ხოლო ბალკანეთ-დუნაისპირეთის ხაზით – ოთხბორბლიანები [31, გვ. 71]. აღსანიშნავია, რომ ევროპისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კავკასიის როლს ბორბლიანი ტრანსპორტის საკითხში – ანალიზებმა აჩვენა, რომ II ათასწლეულის აღმოსავლეთ ევროპის საზიდრები დამზადებულია კავკასიური წარმომავლობის ხის მასალისაგან [30, გვ. 12]. სამხრეთ რუსეთის სტეპებში, იამნაისა და კატაკომბურ კულტურათა სამარხებში, სადაც მასიურად არის ორ და ოთხბორბლიანი საზიდრები, ხის ანალიზების მიხედვით ვარაუდობენ, რომ კატაკომბური კულტურა მზა საზიდრებს იღებდა კავკასიიდან [31, გვ. 12]. კავკასიაში ყველაზე ადრეული ბორბლიანი საზიდარის – ორბორბლიანი ურმის თიხის მინიატურული მოდელი (ტაბ. II₁) აღმოჩენილ იქნა საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ივრის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თიანეთის რაიონში, ბადანის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე, ე.წ. სამეურნეო ორმოში, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა კერამიკული მასალით [9, ტაბ. LXVIII]. ნასახლარი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. ტაბულაზე მოდელი წარმოდგენილია რესტავრირებული სახით; ურემს გაკეთებული აქვს ჭალები, ხელნა, უღელი, შედგმულია ღერძობრბლებზე. რესტავრაცია, რასაკვირველია, არ არის თავისუფალი; როგორც ტაბულაზეც ჩანს თიხის მოდელს აქვს ხელნის, ღერძისა და ჭალების გასაყრელი ფოსოები და ამდენად რესტავრაცია პრინციპული ხასიათისაა. დაახლოებით ამავე ხანისაა საჩხერეში, ნაჩერქეზევის № 13 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქინძისთავი (ტაბ. I₁) ორთავალა ურმის სტილიზებული გამოსახულებით [12, გვ. 172, ტაბ. XII₃, 10. სურ. 11]. ქინძისთავზე კარგად ჩანს ჭალები, ბორბლები და ხარის რქები. ბორბლის ეს ფორმა დადასტურებულია ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საქართველოში და მის გარეთაც (ტაბ. I_{5,17}).

ბ. კუფტინმა, რომელმაც აღმოაჩინა ეს ქინძისთავი, მაშინვე ხარებშებმულ ორთავალა ეტლის გამოსახულებად მიიჩნია იგი [18, გვ. 88]. საქონლის გამოსახულებისა და საზიდრების შერწყმული პლასტიკა ხშირია. ასეთი თიხის მოდელი უკვე ვახსენეთ ტელეფარადან, ანალოგიურია გავრა VI-ში [48, სურ. 109], ხოლო შუა აზიაში ალტინთეფესა [37, გვ. 15, სურ. 12] და ხაფუზთეფეზე [42, გვ. 64] არის საზიდრების თიხის მოდელები, რომელთაც წინა ნაწილში აქლემის თავებია ჩაძერწილი. ხარის თავის გამოსახულებიანი ორთავალა საზიდრებია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ღუნაისპირეთსა და ბალკანეთში [26, გვ. 108]. ცხოველის თავის გამოსახულებით არის შემკული ლ. ვულის მიერ აღმოჩენილი დედოფალ შუბადისა და მეფე აბაგრის ეტლები ურში [21, გვ. 62-72]. საზიდრის ხელნების წინა ნაწილის ხარის თავით შემკობა დადასტურებულია საბიდ-ახნას № 5 ყორღანში არსებულ საზიდარზე [13, გვ. 13]. საჩხერული ქინძისთავის ეს ფორმა რუსული T-ს მაგვარი ქინძისთავების სახელით არის ცნობილი (ტაბ. I_{4,7}). იგი საჩხერის ყორღანული სამარხებისათვის არის დამახასიათებელი [14, გვ. 140]. ასეთი ერთი ქინძისთავი ცნობილია ქვაცხელას B დონიდან [23, გვ. 5, ტაბ. 1-8]. ეს დონე სტრატეგრაფიულად დათარიღებულია III ათასწლეულის შუა ხანებით [1, გვ. 59]. მოგვიანებით იგი ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში [25, სურ. 28, 34]. ამ ტიპის საკინძები, როგორც ჩანს, ორთავალა ეტლის სტილიზებული გამოსახულებაა და არამართო ამ ტიპისა; სტილიზებული ორთავალა ურმის გამოსახულება ჩანს ასევე საჩხერულ მოგვიანო ხანის საკინძებში (ტაბ. I_{2,6}), უკვე სოლებიანი ბორბლებით [33, გვ. 14, სურ. 115_{6,7}] და შესაძლებელია, ლურისტანის საკინძიც (ტაბ. I₃) და საერთოდ ვოლუტებიანი საკინძებიც ამ ასპექტით გენეტიურ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან (ტაბ. I_{5,8}). სამკუთხაუბიანი ორთავალა ურმის გამოსახულება არის ჩრდილო-კავკასიაში, კაიაკენტ-ხოროჩის კულტურის ქვის სამარხის კედელზე [50, გვ. 24, სურ. 10].

საინტერესოა სატრანსპორტო საშუალებათა ევოლუციის პროცესი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გამწვევძალიანი სახნისი და საზიდარი თითქმის ერთდროულად წარმოიშვა, სახნისის მცირე უპირატესობით [27, გვ. 298]. პირველი საზიდარი, რომელშიც გამწვევი ძალა იქნა გამოყენებული, კავებზე გაწყობილი სათრეველაა (ტაბ. II_{2,8}), რომლისგანაც ტვირთის დამძიმებამ მარხილი წარმოშვა. შემდეგ ხდება ბორბლის გამოკონება და ორ- და ოთხბორბლიანი საზიდრების სხვადასხვა ტიპების ჩამოყალიბება ამა თუ იმ რეგიონის რელიეფის გათვალისწინებით.

ტრანსპორტის შექმნისა და განვითარების მკაფიო სქემა შექმნა ა. პოდრიკურმა. მისი სქემით ჯერ წარმოიშვა ხელნაირი სათრეველა, შემდეგ ორბორბლიანი საზიდარი, ხოლო შემდეგ კი ოთხბორბლიანი [28, გვ. 170]. საქართველოში, ჭიათურის რაიონში ეთნოგრაფიულად დადასტურებულია უბორბლო სათრეველას სახეობა – ფჩხილე (ლაშქინი) [5, ტაბ. XX-XXI]. ჰ. კოთეს მიხედვით, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფჩხილე ასევე დადასტურებულია უკრაინაში, ინდოეთში [5, გვ. 20]. სათრეველას პალეოლითური პერიოდის გამოსახულებად მიიჩნევენ ესპანეთში, სამხრეთ-დასავლეთ იბერიაში, ლოს ბუეტროსის კლდეზე დახატულ სამკუთხედებს, ბორბლიანი საზიდრების გვერდით [27, გვ. 301]. აღრებინჯაოს ხანით არის დათარიღებული

ჩრდილოეთ იტალიაში – ლიგურიაში კლდეზე აღმოჩენილი ფჩხილეს გამოსახულება (ტაბ. II₈), [5, გვ. 20]. აქვე აღმოჩენილი ამავე პერიოდის ხარებით ხენის ამსახველი ნახატი [27, გვ. 109, სურ. 47], (ტაბ. II₉). ეს პერიოდი იტალიაში წინარეინდოევროპული ხანაა. ფჩხილესაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვება მარხილი, რომლის ქვეშ საგორავების გამოყენებამ (ქსელი, თუში) ბორბლის წარმოშობამდე მიგვიყვანა (ტაბ. II_{3,4}). განვითარების სქემა ასეთია: ფჩხილე – მარხილი – ქსელი – თუში – აჩაჩა ურემი – ქართულ-კავკასიური ორთვლიანი ბარის ურემი. ამავე დროს ამ სქემის ყველა რგოლის საზიდარი დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას, რაც ჩანს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. თითოეული მათგანი გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში გამოსახულებული სატრანსპორტო სახეობაა. ქართულ-კავკასიურ ურემს ნ. ბოგავესკი ყველზე ადრეულ სახეობად მიიჩნევს ბორბლიან საზიდრებში [20, გვ. 8, სურ. 321], ხოლო გ. მერცხაბერი ორბორბლიან ურემს კავკასიურს უწოდებს [51, გვ. 448, სურ. 321]. ევროპელ ავტორთაგან ძალიან საინტერესო ცნობებია ტელესფორო დე არანცადის ნაშრომში – ესპანურ-პორტუგალიური ტრანსპორტის შესახებ. ჩანს ტერმინოლოგიური შეხვედრები და კონსტრუქციული მსგავსება ბორბლებში. ბასკური ტიპის მასიური ბორბლები დადასტურებულია როგორც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ასევე ზემოთ აღწერილ საჩხერულ ქინძისთავზე (ტაბ. I_{11,19}).

ქართული ხალხური ტრანსპორტი საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მ. გეგემიძეს [5]. მან საზიდი საშუალებები სამ ჯგუფად დაყო: 1. უბორბლო (ფჩხილე, ლაშქინი, მარხილი); 2. შერეული ტიპის საზიდრები (აჩაჩა ურემი, ბოლოთრია, ქსელი, თუში); 3. ორბორბლიანი ბარული ურემი.

ქართულ-კავკასიური ურემი სამკუთხაბირიანი სატვირთო საზიდარია. ურმის წინა ნაწილი, უღლის საშუალებით გამწვევ ძალას ეყრდნობა, მეორე საყრდენი კი ღერძ-ბორბლებია. ურმის კონსტრუქცია გულისხმობს წონასწორობას, რომლის ცენტრია ბორბლების ღერძი. უღელი ამძიმებს ურმის წონასწორობას წინისკენ და ცარიელი ურმის შემთხვევაში უღლის ტაბიკებზე შემბმული აპეურები საქონელს ქვემოდან არ აწევს. ურმის ეს ტიპი საგრძნობლად განსხვავდება წინააზიურ თუ ევროპულ ორ- და ოთხთავალა საზიდრებისაგან, რომელთაც ოთხკუთხა ხესადგარი აქვთ. კავკასიური ურმის ერთი ბორბალი ღერძზე მყარად არის დამაგრებული და ღერძთან ერთად ტრიალებს, მეორე კი თავისუფლად ბრუნავს ღერძში. ეს კონსტრუქციული თავისებურებები ურმის ერთ ადგილზე შემობრუნების საშუალებას იძლევა და ამგვარ ტრანსპორტს გაცილებით უადვილებს მოძრაობა რთულ კავკასიურ რელიეფზე. ოთხბორბლიანი ტრანსპორტისათვის ამგვარ რელიეფზე მოძრაობა რთულია, განსაკუთრებით მისი წარმოშობის ადრეულ ეტაპზე, როდესაც ხელნები უძრავად იყო დამაგრებული ძარაზე. ამ საკითხს საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს მ. გეგემიძე თავის ნაშრომში [5, გვ. 34]. პ. კოუნი აღნიშნავს, რომ ოთხბორბლიანი ეტლში უძრავი ხელნა გამოირიცხავს მოძრაობას მთაგორიან რელიეფზე [28, გვ. 174]. უძრავი ხელნა აიძულებს საქონელს მიწისკენ დაიხაროს, ხან წინა თვლები აიწევა ჰაერში ან აპეურები საქონელს ყელში მიაწევა. ამდენად ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოქმნის საწყის ეტაპზე კავკასიაში ოთხბორბლიანი საზიდარი არ უნდა წარმოშობილიყო. სამკუთხა ხელნა, რომელიც ძარას

მოძრავად უერთდება, უკვე კონსტრუქციული სრულყოფაა, თუმცა რთული რელიეფისათვის მაინც ნაკლებად გამოსადევი. ასეთი მოძრავხელნიანი საზიდარი კავკასიაში არ ჩანს არც წინავე ისტორიულ ხანაში, ხოლო საერთოდ ოთხთვლიანი ურმების გამოყენება ქართულ ისტორიულ სინამდვილეში არ დასტურდება. ვარძიის XII საუკუნის ფრესკაზე მოცემულია კავკასიური ურემი. 1240-50 წწ. სიგელში მოხსენიებულია „ურემი ღვინო“ [8, გვ. 29], ხოლო ღვინის ტრადიციული ჭურჭლის – ქვევრის ან რუმბის გადასატანი სპეციალური ურემი სამკუთხაბირიანია [30, გვ. 119, ტაბ. LXIX]. მრავლად არის ამგვარი ურემის გამოსახულება საფლავის ქვებზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ბორბლის წარმოშობის საკითხი. ჭიათურის რაიონში, სამეღე კლდის ენეოლითურ, პირველ უძრავ ფენაში მოპოვებულია თიხის ბორბლის მოდელები და კვირისტაყები [19, გვ. 14]. მსგავსი ნივთები მკვლევრებს დამოწმებული აქვთ „ბარბოლის“ სალოცავთან დაკავშირებით, რომელიც მსხვილფეხა საქონლის მფარველია [3, გვ. 21] და რაც საბოლოოდ „ბორბალს“ უკავშირდება. შემდგომ ეტაპზე, მტკვარ-არაქსის კულტურაში ბორბლის მოდელები ფართოდ ვრცელდება. ბორბლის წინა საფეხური, ე.წ. გოგორებია, შემდეგ კი ბორბლები იქმნება. ადრეული ბორბლები 3 სახისაა: 1. მთლიანი ხისგან გამოთლილი (იქ სადაც არსებობდა ასეთი მასალა); 2. ორნაწილიანი, სოგმანებით შეკრული. აქ მორგვი ცალკე კეთდება და მაგრდება ბორბალში; 3. სამნაწილიანი, ასევე სოგმანებით შეკრული, სადაც მორგვი ცენტრალურ ნაწილთან ერთად არის გამოთლილი. ადრეულ ბორბლებზე დაფიქსირებულია სქელი ტყავის გადასაკრავის არსებობა [24, გვ. 187]. II ათასწლეულში ჩნდება სოლებიანი ბორბლები. მათ წარმოშობას ინდოევროპელებს უკავშირებენ. ბორბლის წარმოშობის შესახებ ყველაზე ადრეული და მისაღებია ე. ტეილორის თეორია [45, გვ. 103], რომელსაც სხვა მკვლევრებთან ერთად იზიარებს მ. გეგეშიძე [5, გვ. 134]. ამ თეორიის მიხედვით, პირველადია მრგვალი ხის მორი სიმძიმეთა გადასაგორებლად. ეს საგორავი შემდგომ შუა ნაწილში გაითლება, დაწვრილდება და იქმნება ღირძი ორი მორგვისებური ბოლოთი – საგორავებელი გოგორათი (ტაბ. I₁₀), რომლისაგანაც შემდგომ იქმნება ბორბალი.

წარმოდგენილი სქემა გასაოცარი სიზუსტით დასტურდება ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ყველაზე ადრეულია ქსელის სამოდრაი აპარატი – საგორავი, რაც ფაქტობრივად ერთ მთლიან მორს წარმოადგენს, შუაში მცირედ გათლილს, ზესადგრის დასადგმელად. შემდეგია თუში – სადაც უკვე იქმნება ღერძი ორი მორგვისებური ბოლოთი – გოგორათი, საიდანაც წარმოიშვა კიდევ მასიური ბორბალი [5, გვ. 92-99]. ამ ტიპის საზიდრებს ჭურის ურემსაც უწოდებენ. მათ იყენებდნენ ჩაკირული ქვევრების გადასატანად, რომელიც განსაკუთრებით მძიმეა და ბორბალი ვერ უძლებდა. ამასთანავე ის დაბალია და ადვილი დასატვირთი. აღსანიშნავია, რომ რაჭაში, ტვირთის დიდ აღმართზე ასატანად ქსელს საგორავსაც არ უძებდნენ და ის მარხილის პრინციპზე მუშაობდა.

როგორც აღინიშნა, ოთხბორბლიანი საზიდრები პირველად ადრეინასტიურ ურში გამოჩნდა. გ. ჩაილი ამ პერიოდის მძიმე სამხედრო ეტლებს ტანკს ადარებს [4, გვ. 232], თუმცა მალე იგი ბრძოლის ველზე უფრო სწრაფმა ორთვლიანმა

ეტლებმა შეცვალა. ხოლო 4 და 6 ბორბლიან მძიმე საზიდრებს ციხე-სიმაგრეთა სააღყო საქმეში იყენებდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, სამხედრო საქმეში ვერც ერთმა სახეობის ეტლმა ვერ გაუწია კონკურენცია ცხენზე ამხედრებულ მეომარს, რომელსაც მთავორიან რელიეფზეც კი სპეციალური გზა არ სჭირდება. საქართველოს ტერიტორიაზე ოთხთვლიანი საზიდრები ჩნდება ე.წ. ყორღანული კულტურების გამოჩენიდან, რომელიც ერთი პერიოდი მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობს, შემდეგ კი შესაძლებელია თრიალეთის კულტურაში ტრანსფორმირდება. მიცვალებულის ეტლზე დაკრძალვის წესი წინა აზიაში იყო გავრცელებული ადრეული პერიოდიდან. ჩვენთან ეს წესი ბედენისა და თრიალეთის კულტურაში ჩნდება და სავარაუდოა, რომ ოთხბორბლიანი საზიდრები კავკასიამ ამ პერიოდში გაიცნო, რომლებიც ყოველ შემთხვევაში ამ ადრეულ ეტაპზე მაინც საკულტო დანიშნულებისა და სპეციალურად დასაკრძალავად მზადდება. მაგ. საბიდ-ახჩას № 5 ყორღანის ეტლის ბორბლებს ცვეთა არ ეტყობა, წინა და უკანა ღერძები ისე ახლოა ერთმანეთთან, რომ ბორბლებს შორის (რომელთა ვ-1,25 სმ-ია) მანძილი 15 სმ-ია. ბორბლები ფიჭვისაა, რაც არაპრაქტიკულია და არ მზადდებოდა ამ მასალისაგან. საზიდრის ხელნები პარალელურია, ხოლო იქვე არსებული უღელი მასზე არ დაიდგებოდა. უღელს აქვს სამკუთხა ხელნაზე დასამაგრებელი შუა ფოსო და ამიტომაც ო. ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ ამ დროს უკვე არსებობს უღლიანი სამეურნეო საზიდარი, ხოლო სამარხში ჩადგმული საკულტოა [13, გვ. 16]. ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილი საზიდრების ბორბლების ნაწილები სხვადასხვა ხისგან არის ნამზადი, რაც არათანაბარ ცვეთას იწვევს და გამოსაყენებლად უვარგისია. ხშირ შემთხვევაში სამარხში ურემი არ არის სრულად დაკომპლექტებული. მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ სამარხებში სპეციალურად სარიტუალოდ დამზადებული ეტლები იდგება ხ29, გვ. 64ჯ. გ. კლარკი აღნიშნავდა, რომ მასიური დისკოსებური ბორბლები სოფლიანის გვერდით, დღევანდლამდე ხმარებაშია ევროპაში – ირლანდიიდან იბერიაში. ამიტომაც იგი ვარაუდობს, რომ შეიძლება ამ უხეში და პრიმიტიული ფორმის ბორბლების არსებობა ორთვალა ეტლებისა და ოთხთვალა სარიტუალო საზიდრების გვერდით, მიუთითებს რაღაც უფრო სადა სამეურნეო საზიდრების არსებობაზე [27, გვ. 305].

როგორც აღვნიშნეთ, ეტლზე დაკრძალვის წესი ყველაზე ადრე შუშერიდან არის ცნობილი. ამ სამარხების სოციოლოგიური ინტერპრეტაცია, როგორც „სამეფოსი“, საკმაოდ დამაჯერებელია. მით უმეტეს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა საბეჭდავი მიცვალებულის სახელითა და ტიტულით „ურის მეფე“ [21, გვ. 84]. გ. ჩაილი სამარხში ეტლის არსებობას სახელმწიფო ძალაუფლების ნიშნად მიიჩნევდა [48, გვ. 232]. ო. ჯაფარიძის აზრით, ბუნებრივია მესოპოტამიის გავლენის არსებობა მეზობელ ქვეყნებზე [13, გვ. 256], მაგრამ ეს ხდება არა მექანიკურად, არამედ მაშინ, როცა კავკასიაში ძლიერდება სოციალური დიფერენციაცია და ბელადების გამოჩენა კიდევ აისახა დაკრძალვის წესში – კერძოდ სამარხის ფორმაში. ეს არის მაიკოპის, ბედენის, თრიალეთის, მარტყოფის, სამგორის, ზერტაქეტის, ალაზნის ველის, ლჩაშენის, ადიამანის, უჩოთეფსა და სხვა ყორღანები. პირველი ყორღანები საქართველოში გამოჩნდა ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურაში. ეს არის ენამთის, გორშეგარდენის, მაგრანეთის, მარნეულის № 3,

მაშნარის, ნაომარიგორის, არადეთის, ნუკრიანის, ფურცელაანთწყაროს № 7, ხირსის, ტყვიავის ყორღანები. ქრონოლოგიურად ეს III ათასწლეულის II ნახევარი უნდა იყოს. ყორღანული სამარხის ტიპი მტკვარ-არაქსის კულტურის კუთვნილება არ ჩანს. ვარაუდობენ ჩრდილოურ იმპულსებს, სადაც ამ დროს მაიკოპ-ნოვოსვობოდნაის ყორღანული კულტურა არსებობს. ნიშანდობლივია, რომ ამ კულტურებს ეტლზე დაკრძალვა არ ახასიათებს. თავისთავად მტკვარ-არაქსული ყორღანები არ არის ისეთი მასშტაბური, როგორც ჩრდილოკავკასიურები. უფრო მორბილი ზომისაა თრიალეთის ადრეული ყორღანები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვს მტკვარ-არაქსის კულტურასთან. ეტლზე დაკრძალვის წესი არც აქ ჩანს, თუ არ ჩავთვლით № 46, ე.წ. „მწვანე ყორღანს“ და მე-II ყორღანში არსებულ ორ პარალელურ დარს, რომელსაც ურმის კვალად მიიჩნევენ. თუკი ეს ნამდვილად ურმის კვალაა, საფიქრებელია, რომ ურემი გამოყენებულია დაკრძალვის ცერემონიაში, მაგრამ ურემზე დაკრძალვის წესი ჯერ არ არის გაბატონებული. სამგორისა და მარტყოფის ყორღანები უკვე საკმაოდ მორბილი სამარხებია, სადაც ჩნდება კამერაში ძეღური ნაგებობის გამართვის წესი, ჩნდება კრემაცია, მაგრამ ურემზე დაკრძალვა არ ჩანს. არ ჩანს ეს წესი ზურტაკეტისა და თოფკარ I და II ყორღანებში, თუმცა ბ. კუფტინი თვლის, რომ ის შეიძლება ყოფილიყო და არ შემოინახა [38, გვ. 15]. პირველად ეს წესი გამოჩნდა და დაფიქსირდა თრიალეთის კულტურაში, შემდგომ კი თავი იჩინა ბედენის ყორღანებში. აღსანიშნავია, რომ თრიალეთურ კულტურას მკვლევრები საკმაოდ ფასილებს უძებნიან წინარე კულტურაში, ხოლო ბედენის კულტურა სრულიად უცხოდ გამოიყურება. სავარაუდოა, რომ ბედენის დამსახურებაა ჩვენში საერთოდ ოთხბორბლიანი საზიდრების გამოჩენა. ეტლზე დაკრძალვა საზოგადოების მაღალი ფენების წესად არის მიღებული. ასეთივე სიახლეა ამ ფენებისათვის კრემაცია, რომელიც ბედენს ჯერ კიდევ არ ახასიათებს. ინჰუმაცია თრიალეთური კულტურის რიგითი წევრების სამარხებში. ეტლზე დაკრძალვა და კრემაცია ძველადმოსავლური ტრადიციებიდან მოდის [15, გვ. 9], შემდეგ კი ფართოდ ვრცელდება, რაც გამოსახულია მაგ. უნგრეთში, ედენბურგში მოპოვებულ დასაკრძალავ ურნებზე [27, გვ. 302, სურ. 169]. წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობა ო. ჯაფარიდის აზრით, მხოლოდ წარჩინებულებს ექნებოდათ [16, გვ. 72]. საზოგადოების ეს ფენა, ანუ მმართველი ფენა, ცდილობს გამორჩეული იყოს რიგითი წევრებისაგან. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო ხმარებაში უნდა იყოს ორთავალა კავკასიური ურემი, დასაკრძალავად ის ტიპი იხმარება, რომელიც ტრადიციულია ამ წესისათვის და საიდანაც გადმოიღეს იგი. კავკასიაში ამ პერიოდში ურემს, ჩანს არც საომრად იყენებდნენ და არც დასაკრძალავად. ეტლზე დაკრძალვის წესი ფართოდ იყო გავრცელებული იამნაიასა და კატაკომბურ კულტურებში [31, გვ. 68]. აღსანიშნავია, რომ იშვიათია სამარხში სრულად გაწყობილი საზიდარი. ხშირ შემთხვევაში საზიდრებს აკლია ხელნები, უღელი. მოგვიანებით კი საზიდრების მხოლოდ ცალკეული ნაწილებია ჩატანებული. ამასთანავე თითქმის ყველგან საზიდრებს საქონლის თავისა და კიდურების ძვლები ახლავს. მაგ., წნორის № 1 ყორღანში მხოლოდ ბორბლები იყო, № 2 ყორღანში – დაშლილი საზიდრის ნაწილები, მარტყოფის № 3 ყორღანში მხოლოდ ბორბლის ნაშთები აღმოჩნდა, საბიდ-ახჩას № 5 – ყორღანში ასევე

ცალკეული ნაწილები, ლჭაშენის № 3 სამარხში მხოლოდ ხელნა, № 5-ში კი ოთხკუთხა ძარა ბორბლების გარეშე. აქვე იყო ორი ცხენისა და ორი ხარის თავის ქალა [40, გვ. 142]. იამნაიას კულტურის სამარხებში, კრასნოდარის მხარეში, დაშლილ საზიდრებს სამარხის თავზე აწყობდნენ [31, გვ. 70]. ეტლის თიხის ბორბლებია დილომში გათხრილ სამარხში [49, სურ. 10] და ნარეკვაის № 35 სამარხში, სადაც თიხის ორ ბორბალს შორის ხარის თავის ქალა იდო [2, გვ. 34, სურ. 2]. ოთხი ბორბალი იდო ძარის გარეშე უთამიშთის ყორღანში დაღესტანში [32, გვ. 47, სურ. 3,4]. მარტყოფის № 6 ბედენურ ყორღანში ჯვარედინად დაწყობილი ოთხი ხარის მთლიანი ჩონჩხი აღმოჩნდა ხს, გვ. 71ჯ. ასევე ოთხი ხარის ჩონჩხი აღმოჩნდა ადიამანის ყორღანში საზიდრებთან ერთად [39, გვ. 157]. ლჭაშენის № 8 ყორღანში ორი საზიდარი იყო ორბორბლიანი და ოთხბორბლიანი. აქვე იყო ორი ხარის და ერთი ცხენის თავის ქალა. ორი ხარის თავის ქალა და კიდურების ძვლები იყო საბიდ-ახჩას № 5 ყორღანში საზიდართან ერთად, ხოლო № 6 ყორღანში მხოლოდ ორი ხარის თავის ქალა იყო ეტლის გარეშე. ხარის მთლიანი ჩონჩხი იყო მარნეულის № 1 ყორღანში [17, გვ. 138]. ვარაუდობენ, რომ ხარის ჩონჩხისა თუ ურმის ნაწილების ჩატანება დაკავშირებულია იმავე პრინციპული მნიშვნელობის ადათთან, რაც ეტლზე დაკრძალვას გულისხმობს; ტრადიცია გრძელდება, მხოლოდ სახეს იცვლის და პირობით ხასიათს იღებს [38, გვ. 102-103].

მესხეთში ადრეული ყორღანები არ არის, არც ადრეთრიალეთური ჩანს. ყორღანები ჩნდება თრიალეთური კულტურის ე.წ. აყვავების ხანიდან. ეს არის ყორღანული ჯგუფები, სადაც თითო დიდი ყორღანი გამოირჩევა. ამ გამოირჩეული ყორღანის კამერა მიწისზედაა, ქვის დიდი ფილებით ნაგები, პატარა ყორღანები კი ორმოიანია. კრემაცია არ არის; დიდ ყორღანებში თითო, იშვიათად ორი მიცვალებულია, პატარა ყორღანები კი კოლექტიურია [15, გვ. 159]. დიდი ყორღანების მასალა თრიალეთურია, პატარაში ჭარბობს ადგილობრივი [15, გვ. 161], რომელიც ახლოს არის მტკვარ-არაქსთან. მხოლოდ ერთგან, ახჩაის № 3 ყორღანში, აღმოჩნდა ერთი ბორბლის ნაშთი [15, გვ. 33, ტაბ. VII₂]. შიდა ქართლის თრიალეთურ სამარხებში დაკრძალვის წესი ისევ მტკვარ-არაქსულის მსგავსია – გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. ასეა ეს შეინდიანის სამარხებშიც და მესხეთის ყორღანებში [15, გვ. 160]. ასეთი სურათია არარატის ველზე, სადაც, როგორც ჩანს, ყორღანი შედის თრიალეთურ კულტურასთან ერთად, დაახლოებით ძვ.წ. XVII ს-ში. არტამატის მახლობლად გათხრილ მომცრო სამარხებში კერამიკა ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსულ იერს ატარებს და ინჰუმაციურია, ხოლო არჩის ყორღანებში, უფრო მდიდრული „თრიალეთური“ ინვენტარია და ჩნდება კრემაცია. ასეთი დაკრძალვის წესია ჩრდილო დასავლეთ აზერბაიჯანის გარკვეულ ტერიტორიაზეც, სადაც თრიალეთური კულტურა ვრცელდება. ამრიგად ყორღანებში დაკრძალვის წესი უფრო სწრაფად ვრცელდება; იგი წინამორბედმა მტკვარ-არაქსის კულტურამაც გაითავისა გარკვეულწილად, რაც იმის მანიშნებელია, რომ მმართველი ზედა ფენა უფრო მკვეთრად გამოიხატა, მაგრამ თვით დაკრძალვის ტრადიციული რიტუალი უფრო ძნელად იცვლება და არატრადიციული კრემაცია და ურემზე დაკრძალვა ადგილობრივ მოსახლეობაში პოპულარული არ არის.

დასასრულს, ერთი საკითხს შეეხებით მოკლედ. ირმის გამოსახულება მტკვარ-არაქსულ კულტურაში უძველესი ხანიდან ჩნდება. ირმის რქის მიწის დასამუშავებელი იარაღები ჩნდება ადრესამიწათმომელო ხანის კულტურებში, ხოლო მტკვარ-არაქსის კულტურაში ქვაცხელაზე ირმის რქის სახენელიც აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ნ.მარი აღნიშნავდა ირმის რქის უდიდეს მნიშვნელობას მეურნეობაში ლითონის შემოსვლამდე [35, გვ. 33] და არამართო სამიწათმომელო საქმიანობაში. მაგ., ნორფოლკის საგრაფოში არსებულ, კაჟის მოსაპოვებლად სამ შახტაში 328 ირმის რქის იარაღი აღმოჩნდა [27, გვ. 102]. ამავე დროს ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ირემი შეიძლება ყოფილიყო პირველი მოშინაურებული გამწვევი ძალა, ხოლო შესაბამისად მარხილი თუ სათრეველა – პირველი საზიდარი [35, გვ. 34]. ირემი და ირმისნაირნი რომ გამწვევ ძალად იხმარებოდა, ამის დასტურია ძველ ეგვიპტურ გამოსახულებაზე არსებული მიწის ხვნის პროცესი ანტილოპებით [44, გვ. 235, სურ. 40]. ცნობილია აგრეთვე, რომ მესობოტამიაში უძველეს საზიდრებზე ხარის გამოჩენამდე ეკვიდები ჩანს; მალე მათ ადგილს მკვიდრად იკავებს ხარი (ცენტრალურ აზიაში აქლემი). ნ. მარი ადასტურებს, რომ მეურნეობაში ახალი ცხოველის გამოჩენა წინარეს როლში, იწვევს ხშირად მისი სახელის გადასვლასაც [35, გვ. 23] და ამის მრავალი მაგალითი მოჰყავს. ამ საკითხზე საინტერესო ნაშრომი აქვს ნ. ბრეგაძეს, სადაც ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს, რომ აგარაულ კულტურასთან დაკავშირებით ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში დაფიქსირდა ირმის ჩანაცვლება ხარით [4, გვ. 58]. როგორც ჩანს, მეურნეობაში მომხდარი ჩანაცვლება აისახა საკულტო წესებშიც. ამ მიმართებით საინტერესოა გ. ჩიტაიას მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემა ირმისა და ხარის გაჯიბრების შესახებ ზეცაში, სადაც ხარს გაუმარჯვნია და ზეცაზე დარჩენილა (კვალი „ირმის ნახტომისა“ და „დიდი დათვის თანავარსკვლავედის“ ქართული სახელწოდებით „გუთნეულის“, სახით). ასეთი დაკავშირებები მართო ქართული მოკლენა არ არის; დიდი დათვის თანავარსკვლავედის საზიდარს უკავშირებს ფრიგიული გადმოცემა, ბორბალთან და საზიდართან დაკავშირებული რუსული ტერმინი КОЛ და უკრაინული ВИЗ ასევე დიდი დათვის თანავარსკვლავედის აღმნიშვნელია [22, გვ. 718]. ასევე ამ თანავარსკვლავედთან არის გაიგივებული ხეთებთან მიმეოთხბორბლიანი და ხელნიანი საზიდარის გამოსახულება [22, გვ. 725]. ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ამ თანავარსკვლავედს „ურემ-ხარს“ უწოდებს, ხოლო „ირმის ნახტომს“ – „ხარის ნაკვალევს“ ქვია. ძველ ქართულში ხარი ნიშნავდა ხარ-ლალს ანუ ხარ-ირემს: მას შემდეგ რაც ხარმა შეცვალა მეურნეობაში ირემი, ირმის ეს სახელი გადმოდის ხარზე, ხოლო ირმის სახელი საზიდართან დაკავშირებით შემოინახა ურემში. ცხენის გამოჩენის შემდეგ რემ ფუძე ქმნის ახალ სახელდებებს – რემა – ცხენების ჯოგი, უხედნი ცხენი, რემაკი – უხედნი ჭაკი ცხენი. ანალოგიური სურათია რუსულში: коха – კავი, ერქვანი, сохатый – რქიანი ირემი, лосои; косуля – არის ირმის შვილი და აჩაჩა, ერქვანი [4, გვ. 58]. ამრიგად, შესაძლებელია სწორი იყოს ნ. მარის ვარაუდი, რომ ადრეულ ეტაპზე უბორბლო ტრანსპორტის გამწვევი ძალა იყო ირემი, რომელსაც შემდგომ ბორბლიან ტრანსპორტზე ხარი ცვლის, შემდეგ კი ჩვენთან შემოდის ცხენიც.

ამრიგად, როგორც მასალები გვიჩვენებენ, კავკასიაში და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე,

ალბათ III ათასწლეულის დასაწყისიდან შეიქმნა სატრანსპორტო საშუალებები გამწვევი ძალის გამოყენებით, როგორც უბორბლო, ასევე ბორბლიანი, დანიშნულებისა და რეგიონის მიხედვით. ბორბლის მოძვლები კავკასიაში უკვე ენეოლითის ხანიდან გვაქვს, ხოლო ადრეებრივჯაოს ხანაში მასიური ხდება. ბორბლის ერთი ფაქტის დადასტურებაც კი უნდა მიუთითებდეს ალბათ მის გამოყენებაზე, მით უმეტეს, რომ ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობას წინ უნდა უსწრებდეს სახნისისა და უბორბლო საზიდრის არსებობა. ყოველ შემთხვევაში, ალბათ მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში წარმოიშვა და შემდგომ ჩამოყალიბდა ქართულ-კავკასიური ურმის ტიპი – ბორბლიანი, სამკუთხაუბიანი, რომელიც დღევანდლამდე განაგრძობს არსებობას და ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემები საშუალებას იძლევა თვალი გაკადევნოთ ამგვარი ურმის შექმნისა და განვითარების მთელს პროცესს.

G. Mirtskhulava

STAGES OF THE ORIGIN AND DEVELOPMENT OF WHEELED TRANSPORT IN GEORGIA (Summary)

The invention of wheeled transport was undoubtedly an achievement of the human economy. It was connected with the principal branches of economy – agriculture, cattle-breeding and metal manufacture. The invention of the wheel was in dialectical interrelation with the potter's wheel and the whorl. With the appearance of transport cultural relations increased, followed by the period of great ethnic migrations. As is known, the critical number of population was originally regulated by separation and establishment of new settlements. Transport facilitated this process and expanded the area of conveyance. This is the picture emerging with respect to the Indo-Europeans as well as the Kura-Araxes culture, covering large territories and then going beyond the bounds of the Caucasus.

The evolution of transport facilities is of definite interest. Scholars believe that plough agriculture and draught transport appeared almost simultaneously, the plough perhaps coming a little earlier. It is supposed that the first cart using power was a sledge on runners. The problem of strengthening the carrying capacity was solved by creating the sledge. Then the wheel appeared and two- and four-wheeled carts of various designs were created in conformity with the relief of the region.

The oldest clay model of a two-wheeled cart – *araba* was discovered in Georgia on the Badaani settlement site of the Kura-Araxes culture by the Iori Valley Expedition. The settlement is dated to the second half of the 3rd millennium B.C. A bronze pin – stylized representation of a two-wheeled *araba* – from burial 13 of Nacherkezzevi in Sachkhere, belongs to the same period. The

araba and the pin have the shape of the Caucasian ethnographic cart and the existence of the cited form in the second half of the 3rd millennium B.C. allows to assume that preceding forms were in use at the beginning of the 3rd millennium B.C. At the same time, if we recall the clay models of the wheels on the sites of the Kura-Araxes culture, then it is safe to assume that at the beginning of the 3rd millennium B.C. a two-wheeled cart – araba appeared in the Caucasus and in particular, on the territory of Georgia, giving rise to the Caucasian type of araba-cart with a triangular frame and yoke. Such a cart has two points of rest: the axle and the yoke. The principle of the design implies equilibrium with the centre on the axle. Its specific feature is that one wheel was fixed tightly on the axle and the other revolved freely. The axle revolved freely. The axle revolved together with the wheel. These peculiarities of design allowed the cart to revolve on the spot and, unlike four-wheeled carts were more mobile on the rugged Caucasian terrain.

The four-wheeled cart appeared on the territory of Georgia together with barrow culture, then possibly transforming into the Trialeti culture. With barrows of Bedeni and Trialeti cultures the custom appeared of burying four-wheeled carts and the Caucasus seems to have familiarized itself with four-wheeled carts with rectangular frame, initially made for a cult purpose.

Thus, it should be noted that the two-wheeled cart-araba with a triangular frame was the invention of the Kura-Araxes culture, continuing to exist to the present day in ethnographic reality. The ethnographic and archaeological evidence allows to retrace the process of formation of the cited type of cart.

ლიტერატურა

1. ავალიშვილი გ., აფციაური ნ., კეკელიძე თ., კობალაძე მ., ჩეჩელაშვილი მ., წერეთელი ა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989-1990 წლების მუშაობის ანგარიში. – არქეოლოგიური კრებული, I, თბ., 1994, გვ. 61-74.
2. აფაქიძე ა., ყიფიანი ვ., ნიკოლაიშვილი ვ. ნარეკვავის ახლად აღმოჩენილი სამაროვანი. – მილსადენის არქეოლოგია, I, თბ., 1999, გვ. 32-36.
3. ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941.
4. ბრეგვაძე ნ. ხარი და ირემი. – ხელეური. თბ., 1985, გვ. 57-63.
5. გეგეშიძე მ. ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ., 1956.
6. ვობეჯიშვილი ვ. ბედენის გორასამარხების კულტურა. თბ., 1981.

7. მირცხულავა გ. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების საკითხისათვის. – სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1993, გვ. 16-17.
8. ჟორდანიას თ. ქრონიკები, წიგნი II, ტფილისი, 1897.
9. საქართველოს არქეოლოგია, II, თბ., 1992.
10. ქორიძე დ. მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი). თბ., 1961.
11. ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. ურბნისი. I, თბ., 1962.
12. ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.
13. ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957-58 წწ. თბ., 1960.
14. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
15. ჯაფარიძე თ., კიკვიძე ი., ავალიშვილი ვ., წერეთელი ა. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბ., 1981.
16. ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.
17. ჯაფარიძე თ. რინჯაოს ხანის ყორღანები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.). თბ., 1975, გვ. 137-165.
18. ჯაფარიძე თ. ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბ., 1955.
19. ჯავახიშვილი გ. ვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჭიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდში გამოქვაბულ სამეფო კლდეში 1966 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები. – სსმაე, 1969, გვ. 12-18.
20. Богаевский Б. Л. Техника первобытно-коммунистического общества. – История техники, т. I, ч. I, М-Л, 1936.
21. Вулли Л. Ур Халдеев. М., 1961.
22. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В. Индо-европейский язык и индоевропейцы. II ч., Тб., 1984.
23. Глonti Л., Джавахишвили А., Джавахишвили Г., Киквидзе Я., Тушабрамишвили Д. Некоторые итоги полевых работ 1964 года Урбнисской и Квирильской археологических экспедиций. – ВГМГ, т. XXV-B, 1966, с. 3-14.
24. Горелик М. В. Боевые колесницы Переднего Востока III-II тысяч. до н.э. – Древняя Анатолия. М. 1985, с.183-202.
25. Деген Б. Е. Курганы в Кабардинском парке г. Нальчика. – МИА, 3, 1941, с. 213-298.
26. Калиц Н. Новая находка модели повозки эпохи энеолита из окрестностей Будапешта. – СА, № 2, 1976, с. 106-117.
27. Кларк Г. Доисторическая Европа. М. 1953.

28. **Кожин И. М.** К проблеме происхождения колесного транспорта. – Древняя Анатолия. М., 1985, с. 169-182.

29. **Козенкова В. И.** Новые материалы по бронзовому веку в Западном Предкавказье. – КСИА, 134, 1973, с. 60-67.

30. **Кузмина Е. Е.** Этапы развития колесного транспорта в Средней Азии в эпоху энеолита и бронзы (к проблеме миграции Индо-Иранских племен). – ВДИ, № 4, 1980, с. 11-35.

31. **Кузмина Е. Е.** Колесной транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения Южнорусских степей. – ВДИ, № 4, 1974, с. 68-87.

32. **Котович В. Г., Котович И. М., Магомедов С. М.** Утамышские курганы. – Северный Кавказ в древности и средние века. М., 1980, с. 43-60.

33. **Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

34. **Куфтин Б. А.** Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.

35. **Марр Н. Я.** Средства передвижения, орудия самозащиты и производства в доистории. Л., 1926.

36. **Массон В. М.** Средняя Азия и Древний Восток. М-Л., 1964.

37. **Массон В. М.** Раскопки на Алтын-Депе в 1969 г. Ашхабад. 1976.

38. **Массон В. М.** Древние гробницы вождей на Кавказе (Некоторые вопросы социологической интерпретации). – Кавказ и Восточная Европа в древности. М., 1973, с. 102-112.

39. **Мартиросян А. А.** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1964.

40. **Мнацаканян А. Д.** Древняя повозка из кургана бронзового века на побережье оз. Севан. – СА, № 2, 1960, с. 134-152.

41. **Рыбаков Б. А.** Язычество древних славян. М. 1981.

42. **Сарианиди В. И.** Хапуз-тепе – как памятник эпохи бронзы. – КСИА, № 98, 1964, с. 60-65.

43. **Синицин В. И.** Памятник предскифской эпохи в степях Нижнего Поволжья. – СА, X, 1948, с. 143-160.

44. **Семенов С. А.** Происхождение земледелия. Л., 1974.

45. **Теилор Э.** История первобытной культуры. М., 1939.

46. **Тереножкин А. И.** Раскопки курганов в долине р. Молочной в 1952 г. – КСИИМК, № 63, 1956, с. 70-75.

47. **Флитнер Н. Л.** Культура и искусство Двуречья. М-Л., 1958.

48. **Чайлд Г.** Древний Восток в свете новых раскопок. М., 1956.

49. **Abramishvili R.** Neve angaben über die existenz des Thrako-Kimmerischen ethnischen elements und des Sog. skythischen reiches im osten Transkaukasiens. – Archaeologischer Anzei-

ger, Deutsches Archaeologisches Institut, Berlin-New York, 1995.

50. **Häusler Alexander,** Zur Geschichte von Rad und Wagen in den Steppen Eurasiens. – Das Altertum, Akademie-Verlag Berlin, I, Band 28, 1982, ud. 16-26.

51. **Merzbacher G.** Aus den Hochregionen des Kaukasus, I, Leipzig, 1901.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. ბრინჯაოს ქინძისთავი ნაჩერქეხევიდან, საჩხერე; 2, 6. ბრინჯაოს ქინძისთავები საჩხერის შუაბრინჯაოს ხანის სამარხებიდან; 3. ბრინჯაოს ქინძისთავი ლურისტანიდან; 4. ბრინჯაოს ქინძისთავი ქვაცხელას B დონიდან, ურბნისი; 5. ბრინჯაოს ორვოლუტიანი ქინძისთავი ჩრდილოეთ კავკასიიდან; 7. ბრინჯაოს ქინძისთავი საჩხერედან; 8. ბრინჯაოს ქინძისთავი ჩრდილოეთ კავკასიიდან; 9. ბრინჯაოს ქინძისთავი თლიადან, შიდა ქართლი; 10. საგორავის განვითარების სქემა: I. საგორავი; II. ქსელის საგორავი; III. თუშის ღერძ-ბორბლები (მ. გეგეშვიდის მიხედვით); 11-15. ურმის ბორბლები ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებით (მ. გეგეშვიდის მიხედვით); 16. შუმერული ბორბალი; 17-19. პორტუგალიური და ბასკური ბორბლები (მ. გეგეშვიდის მიხედვით).


ტაბ. II – 1. ურმის თიხის მოდელი ბადაანის ნამოსახლარიდან; 2. ფჩხილე ჭიათურიდან; 3. ქსელი ამბროლაურის რაიონიდან; 4. თუში საჩხერის რაიონიდან; 5. აჩაჩა ურემი ბაღდადის რაიონიდან (2-5 მ. გეგეშვიდის მიხედვით); 6. თიხის ბორბლის მოდელი დიდმის სამარხიდან; 7. თიხის ბორბლის მოდელი ნარეკავის სამარხიდან; 8. ხარშებმული სათრეველას გამოსახულება კლდეზე, ლიგურია, იტალია; 9. ხარეხით ხენა, ლიგურია, იტალია; 10. დაკრძალვის პროცესი, გამოსახულება ქვაზე, ედენბურგი, უნგრეთი; 11. სამკუთხაუბიანი ორთვალა ურმის გამოსახულება ქვაზე, კაიაკენტ-ხოროჩის კულტურა (ჩრდილო კავკასია).

Description of the Plates


Pl. I – 1. Bronze pin from Nacherkezevi, Sachkhere; 2, 6. Bronze pins from Middle Bronze Age burials of Sachkhere; 3. Bronze pin from Luristan; 4. Bronze pin from level B of Kvatskhela, Urbnisi; 5. Bronze double-volute pin from the Northern Caucasus; 7. Bronze pin from Sachkhere; 8. Bronze pin from the Northern Caucasus; 9. Bronze pin from Tlia, Shida Kartli; 10. Diagram of the development of sledge runner: I. Runner; II. Runner of *kseli*; III. Axle and wheels of *tushi* (according to M. Gegeshidze); 11-15. Wheels of the *araba* according to ethnographic evidence (according to M. Gegeshidze); 16. Sumerian wheel; 17-19. Portuguese and Basque wheels (according to M. Gegeshidze).

Pl. II – 1. Clay model of an *araba* from the Badaani settlement site; 2. *Pchkhile* from Chia-tura; 3. *Kseli* from Ambrolauri district; 4. *Tushi* from Sachkhere district; 5. *Achacha araba* from

Baghdadi district (2-5 according to M. Gege-
shidze); 6. Clay model of a wheel from a Dighomi
burial; 7. Clay model of a wheel from a Narekvavi
burial; 8. Representation on a rock of a sledge
runner with oxen harnessed to it, Liguria, Italy; 9.
Ploughing with oxen, Liguria, Italy; 10. Process of
burying the dead, representation on stone, Eden-
burg, Hungary; 11. Representation of a triangular
framed two-wheeled araba on stone, Kayakent-
Khorochoi culture (the Northern Caucasus).



Պատ. II



გოდერძი ნარიმანიშვილი

კმ.წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში



სურ. 1

თრიალეთის არქეოლოგიური შესწავლა ინტენსიურად XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც წალკის წყალსაცავის მომავალ ფსკერზე პროფ. ბ. კუფტინის მიერ არაერთი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი გაითხარა. განსაკუთრებით საყურადღებოა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები. აქ აღმოჩენილი მასალა საფუძვლად დაედო საქართველოს უძველესი ისტორიის კვლევის ახალ ეტაპს. ათეული წლების მანძილზე ეს ძეგლები, სრულიად სამართლიანად, ეტალონურად ითვლება.

40-იანი წლების შემდეგ პროფ. ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ყორღანთა დიდი ნაწილი წყლის ქვეშ მოექცა [5]. შეუსწავლელი დარჩა მრავალი მცირე ყორღანი და გათხრილ ყორღანთა მიმდებარე ტერიტორიები.


90-იანი წლების დასაწყისიდან, ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით, წყალსაცავის დონემ თანდათან იკლო. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის ცდილობდა გამოვლენილი ძეგლების ფიქსაციას და გათხრას. 1996 წელს ბ. კუფტინის მიერ გათხრილ XIX ყორღანის ჩრდილო-დასავლეთით 40 მ-ის დაცილებით გა-

ითხარა ბედენური კულტურის ქვაყრილიანი ქვაყუთი, აქვე და X ყორღანის დასავლეთით დაფიქსირდა მცირე ზომის წრიული ქვაყრილები. 1997 წელს XIX ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით 1,0 კმ-ს და X ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,2 კმ-ს დაცილებით, გაითხარა გვიანანტიკური ხანის ქვაყუთი.

1999 წლის სექტემბერში წალკის წყალსაცავის ფართობი იმდენად შემცირდა, რომ დღის სინათლეზე ამოვიდა 30-იან წლებში ჩაძირული სოფლები შეპიაკი, სანომერი და წინწყარო. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია არქეოლოგიურმა ძეგლებმა. გამოვლინდა წყლის მოქმედების შედეგად გაშიშვლებული ყორღანები და სამაროვნები (სურ. 2-3). ასეულობით ჰექტარზე (გაშიშვლებული ზედაპირის სიგრძე 5 კმ-ზე მეტია, სიგანე კი 0,5-1,5 კმ-ს უდრის) განლაგებული „პრეპარირებული“ ძეგლები გადაუდებელ ფიქსაციას საჭიროებდა. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ სასწრაფოდ მიავლინა ექსპედიცია გ. ნარიმანიშვილის, გ. მინდიაშვილის, ბ. მურვანიძის, ა. თევზაძისა და შ. მელიქიძის შემადგენლობით, წყალსაცავის ყოფილ ფსკერზე გამოვლენილი ძეგლების ფიქსაციის მიზნით.

წყლისაგან განთავისუფლებული ფართობი მთლიანად აიგეგმა ტოპოგრაფიულად, გეგმაზე იქნა დატანილი ყველა გამოვლენილი ძეგლი, მოხდა მათი გრაფიკული- და ფოტოფიქსაცია.

ექსპედიციის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს პროფ. ბ. კუფტინის მიერ გათხრილ და ზოგიერთ გაუთხრელ ყორღანთან დადასტურებული გრანდიოზული გზები.



სურ. 2

ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ზოგიერთ ყორღანს აღმოსავლეთის მხრიდან სარიტუალო-საპროცესიო გზები აქვს. ასეთივე გზები დადასტურდა კიდევ რამდენიმე, გაუთხრელ ყორღანთან. ყველა შემთხვევაში, გზა ყორღანიდან მკაცრად აღმოსავლეთისაკენაა მიმართული.


განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბ. კუფტინის მიერ გათხრილი I ყორღანის (ბეიუკთეფე) დასავლეთით 500 მ-ის დაცილებით დადასტურებული ყორღანი (ტაბ. I). იგი წარმოადგენს 60 მ-ის დიამეტრის და 1,2-1,5 მ-ის სიმაღლის ქვანაგობიან ყორღანს, რომელსაც 1,0 მ-ის სიგანის, დიდი ზომის ქვებისაგან შედგენილი სარტყელი შემოუყვება. მკაცრად აღმოსავლეთის მიმართულებით ყორღანზე მიდგმულია 35ნ მ-ის სიგრძის და 6 მ-ის სიგანის, ქვით მოკირწყლული გზა. გზის ნაპირები დიდი ზომის ქვებითაა შემაგრებული. ყორღანის გარშემო სხვადასხვა ზომისა და ტიპის ყორღანი დადასტურდა, რომელთა შორის ორს აქვს გზა. აქვეა ოთხკუთხა ნაგებობების საფუძვლები და სხვადასხვა ეპოქის სამარხი ქვანაგობები.

გამოვლენილი ძეგლების თარიღის და ბ. კუფტინის მიერ გათხრილი და დღეისათვის გამოვლენილი ყორღანების იდენტიფიცირების მიზნით ნოემბერში განმეორებით იქნა მივიღებული წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ გ. ნარიმანიშვილი, გ. მინდიაშვილი, ზ. მახარაძე, ბ. მურვანიძე და გ. ტატიშვილი. ექსპედიციის დაფინანსების ინიციატორებად გამოვიდნენ პრინცი ჰანს ფონ ზაქ-

სენ-ალტენბურგი და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე ი.მ.დ. ვ. ლიჩელი, რომელთა შუამავლობით აშშ მოქალაქემ დოქტორმა დონ ოლსენმა გამოყო 1200 \$.

ექსპედიციამ მიზანშეწონილად მიიჩნია ბეიუკთეფეს სამხრეთით მდებარე, ერთ-ერთი გზიანი ყორღანის გათხრა (ტაბ. I₂). იგი წარმოადგენს 24 მ-ის დიამეტრის და 1,0 მ-ის სიმაღლის ქვანაგობიან ყორღანს, რომელსაც გარშემო დიდი ზომის ქვების სარტყელი შემოუყვება. ყორღანს აღმოსავლეთიდან 48 მ-ის სიგრძის და 3 მ-ის სიგანის, ქვით მოკირწყლული გზა უერთდება. ყორღანის ყრილი ცენტრალურ ნაწილში დაწეული იყო. სამარხი კამერის სიღრმეში გაცილებით დიდი ზომის ქვები იყო ჩაყრილი, ვიდრე ზედაპირზე. ყრილის აღებისას გაიწმინდა გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხი. დიდთოვლობის გამო ყორღანის გათხრა ვერ დასრულდა, გამოიკვეთა სამარხი კამერის სამხრეთი და დასავლეთი კედლები, ცენტრალურ ნაწილში გამოჩენა დაიწყო სამარხულმა კერამიკამ. ამ ეტაპზე იქნა დაკონსერვებული გათხრითი სამუშაოები.

ექსპედიციის მიერ გაითხარა ბედენური კულტურის ერთი ორმოსამარხი, ბრინჯაოს ხანის II ქვანაგობით, დაწეულ იქნა ორი ყორღანის გათხრა. უამინდობის გამო ექსპედიცია იძულებული გახდა შეეწყვიტა სავსე სამუშაოები.



სურ. 3

ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის და ბ. კუფტინის გათხრების შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გზიანი ყორღანები ძირითადად „თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ თანადროულია. შუა ბრინჯაოს ხანის განეკუთვნება ჩვენსა და ბ. კუფტინის მიერ გათხრილი VI და XV ყორღანები (ტაბ. I₃). თუმცა ასეთი ყორღანები უფრო ადრეული (მაგ. X ყორღანი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლ. II ნახ. თარიღდება [1, გვ. 15, 95; 4, გვ. 11, 53])

ან ოდნავ მოგვიანო შეიძლება იყოს (ტაშირის № 5 ყორღანი, რომელიც ძვ.წ. XV ს-ით თარიღდება [2, გვ. 88, 97]). საინტერესოა ტყვიანის ყორღანებთან დადასტურებული სიტუაცია [3, გვ. 32, ტაბ. V].

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები სრულიად უნიკალურია არა მხოლოდ კავკასიის, არამედ საერთოდ ყორღანული კულტურის არეალისათვისაც. ყორღანთა სარიტუალო გზები შუაბრინჯაოს ხანის საზოგადოების სოციალური მდგომარეობის ახლებურ ახსნას მოითხოვს.

წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლები გადაუდებელ შესწავლას საჭიროებს, რადგან გაზაფხულის წყალდიდობასთან ერთად ისინი წყლით დაიფარება.

G. Narimanishvili

RITUAL ROUTES OF THE 2ND MILLENNIUM B.C. IN TRIALETI (Summary)

Intensive archaeological investigation of Trialeti began in the 1930s when on the future bottom of the Tsalka water storage reservoir a number of significant remains were excavated by B. Kuftin. Specially to be noted among these are barrow burials of the Early and Middle Bronze Age. Materials obtained by him served as the foundation for the beginning of a new stage in the study of the ancient history of Georgia. For decades these monuments have been considered to be standard.

After the 40s most of the barrows excavated by Kuftin were covered with water [5]. Numerous small barrow burials and territory adjacent to the excavated barrows remained unstudied.

Since the 90s, in connection with the power crisis, the level of water in the storage reservoir lowered gradually. The Tsalka-Trialeti Archaeological Expedition of the Centre for Archaeological Studies, tried within its capacities to record and excavate the monuments identified.

By September 1999 the area of the Tsalka storage reservoir reduced to such extent that the villages of Shepyak, Sanomer and Tsintqaro, flooded in the 30s, were laid bare. Archaeological monuments attracted our special attention. Under the impact of water barrows and burials were brought to light (figs. 2-3). The "conserved" remains, situated over hundreds of hectares (the length of the uncovered area is over 5 km, width 0.5-1.5 km) required urgent fixation.

With a view to studying the remains on the bottom of the storage reservoir, an expedition was

sent to Trialeti by O. Lordkipanidze, Director of the Centre for Archaeological Studies (members of the expedition: G. Narimanishvili, G. Mindiasvili, B. Murvanidze, A. Tevzadze, Sh. Melikidze). A topographic plan of the area under investigation was drawn, all revealed monuments were plotted, graphic and photo recording were made.

The main achievement of the expedition was the discovery of grand roads leading to the barrows – both excavated by Kuftin and some not excavated yet.

The work carried out by our expedition showed that ritual routes for funeral processions were adjacent to some barrows excavated by Kuftin. Such routes were also confirmed near some unexcavated barrows. In all cases they were strictly oriented to the East.

Of special interest is the barrow burial identified 500 m west of barrow I (Beiyuk-tepe) excavated by Kuftin (pl. I).

This barrow is 60 m in diameter with a 1.2-1.5 m high embankment enclosed with a belt of large stones. A 356 m long and 6 m wide road paved with stones, leads directly to the barrow. It is also oriented straight East, The road was strengthened with large stones on each side. Some other barrows of various sizes and types were attested around this one. Roads lead to two of these. Foundations of quadrangular structures and cyst, belonging to different periods were also confirmed here. With a view to dating and identifying barrows – both excavated by Kuftin and newly discovered ones – in November the Tsalka-Trialeti Archaeological Expedition was again sent out to the site (G. Narimanishvili, G. Mindiasvili, Z. Makharadze, B. Murvanidze, G. Tatishvili). The initiators of financing the expedition were Hans von Saxon-Altenburg and V. Licheli, Deputy Director of the Centre for Archaeological Studies, through whose mediation Dr. Don Olsen, a citizen of the USA, allotted \$1200.

The expedition found it advisable to study one of the barrows with a road leading to it. A barrow to the south of Beiyuk-tepe was chosen. The stone embankment of the barrow (diameter: 24 m, height: 1 m) was enclosed with cromlech of a large stones. From the east a stone-paved road (length: 48 m, width: 3 m) adjoins the barrow. Upon removing the embankment, an entrance burial of the Late Bronze Age was discovered. The southern and western walls of the burial chamber appeared and in the central part pottery of the main burial was found. At this stage the excavations were suspended owing to bad weather.

A pit burial of the "Bedeni" culture, 11 cysts of the Bronze Age were excavated by the expedition. The excavations of two barrows have begun.

According to the expedition and the results of the excavations carried out by Kuftin, it may be presumed that the barrows with roads are largely contemporaneous with the "magnificent culture of the Trialeti barrows". Barrows VI and XV, excavated by us and Kuftin, belong to the Middle Bronze Age. However, such barrows may be earlier (e.g. barrow X dated to the second part of the 3rd millennium B.C. [1, p. 15; 4, pp. 11, 53]) or later (barrow 5 of Tashiri, dated to the 15th cent. B.C. [2, pp., 88, 97]). The situation found with the barrows of Tqviavi [3, p. 25, pl. V] is of interest.

Thus, it may be stated that materials obtained by the Tsalka-Trialeti Archaeological Expedition are quite unique not only for the Caucasus but also for the area of diffusion of the barrow culture in general. Ritual roads of barrows call for a new explanation of the social status of the society in the Middle Bronze Age.

The sites revealed on the territory of the Tsalka storage reservoir stand in need of immediate investigation because they will come under spring flood.

ლიტერატურა

1. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.
2. კახიანი კ., დლიდგაშვილი ე. ტაშირის № 5 ყორღანული სამარხი. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 88-107.
3. მაკალათია ს. ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1943.
4. Жоржикашвили Л. Г., Гогодзе Э. М. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.
5. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

სურათებისა და ტაბულის აღწერილობა


- სურ. 1. ყორღანისაკენ მიმავალი სარიტუალო გზა.
- სურ. 2-3. გაუთხრელი ყორღანები წყალსაცავის ფსკერზე.
- ტაბ. I. – 1. ბეიუკ-თეფეს დასავლეთით მდებარე ყორღანი; 2. 1999 წელს ნაწილობრივ გათხრილი ყორღანი; 3. ბ. კუფტინის მიერ გათხრილი XV ყორღანი.

Description of the figures and plate


Fig. 1 – Ritual road leading to the barrow.

Figs. 2-3 – Unexcavated barrows on the bottom of the reservoir.


Pl. I. – 1. Barrow, situated west of Beiyuk-tepe; 2. Barrow excavated partially in 1999; 3. Barrow XV excavated by B. Kuftin.



1



2



3

ლამარა სახაროვა

ოყურეშის ბრინჯაოს განძის შემსახე

1924 წელს სოფელ ოყურეშთან (ლენხუმი), ადგილ ლაჯობის ძირში, ე. ახვლედიანმა შემთხვევით აღმოაჩინა ბრინჯაოს განძი. განძი დაფლული იყო ბრინჯაოს ჭურჭლით და შეიცავდა 32 ნივთს. განძი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ფონდში. განძისეული ბრტყელი ცული (სსმ-ის კოლ. № 11-32:64), რომელიც გამოქვეყნებული აქვს ბ. კუფტინს, დაკარგულია [8, გვ. 33].

განძის შემადგენლობაშია: ბრინჯაოს სამი ჭურჭელი, 3 სამაჯური, სპირალურთავებიანი საყელური, 6 ცალი პირგახსნილი რგოლი, ცულ-საკაფი, 9 ცალი I ტიპის კოლხური ცული, ხოლო 6 ცალი II ტიპისა; ერთი ცალი ყუაორფერდა და ასიმეტრიულპირიანი ცულია. ერთიც ასეთივეა, მხოლოდ მინიატურული და ყუაზე კობით [4, გვ. 11-14].

1980 წელს ცაგერის რაიონის გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა, სიძველეთა დიდმა ქომაგმა ჯ. სალინაძემ, ო. არჯევანიძის დახმარებით მიაკვლია აღნიშნული განძის კიდევ სამ ნივთს [1, გვ. 2].

აღმოჩენის ვითარებასთან ერთად ცნობას სარწმუნოს ხდის აღნიშნულ ნივთთა პატინა, დეკორი და საერთოდ მორფოლოგიურ-შინაარსობრივი მიმართება ოყურეშის განძისადმი. ეს ნივთებია:

1. ცული (ცმმ-ის კოლ. № 3900-1606) – ბრინჯაოსი. კოლხური ცულის I ტიპი; ახასიათებს შვეტილი ტანი, მახვილი ყუა, თითქმის სიმეტრიული მოყვანილობის პირი და წვეტიან-ოვალური სატარე ხერხედი; გრეხილი ორნამენტით შემკული შუა წიბური სატარის შუა ნაწილზე მკვეთრად უხვევს უკან და ხერხელის უკანა პირს გასდევს, იმეორებს რა მის მოხაზულობას. წინა და უკანა ასეთივე წიბურები ხერხელის კედელს გასდევს ყუამდე. ცულის წელს შემოუყვება ფართო სარტყელი, რომლის ჩარჩო შექმნილია სამწკრივა ზოლებით. სივრცე ზოლებს შორის შევსებულია ურთიერთგადამკვეთი ირიბი ხაზებით. ყუის თავის შესამკობად გამოყენებულია რგოლები, რომლები, რომლებიც შევსებულია წერტილებით. წიბურებს შორის ტანიც წერტილებითაა შევსებული.

ცულის სიგრძე 18 სმ-ია, პირის სიგანე 6,5 სმ (ტაბ. I₂).

2. ცული (ცმმ-ის კოლ. № 3899-1605) – ბრინჯაოსი, ბრტყელი, ერთი მხრიდან ოდნავ რელიეფური. წელს ზემოთ, ორივე მხარეს თითო შვერილი აქვს. ცულის გორდა და სიმეტრიული პირი ფხისაკენ თანდათან თხელდება.

ცულის სიგრძე – 19 სმ; პირის სიგანე – 6,5 სმ (ტაბ. I₁).

3. ცული (ცმმ-ის კოლ. № 3899-1605) – ბრინჯაოსი. ბრტყელი, ისეთივე, როგორც ზემოთ აღწერილი. პირნაკლული.

სიგრძე – 18,2 სმ; პირის სიგანე – 6 სმ (ტაბ. I₃).

პირველი ცული, რომელიც კოლხური ცულის I ტიპს წარმოადგენს, მეტ-ნაკლებად დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეშია დადასტურებული. გვერდშვერილიანი (კოტეხიანი) ბრტყელი ცულებიც ტიპიური კოლხური ნაწარმა და დახვეწილია კოლხური ცულების ზეგავლენით.

აღნიშნული ნივთები არ ცვლიან ოყურეშის განძის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კვლევის ცნობილ შედეგს, რომელიც განძის თარიღად ითვალისწინებს ძვ.წ. X-VIII საუკუნეებს [6, გვ. 34, 116; 4, გვ. 23]. თუმცა უკანასკნელ ხანებში ლ. ფანცხავამ სპირალურთავებიანი სამაჯურისა და ლოყაშეუმკობელი ცულების მიხედვით განძი მკვეთრად გაახალგაზრდა და ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დაათარიღა [5, გვ. 58], რაც ჩვენი აზრით, მართებული არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ მასიური რგოლები (საწვივეები თუ საკანჭურები), სპირალურთავებიანი სამაჯურები და საყელურები (ხატისუღელი, კირკალი თუ გვერგი), ჩნდება გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე [3, გვ. 19; 9, გვ. 34-37, 82; 7, გვ. 14-15] და გარკვეული ცვლილებებით არსებობს ძვ.წ. VII-VI საუკუნემდე [2, გვ. 54].

ბრინჯაოს სიტულების და ზომომორფოლოგიურიანი ტოლჩების არსებობის ზედა საზღვარი კარგად იფარგლება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით და ამის დამადასტურებელი საკმაოდ ბევრი მასალა დაგროვდა. მაგრამ ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი რამდენადმე გაურკვეველია. ამის მიზეზია პირველ რიგში ის, რომ ჯერჯერობით კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში არ არის მიკვლეული და შესწავლილი ძვ.წ. XI-X-IX საუკუნეების სამარხები. ყველაზე დიდი რაოდენობით ეს ჭურჭლები აღმოჩენილია ბრილისა და თლიას სამაროვნებზე. ჯერჯერობით გაურკვეველია ბრილის II ფენის ქრონოლოგიური ჩარჩო. ეს ფენა კი უშუალოდ მოსდევდა შუაბრინჯაოს ხანის ფენას. დასაზუსტებელია თლიას სამაროვნის სამარხთა ქრონოლოგიური მონაცვლეობაც.

მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ორი გარემოება. პირველი ის, რომ ბრინჯაოს ფურცლებისაგან მანჭვლებით შეკერილი ლითონის ჭურჭელი საქართველოში შუაბრინჯაოს ხანიდან არსებობს (თრიალეთის ყორღანები,

უფრო მოგვიანებით სამთავროს სამაროვანზე და სხვ.). მეორე ის, რომ თიხის ჭურჭლის მორფოლოგიური ნიშნები – კრატერისებურად გამოყვანილი პირი, კანელურები და ზოომორფული ყურები, რომელთა საფუძველზედაც ფიქრობენ, რომ შემუშავდა სიტულებისა და ზომორფულყურებიანი ტოლჩების ფორმები, დადასტურებულია კოლხური ნასახლარების უძველეს ფენებში (ნოსირის III და II ფენა და სხვ.).

თუ ამ გარემოებებს გავითვალისწინებთ, მაშინ საფიქრებელია, რომ სიტულებისა და ზომორფულყურებიანი ტოლჩების ფორმა გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო ვიდრე VIII-VII საუკუნეებია.

განძში შემავალი კოლხური ცულები (ბრტყელი ცულებიც) არ იძლევა განძის გაახალგაზრდავების საფუძველს. ამიტომ განძის დათარიღება ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით მართებულად მიგვაჩნია.

L. Sacharowa

ÜBER DEN BRONZEHORT AUS DEM DORF OKURESCHI (WESTGEORGIEN)

(Zusammenfassung)

1924 wurde im Dorf Okureschi zufällig ein Hort aus bronzesachen in einem Bronzekessel gefunden. 1980 wurden noch zusätzlich drei Gegenstände aus diesem Schatz entdeckt: ein kolchisches Beil vom I. Typ und zwei Flachbeile. Der Schatz wird in X.-VIII. Jh. v. Chr. datiert.

ლიტერატურა

1. კომუნიზმის სხივი (ცაგერი), 1980, № 19, 12 თებერვალი.
2. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.
3. რამიშვილი აღ. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1974.
4. სახაროვა ლ. ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ., 1976.
5. ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოვნობის ძეგლები. თბ., 1988.
6. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965.
7. Козенкова В. Обряд кремации в кобанской культуре Кавказа. – СА, № 3, 1982, с. 14–34.
8. Куфтин Б. А. Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и Куро–Араксский энеолит. – ВГМГ, XIII-В, 1944, с. 1–172.
9. Садрадзе В. Мцхета в XV-XIII вв. до н.э. Тб., 1991.


ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – 1. 1980 წელს მიკვლეული ოყურემის განძის ცულები; 2. კოლხური ცულის I ტიპი; 1, 3 . ბრინჯაოს ბრტყელი ცულები.

Beschreibung der Abbildung

Abb. I – 1. 1980 entdeckte Beile aus Okureschischatz; 2. Kolchisches Beil vom I. Typ; 1, 3. Zwei Flachbeile.

ტაბ. I



რეგაზ პაპუაშვილი

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები, რომლებიც ცენტრალურ კოლხეთში იქნა მიკვლეული, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: საკულტო მოედნისა და კოლექტიური სამარხი ორმოებისაგან. საკულტო მოედნები თავის მხრივ სამი სეგმენტითაა წარმოდგენილი. ესენია: რიყის ქვისაგან შედგენილი ყრილები, დამწვარი და დაქუცმაცებული ძვლებისაგან შედგენილი გროვები ან ორმოები, აგრეთვე კულტმსახურებისა და ტრაპეზის ნარჩენების თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენები. ხსენებული სამაროვნები ზოგჯერ რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებებით ისინი სამაროვნების ერთ გარკვეულ ჯგუფად ერთიანდებიან და მკვეთრად გამოირჩევიან სხვადასხვა ეპოქის, რეგიონებისა და კულტურის სამაროვანთაგან.

დღეისათვის კოლხეთში ჩვიდმეტი სამაროვანია ცნობილი, რომლებზედაც აღნიშნული თავისებურებანი მეტ-ნაკლები სიმკვეთრით შეინიშნება (ტაბ. I). ესენია: ჯანტუხის [25, გვ. 32-33], ბრილის [11, გვ. 111], კურზუს [12, გვ. 55-69], სალხინოს [3, გვ. 24], პალურის [10, გვ. 96-136], მერხეულის [3, გვ. 68-770], მუხურჩის [16, გვ. 28-30; 6], ფიორის [15, გვ. 40-44], ერგეტის I-IV, დღვების, ნივზიანის, ურეკის [9], გორამირის [4] და ხუცუბნის [7, გვ. 106-112] სამაროვნები.

ზედაპირული დაზვერვებითა და მოპოვებული მასალის მიხედვით, სავარაუდოდ, მსგავს ძეგლებად მივიჩნევთ: ნალეპსაოს, ლეჩეს, ვედითკარის, მახათის, გურძემის და ნახუნაოს სამაროვნებს მარტვილის რაიონში [14, გვ. 30-32], ჯვრის, ჭუბურხინჯის [18, გვ. 125-126], ნოსირისა და ფარცხანაყანევის კოლექციებს. აღსანიშნავია, რომ ფარცხანაყანევის კოლექციას ბ. კუფტინიც სამარხეული ინვენტარის ნაწილად მიიჩნევდა [22, გვ. 133-135]. მსგავს ძეგლებს უნდა უკავშირდებოდეს ქუთაისის მუზეუმში დაცული პეტრე ჭაბუკიანის მიერ 1933 წელს არქიელის გორაზე, ცაცხვების ქუჩაზე მოპოვებული ნივთიერი მასალაც [17, გვ. 189], აგრეთვე ვანის რაიონში, სოფ. სულორში საკაკილეს ბორცვზე მოპოვებული ინვენტარის ნაწილი [8, გვ. 83; 20, გვ. 276-279], ზესტაფონის რაიონის სოფ. საზანოში ადგილ გაღმა ჭალაში აღმოჩენილი სამარხები [13, გვ. 45-46] და ხობის რაიონში, სოფ. სუჯუნათის „საძვლე“ [5, გვ. 19].

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ძეგლთა მნიშვნელოვანი ნაწილი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებამდე სხვა-

დასხვა მიზეზთა გამო განადგურებული იყო. ასევე სხვადასხვა მიზეზთა გამო ზოგიერთ მათგანზე სამუშაოები შეჩერებულია, ზოგიერთი კი მხოლოდ ზედაპირული დაზვერვებითაა ცნობილი და მათზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება არც განხორციელებულა.

დაცულობის თვალსაზრისით, განსხვავებული ვითარებაა ერგეტასა და დღვბას სამაროვნებზე (ტაბ. II). გათხრების დაწყებამდე ისინი არც ღრმა თხრილებით ყოფილა განადგურებული, არც წვიმებით გადარეცხილი და არც განძის მადიებლებისაგან დანგრეული. ერგეტის I, II, IV და დღვბის სამაროვნებზე სამუშაოები თითქმის დასრულებულია, ხოლო ერგეტის II სამაროვნის შესწავლა ამჟამადაც გრძელდება. აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, შედარებით სრული წარმოდგენის შექმნა ხსენებული ტიპის სამაროვანთა აგებულების შესახებ აქ მიღებული კვლევა-ძიების შედეგების ანალიზითაა შესაძლებელი.

იმ ადგილებს, სადაც შემდგომ სამაროვნები დადასტურდა მოსახლეობა „ნააკარდამუს“ ეძახდა. „ნააკარდამუს“ მეგრული სიტყვაა და ქართულად ნააკლდამევეს ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კუფტინის გამოქვეყნებული აქვს ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ყოფილი დირექტორის ბ. გოგოლიშვილის მიერ ერგეტის სხვადასხვა უბანში ზედაპირულად აკრეფილი კერამიკის ფრაგმენტები. აღმოჩენის ადგილებად მითითებულია: დიხა-ზურგა, ცვანე, ნაჩკადუ და ნაკალამუ [23, გვ. 189, ნახ. 47]. ნაჩკადუ ეწოდება ერგეტის იმ უბანს, სადაც I სამაროვანია დადასტურებული, ხოლო ნაკალამუ (ბ. კუფტინთან ნაკალამუ, ალბათ შეცდომით, რადგან ნაკალამუს სახელით ცნობილი ტოპონიმი ერგეტაში არაა) – უშუალოდ სამაროვნის ტერიტორიას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერმიტაჟში კაკკასიური მასალის საცავში 1980 წელს მასალის მცველმა პროფ. ი. დომანსკიმ გვაჩვენა კერამიკის ფრაგმენტები ერგეტიდან, რომელიც 30-იან წლებშია შეკრებილი ა. იესენის მიერ.

ადგილები, სადაც აღნიშნული სამაროვნები მდებარეობს ოდნავ შესამჩნევადაა ამაღლებული 100-200 მ² ფართობზე.

ამაღლებული ფართობის ცენტრში ზამთრობით ან ადრე გაზაფხულზე, როდესაც მცენარეული საფარი განსაკუთრებით დაბალია, შეინიშნებოდა ქვაყრილები, ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლების, კერამიკის, ლითონის ინვენტარისა და მძივსამკაულის ფრაგმენტები, ხშირ შემთხვევაში ცეცხლის ძლიერი კვალით.

ერგეტისა და დღვბის სამაროვნებზე საველე სამუშაოების პირველ ეტაპზევე შემდეგი სურათი დასტურდება: უშუალოდ კორდოვანი ფენის ქვეშ თავს იჩენს რიყის ქვის ყრილებისაგან,

წვრილად ფრაგმენტირებული დამწვარი ძვლები და არქეოლოგიური ინვენტარისაგან შედგენილი მოედნები ძლიერი ცეცხლის კვალით. ცეცხლის კვალი იმდენად ძლიერია, რომ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ხშირად დეფორმირებულია. ზოგჯერ კი თიხისა და ლითონის ნაწარმი ერთმანეთზეა შედუღებული. გვხვდება ცეცხლისაგან დეფორმირებული მძივსამკაულიც. სარდონის მძივები ცეცხლის ზემოქმედების გამო გათეთრებულია და ხშირად დახეთქილი.

ამგვარი მოედნების ფართობი და სიმძლავრე სხვადასხვა სამაროვანზე სხვადასხვაა. თუ დღვაბის სამაროვანზე მისი ფართობი 60 მ² არ აღემატებოდა ერგეტის I სამაროვანზე ის 150 მ²-მდე აღწევდა. სხვაობა სხვადასხვა სამაროვანზე საკულტო მოედნის ფართობისა და მოედანზე კულტურული ფენის სიმძლავრეთა შორის სამაროვნის ფუნქციონირების ხანგრძლივობით უნდა აიხსნას. უპირაწია აქვე გავიხსენოთ, რომ დღვაბის სამაროვანზე მხოლოდ ორი სამარხი ორმო დადასტურდა, ერგეტის I სამაროვანზე კი ცხრა (ტაბ. II). ამავე დროს ერგეტის I სამაროვნის მოედანზე მოპოვებული თიხის ნაწარმის გარკვეული ჯგუფი ტიპოლოგიურად შეესაბამება თ. მიქელაძისეული კლასიფიკაციით ძვ. კოლხური პირველი ეტაპის კერამიკას და ისეთ ძეგლებთან ამჟღავნებს სიახლოვეს როგორებიცაა: ნაოხვამუ, ზურგა, ნოსირი და სხვ. აქ მოპოვებული კერამიკის ძირითადი ნაწილი კი შეესაბამება ძვ. კოლხური II [24, ტაბ. XXXVII] და ანალოგიურია ისეთ ძეგლებზე მოპოვებულ ჭურჭლისა, როგორიცაა ვანის ნაქალაქარის უძველესი ფენები, მუხურჩა, გორადირი, პალურის საძვლე და სხვა. რამდენიმე ფრაგმენტი აქ მოპოვებული ჭურჭლისა ბერძნული ცენტრებიდანაა იმპორტირებული. ასეთებია განლექილი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის პირ-ყელი წითელი საღებავის კვალით, შეწყვილებული ყურის ფრაგმენტები და მცირე ზომის თხელკეციანი, შავლაკიანი ჭურჭლის (შესამლოა კილიკის) ფრაგმენტები. ანალოგიური ვითარება შეინიშნება ერგეტის სხვა სამაროვანებზეც.

ამავე მოედნებზე, ზოგჯერ კომპაქტურად, ზოგჯერ კი გაფანტულად შეინიშნება რიყის ქვის ყრილები (ტაბ. II). აღნიშნული ერგეტისა და დღვაბის სამაროვანებზე გარკვეულ ფორმას არ ღებულობდა და არც რაიმე წყობა შეინიშნებოდა. ამ მხრივ სხვა ვითარებაა პალურის საძვლეზე, სადაც დადასტურებულ ნალისებური თხრილის კედლებთან, ზოგიერთ ადგილას, შემორჩენილია რიყის ქვების ერთპირი მშრალი წყობა, რომლითაც იგი მოპირკეთებული ყოფილა [10, გვ. 97]. უდავოა, რომ ერგეტისა და დღვაბის სამაროვანებზეც რიყის ქვებს რაღაც კონსტრუქციული დანიშნულება უნდა ჰქონოდა, მაგრამ რა, ამის თქმა ძნელია, თუმცა ნათელია, რომ ის შენობის კედლებისათვის არ გამოდგებოდა, საამისოდ ძალზე ცოტაა, წვრილი და

მომრგვალებულია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვა საგანგებოდაა მოტანილი ან ზღვიდან, ან მდ. ჯუმის ნაპირებიდან. ორივე შემთხვევაში მანძილი 4-8 კმ აღემატება. მართალია, ერგეტის სამაროვნებთან მაინც ყველაზე ახლოს აღნიშნული კარიერებია მაგრამ, ის, რომ აღნიშნულ მოედნებზე საგანგებოდ რიყის ქვა იყო შერჩეული და არა სხვა მინერალი, მიუთითებს ჯანტუხის სამაროვანზე დადასტურებული ქვის ანალოგიური სახეობაც. გ. შამბას შენიშვნით, რიყის ქვა აქ საგანგებოდაა ამოტანილი მდ. მახმას ხეობიდან 1 კმ მანძილზე, ძნელად სავალი გზით. მაშინ როდესაც კირქვები უხვად მოიპოვება უშუალოდ სამაროვნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ასეთ ვითარებაში რიყის ქვის არსებობა მკვლევარს ავარაუდებინებს მათ სარიტუალო დანიშნულებაზე [26, გვ. 33], მაგრამ შეიძლება აიხსნას სხვაგვარადაც. კერძოდ: რადგანაც აღნიშნულ მოედნებზე ცეცხლი აქტიურად მონაწილეობს (ამის მეტყველი მაგალითია ნახშირის, ნაცრის, ცეცხლისაგან ზოგჯერ დეფორმირებული ინვენტარი და რაც მთავარია დამწვარი ძვლის დანაწევრებული ფრაგმენტები) საფიქრალია ქვებისაგან გამართული ყოფილიყო ქურები, მოწყობილი ყოფილიყო ორმოები ან სამსხვერპლოები, რომლებშიც, თუ რომლებზეც ინთებოდა ძლიერი ცეცხლი და წარმოიქმნებოდა მაღალი ტემპერატურა. ასეთი ფუნქციური დატვირთვის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რიყის ქვა აჯობებდა კირქვას, რომელიც ცეცხლის მიმართ უფრო მგრძობიარეა და ამის გამო ადვილად შლადი.

რაც შეეხება დამწვარსა და საგანგებოდ დაქუცმაცებულ ძვლებს, რომლებიც ასე უხვადაა წარმოდგენილი ყველა აღნიშნულ მოედანზე, გვხვდება გაფანტულადაც და კომპაქტურადაც გროვების სახით სპეციალურ ორმოებში ან თხრილებში⁵. მაგალითად, ერგეტის I და III სამაროვნებზე ძვლები (რომლებიც დამწვარია, კალციტირებული და იმდენად დანაწევრებული, რომ ჩნდება ეჭვი მათი საგანგებოდ დაქუცმაცების შესახებ) მათთვის გამოყოფილ ორმოებშია თავმოყრილი, მოედნის ცენტრალურ ნაწილში. ისინი ზოგჯერ საგანგებო თხრილებშიცაა. მაგალითად: ერგეტის IV სამაროვნის მოედანზე სპეციალურად ამოჭრილი II-სებური ფორმის ორმო (ტაბ. II₂). ანალოგიური ორმოა (მას ნალისებურს უწოდებენ) პალურის საძვლეზეც. მიუხედავად იმისა, რომ კბილები ჩვეულებრივ ყველაზე გამძლე ძვალა სხვებთან შედარებით, თითქმის არც ერთ თხრილსა, თუ ორმოში არც ერთი ცალი არ დადასტურებულა. აღნიშნულ ორმოებში მოპოვებული ინვენტარი, რომელიც რიცხვმრავლობით არ გამოირჩევა, ატარებს ცეცხლის აშკარა კვალს.

⁵ ორმოებსა და თხრილებში დამოწმებული ძვლები საგანგებოდ შეისწავლა და განსაზღვრა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა პაველ ფირფილაშვილმა.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უშუალოდ ორმოებსა და თხრილებში ცეცხლის კვალი არ დადასტურებულა. აშკარაა, რომ ძვლები ზედაპირზე და მწვერულ-დაქუცმაცებული და შემდეგაა ორმოებსა და თხრილებში ჩაყრილი.

მოედნის რა ნაწილში ზღებოდა ძვლებისა თუ გვამების დაწვა-დამუშავება ამჟერად ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა ეს ზღებოდა საგანგებოდ გამართულ სამსხვერპლოებზე ან საკრემაციო ქურებში, რომელთა ნანგრევებსაც, საფიქრალია, აღნიშნული ქვაყრილები წარმოადგენდნენ.

სამსხვერპლოები, თუ საკრემაციო ქურები, დაზიანების ან დანგრევის შემთხვევაში ალბათ რესტავირდებოდა, ან ახალი იგებოდა იქვე, ან მახლობლად. ამის მანიშნებლად მიგვაჩნია ერთ მოედანზე რამდენიმე ქვაყრილის დადასტურების ფაქტი (ტაბ. II).

სხენებულ მოედნებზე რომ იმართებოდა ტრაპეზიც (ქელეზი), ამის აშკარა მოწმობა, ვფიქრობთ, მრავალრიცხოვანი სასმისების, ხელაღების, ჯამებისა და სუფრის ჭურჭლის სხვადასხვა ფრაგმენტებია.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ვფიქრობთ, გვეძლევა საფუძველი აღნიშნული მოედნები ისეთ ადგილებად წარმოვიდგინოთ, სადაც სრულდებოდა მიცვალებულთა გვამების დამუშავება, კრემაცია, კრემირებული ძვლების სპეციალურ ორმოებში განთავსება, არაკრემირებული, საგანგებო ძვლებისა და ინვენტარის სამარხ-ორმოებში განაწილება. ერთი სიტყვით, აღნიშნულ მოედნებზე სრულდებოდა გარკვეული რიტუალი, დაკავშირებული მიცვალებულის კულტთან. შესაძლებლად მიგვაჩნია აღნიშნულ მოედნებს საკულტო ან სარიტუალო, ან სააღაპე მოედანი ვუწოდოთ. ვარჩევთ საკულტოს.

რაც უფრო ხანგრძლივად და ინტენსიურად ფუნქციონირებს საკულტო მოედანი, მით უფრო მძლავრია კულტურული ფენა და მეტია მისი ფართობი. საკულტო მოედანი დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა და, ვფიქრობთ, ზოგიერთი ადრეული, შემდგომ მივიწყებული სამარხი, ან სრულიად, ან ნაწილობრივ მის ქვეშ ექცეოდა. მაგალითად: ერგეტის I სამაროვანზე №1 სამარხი ორმო მთლიანად საკულტო მოედნით იყო გადაფარული (ტაბ. II₁). ერგეტის IV სამაროვანზე კი №3 სამარხი ორმო ნაწილობრივ საკულტო მოედნის ქვეშ მდებარეობდა (ტაბ. II₂).

საკულტო მოედნის შემადგენელ კომპონენტებად მიგვაჩნია: 1) ტრაპეზისა და კულტთან დაკავშირებული რიტუალის მატერიალური ნაშთების თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენა, რომელიც განსაზღვრავს მოედნის ფართობს. 2) სპეციალური საძვლე ორმოები ან თხრილები მიცვალებულის კრემირებული ძვლებისათვის და 3) ქვაყრილები, რომლებიც შესაძლოა საკრემაციო ქურების ან სამსხვერპლოების ნანგრევებს განასახიერებენ.

კოლხური სამაროვნის მეორე ძირითადი ნაწილია კოლექტიური სამარხი ორმოები, რომლებიც ერთმანეთისაგან ხშირად განსხვავდებიან ფორმებით, ზომებით, სიღრმით, სამარხეული ფენის სიმძლავრით, სამარხეული ინვენტარის თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

სამარხი ორმოები უმეტეს შემთხვევაში საკულტო მოედნის პერიმეტრზე არიან განლაგებული (ტაბ. II). მათი კონტურები ძირითადად 40-80 სმ-ის სიღრმეზე იჩენს თავს და ნიადაგის საერთო ფონზე მეტნაკლები სიმკვეთრით ისახება 10-15 სმ სიფართის მოლურჯო-მონაცრისფრო ზოლით, ვინაიდან ერგეტის I, III და IV სამაროვნები ქვიშნარ ნიადაგზეა გამართული, ამიტომ სამარხის აღმნიშვნელ ზოლს შორის მოქცეული ფართობიც, ქვიშნარის ფონზე მოყვითალო ლაქის სახით ადვილად შესამჩნევია.

როგორც უკვე ითქვა, სამარხთა ფორმები და ზომები არაა სტანდარტული. ზოგიერთი მათგანი გეგმაში წრიული ფორმის, ზოგი კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმისაა, ზოგიც ოვალური. დიდი განსხვავებაა ზომებშიც. თუ ზოგიერთი სამარხის ფართობი 10 მ² არ აღემატება, ზოგისა 50 მ² აჭარბებს. აქ უპირატესად არაკრემირებული ძვლები გვხვდება, რომლებიც ნიადაგში სინესტისაგან დარბილებულია და დაშლილი. ის შერეულია სამარხში მოხვედრილ სხვა ორგანულ ნივთიერებებთან ერთად (ტყავის ნაწარმი, ფოთლები, მცენარეული ნაყოფი, ქსოვილის ნაშთები და სხვ.) და ქმნის ტორფისებურ მასას, რომელშიაც არეულია სამარხეული ინვენტარი. ამგვარად წარმოქმნილი სამარხეული ფენა უმეტეს შემთხვევაში სამარხი ორმოს მთელ ფართობზეა მეტნაკლები ინტენსივობით განფენილი (ტაბ. III). მათი სიმძლავრე სხვადასხვა სამარხში სხვადასხვაა, მერყეობს 10 სანტიმეტრიდან 50 სანტიმეტრამდე. აღსანიშნავია, რომ აქ, განსხვავებით საკულტო მოედნების საძვლე ორმოებისაგან (სადაც სრულებით არ გვხვდებოდა კბილები), დიდი რაოდენობითაა ადამიანის კბილები. თანაც ბუნებრივ შესახსრებაში, ე.ი. ყბებთან ერთად. თუმცა, ყბების ძვლები ყოველთვის არ ფიქსირდება. სამარხებში ხშირად გვხვდება თავის ქალები, ხელისა და ფეხის ფალანგები, იშვიათად ლულოვანი ძვლები. თითქმის არ გვხვდება ხერხემლისა და მენჯის ძვლები.

რაც შეეხება სამარხ ორმოთა კონსტრუქციულ თავისებურებებს, აშკარაა, რომ სამარხის კონტურის გამომსახველი 10-15 სმ სიფართის მოლურჯო-მონაცრისფრო ზოლი რაღაც საგნის ლპობის შედეგად უნდა წარმოქმნილიყო. დღვაბის სამაროვნის №1 სამარხი ორმოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის ხის ფიცრების ლპობის შედეგადაა წარმოქმნილი. საქმე ისაა, რომ დღვაბის აღნიშნულ სამარხში, მის ჩრდილო აღმოსავლეთ კიდეზე დაფიქსირდა ვერტიკალურად ჩასმული ხის თექვსმეტი ცალი ფიცრის ნაშთი (ტაბ. III₁). ფიცრების სიმაღლე 30-40 სმ-ზე იყო შემორჩენილი. აღნიშნულ ფიცრებთან აღმოჩნდა

აგრეთვე ხის ტოტების წნული, რომლის სიგრძე 7,5 მ აღწევდა და, რომელიც სამარხიდან აღმოსავლეთით, სამაროვნის ცენტრისაკენ, საკულტო მოედნისაკენ იყო მიქცეული და თანდათანობით მიწის ზედაპირისაკენ მიემართებოდა. ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი იმის შესახებ, რომ სამარხი ორმოები შემოზღუდული იყო ხის ფიცრებით და მას გააჩნდა შესასვლელი საკულტო მოედნის მხრიდან. ამ აღმოჩენამდე ამგვარი მოსაზრების უფლებას გვაძლევდა ის გარემოება, რომ სამარხ ორმოთა უმრავლესობის კონტური მხოლოდ სამი მხრიდან იკითხებოდა ნათლად. ყოველთვის ფერმკრთალდებოდა საკულტო მოედნისაკენ მიმართულ მხარეს. ერგეტის I სამაროვნის № 8 სამარხ ორმოში აშკარად იკვეთებოდა შესასვლელიც (ტაბ. II). შესასვლელი აშკარად გამოიკვეთა 1997 წელს გათხრილ II სამაროვანზე № 4 სამარხ ორმოშიც (სამარხის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ გაუთხრელია). ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო სამარხი ორმოები, ზემოთ აღნიშნული საველე დაკვირვებების საფუძველზე, შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გარკვეულ ფართობზე, ნიადაგში, ამოჭრილია ორმო, რომელიც ძირიდან მიწის ზედაპირამდე (შესაძლოა უფრო მაღლა) შემორჩეულია ხის ვერტიკალურად ჩასმული ფიცრებით, რომელსაც საკულტო მოედნის მხარეს დატოვებული აქვს ღიობი (შესასვლელი), რომელიც, თავის მხრივ, კორიდორის თუ დრომოსის მეშვეობით დაკავშირებულია საკულტო მოედანთან. კორიდორის კედლებიც, რომელიც საკულტო მოედნიდან სამარხისაკენ თანდათან ეშვება სიღრმეში, ზოგჯერ გამაგრებულია წნული ღიობის მეშვეობით (ღღვების მაგალითზე).

არაა გამორიცხული, რომ სამარხის შიდა სივრცეში სამარხის ფორმის შესაბამისად, 50 სმ სიმაღლეზე, მოწყობილიყო მერხი. შუა ბრინჯაოს ხანის ბრილის აკლდამის მსგავსად [2], სადაც, ზოგჯერ სამარხეული ინვენტარი ლაგდებოდა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ სამარხეული ინვენტარი სამარხის კედლებზე ზოგჯერ 50 სმ მაღლა, სამარხეულ ფენასთან შედარებით. ქსოვილში ან ტყავში შეხვეული ინვენტარი შესაძლოა სამარხის კედლებზეც იყო ჩამოკიდებული.

ამგვარად გამართულია მიცვალებულებისათვის განკუთვნილი მიწური ან ნახევარმიწური ნაგებობა (ტაბ. IV₂). ვფიქრობთ, შეცდომა არ იქნება თუ მას ზოგჯერ სამარხი ორმოს ნაცვლად მიცვალებულთა სახლს ან აკლდამას ვუწოდებთ. გავიხსენოთ, რომ მოსახლეობაც იმ ადგილებს, სადაც ეს სამაროვნებია, ნააკარდამუს – ნააკლდამეცს უწოდებს. შუა ბრინჯაოს ხანის ქვისაგან ნაგები სამარხიც ბრილში ხომ აკლდამად იწოდებოდა [2]. ანალოგიური კონსტრუქციის ხისაგან ნაგები აკლდამები საქართველოს მასალებში ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ისინი რიგი კონსტრუქციული თავისებურებებით

(ვერტიკალურად ჩასმული ხის ფიცრებითა და შესასვლელით), გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ჩერკასკის ოლქში, სოფ. მატუსოვოში 1974 წ. გათხრილ ე. წ. რეპიანოვატაია მოგილას № 1 და № 2 სამარხებთან [19, გვ. 3], ნახ. 3, 9], თუმცა, თვით სამარხის შინაარსი აბსოლუტურად განსხვავებულია კოლხურისაგან.

ერთი ამგვარი აკლდამის შევსების ან დანგრევის შემთხვევაში იგებოდა მეორე, შესაძლოა რამდენადმე განსხვავებულიც, იქვე გვერდით. თუ გავიხსენებთ, რომ აკლდამებში მიცვალებულთა სავარაუდო რაოდენობა ზოგჯერ ასს აჭარბებს, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მის შევსებას გარკვეული დრო სჭირდება, ხოლო ერთი და იგივე სამაროვანზე სხვადასხვა ორმოში სხვადასხვა ხასიათის ინვენტარის გაჩენა ამ დროის ფაქტორითაა გამოწვეული.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კოლხური სამაროვნების ოპტიმალური მოდელი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გარკვეულ ტერიტორიაზე (მოედანზე) გამართულია მიცვალებულთა დასამუშავებელი მაგიდები, სამსხვერპლოები, საკურთხევლები და საკრემაციო ქურები. გამზადებულია ორმო კრემირებული ძვლებისათვის, აქვე იმართება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ტრაპეზი (ქელეხი). აღნიშნული მოედნიდან მიცვალებულის განსაკუთრებული ნაწილები, დაუწვავად, ინვენტართან ერთად შეხვეული (ქსოვილში ან ტყავში) კორიდორის მეშვეობით შეაქვთ აკლდამაში (ტაბ. IV₁₋₂). აკლდამა ფუნქციონირებს მანამ, სანამ არ აივსება, ან არ დაინგრევა. ამის შემდეგ მახლობლად სხვა აკლდამა იგება შესაძლოა რამდენადმე განსხვავებულიც.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ აღნიშნული მოდელი ძალზე მიახლოებითია. ბევრი რამ შესაძლოა სულ სხვაგვარადაც ხდებოდა, ვიდრე ჩვენ მივიჩნიეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამგვარ ვარაუდსაც არსებობის უფლება უნდა ჰქონდეს.

ზემოთქმული შეეხებოდა სამაროვანთა აგებულებასა და ბუნებრივია მიცვალებულების დაკრძალვის რიტუალის იმ ნაწილს, რომელიც მეტნაკლებად არქეოლოგიურად ფიქსირდება.

რაც შეეხება დაკრძალვის რიტუალის პირველ ნაწილს (მხედველობაში გვაქვს საკულტო მოედანზე მოხვედრამდე მიცვალებულის მდგომარეობა), მისი არქეოლოგიურად დაფიქსირება არ ხერხდება, ცხადია, ამ რიტუალს მიწასთან არა აქვს კავშირი. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ რიტუალის ამ ნაწილს შეადგენს კოლხების უძველესი ჩვეულება, რომელიც წერილობით წყაროებშია დაფიქსირებული [9, გვ. 16]. საკითხი ეხება ანტიკური ხანის ავტორთა: აპოლონიოს როდოსელი, ნიმფოდორ სირაკუზელი, ნიკოლოზ დამასკელი, კლაუდიუს ელინუსი, ფსევდო პლუტარქე [9, 14-17] და სხვათა ცნობებს მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების შესახებ. აღნიშნული ცნობები ვრცლად

არის არქეოლოგიურ ლიტერატურაში განხილული [22, გვ. 182-192; გვ. 17, გვ. 68-72; 25, გვ. 37-42; 3, გვ. 12-17; 9, გვ. 13-20, 35] და მათზე აღარ შეეხერხებოდა. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სხვებთან შედარებით ნათელ და დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის აპოლონიოს როდოსელი, რომლის მიხედვითაც, როდესაც ბერძნებმა პირველად ფენი დადგეს კოლხეთის მიწაზე აქ, კირკონად წოდებულ ველზე იხილეს: „მაღლა ტოტებზე თოკით მიკრული იყო გვამები მიცვალებულთა“ და შემდეგ „კოლხებს დღესაც კი თავზარსა სცემთ და ცოდვად მიუჩნით გვამების დაწვა, არც შავ მიწაში მარხავენ კაცსა, რომ ზედ ყორღანი აღმართონ მერე, ჯერ გაახვევენ ახლად დაკლული ხარის მოუქნელ ტყავში გვამსა და მერე ჰკიდებენ მაღლა ხეებზე – მყუდრო ჭალებში ქალაქგარეთა. მაგრამ ჰაერის კიდევან მიწაც იღებს თანაბრად იქ თავის წილსა, რადგანაც ქალებს, რომ მოკვდებიან, მიწის წიაღში აძლევენ ბინას. ასეთი არის იმ ქვეყანაში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი!“ [1, გვ. 122]. ესეა რა დაკრძალვის წესს ურეკის სამაროვანზე თ. მიქელაძე არქეოლოგიური მონაცემებისა და აპოლონიოსის ზემოთ მოტანილი ცნობების საფუძველზე გამოყოფს დაკრძალვის რიტუალის ორ ეტაპს. პირველს, ტყავებში გახვევისა და ხეზე ჩამოკიდების, ხოლო – შემდეგს მეორედ დაკრძალვას ცალკეული ნაშთებისას ნივთებთან ერთად, სათანადო დამუშავების შემდეგ. ამავე დროს თვლის, რომ არგონავტიკაში შემონახული ცნობები ჩვეულების თანადროულია და სინამდვილეს შეეფერება. თ. მიქელაძის მიხედვით კოლხეთის სამაროვნებზე დადასტურებული ფაქტები და ეს ცნობები ავსებენ ერთმანეთს და დასძენს – „რომ არ აღმოჩენილიყო კოლხეთში ხსენებული სამაროვნები, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა შემდგომი ეტაპი მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების ახირებული ჩვეულებისა და პირიქით“ [9, გვ. 13-20]. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ამგვარ ინტერპრეტაციას და დავძენთ, რომ თ. მიქელაძის ამ ნაშრომების შექმნის დროს ერგეტის სამაროვნებზე სამუშაოები მხოლოდ იწყებოდა. შემდგომმა სამუშაოებმა კი ამგვარი მოსაზრების სისწორე უფრო განამტკიცა.

აქვე დამატებით გვინდა გავიხსენოთ აპოლონიოს როდოსელთან აღწერილი მედეას ქალაქიდან გაპარვის ეპიზოდიც, როდესაც მედეა გაუსხლტა გუშაგებს და პირდაპირ სამლოცველოში წასვლა ირჩია, სადაც, ხშირად უვლია მიცვალებულის გვამების ირგვლივ [1, გვ. 157]. ეს ცნობა, ვფიქრობთ, მიახლოებს იმის თაობაზე რომ სადაც სამაროვნებია დამოწმებული, იქ შესაძლოა სამლოცველოც ყოფილიყო, ხოლო მის არქეოლოგიურ დადასტურებად იქნებ ის საკულტო მოედნები მივიჩნიოთ რომლებიც თითქმის ყველა სამაროვნის ცენტრშია ფიქსირებული

ბული უშუალოდ მიწის ზედაპირზე და რომელზედაც გვექონდა გამახვილებული ყურადღება.

R. Papuashvili

TOWARDS THE STRUCTURE OF THE NECROPOLIS OF THE LATE BRONZE-EARLY IRON AGES FROM CENTRAL COLCHIS

(Summary)

Occasionally such necropoleis differ somewhat from one another. But according to the above-listed features they form a definite group of necropoleis and are clearly distinguished from the necropoleis of different periods, regions and cultures.

Seventeen necropoleis of this type are known in Colchis; they are the necropolis of Jantuki, Barelili, Kurzu, Salkhino, Paluri, Merkheuli, Mukhurcha, Pichori, Ergeta I-IV, Dghvaba, Nigvziani, Ureki, Goradzira and Khutsubani (Pl.I).

It should be noted that considerable part of the sites just named were distorted before the field archaeological investigations. For, some reason archaeological investigations on some of them have been suspended. Some are known only by surface explorations.

According to the majority of scholars the cited necropoleis are dated to the first half of the 1st millennium B.C.

At the necropoleis of Ergeta and Dghvaba (pl. I.e) which are relatively in a good state of preservation and completely excavated, platforms were found directly under the layer, in the central part. They consist of three main parts: cobblestone embankments, burnt and crashed bones and cultural layer formed by the waste materials of cult service and funeral repast. The materials found on these platforms bore clear signs of a large fire.

Judging by the analysis of the field archaeological investigations the platforms in question may be considered to be that part of the necropolis where the body of the deceased, placement of the cremated bones in separate pits, special uncremated bones and objects were distributed in the pit burials, rituals associated with the cult of the deceased were performed (pl. N). The second part of the necropolis constitute pit burials. Most of them are located on the perimeter of the cult platform (pl. II). The contour of these pits often occurs at the depth of 40-80 cm and against the general background of the soil is distinctly outlined by a wide 10-15 cm bluish line.

In pit burials largely uncremated bones are mixed organic admixtures forming a 10-40 cm thick layer on the floor of the pit burial (pl. III). Various types of grave goods of the same category

occur in some burial pits unearthed at the same necropoleis. Occasionally the number of corpses in pit burials is more than a hundred.

According to the field archaeological materials the cited pit burials were built as follows: on a certain plot a pit was dug in the ground which was boarded vertically from the bottom to the surface of the ground (or even higher). It had an opening on the side of the cult platform which, was connected to the latter by a corridor or dromos (pl. IV2). Such a pit burial (it may be called a vault) functioned until it was filled up or destroyed. Then a new pit was built nearby – perhaps differing somewhat from the former one.

ლიტერატურა

1. აბოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა. თბ., 1975.
2. ბარამიძე მ. ბრილის აკლდამა. – საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (1960 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი). თბ., 1961, გვ. 23-24.
3. ბარამიძე მ. მერხეულის სამაროვანი. თბ., 1977.
4. გოგაძე ე., დავლიანიძე ც. გორაძირი. თბ., 1981.
5. გრიგოლია გ. დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბ., 1971, გვ. 18-20.
6. ელიაფა გ. პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა. თბ., 1987.
7. იოსელიანი ა. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან. თბ., 1973.
8. ლორთქიფანიძე ოთ. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986.
9. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.
10. ოქრობირიძე ნ., ბარამიძე მ. პალურის საძვლე. – მსკა, IV, 1974, გვ. 96-136.
11. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959.
12. ქორიძე დ. შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფელ კურბუში. – სსმმ, XXXII-B, 1961, გვ. 55-72.
13. ღამბაშიძე ოთ. შემთხვევით აღმოჩენილი ძეგლები სოფ. საზანოდან. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები. თბ., 1963, გვ. 45-46.
14. Апакидзе Дж. Б. Центральная Колхида в эпоху поздней бронзы раннего железа. Тб., 1991.
15. Барамидзе М. Б., Чигошвили Т. М., Квирквелия Г. Т., Джибладзе Л. В., Хубутия Н. Г. Основные итоги работ археологической

экспедиции Абхазии. – ПАИ, 1982 (1985), с. 28-55.

16. Гогодзе Э. М. К вопросу о хронологической периодизации памятников колхидской культуры. – ВГМГ, XXXVII-B, 1984, с. 28-55.

17. Иващенко М. М. Материалы к изучению культуры колхов. – МИГК, II, 1940, с. 1-67.

18. Иессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, вып. 120, 1935, с. 7-238.

19. Ильинская В. А., Мозолевский Б. Н., Тереножкин А. И. Курганы VI в до н.э. у с. Матусов. – Скифия и Кавказ. Киев, 1980, с. 31-63.

20. Инаури Г. А. Археологические разведки в с. Сулори. – Причерноморье в VII-V вв. до н.э. Материалы V международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани, 1987. Тб., 1990, с. 276-280.

21. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

22. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. Т. I, Тб., 1949.

23. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. Т. II, Тб., 1950.

24. Микеладзе Т. К. К археологии Колхиды. Тб., 1990.

25. Трапш М. М. Труды. Т. II, Сухуми, 1970.

26. Шамба Г. К. Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми, 1984.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. ცენტრალურ კოლხურ სამაროვანთა ვავრცელების არეალი; 2. სოფ. ერგეტის სიტუაციური გეგმა.

ტაბ. II – 1. ერგეტის პირველი სამაროვნის საერთო გეგმა; 2. ერგეტის მეოთხე სამაროვნის საერთო გეგმა.

ტაბ. III – დღვაბის სამაროვანი. 1. №1 სამარხი ორმოს გეგმა; 2. №2 სამარხი ორმოს გეგმა.

ტაბ. IV – 1. ცენტრალურ კოლხური სამაროვნის წარმოსახვითი მოდელი; 2. სამარხი ორმოს წარმოსახვითი მოდელი.


Description of the Plates

Pl. I – 1. Area of diffusion of Central Colchian necropoleis; 2. Situational Plan of the village of Ergeta.

Pl. II – 1. General Plan of the first necropolis of Ergeta; 2. General Plan of the fourth necropolis of Ergeta.


Pl. III – Necropolis of Dghvaba: 1. Plan of pit burial I; 2. Plan of pit burial II

Pl. IV – 1. Sketch model of the Central Colchian necropolis; 2. Scetch model of the pit burial.





1. ჯანტუხი
2. ბრილი
3. კურსუ
4. სალხინო
5. პალური
6. მერხეული
7. მუსურჩა
8. ფიხორი
9. ერგეტა-2
10. ერგეტა-3
11. დღვაბა
12. ერგეტა-4
13. ერგეტა-1
14. ნიგვზიანი
15. ურეკი
16. გორაძირი
17. ხუცუბანი



1




2

ცაბ. II






ტაბ. IV



1



2

ნინო სულავა

სამთავროს სამაროვნის ფიგურებიანი სამარხების დათარიღებისათვის

სამთავროს სამაროვანზე, რომელიც კავკასიის არქეოლოგიისათვის ერთ-ერთ საეტაპო ძეგლადაა მიჩნეული, ერთწილადი რკალისებური ფიგურები 9 კომპლექსიდანაა ცნობილი. ეს კომპლექსებია: № 591, № 600 (ფრ. ბაიერნის გათხრებიდან), № 17 (1938 წ. N უბანი), № 123 (1939 წ. N უბანი), № 174 (1940 წ. N უბანი), № 186 (1940 წ. N უბანი), № 41 (ორმოსამარხის ნაშთი. 1947 წ. N უბანი), № 276 (1947 წ. N უბანი), № 310 (1948 წ. N უბანი). კომპლექსები ორმოსამარხებია. აქედან №№ 591, 600 და 123 სამარხის ფიგურები ბრინჯაოსია, ხოლო დანარჩენი რკინისა.

კავკასიაში ერთ-ერთ უძველეს ფიგურულ სწორედ სამთავროს № 591-ე სამარხის გრეხილრკალიანი ბრინჯაოს ფიგურაა მიჩნეული (ტაბ. I 1₅). კომპლექსის და თვით ფიგურის დათარიღების შესახებ ძირითადად ორი აზრია – მას ან აკუთვნებენ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს [30, გვ. 82-97; 6, 202-203; 1, გვ. 136] ან ძვ.წ. VIII-VII სს-ს [15, გვ. 52; 18, გვ. 62; 10, გვ. 31].

№ 600 სამარხი (ტაბ. I 2) ურარტუს სამეფოს ხანითაა დათარიღებული [15, გვ. 70, სურ. 746].

№№ 123 (თავისი გრეხილრკალიანი ბრინჯაოს ფიგურით – ტაბ. I 3), 174, 41, 276 სამარხები (ტაბ. II) დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII ს-ის I ნახევრით [1, გვ. 132-134], ხოლო №№ 17, 186, 310 სამარხები (ტაბ. III) – ე.წ. სკვითური ხანით – ძვ.წ. VII ს-ის II ნახ. და VI ს. [1, გვ. 125-132].

№ 591-ე სამარხის ინვენტარი, რომ უფრო ძველია, სხვა ფიგურებიან სამარხებზე, ცხადია. მაგრამ ერთგვარ ეჭვს იწვევს თვით ამ კომპლექსის „კომპლექსობა.“ ამ ეჭვის წყაროა გარკვეული შეუსაბამობა ფრ. ბაიერნისა [22, გვ. 38-40] და ვ. ვირუბოვის [11] აღწერილობაში. მაგალითად: ვ. ვირუბოვს ნახსენებიც კი არა აქვს ბრინჯაოს სარტყელი № 591-ე სამარხიდან, ხოლო ბრტყელი, წელზე შვერილებიანი ცული ტაბულაზე კი არის [11, ტაბ. III₅], მაგრამ კომპლექსის ინვენტარის ჩამონათვალში არ ჩანს [11, გვ. 29-30]. ბრინჯაოს სარტყელი არ ფიგურირებს ფრ. ბაიერნის ნაშრომშიც [22, გვ. 38-40]. ფაქტობრივად, № 591-ე სამარხს, როგორც კომპლექსს, ვიცნობთ ბ. კუფტინის ტაბულის მიხედვით [16, სურ. 23], რომელიც აგრეთვე ეჭვს იწვევს, რადგან ჩვენ არ ვიცით, რა საფუძველზეა იგი შექმნილი, და რატომ აღმოჩნდა მასზე უფრო მეტი ნივთები (მაგ.: სარტყელი, საქამრე მილაკები), ვიდრე ფრ. ბაიერნთან და ვ. ვირუბოვთან. ამასთანავე ბ. კუფტინის

ტაბულა კერამიკის გარეშეა გამოქვეყნებული, როგორც ჩანს, ფრ. ბაიერნის გათხრილი სამარხების კერამიკის გარჩევა მაშინაც კი შეუძლებელი იყო. სამარხების კერამიკასთან დაკავშირებული არეულობის გამო ეჭვს გამოთქვამს კ. ფიცხელაურიც. მისი ვარაუდით, ვ. ვირუბოვს, მასზე დაყრდნობით ფრ. ბაიერნს და შემდეგ ბ. კუფტინს შერეული აქვთ ორი სხვადასხვა (№ 600 და № 601) სამარხის ინვენტარი და ამ გამოცემებზე დაყრდნობით ამ კომპლექსთა გამოყენება დათარიღების საფუძველად გამორიცხული უნდა იყოს [9, გვ. 152-153].

მიუხედავად ამისა, თუ თვალს გადავავლებთ № 591-ე სამარხის ინვენტარის დღეისათვის მიღებულ დათარიღებებს, ასეთ სურათს ვღებულობთ: ბოლოკვეთილი მახვილები (ტაბ. I 1₂) ძვ.წ. XII ს. II ნახ. და IX ს-ით არის დათარიღებული [3, ტაბ. II_{5,13}; 39, გვ. 20-21]; დაახლოებით იგივე ხანას განეკუთვნება წვერმომრგვალებული მახვილებიც (ტაბ. I 1₁) [შდრ.: 1, გვ. 134; 2, გვ. 330; 3, ტაბ. II₂₀]. რ. აბრამიშვილის აზრით, წვერმომრგვალებულმახვილიანი სამარხები უფრო ადრეულია, ხოლო წვერკვეთილმახვილიანი სამარხები უფრო გვიანდელი. ამასთანავე წვერკვეთილი მახვილები უფრო განვითარებული სახის იარაღია [1, გვ. 136]; № 591-ე სამარხში ორივე ტიპის მახვილი ერთდროულადაა გვაქვს. ე.ი. სახეზე უნდა გვქონდეს დროის ის მონაკვეთი, როცა ისინი თანაარსებობენ. ცენტრალურამიერკავკასიური ცულები (ტაბ. I, 1₃) ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე არსებობენ [3, ტაბ. I₈₁, II₁₄; 31, გვ. 14]. ასევე ხანგრძლივია ბრტყელი გვერდითი შვერილებიანი ცულების (ტაბ. I 1₄) არსებობის ხანაც [1, ტაბ. I₆₄; 31, გვ. 16]. ბრინჯაოს ქუსლამოდარული ბრტყელი ისრისპირები (ტაბ. I 1₁) სკვითურ ხანამდე არიან [3, ტაბ. I₂₃; 29, გვ. 30]. რ. აბრამიშვილის აზრით, სამთავროში რკინის შუბისპირები მასრაზე ბრინჯაოს სალტით (ტაბ. I 1₉), ჩნდება და დამახასიათებელია მოჭიქულ თიხის ჭურჭელთან ერთად ორი ფენის სამარხებისათვის – ძვ.წ. XI-X და ძვ.წ. IX-VIII სს. [1, გვ. 135]. ამ ფენის გამოყოფისას მას სტრატეგრაფიული მონაცემებიც აქვს გათვალისწინებული [1, გვ. 135]. სამწუხაროდ, სტრატეგრაფიული მონაცემები არა გვაქვს ბაიერნისეული 591-ე სამარხისათვის. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მკვლევრის ის მოსაზრება, რომ რკინის იარაღის მეტ-ნაკლებობაც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია [1, გვ. 135]. რაც შეეხება მონაცრისფრო-მწვანედ მოჭიქულ ჭურჭელს, ქუსლგამოყვანილი ფენით, რომელიც № 591-ე სამარხში ყოფილა (ფრ. ბაიერნის მიხედვით,

„ლაქით“ დაფარული [იხ. 22, გვ. 34]), ბ. კუფტინის მიხედვით ურარტული ხანისაა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ვერ მოვიხილეთ [იხ. 15, გვ. 52]). კ. კუშნარიოვას ძვ.წ. IX ს-ზე ადრეულად არ მიაჩნია [17, გვ. 383-385]. საქართველოში უძველესი მოჭიქული ჭურჭლის გაჩენას ურარტულ ხანაში ვარაუდობს ნ. მამაიაშვილიც [4, გვ. 9]. ი. სულთანისშვილი № 591-ე სამარხის ჭურჭელს ძვ.წ. XI ს-ით ათარიღებს [8, გვ. 59].

ბრინჯაოს გრავირებული ჰინცეტები (ტაბ. I 1₄) სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კომპლექსებისათვის საკმაოდ დამახასიათებელი ნივთია (კოლხეთის სამაროვნები – ნიგვზიანი, ურეკი, დღვაბა, ერგეტა; ჩრდ.-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნები – წითელი შუქურა, ეშერა, ყულანურხვა; შიდა ქართლი – თლია; ჩრდ. კავკასია – ყობანი).

№ 591-ე სამარხის ბრინჯაოს სარტყლის (თუ ნამდვილად ამ სამარხს ეკუთვნის) (ტაბ. I 1₀) მსგავსი სარტყელი ცნობილია განთიადის სამაროვნიდან (მაშავერას ხეობა) ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული № 61 სამარხიდან, რომელშიც სამთავროს № 174-ე სამარხის მსგავსი რკინის მახვილიცაა აღმოჩენილი [13, გვ. 29-30, ტაბ. XXX, XXXI].

ამგვარად, № 591-ე სამარხის (კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ იგი ხელოვნურად შექმნილი კომპლექსი არ არის) ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. IX ან IX-VIII სს-ის მიჯნით შეიძლება განისაზღვროს. თუ ეს დასკვნა სწორია, რასაც მომავალი კვლევა და ახალი აღმოჩენები გვიჩვენებს, მაშინ სამთავროში ფიბულების არსებობა უწყვეტად ებმის ერთმანეთს და ტიპოლოგიური განვითარების დანახვაც შესაძლებელია (ეს უწყვეტობა არ გამოდის იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ № 591-ე სამარხის დათარიღებას ძვ.წ. XI-X სს-ით [1, ტაბ. I. შდრ.: 3, ტაბ. II]; ამ შემთხვევაში სამთავროს სამაროვანზე ფიბულების არსებობაში ლაკუნა ჩნდება).

და ბოლოს, რაც შეეხება № 591-ე სამარხის ფიბულას (ტაბ. I 1₅), რომელიც არაერთი მკვლევრის მიერ დაკავშირებულია ე.წ. სუბმიკენური ტიპის [24] ფიბულებთან [6, გვ. 202 და შემდ.; 16, გვ. 316]. რ. აბრამიშვილიც ამ ფიბულას ე.წ. სუბმიკენურ ტიპს მიაკუთვნებს და ქრ. ბლინკენბერგის ნაშრომზე დაყრდნობით ამბობს, რომ „ამ მშვილდსაკინძების მსგავსი მშვილდსაკინძები საბერძნეთში, საიდანაც ისინი იღებენ თავის ფორმებს, მხოლოდ ძვ.წ. XII-X სს. გვხვდება“ [1, გვ. 136]. № 591-ე სამარხის ფიბულასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, დასაზუსტებელია ერთი რამ: როგორც აღნიშნული აქვთ თავის ნაშრომებში ფრ. ბაიერნსა [22, გვ. 40] და პ. უეაროვას [14, კატ. 1671], სამთავროს № 591-ე სამარხის ფიბულა გრეხილრკალიანია (რომელიც ამჯერად, სამწუხაროდ,

დაკარგულია – ნ.ს.). იგი გამოქვეყნებულია ბ. კუფტინის ნაშრომებშიც [15, სურ. 74a; 16, გვ. 333, სურ. 23]. რ. აბრამიშვილის ნაშრომში [1, ტაბ. I₅₈] კი გამოსახულია სამთავროს № 600 სამარხის მრგვალგანივკვეთიანი თევზიფხურად შემკული ფიბულა. იგივე ფიბულაა გამოსახული მკვლევრის ბოლო ნაშრომშიც [3, ტაბ. II₃₂].

რადგან სამთავროს უძველესი ფიბულები საგანგებოდ არავის უკვლევია, ამ საკითხზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, სამთავროს ფიბულებიან სამარხებში სამი ფიბულაა ბრინჯაოსი (№№ 591, 600, 123 სამარხები). ბრინჯაოს ფიბულების ტიპოლოგიური განსაზღვრა შესაძლებელია (რასაც ვერ ვიტყვით რკინის ფიბულებზე მათი ცუდი დაცულობის გამო). ტიპოლოგიური განსაზღვრის, ტიპოლოგიური განვითარების სურათის დანახვის შესაძლებლობას კი სამარხთა ქრონოლოგიური განლაგება იძლევა. ირკვევა, რომ სამთავროს უძველესი ფიბულები შეიძლება დაჯგუფდეს კორპუსის მოყვანილობის მიხედვით. ამ ნიშნით სამთავროს ბრინჯაოს ფიბულები ორი ტიპისაა: I – ნახევაროვალურრკალიანი (№№ 591, 600 სამარხების ფიბულები – ტაბ. I 1₅; I 2₄), რომელიც ორი ქვეტიპით არის წარმოდგენილი – გრეხილრკალიანი და თევზიფხური ორნამენტით შემკული რკალით; II – ნახევარწრიუსებურრკალიანი (№ 123 სამარხიდან – ტაბ. I 3₄), რომელიც გრეხილრკალიანია. მნიშვნელობა აქვს ფეხისა თუ ბუდის მოყვანილობას, რკალის ღეროს განივკვეთის სიდიდეს. № 591-ე სამარხის გრეხილრკალიან ფიბულას ფეხი მოტეხილი აქვს, ხოლო რკალის ღერო წვრილია; № 123-ისა და № 600-ის ფიბულებს ფეხი რკალის სიმეტრიული აქვს; № 123-ის ფიბულა შედარებით მსხვილრკალიანია. ამგვარად, № 591 და № 123 სამარხების ფიბულები ორივე გრეხილრკალიანია, მაგრამ პირველი ნახევაროვალურრკალიანია, ხოლო მეორე ნახევარწრიუსებური. კომპლექსთა ქრონოლოგიის მიხედვით № 123 სამარხის ფიბულა უფრო ახალგაზრდაა, ხოლო № 591 სამარხის დაბალთადიანი ფიბულა უფრო ძველი. დაბალთადიანი და წვრილრკალიანი ფიბულები რომ უძველესია, ეს სხვა მასალითაც დასტურდება – მაგ.: თლიას სამაროვნის ადრეული ფიბულები [19, ტაბ. 39, 43, 45, 46, 49, 60, 72, 99], დიდმის კოლექციის ფიბულები ცენტრალურამიერკავკასიურ ცულლებთან და ბოლოკვეთილ მახვილებთან ერთად (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლ. № 6-60), ჩითახევისა (ი. ღამბაშიძის ცნობით, №№ 26. 58 სამარხი) და ურეკი – ნიგვზიანის ფიბულები [5, ტაბ. XXVII₃₍₉₄₈₎, XLI₂₍₁₄₁₇₎, 3(1416)].

სამთავროს № 591 სამარხის, და შესაბამისად ფიბულის, ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო განვსაზღვრეთ ძვ.წ. IX ან IX-VIII სს-ის მიჯნით. კვლევის ამ ეტაპზე ქვედა ზღვარის გავლება სამთავროს ფიბულებისათვის გვიჭირს.

ამიტომ № 591-ის გრეხილრკალიანი ფიბულის დაკავშირება მაინცდამაინც სუბმიკენურ ხანასთან მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

გრეხილრკალიანი ფიბულები, სხვადასხვა ტიპოლოგიური ნიუანსებით, ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. საბერძნეთში და ეგეოსის კუნძულებზე ამგვარი ფიბულები ჩნდება სუბმიკენურ ხანაში და არსებობს გვიანგეომეტრიულ-ადრე-არქაულ ხანამდე [32, გვ. 49-50]; იტალიაში მათი გაჩენა ისევე თარიღდება, როგორც საბერძნეთში [33, გვ. 20; 18, გვ. 14-15], ოლონდ ისინი ძვ.წ. VIII ს-ში თითქმის აღარ გვხვდება [27, გვ. 33]; ამგვარი ფიბულები ცნობილია ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდანაც (სამხ. გერმანია, ავსტრია, შვეიცარია), სადაც ძველი ურნათა ხანის ბოლოს, დაახ. ძვ.წ. XIX ს. მიეკუთვნებიან [27, გვ. 80]. მსგავსი ფიბულები ცნობილია იუგოსლავიიდანაც [23, გვ. 65]; გრეხილრკალიანი ფიბულები ცნობილია ბულგარეთის მასალებიდანაც. სპეციალურ ლიტერატურაში ისინი თარიღდებოდა ძვ.წ. VIII-VII სს-ით. ამჯერად დ. გერგეროვა ანალოგიებზე დაყრდნობით შესაძლებლად მიიჩნევს მათ დათარიღებას ძვ.წ. XII-IX სს-ით [29, გვ. 7, 20]; გრეხილრკალიანი ფიბულა თურქეთიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ტროადან [25, გვ. 414, ფიგ. 43]. ფიბულას დიდი სპირალი აქვს, მაგრამ არა აქვს ბუდე, რის გამოც ქრონოლოგიისათვის აუცილებელ ტიპოლოგიურ ანალიზს არ ემორჩილება. მას ტროა VIII-ს წინა ხანას მიაკუთვნებენ [25, გვ. 31]; გრეხილრკალიანი ფიბულები აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიის ძეგლებზეც – ყოზანი, კუმბულთა, რუთხა, არხონი [20, გვ. 54-56, ტაბ. XXX_გ, LXXXVIII_გ, CIV_ქ]. ისინი ხასიათდებიან მძიმე კორპუსითა და განიერი ბუდით, რაც ტიპოლოგიურად მათ გვიანდლობაზე უნდა მეტყველებდეს.

№ 600 სამარხის ფიბულისათვის, რომელიც ნახევაროვალური მოყვანილობისაა, ხოლო რკალის ზურგი შემკული აქვს თევზიფხური ორნამენტით (ანალოგიური ფიბულები არის თლიაში, ჩითახევში), უცხოურ მასალებში პარალელი ვერ მოვიძიეთ. თევზიფხური შემკულობა არ არის ტიპიური ეგეოსური ფიბულებისათვის. ამგვარი შემკულობა უფრო იტალიისა და იუგოსლავიის ტერიტორიის ფიბულებისათვის არის დამახასიათებელი [იხ.: 33; 28; 21].

საბერძნეთისა და იტალიის მაგალითზე მეცნიერები [32, გვ. 41-42] თვლიან, რომ უძველესი რკალისებური ფიბულები განვითარდნენ ე.წ. ხემისებური ფიბულების შესაბამისი ფორმებიდან. ჩვენთან ხემისებური ფორმა არ არის. მაგრამ გარკვეული განვითარების თვალის გადავხედვა მაინც შეიძლება. იქნებ სწორედ ეს ნახევაროვალური ფიბულები იყო დასაწყისი კავკასიის ფიბულებისა? ეს სულაც არ გამორიცხავს, რომ იყო ცალკეული იმპულსებიც. მაგ., ასიმეტრიული მუხლისებური ფიბულა ზმეისკოე-

დან [12, გვ. 28, სურ. 8_კ], რომლის ჩრდ. კავკასიაში მოხვედრა კოლხეთის გზის გაუთვალისწინებლად ძნელი ასახსნელია, და ნავისებური ფიბულა ახალი ათონიდან [7, გვ. 11-12].

N. Sulava

TOWARDS DATING THE BURIALS WITH FIBULAE AT THE NECROPOLIS OF SAMTAVRO

(Summary)

Arched single-piece fibulae were discovered in nine complexes at the necropolis of Samtavro, viz.: 591, 600 (excavated by Bayern), 123/1939, northern section, 19/1938, northern section, 174/1940, northern section, 186/1940, northern section, remains of burial 41/1947, northern section, 310/1948, northern section, 276/1947, northern section.

The complexes are pit burials. The fibulae from burials 591, 600, 123 are of bronze, the rest being of iron.

As is generally known, the fibula from burial 591 is considered to be one of the oldest in the Caucasus. It is dated either to the 2nd millennium B.C. (G. Nioradze, R. Abramishvili, and others) or the 8th-7th cent. B.C. (B. Kufin, B. Piotrovski, I. Voronov and others).

Burial 600 is dated to the period of the Kingdom of Urartu [15, p. 70, pl. 74b].

The rest of the burials, which were specially studied by R. Abramishvili, are dated by him to the first half of the 8th-7th cent. B.C. (123, 174, 41, 276), the second half of the 7th cent. and the 6th cent. B.C. (17, 186, 310) [1, pp. 125-134].

Although the complexes excavated by Fr. Bayern give rise to doubt (because the lists of the grave goods excavated by V. Vyrubov and Fr. Bayern do not coincide with each other and it is impossible to make out the pottery — see 11, 22), according to the grave goods of burial 591 and the dates [1; 2; 3; 31] we have at present, the *terminus ad quem* may be set as 9th century B.C. or at turn of the 9th cent. With such dating the existence of complexes with fibulae in Samtavro is continuous, allowing retracing their typological development (cf. 1 and 3). It appears that the outline of the oldest fibulae of Samtavro were semioval (type I), represented by two sub-types; twisted arc fibula and fibula with fish-bone pattern (from burial 600), then semi-circular-arc fibulae were in use (type II).

It may be hypothesized that type I was the initial form of fibulae in the Caucasus, separate impulses not being ruled out, i.e. asymmetric cranked fibula from Zmeiskoe whose existence in the Northern Caucasus is difficult to explain without taking into consideration the Colchian route and boat-shaped fibula from Novy Afon.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 115-143.

2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, ტ. XXII-B, 1961, გვ. 291-383.

3. აბრამიშვილი რ. ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. – საქართველოს მეც. აკად. აკც-ის თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1, თბ., 1997.

4. მამაიაშვილი ნ. ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში. თბ., 1976.

5. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.

6. ნიორაძე გ. ზემო ავჭალის სამარე. – სსმმ, ტ. VI, 1931, გვ. 139-229.

7. სულაგა ნ. საქართველოში აღმოჩენილი ნავისებური ფიბულა. – საქართველოს მეც. აკად. აკც-ის V სამეც. სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო.“ თბ., 1998, გვ. 11-12.

8. სულთანაშვილი ი. საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მოჭიქული ჭურჭელი. – არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მეცნიერებართა სამეც. სესიის მასალები). თბ., 1977, გვ. 55-65.

9. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (მეც. XV-VII სს.). თბ., 1973.

10. Воронов Ю. Н. Кавказские дуговидные фибулы раннежелезной эпохи. – КСИА, № 176, 1983, с. 29-34.

11. Вырубов В. Предметы древности в хранилище "Общества любителей кавказской археологии." Тифлис, 1877.

12. Деоник Д. В., Крупнов Е. И. Змейское поселение кобанской культуры. – Арх. раск. р-не Змейской Сев. Осетии, Орджоникидзе, 1961, с. 11-36.

13. Кахиани К. К., Иремашвили Ш. А., Иорданишвили Ж. В., Цквитинидзе З. Р. Археологическая экспедиция Машаверского ущелья. – ПАИ, 1982 (1985), с. 29-31.

14. Коллекции Кавказского Музея, Изд. Г. И. Радде, т. V, Археология, сост. П. С. Уварова, Тифлис, 1902.

15. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

16. Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – ВГМГ, XXII-B, 1944, с. 291-410.

17. Кушнарева К. Х. Археологические раскопки 1954 г. в окрестностях Ходжалы. – МИА, 67, 1959, с. 370-388.

18. Пиотровский Б. Б. Археология Закавказья. Л., 1949.

19. Техов Б. В. Тли I, Тб., 1980.

20. Уварова П. С. Материалы по археологии Кавказа. Т. VIII. М., 1900.

21. Batovic S. Die Eisenzeit auf dem gebiet des illyrischen Stammes der Liburnen Archäologia Jugoslavica, VI, Beograd – MCMLXV. s. 55-77.

22. Bayern Fr. Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, ZE Supplement, Berlin, 1885, s. 29-60.

23. Betzler P. Die Fibeln in Süddeutschland Österreich und der Schweiz I, PBF, XIV, Band 3, München, 1974.

24. Blinkenberg Ch. Fibules Grecques et Orientales, Kobenhavn, 1926.

25. Caner E. Fibeln in Anatolien I. – PBF. XIV. Band 8. München, 1983.

26. Dörpfeld W. Troja und Ilion, Athen, 1902.

27. Egg M., Pare Ch. Die Metallzeiten in Europa und in Vorderen Orient. Mainz, 1995.

28. Von Eles Masi P. Le fibule dell'Italia settentrionale. – PBF. XIV. Band 5. München, 1986.

29. Gergova D. Fruh- und ältereisenzeitliche Fibeln in Bulgarien. – PBF. XIV. Band 7, München, 1987.

30. Nioradze G. Der Verwahrfund von Kwe-mo-Sasirethi (Georgien, Rayon Kaspi). – ESA. VII. Helsinki, 1932, s. 82-97.

31. Picchela K. Waffen der Bronzezeit aus Ost-Georgien, Archäologien in Eurasien. – Band 4, DAI, Eurasien Abteilung, Berlin, 1997.

32. Sapouna-Sakellerakis E. Die Fibeln der grichischen Inseln. – PBF. XIV. Band 4. München, 1978.

33. Sundwall J. Die älteren Italischen Fibeln, Berlin, 1943.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. სამარხი № 591 (ბ. კუფტინის მიხედვით [16, სურ. 23]); 2. სამარხი № 600 (ბ. კუფტინის მიხედვით [15, სურ. 766]); 3. სამარხი № 123. (რკინის მახვილის გარეშე [იხ. 2, ტაბ. VII₂, XI 2₃].

ტაბ. II – 1. სამარხი № 174 [2, ტაბ. XIII₁]; 2. სამარხი № 41; 3. სამარხი № 276.




ტაბ. III – 1. სამარხი № 17; 2. სამარხი № 186; 3. სამარხი № 310 (რკინის მახვილის გარეშე) [იხ. 2, ტაბ. XI 2₄].

Description of Plates




Pl. I – 1. Burial 591 [according to B. Kuftin – 16, fig. 23]; 2. Burial 600 [see 15, fig. 76b]; 3. Burial 123 (iron sword missing) [2, pl. VII₂, XI_{2,3}];




Pl. II. – 1. Burial 174 [see also 2, pl. XIII₁]; 2. Burial 41 (relics of burial); 3. Burial 276;

Pl. III. – 1. Burial 17; 2. Burial 186; 3. Burial 310 (iron sword missing) [see 2, pl. XI].



Պատ. II






მინის სანელსაცხებლების – KOHL-TUBE-ების ბაზრცემობა საქართველოში

საქართველოში აღმოჩენილ ადრეანტიკურ და ელინისტური ხანის მინის ნაწარმში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვიწრო, წაგრძელებულტანიანი, მილისებრდრუიანი სანელსაცხებლები, რომელთაც სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ სახელწოდებით „Kohl-tube“ [10, გვ. 23-36; 12, გვ. 86-87]. „Kohl“ არაბულად ნიშნავს ქუთუთოების საღებავს. აღნიშნულ სანელსაცხებლებს, სწორედ, ქუთუთოების კოსმეტიკური საღებავის შესანახად იყენებდნენ [10, გვ. 28]. Kohl-tube-ების საკმაოდ დიდი ჯგუფი შეისწავლა დ. ბარაგმა, რომელმაც თავის ნაშრომში მოგვცა კლასიფიკაცია, დათარიღება და, რაც მთავარია, ნათელი მოპოვინა მათ დამზადების ტექნიკას [10, გვ. 23-36].

დღეისათვის საქართველოში აღმოჩენილ Kohl-tube-ების არც თუ ისე მრავალრიცხოვანი კოლექცია გვაქვს – სულ შვიდი ჭურჭელია, მაგრამ იგი იმდენად საინტერესოა როგორც დამზადების ტექნიკის, ასევე ფორმებისა და შემკულობის თვალსაზრისით, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ კოლექციის საგანგებოდ შესწავლა.

საქართველოს ტერიტორიაზე Kohl-tube-ი პირველად 1947 წელს აღმოაჩინა ბ. კუფტინმა წალკის რაიონში სოფ. კუშში ჩატარებული გათხრების დროს [8, გვ. 8-9, ტაბ. II, 18, სურ. 2]. იგი (სურ. 1) შავი ფერის გაუმჭვირვალე მინისაა; სწორი, ვიწრო ცილინდრული ტანით; აქვს გადმოწეული, დაკბილული ტუჩი და ბრტყელი ძირი. ზედაპირი დაფარულია შავი ფერის მინისავე ძაფის 23 ხვით, რომელთაგან ოთხი ყელზეა ერთმანეთის პარალელურად შემოხვეული; მის ქვემოთ კი ძირამდე ძაფები ფრთისებრ ორნამენტს ქმნის. სიმაღლე – 8,8 სმ.⁶



სურ. 1

ნელსაცხებლის დანიშნულება გაურკვეველი იყო. მისი ვარაუდით იგი ან სანელსაცხებლე უნდა ყოფილიყო ან მარაოს ტარი [8, გვ. 8-9]. ბ. კუფტინმა ანალოგების მოძებნა ვერ მოახერხა, თუმცა იგი მაშინვე იმპორტულ ნივთად მიიჩნია [8, გვ. 9]. კუშის

სამარონის № 3 სამარხს, რომელშიც Kohl-tube-ი აღმოჩნდა, ბ. კუფტინი აქემენიდური ხანის მიწურულით ათარიღებდა [8, გვ. 10]. შეისწავლა რა თრიალეთის სამაროვნები, მათ შორის კუშის სამაროვანიც, ი. გავოშიძემ აღნიშნული სამარხი ძვ.წ. IV ს. შუა ხანებით დაათარიღა [1, გვ. 50-53, № 111-3]. ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღებენ ჩრდილო-დასავლეთ ირანში (ირანის აზერბაიჯანში) ნაპოვნ კუშის ჭურჭლის მსგავს სანელსაცხებლებს, რომელთაგან ერთი (№ 111) თითქმის იდენტურია ჩვენი ცალისა [14, გვ. 50, № 109, 111]. კუშის სანელსაცხებლესთან ახლოს დგას დ. ბარაგის მიერ შესწავლილი Kohl-tube-ების ის ჯგუფი, რომელსაც იგი 11B ქვეჯგუფში აერთიანებს [10, გვ. 31, ფიგ. 32, 35]. ვფიქრობთ, კუშის ჭურჭელიც ამავე ქვეჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.⁷



სურ. 2

მეორე Kohl-tube-ი საქართველოში კარგა ხნის შემდეგ, 1961 წელს აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე გათხრილ № 6 სამარხში [9, გვ. 69, სურ. 5; 5, გვ. 117, სურ. 64; 4, გვ. 83-84, № 396]. იგი სრულიად განსხვავებულია ზემოთ აღწერილი სანელსაცხებლისაგან: მუქი იისფერი გაუმჭვირვალე მინისაა; აქვს მომრგვალებული პირი დაკბილული ტუჩით; ვიწრო, დაბალი ყელი და ოთხწახნაგა ტანი, რომელიც ძირისკენ ვიწროვდება და მრგვალი ძირით თავდება. მხრებზე კუთხეებში მიმაგრებული აქვს ოთხი შვერილი. ტანის შუა ნაწილი შემკულია თეთრი ფერის ზიგზაგებით დაფარული ფართო სარტყლით, რომელიც ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია თეთრი და ყვითელი ფერის ზოლებით. სიმაღლე – 7,7 სმ (სურ. 2).⁸

ადრეულ ნაშრომებში ვანის სანელსაცხებლეს უწოდებდნენ ალაბასტრონს [9, გვ. 69, სურ. 5; 5, გვ. 117, სურ. 64], რასაც ეძახიან ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებულ მინის

⁶ ნაშრომში განხილული ყველა სანელსაცხებლე ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში. კუშის Kohl-tube-ის ინვ. № 179-65:7, თრიალეთის ფონდი.

⁷ ჩრდილო-დასავლეთ ირანში (ირანის აზერბაიჯანში) აღმოჩენილი კუშის ცალის ანალოგიური Kohl-tube-ებიც დ. ბარაგმა 11B ქვეჯგუფში მოათავსა [10, გვ. 31, ფიგ. 34-35].

⁸ ინვ. № 07:1-61/62, 50.

ჭურჭელს.⁹ Kohl-tube-ი ალბასტრონისაგან განსხვავდება არა მხოლოდ ტიპოლოგიურად, არამედ დამზადების ტექნიკითა და დანიშნულებითაც (ამაზე ქვემოთ). ასე რომ, Kohl-tube-ი მინის ჭურჭლის დამოუკიდებელი ფორმაა.

ვანის Kohl-tube-ი ძალზე მდიდრული ინვენტარის შემცველი და კარგად განსაზღვრული კომპლექსიდან მომდინარებს და თარიღდება ძვ.წ. V-IV სს. [4, გვ. 86, № 396]. ასევე ათარიღებს ვანის ჭურჭლის შემცველ სამარხს დ. ბარაგიც, რომელიც თავის ნაშრომში საგანგებოდ განიხილავს მის ინვენტარს და კომპლექსის თარიღად ძვ.წ. V ს. – ადრეულ IV ს. ასახელებს [10, გვ. 24-25]. ვანის სანელსაცხებლე დ. ბარაგისეული კლასიფიკაციის IA ქვეჯგუფშია გაერთიანებული [10, ფიგ. 5, IA3].¹⁰ საინტერესოა, რომ ვანის ჭურჭელი აღმოჩნდა ბერძნულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ სანელსაცხებლეთა ტიპებთან – ამფორისკებთან და ოინოხოასთან ერთად [4, გვ. 84, კატ. 392-395].



სურ. 3

საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში, 25 წელზე მეტ ხანს, ზემოთ აღწერილი ორივე სანელსაცხებლე უნიკალურ ნივთებად ითვლებოდა საქართველოსთვის. მხოლოდ 1987 წელს აღმოჩნდა კიდევ ერთი (სურ. 3) Kohl-tube-ი ალგეთის ხეობაში თეთრიწყაროს რაიონის სოფ. შავსაყდარა II სამაროვანზე. იგი მოთეთრო-მოცისფრო-ზედაპირიანია, გაუმჭვირვალე მინისა; ოდნავ გადაშლილი დაბრტყელებული პირით; სწორი, ცილინდრული ტანით, რომელიც ძირზე გადასვლისას მომრგვალებულია და ბრტყელი ძირით თავდება – ძირი შუა ნაწილში შიგნით არის შეზნექილი. ზედაპირზე პირიდან ძირამდე სპირალურად არის დახვეული ცისფერი მინის ძაფი, რომელიც ყელზე წვრილია, შემდეგ კი შედარებით მსხვილდება; ტუჩს გარშემოყვება ცისფერი მინის ზოლი. პირი ორგან ამომტვრეულია; ტანის ქვედა ნაწილი და ძირი მომტვრეული აქვს.

⁹ ალბასტრონი მაღალი, ცილინდრულტანიანი სანელსაცხებლეა, რომელსაც აქვს გადაშლილი პირი, ვიწრო ყელი, მომრგვალებული ძირი და ჩამოსაკიდებლად განკუთვნილი ორი ყური [11, გვ. 59].

¹⁰ დ. ბარაგი I ჯგუფში აერთიანებს ოთხწახნაგა სანელსაცხებლეებს, რომელთაც მხრებზე კუთხეებში მიმაგრებული აქვთ შვერილები და წიბოების შემკულობის მიხედვით მასში გამოყოფს სამ ქვეჯგუფს. IA ქვეჯგუფს მკვლევარი აკუთვნებს სადაწიბოიან Kohl-tube-ებს და სწორედ ამის გამო ათავსებს მასში ვანის ცალსაც [10, გვ. 26-27]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში აღმოჩენილი Kohl-tube-ებიდან დ. ბარაგისათვის მხოლოდ ვანის სანელსაცხებლეა ცნობილი.

მინა გადანატეხში მუქი ლურჯია (მოშავო); ირიზებულია. სანელსაცხებლეში შემორჩენილია შავი ფერის სქელი მასა. სიმაღლე – 6,8 სმ [2, გვ. 24, ტაბ. XVII₅, XXIV₂].

აღწერილი სანელსაცხებლე სამარხეულ კომპლექსში არ აღმოჩენილა, მაგრამ როგორც გამოხრელი ვარაუდობს, იგი შავსაყდარა II სამაროვნის რომელიღაც მდიდრულ სამარხს უნდა ეკუთვნოდეს; სამაროვნის მდიდრული სამარხები კი ძვ.წ. IV-III სს. მიჯნის ახლო ხანებით თარიღდება, რაც როგორც ფიქრობენ, სრულიად მისაღებია სანელსაცხებლისათვისაც [2, გვ. 62]. იგი მსგავსია ცილინდრული Kohl-tube-ისა, რომელიც ტოლედოს მუზეუმში ინახება და ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება [12, გვ. 86, № 33]. ორივე ჭურჭელი დ. ბარგის კლასიფიკაციის IIA ქვეჯგუფს უნდა მიეკუთვნოს [10, გვ. 31, ფიგ. 26-27, 31].



სურ. 4

1990 წელს ისევ ალგეთის ხეობაში, წინწყაროს რაიონის სოფ. ენაგეთთან გათხრილ № 16 სამარხში აღმოჩნდა კიდევ ერთი Kohl-tube-ი (სურ. 4), რომელიც მუქი ლურჯი, მოშავო გაუმჭვირვალე მინისაა; აქვს დაბალი ყელი, ოთხწახნაგა ტანი, რომელიც ძირისკენ თანდათან ვიწროვდება. ზედაპირზე მოცემულია თეთრი და ყვითელი ფერის ტეხილი ზოლებით დაფარული ორი სარტყელი, რომელიც ცისფერი ზოლებითაა შემოსაზღვრული. კუთხეებში როგორც მხრებზე, ასევე ძირზე მიმაგრებულია ოთხ-ოთხი შვერილი. სანელსაცხებლე გადატეხილია; გადანატეხში მინა შავია [13, გვ. 156, სურ. 17b].

ენაგეთის ჭურჭელი ოთხწახნაგა სანელსაცხებლეებისაგან გამოირჩევა იმით, რომ მას გარდა მხრებზე მიმაგრებული ოთხი შვერილისა, დამატებით, ძირზეც აქვს შვერილები. ამ ნიშნით იგი უახლოვდება კორნინგის მინის მუზეუმში დაცულ ცალს, რომელსაც დ. ბარაგი უნიკალურად მიიჩნევს და ვანის Kohl-tube-თან ერთად IA ქვეჯგუფში ათავსებს [10, ფიგ. 6 IA4]. მაშასადამე, ენაგეთის სანელსაცხებლეც ამავე ქვეჯგუფში უნდა მოთავსდეს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ძირზე მიმაგრებული შვერილები ისეთი დეტალია, რის გამოც მკვლევარს კორნინგის მუზეუმის ჭურჭელი უნდა მოეთავსებინა ცალკე ქვეჯგუფში, სადაც ენაგეთის ცალიც შევიდოდა.

ძვ.წ. V ს. დასასრულით, ან უკიდურეს შემთხვევაში, IV ს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს

¹¹ საყურადღებოა, რომ Kohl-tube-ის კუთხეებში მიმაგრებულ წახნაზარდებს ოთხშვერილიან საკუროთხველის იმიტაციად მიიჩნევენ [10, გვ. 27].

№ 16 სამარხი, რომელშიც Kohl-tube-თან ერთად აღმოჩნდა ქვიშის გულაზე დამზადებული კარგად ცნობილი სანელსაცხებლის ტიპი – ამფორისკი [13, გვ. 156, სურ. 17]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქამდე მხოლოდ ვანში იყო დადასტურებული ასეთი ფაქტი (იხ. ზემოთ). დღეისათვის კი ენაგეთის სამაროვანზე უკვე მეორე ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საინტერესოა, რომ ეს დადასტურდა თანადროულ სამარხებში.



სურ. 5

ორი ოთხწახნაგა Kohl-tube-ი აღმოჩნდა, აგრეთვე, ქარელის რაიონში სოფ. ტახტისძირის სამაროვანზე 1996 წელს. ერთი მათგანი (სურ. 5) მუქი შავი გაუმჭვირვალე მინისაა. მისი ოთხწახნაგა ტანი ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება და მრგვალი ძირით თავდება. ტანი შემკულია თეთრი ფერის ტეხილი ზოლებით; თავსა და ბოლოში კი მოცემულია ორ-ორი ყვითელი და თეთრი ფერის ზოლი. მხრებზე ოთხივე კუთხეში შვერილები უნდა ჰქონოდა; ოთხივე შვერილი და პირი მოტეხილი აქვს. შერჩენილი სიმაღლე – 7,4 სმ.

სანელსაცხებლე დ. ბარაგის კლასიფიკაციის IA ქვეჯგუფთან იჩენს სიახლოვეს [10, ფიგ. 5, IA3; ფიგ. 9, IA7], ამიტომაც, ვფიქრობთ, იგი აღნიშნულ ქვეჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.




სურ. 6

მეორე Kohl-tube-ი (სურ. 6) მეტად განსხვავდება პირველისაგან: მისი ზედაპირი მოთეთრო-მოყვითალო ფერისაა; აქვს მრგვალი და დაკბილული პირი, დაბალი ყელი. ოთხწახნაგა ტანი ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება და ბრტყელი, ოთხკუთხა ძირით თავდება. მხრებზე ოთხივე კუთხეში მიმაგრებულია შვერილები. ტანი შემკულია მოყვითალო ფერის ფრთისებრი ორნამენტით. პირზე მოყვითალო ფერის ზოლებია მოცემული. ყელზე შემოხვეულია მოყვითალო ფერის მინის ძაფი. ოთხივე წახნაგს სიგრძეზე ჩამოუყვება მუქი ყვითელი ფერის ზოლები, რომლებიც ძირამდე აღწევს. ერთი შვერილი მოტეხილი აქვს; ტანი სამადაა გატეხილი; გადანატეხში მინა შავია (მუქი ლურჯი?); ირიზებულია. სიმაღლე – 9,1 სმ.¹²

სანელსაცხებლე უნდა მიეკუთვნოს დ. ბარაგის კლასიფიკაციის IB ქვეჯგუფს, სადაც ზოლებით შემკული წახნაგებიანი Kohl-tube-ებია

გაერთიანებული [10, გვ. 26-27, ფიგ. 15, 16, 18].¹³

ტახტისძირის ორივე სანელსაცხებლე აღმოჩნდა სამაროვნის № 8 მდიდრულ სამარხში, რომელსაც გამოხრელი ი. გაგომიძე ელინისტური ხანის დასაწყისით ათარილებს [3] ორივე ჭურჭელში შემორჩენილი იყო შავი ფერის მკვრივი მასა.



სურ. 7

და ბოლოს კიდევ ერთი Kohl-tube-ის შესახებ: ტახტისძირის სამაროვანზე № 18 სამარხში აღმოჩნდა მოთეთრო-მოციფრო ნახევრადგამჭვირვალე მინის სანელსაცხებლის ყელ-პირი, რომელიც, ვფიქრობთ,

ცილინდრულტანიანი სანელსაცხებლისა უნდა იყოს; პირი დაკბილულია და შემკული მოთეთრო-მოყვითალო ზოლებით; ყელს გარშემო შემოუყვება, აგრეთვე, მოციფრო-მოყვითალო ზოლები (სურ. 7).¹⁴ ცილინდრული სანელსაცხებლე, რომელსაც აღწერილი ფრაგმენტი ეკუთვნის, ალბათ, უნდა გაერთიანდეს IIA ქვეჯგუფში, სადაც დ. ბარაგი ცილინდრულ Kohl-tube-ებს ათავსებს [10, გვ. 35]. ი. გაგომიძე ფრაგმენტის შემცველ № 18 სამარხს ძვ.წ. IV ს. დასასრულით ათარილებს [3].¹⁵

როგორც დავინახეთ, საქართველოში აღმოჩენილი Kohl-tube-ები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ მათ აერთიანებს ერთი მთავარი – დამზადების ტექნიკა; მეტისმეტად ვიწრო და წაგრძელებული ტანი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი ქვიშის გულაზე კი არ მზადდებოდა, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ, არამედ თითოეული მათგანი ლითონის დერაკზე უნდა იყოს ჩამოსხმული [10, გვ. 25-26].

დ. ბარაგის მიერ შესწავლილი Kohl-tube-ების საკმარის დიდი ჯგუფიდან, მხოლოდ სამი ჭურჭელი მომდინარეობს კარგად დათარილებული კომპლექსიდან; აქედან ერთი ვანის კომპლექსია, რომლის თარიღად იგი ძვ.წ. V ს. – ადრეულ IV ს. მიიჩნევა. დანარჩენი ორიდან – ერთი ნიმრუდშია აღმოჩენილი ძვ.წ. VI-V სს. სამარხში, მეორე კი – გალექუტიში ძვ.წ. V ს. სამარხულ კომპლექსში [10, გვ. 25].¹⁶ ამის საფუძველზე დადგინდა Kohl-tube-ების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო – ძვ.წ. VI-IV ს.

¹³ აღნიშნულ ქვეჯგუფს აკუთვნებს დ. ბარაგი, აგრეთვე, ზოლებით შემკულ Kohl-tube-ებს, რომლებიც ე. ოპერლენდერის კოლექციაში ინახება [14, გვ. 52, 101, 104].

¹⁴ იხ. № 7-997:339; დედოფლის მინდვრის ფონდი.

¹⁵ გამოხრელებს მიაჩნიათ, რომ ფრაგმენტი მძივად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

¹⁶ გალექუტი მდებარეობს კასპიის ზღვის სამხრეთით, 61 კმ-ზე [10, გვ. 25].

¹² ტახტისძირის ორივე სანელსაცხებლე ინახება დედოფლის მინდვრის ფონდში; იხ. № 7-997:155-156.

დასაწყისი. თუმცა დ. ბარაგს ამ ტიპის ჭურჭლისათვის უფრო შესაფერის თარიღად ძვ.წ. V ს. მიაჩნია [10, გვ. 25]. ტახტისძირის Kohl-tube-ების აღმოჩენით კი გაირკვა, რომ მათი წარმოება ელინისტურ ხანაშიც გრძელდებოდა. ეს კი, თავისთავად ზრდის აღნიშნული ტიპის ჭურჭლის გავრცელების ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

საინტერესოა, რომ Kohl-tube-ებს ბერძნული სამყარო არ იცნობს, რაზედაც მეტყველებს მათი გავრცელების არეალი [10, გვ. 29]. ვარაუდობენ, რომ ისინი მზადდებოდა ჩრდილო-დასავლეთ ირანში და ამ ტიპის ყველა ჭურჭელს ირანულ (დასავლეთ სპარსულ) პროდუქციად მიიჩნევენ [14, გვ. 48, 50-51; 10, გვ. 28; 12, გვ. 86-87].

დ. ბარაგის აზრით, Kohl-tube-ის აღმოჩენა ვანში, ასე შორს ირანიდან შემთხვევითი კონტაქტების შედეგი უნდა იყოს [10, გვ. 28]. საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენა შვიდი Kohl-tube-ისა, რომელთაგან ექვსი აღმოსავლეთ საქართველოშია ნაპოვნი, შემთხვევითობით ვერ აიხსნება; ისინი აქემენიდურ ხანაშივე შემოდიოდა ქართლში და როგორც ჩანს, აქედან ხვდებოდა კოლხეთშიც [3]. ვფიქრობთ, აღნიშნული სანელსაცხებლები საქართველოში სახმელეთო გზით უნდა მოხვედრილიყო ჩრდილო-დასავლეთი ირანიდან.

ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საქართველოში უკვე ორი შემთხვევა დადასტურდა Kohl-tube-ების აღმოჩენისა ბერძნულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ მინის ჭურჭელთან ერთად, ერთ სამარხში (იხ. ზემოთ). ვფიქრობთ, ეს უნდა მიგვანიშნებდეს ერთი მხრივ იმაზე, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ორივე ტიპის ჭურჭელი ძვ.წ. V-IV საუკუნეებში ერთდროულად შემოდიოდა ჩვენში; მეორე მხრივ კი იმაზე, რომ ამ დროს საქართველოში მოქმედებდა ორი ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული გზა: ერთი – შავი ზღვის სანაპიროდან, სადაც ბერძენ მოახალშენეთა სამარხებში (ფიჭვნარი) გვხვდება ხმელთაშუაზღვის აუზიდან მომდინარე მინის ჭურჭელი [6, ტაბ. I₁; 7, ტაბ. VI₂], მიემართებოდა აღმოსავლეთით შიდა ქართლისაკენ და აღწევდა ქვემო ქართლს; ხოლო მეორე გზა – ქვემო ქართლიდან შიდა ქართლში და აღწევდა კოლხეთს [3]. პირველი გზით მოხვდა, ალბათ, ამფორისკი ენაგეთში, ხოლო მეორე გზით – Kohl-tube-ი ვანში.¹⁷

¹⁷ ჯერჯერობით ენაგეთი პირველი გზით შემოღწეული მინის ჭურჭლის გავრცელების უკიდურესი პუნქტია ქვემო ქართლში; ხოლო ვანი – Kohl-tube-ების გავრცელების უკიდურესი პუნქტი დასავლეთ საქართველოში.

საქართველოში აღმოჩენილ სამ Kohl-tube-ში, როგორც ზემოთ ითქვა, შემორჩენილია შავი ფერის მასა, რომელსაც დ. ბარაგი ქუთუთობის კოსმეტიკურ საღებავად მიიჩნევს. ასეთივე შავი მასა აღმოჩენილია მისთვის ცნობილ ოთხ ჭურჭელშიც; ერთში კი ჩარჩენილია ბრინჯაოს ღერო, რომლითაც საღებავს იღებდნენ [10, გვ. 28].¹⁸ აქედან ჩანს, რომ Kohl-tube-ი იმპორტის საგანი იყო – იგი ქუთუთობის კოსმეტიკური საღებავის ტარად გამოიყენებოდა; ამასთანავე, დაკავშირებული იყო სამელოვიარო რიტუალთან.¹⁹

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დ. ბარაგის მიერ შესწავლილი 47 ნიმუშიდან, როგორც ითქვა, მხოლოდ სამია დოკუმენტირებული; ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი შვიდივე ჭურჭელი გეგმაზომიერი გათხრებით არის მოპოვებული და მყარად დათარიღებული კომპლექსებიდან მომდინარეობს.

M. Saginashvili

DISTRIBUTION OF KOHL-TUBE GLASS UNGUENTARIA IN GEORGIA

(Summary)

Among the glass vessels of the Early classical and Hellenistic periods discovered in Georgia narrow oblong shaped glass unguentaria claim attention. In the specialist literature they are called "Kohl-tubes" [10, pp. 23-36; 12, pp. 86-87]. "Kohl" means paint for eye lids in Arabic. The unguentaria in question were used precisely for keeping cosmetic paints for the eyelids [10, p. 28].

To date seven Kohl-tube-s have been discovered in Georgia: six were found in Kartli (Eastern Georgia), one in Colchis (Western Georgia), on the Vani City Site. Three of the unguentaria from Western Georgia are cylindrical (figs. 1, 3, 7) and three quadrangular (figs. 4, 5, 6). The one discovered in Vani is also quadrangular (fig. 2). These vessels differ from each other not only in shape but in decoration as well. They have one common feature: the technique of manufacture. Their very narrow and oblong shape points to the fact that they were not made on a sand as thought earlier, but cast on a metal core [10, pp. 25-26]. It is generally believed that they were made in north-western Iran and all the vessels of this type are assumed to be of West-Persian production. The Kohl-tubes discovered in Georgia were probably made in north-western

¹⁸ სანელსაცხებლე, რომელშიც ბრინჯაოს ღეროა ჩარჩენილი ე. ოპენლენდერის კოლექციაში ინახება [14, № 105].

¹⁹ საქართველოში აღმოჩენილი ყველა Kohl-tube-ი, როგორც დავინახეთ, სამარხშია აღმოჩენილი.

Iran, finding their way from there into Kartli by land and apparently from here into Colchis.

In three unguentaria, discovered in Georgia, a black, solid mass was preserved, believed to have been a cosmetic paint [10, p. 28]. Kohl-tubes were used as container for this paint. They were also connected with burial customs – all the seven unguentaria were registered in burials.

Kohl-tubes discovered on the territory of Georgia alter to some extent the univervally adopted chronological frame of their distribution: beginning of the 6th -early 4th cent. B.C.

The unguentaria found at the necropolis of Takhtisdziri, Eastern Georgia, proved that their manufacture continued into the Hellenistic period. Interestingly enough, all the seven unguentaria were found in Georgia during excavations and in dated archaeological complexes.

ლიტერატურა

1. **გაგოშიძე ი.** თრიალეთის სამაროვნები. კატალოგი, III, თბ., 1982.

2. **მარგიშვილი ს.** ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. თბ., 1992.

3. **საგინაშვილი მ., გაგოშიძე ი.** აქემენიდური ხანის მინის ჭურჭელი საქართველოში. – მოხსენება წაკითხული საერთაშორისო სიმპოზიუმზე „იბერია (ქართლის სამეფო) აქემენიდურ და პოსტაქემენიდურ ხანაში“ (ხელნაწერი), 1997.

4. **ფირცხალავა მ.** მინის ჭურჭელი. – ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 79-86.

5. **ხოშტარია ნ., ფუთურიძე რ., ჭყონია ა.** ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 111-133.

6. **ჩხაიძე ლ.** ადრეანტიკური ხანის იმპორტული მინის ჭურჭლები ფიჭვნარის ნაქალაქარის ბერძენ მოახალშენეთა სამაროვნიდან. – სლსმ, IV, 1974, გვ. 34-48.

7. **ჩხაიძე ლ.** ახლად აღმოჩენილი იმპორტული სანელსაცხებლე ჭურჭლები ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვნიდან. – სლსმ, VIII, 1979, გვ. 38-40.

8. **Куфтин Б. А.** Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.

9. **Хоштария Н. В.** Археологические раскопки в Вани. – კაკვასიურ ახლო აღმოსავლური კრებული, თბ., 1962, გვ. 65-80.

10. **Barag D. P.** Rod-formed Kohl-tubes of the mid-first Millennium B.C. – JGS, XVII, 1975, p. 23-36.

11. **Fossing P.** Glass Vessels before Glass-blowing, Copenhagen, 1940.

12. **Grose D. F.** The Toledo Museum of Art, Early Ancient Glass, Core-Formed, Rod-formed and Cast Vessels and Objects from the Late

Bronze Age to the Early Roman Empire, 1600 B.C. to A.D. 50, New York, 1989.

13. **Lordkipanidze O. D.** Recent Discoveries in the Field of Classical Archaeology in Georgia – Ancient Civilizations from Scythia to Siberia. – An International Journal of Comparative Studies in History and Archaeology, vol. 1, № 2, Leiden, 1994, p. 127-168.

14. **Saldern A., Nolte B., Baum P., Haevernik E.** Gläser der Antike, Sammlung Ervin Oppenländer, Köln, 1974.

სურათების აღწერილობა

სურ. 1. ცილინდრულტანიანი შავი ფერის გაუმჭვირვალე მინის სანელსაცხებლე. წალკის რაიონი, სოფ. კუში.

სურ. 2. მუქი იისფერი გაუმჭვირვალე მინის ოთხწახნაგა სანელსაცხებლე. ვანი.

სურ. 3. ცილინდრულტანიანი მუქი ლურჯი გაუმჭვირვალე მინის სანელსაცხებლე. თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. შავსაყდარა.

სურ. 4. მუქი ლურჯი, მოშავო ფერის გაუმჭვირვალე მინის ოთხწახნაგა სანელსაცხებლე. თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. ენაგეთი.

სურ. 5. მუქი შავი ფერის გაუმჭვირვალე მინის ოთხწახნაგა სანელსაცხებლე. ქარელის რაიონი, სოფ. ტახტისძირი.

სურ. 6. შავი ფერის (მუქი ლურჯი?) გაუმჭვირვალე მინის ოთხწახნაგა სანელსაცხებლე. ქარელის რაიონი, სოფ. ტახტისძირი.

სურ. 7. მოთეთრო-მოცისფერო ნახევრადგამჭვირვალე მინის ცილინდრულტანიანი სანელსაცხებლის ყელ-პირი. ქარელის რაიონი, სოფ. ტახტისძირი.

Description of the Figures

Fig. 1 – Black opaque glass unguentarium with cylindrical body, v. Kushchi, Tsalka district.

Fig. 2 – Dark-violet tetrahedral unguentarium, Vani.

Fig. 3 – Dark-blue opaque glass unguentarium with cylindrical body, v. Shavsagdara, Tetrtsqaro district.

Fig. 4 – Black opaque glass unguentarium with tetrahedral body, v. Enageti, Tetrtsqaro district.

Fig. 5 – Dark-black opaque glass unguentarium with tetrahedral body, v. Takhtisdziri, Kareli district.

Fig. 6 – Black opaque glass unguentarium with tetrahedral body, v. Takhtisdziri, Kareli district.

Fig. 7 – Fragment of a whitish-bluish semi-transparent glass unguentarium of cylindrical form, v. Takhtisdziri, Kareli district.

თინათინ ქანიშვილი

თინის სანელსაცხებლეები დედოფლის გორის სასახლიდან

დედოფლის გორის სასახლის მრავალრიცხოვან თინის ჭურჭელში გვხვდება იმპორტული ნაწარმიც.²⁰ თინის სანელსაცხებლეები²¹ ამ კატეგორიას განეკუთვნება. სასახლის ტერიტორიაზე თინის ხუთი სანელსაცხებლე და ერთი კოსმეტიკური დანიშნულების ჭურჭელი დადასტურდა. ერთი სანელსაცხებლე (საინვ. № 6217) № 13 ოთახში აღმოჩნდა, დანარჩენი – სასახლის კულტურულ ფენებში. აქედან ორი (საინვ. №№ 2628, 2629) 1926 წელს ორგორის ტერიტორიაზე (შემდგომში გათხრილი სასახლის ფენები) ლ. ტიტვინიძემ სხვა ნივთებთან ერთად აკრიფა და „ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის“ შესწავლა.

სანელსაცხებლეებიდან ორს (საინვ. №№ 2628, 6217) აკლია პირ-ყელის ნაწილი; ერთი (საინვ. № 1195) მხოლოდ ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი; ასევე ფრაგმენტებადაა შემორჩენილი კოსმეტიკური დანიშნულების ჭურჭელიც.

სანელსაცხებლეებში გამოიყო ოთხი ვარიანტი:

I ვარიანტი (საინვ. № 2628; ტაბ. I): სანელსაცხებლე, კოლბისებური. პირგადმოკეცილი; სფერულმუცლიანი; ვიწრო, ბრტყელძირიანი. მონაცრისფრო; ალაგ მოწითალო (ჟანგისფერი). ზედაპირი ატკეცილ-აქერცილია ცეცხლში მოხვედრის შედეგად. ამიტომ ჭურჭლის პირვანდელი ფერის დადგენა ვერ მოხერხდა. თინა კარგადაა განლექილი; შეიმჩნევა მცირედენი წვრილი მინარეგები (ქარსი, სილა). ნაკეთობა ნაზი და თხელკედლიანია. ფორმითა და თინის სტრუქტურით სანელსაცხებლე სასახლეში აღმოჩენილი ნაწარმისგან განსხვავებულია. ეს ჭურჭელი სანელსაცხებლის ბოთლისებური ტიპის ერთ-ერთი ვარიანტია. სანელსაცხებლე მსგავსია კორინთოში ახ.წ. შუა ხანებით დათარიღებულ სასახლის ფენებში აღმოჩენილ სანელსაცხებლისა [19, გვ. 159, სურ. 99]. სასახლის ჭურჭელს ასევე პარალელი ეძებნება ბულგარეთის შავიზღვისპირა ანტიკურ ქალაქ ანხი-ალოს მახლობლად მდებარე სამაროვნის № 1

სამარხში აღმოჩენილ სანელსაცხებლესთან. სამარხი ძვ. და ახ.წ. მიჯნით თარიღდება [12, გვ. 25, სურ. 3ხ, 6ხ]. ამ ტიპის სანელსაცხებლე გვხვდება აგრეთვე ისრაელის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ს. მეორე ნახევარში [11, გვ. 17] და ღურა-ევროპოსის № 24 სამარხში, რომელიც ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. თარიღდება [18, ტაბ. XLVI]. ჩრდილო შავიზღვისპირეთის ანტიკურ ცენტრებში მსგავსი სანელსაცხებლე არ ჩანს. სასახლის ამ ტიპის სანელსაცხებლე, შესაძლოა, ძვ. და ახ. წ. მიჯნით დათარიღდეს.

II ვარიანტი (საინვ. № 2629; ტაბ. I₂): სანელსაცხებლე, მონაცრისფრო; კვერცხისებურ-ტანიანი (ბოთლისებური); ვიწრო, ბრტყელი ძირით. თინა წმინდადაა განლექილი; შეიცავს ქარსის მცირედენ მინარეგებს. ფრაგმენტულად ჩანს მოწითალო (ჟანგისფერი) შეფერილობა. ცეცხლში მოხვედრის გამო ზედაპირი აქერცილი და ფერშეცვლილია. ამიტომ ჭურჭლის პირვანდელი ფერის დადგენა ჭირს. ტანზე შემოუყვება მკრთალი ჩაღარული სარტყლები. ნაკეთობა ნაზია, თხელკედლიანი, მინის მსგავსი. ჭურჭლის ფორმა უჩვეულოა, სასახლის ნაწარმისგან განსხვავებული.

ბოთლისებური ფორმის, ბრტყელძირიანი სანელსაცხებლეები ჩნდება ძვ.წ. I ს-დან, როდესაც ქრება თითისტარისებური სანელსაცხებლეები ანუ უნგვენტარიები [10, გვ. 111]. სანელსაცხებლების ამ ტიპს ელინისტური ხანის უნგვენტარიების ფორმის შემკვიდრედ მიიჩნევენ [16, გვ. 463, 467]. სასახლის სანელსაცხებლე ფორმითა და თინის ფაქტურით მსგავსია კორინთოში, სამხრეთ სტოას ახ.წ. I ს. ფენაში დადასტურებულ მოყავისფრო, ყელთან შავლაკიან, თეთრი საღებავის სარტყლებით შემკულ სანელსაცხებლის [2, გვ. 467]. ასეთივე ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია ათენში ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. სამარხებში და ათენის აგორას რომაულ ფენაში [13, გვ. 127, 129, ტაბ. 45, 46; 17, სურ. 37]; ღურა-ევროპოსის №№ 24 (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) და 7 (ახ.წ. I-II სს.) სამარხებში. ღურა-ევროპოსის სანელსაცხებლეები დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწარმად ითვლება [18, გვ. 106, სურ. 22, ტაბ. XXXVIII, XLVI]. ამავე ტიპის სანელსაცხებლეები გვხვდება შავიზღვისპირეთის ანტიკურ ცენტრებში: მირმეკიონის ერთ-ერთ სათავსში, მითრიდატე VIII (39-45 წწ.) მონეტასთან, პერგამონულ წითელლაკიან ქოთანთან და თასთან ერთად, რომლებიც ახ.წ. I ს. დასაწყისით თარიღდება [8, გვ. 17, სურ. 67]; აგრეთვე, ტირიტაკის სამაროვნის № 4 სამარხში წითელლაკიან ღოქთან ერთად, რომელიც ახ.წ. I ს. პირველ ათწლეულს განეკუთვნება [7, გვ. 216-217, სურ. 83,2]. მსგავსი სანელსაცხებლე არტუხოვის VII სამარხში ახ.წ. I ს. თარიღდება [9, გვ. 131, სურ. 63]. ბულგარეთში, სტაროზავორსკის რ-ნში, ადგილ „ჩატალკას“ სამაროვანზე ახ.წ. I ს. შუა ხანე-

²⁰ სტატია გათვალისწინებულია გრანტით – JNTAS Ref. NO:96-0054.

²¹ დედოფლის გორა მდებარეობს ქარელის რ-ნში, სოფ. დოღლაურთან, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის ფციის წყლის შესართავის მახლობლად. 1986-1989 წწ. გათხრებს აწარმოებდა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე).

²² სანელსაცხებლეები: ინვ. A №142^b-2629; A №142^b-2628 ინახება შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში; ინვ. 27-977:1073, 27-977:6217, 27-977:1195 და კოსმეტიკური დანიშნულების ჭურჭელი ინვ. 27-977:1194 ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „დედოფლის მინდვრის“ ფონდში.

ბით დათარიღებულ № 1 სამარხში დედოფლის გორის სასახლის მსგავს ბრინჯაოს ნივთებთან ერთად (სურები, ოინოხოია, პატერა, კოვხები და სხვ.) ამ ტიპის სანელსაცხებლეს დადასტურდა [14, გვ. 45, 65, ტაბ. 216]. ასეთივე სანელსაცხებლები ხშირად ჩანს მცირეაზიულ ნაწარმშიც [16, გვ. 463, 467], მაგრამ მათი წარმოების ცენტრად მაინც იტალია ითვლება [15, გვ. 86-87].

ამრიგად, ამ ტიპის სანელსაცხებლები უმთავრესად ახ.წ. I ს. პირველ ნახევარშია გავრცელებული მთელ რომაულ სამყაროში. ამავე ხანით შეიძლება დათარიღდეს სასახლის სანელსაცხებლეს.

ახ.წ. I ს. დასასრულისათვის მასიურად ჩნდება ცილინდრულყელიანი და კონუსურტანიანი სანელსაცხებლები [12, გვ. 27]. სწორედ ამ ტიპისაა ჩვენ მიერ გამოყოფილი მესამე ვარიანტი.

III ვარიანტი (საინვ. №№ 1073, 6217; ტაბ. I 3-4). ამ ჯგუფში გაერთიანებულია ორი სანელსაცხებლე, რომელთათვისაც დამახასიათებელია კონუსური, წაგრძელებული ტანი; ფართო, ბრტყელი ძირი; მალალი, წაგრძელებული ყელი; თხელი და ბრტყელი, გადმოკეცილი პირი. ორივე ჭურჭელი გამოძვარია მოყავისფრო-მოწითალოდ; თიხა შეიცავს მინარეგებს (ქარსი, სილა); ზედაპირი ხაოიანია, არათანაბრად, უხეშად ნაძერწი. ერთ მათგანს (საინვ. № 1073) შიგნიდან ტანსა და ყელზე შემოუყვება გოფირებული, ჩალარული სარტყლები. ამგვარი სარტყლები დამახასიათებელია ძირითადად რომაული ხანის სანელსაცხებლებისათვის. ისევე როგორც პირველი და მეორე ვარიანტის სანელსაცხებლეს, ამ ტიპისა და ფორმის ჭურჭელი სასახლის ნაწარმისათვის უცხოა. მსგავსი წითლადგამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი სანელსაცხებლე აღმოჩნდა გარნისის ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ № 32 სამარხში [3, გვ. 53, სურ. 21]. ასეთივე სანელსაცხებლები ცნობილია ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქებიდან, მაგრამ ამ ტიპის ჭურჭელი მცირეაზიულ ვარიანტად ითვლება და ახ.წ. I ს. თარიღდება [16, გვ. 467, სურ. 243d]. ასევე, ახ.წ. I ს. შეიძლება მივაკუთნოთ სასახლის სანელსაცხებლეს.

IV ვარიანტი (საინვ. № 1195; ტაბ. I₅) სანელსაცხებლის პირ-ყელის ნატეხი. მორუხო-მოყავისფრო; პროფილირებული პირით. დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისაგან. თხელკედლიანია; ყელზე შემოუყვება ლაკირებული(?) სარტყელი. ყელი გოფირებულია. თიხის მალალი ხარისხი, უნგვენტარიებისათვის დამახასიათებელი გოფირებული პირი, ლაკის ნიშნები, შესაძლოა მის ადრეულობაზე მიგვანიშნებდეს. თუმცა, კორინთოში, სამხრეთ სტოას ახ.წ. I ს. ფენაში აღმოჩენილია ამგვარი ტიპის პირ-ყელის ნატეხი [16, გვ. 467]. ჭურჭლის ფრაგმენტულობის გამო დასკვნების გაკეთება ძნელია.

სასახლეში აღმოჩნდა ერთი უჩვეულო ფორმის, მცირე ზომის, დახვეწილი ნაკეთობის, მოთეთრო-მონაცრისფროდ გამოძვარი, თხელკედლიანი, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი და ქუსლიანი თიხის ჭურჭელი (საინვ. № 1194, ტაბ.

I₆). ვარაუდით, იგი კოსმეტიკური დანიშნულების უნდა ყოფილიყო. რაც კიდევაც დადასტურდა ღურა-ევროპოსის № 37 სამარხში აღმოჩენილი კოსმეტიკური დანიშნულების მსგავსი ჭურჭლით. ღურა-ევროპოსის № 37 სამარხი ძვ.წ. I ს. თარიღდება [18, გვ. 104, ტაბ. LI]. ასევე შეიძლება დათარიღდეს სასახლის ეგზემპლარიც.

სანელსაცხებლების განხილვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. სასახლის სანელსაცხებლები ყველა ბრტყელიძირიანია; ფორმით სხვადასხვა. თიხის შემადგენლობით, ფაქტურით, ადგილობრივ ნაწარმისაგან განსხვავებული. უმეტესობას პარალელები ეძებნება რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებში (ათენის აგორა, კორინთო, ბულგარეთის ტერიტორია, ღურა-ევროპოსი, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და სხვ.). ე.ი. ყველა სანელსაცხებლე შემოტანილი ნაწარმა.

2. სანელსაცხებლის თარიღს, სხვა მრავალრიცხოვან მასალასთან ერთად, გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა სასახლის ფუნქციონირების თარიღის (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) განსაზღვრისათვის.

3. სანელსაცხებლები, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ფუფუნების საგანს, რომლებითაც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მდიდარი ფენა სარგებლობდა. ამდენად, სანელსაცხებლები, დედოფლის გორის ძეგლის ფუნქციონალური დანიშნულების განმსაზღვრელი ერთ-ერთი კომპონენტია.

4. სანელსაცხებლები, რომლებიც ძვ.წ. IV ს. ლეკითოსების ნაცვლად გამოიყენებოდა და დაკრძალვის რიტუალის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, ძირითადად სამარხებშია აღმოჩენილი. თუმცა, ხშირად ჩნდება ისინი კულტურულ ფენებშიც. ამის ერთ-ერთი გამოვლენაა დედოფლის გორის სასახლის ნიშნები, რომლებიც ახალი ფორმებით ამდიდრებს საქართველოში აქამდე ცნობილ თიხის სანელსაცხებელთა კოლექციას.

5. სასახლეში აღმოჩენილი სანელსაცხებლები ძირითადად ახ.წ. I ს. თარიღდება, რაც რომაულ სამყაროსთან იბერიის სამეფოს იმ აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობის გამოძახილია, რომელიც სწორედ ახ.წ. I ს. იწყება.

გვიანელინისტური ხანის დასასრულსა და გვიანანტიკური ხანის დასაწყისისათვის, სანელსაცხებლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა დედოფლის გორის სასახლისა, შემდეგ პუნქტებიდან არის ცნობილი: სამადლო, ჟინვალი, მცხეთა და ურბნისი.²³

სამადლოს ნაქალაქარის (მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, სოფ. ქსანთან, მცხეთიდან 15 კმ-ზე) კულტურულ ფენებში სანელსაცხებლების სხვადასხვა ტიპები დადასტურდა. ელინისტური ხანის უნგვენტარიების ფრაგმენტების გარდა, რომლებიც ძვ.წ. IV ს. დასასრულითა და ძვ.წ. III ს. პირველი ნახევრით ან შუა ხანებით დათარიღდა [4, გვ. 42-43, ტაბ. IX, 596; 5, გვ. 34, ტაბ. XLI, 596].

²³ ურბნისის მასალა გამოქვეყნებული არ არის.

სამადლოს ამფორისკის მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა აგრეთვე ახალი ჟინვალის (მდ. არაგვის ხეობა) ელინისტური ხანის ნამოსახლარზე. ამფორისკი ძვ.წ. II-I სს. განეკუთვნება [2, გვ. 12].

სანელსაცხებლეები ცნობილია აგრეთვე მცხეთიდან (ტაბ. I)²⁴. სამთავროში აღმოჩენილი ღია მოყავისფრო, მალაყელიანი, კონუსურტანიანი, ბრტყელპირიანი სანელსაცხებლე და მცხეთაში, 1951 წელს ორფერდასახურავიან ქვისფილებიან სამარხში დადასტურებული ასეთივე სანელსაცხებლე, თანმხლები ინვენტარის მიხედვით ახ.წ. I-II სს. დათარიღდა. ეს სანელსაცხებლეები შემოტანილი ნაწარმია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ამავე პერიოდის მინის სანელსაცხებლეების ფორმების მიბაძვითაა დამზადებული და შესაძლებელია იმ ცენტრებიდან მომდინარეობდეს, საიდანაც მინის ყელმადალი სანელსაცხებლეები [1, გვ. 523-524, სურ. 3].

ასეთია, იმპორტული კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი სახეობის – თიხის სანელსაცხებლეების გავრცელების არეალი ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ანტიკური ხანის იმპორტული კერამიკა აღმოსავლეთ საქართველოსათვის შედარებით იშვიათი მოვლენაა. ამიტომ თიხის სანელსაცხებლეების აღმოჩენა და შესწავლა საინტერესო მასალას იძლევა როგორც კონკრეტულად ძეგლის, ასევე ანტიკური ხანის იბერიის სამეფოსა და რომის იმპერიის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შესახებ.

T. Chanishvili

CLAY UNGUENTARIA FROM DEDOPLISGORA (Summary)

Five clay unguentaria (pl. II-4) and a vessel for cosmetic purposes (pl. 15) were discovered among the pottery found at the palace of Dedoplistgora (v. Doghlauri, Kareli distriert).

The unguentaria are of different shape; they differ from the local products by the clay composition. All of them were imported products and their parallels can be found with the unguentaria discovered in different centres of the Roman World (Athenian Agora, Corinth, Dura-Europos, etc).

Materials from the palace enrich the collection of clay unguentaria known in Georgia with new shapes.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ქ. სამთავროში აღმოჩენილი უცხოური იერის თიხის ჭურჭელი. – სმამ, ტ. XXX, № 4, 1963, გვ. 521-526.

2. რამიშვილი რ. ნაქალაქარი ჟინვალი. – მმ, № 47, 1978, გვ. 11-18.

3. **Аракелян Б. Н.** Результаты работ Гарнийской археологической экспедиции 1951–1955 гг. Гарни II. Ереван, 1957.

4. **Гагошидзе Ю. М.** Самадло Тб., 1979.

5. **Гагошидзе Ю. М.** Самадло Каталог. Тб., 1981.

6. **Гайдукевич В. Ф.** Античные города Боспора. Мирмекий. Л., 1987.

7. **Гайдукевич В. Ф.** Некрополи некоторых Боспорских городов. – МИА, № 69, 1959, с. 154–238.

8. **Гайдукевич В. Ф.** Раскопки Мирмекия в 1935–1938 гг. – МИА, № 25, 1952, с. 135–220.

9. **Максимова М. Н.** Артюховский курган. Л., 1979.

10. **Погребова Н. П.** Погребения в мавзолее Неополя Скифского – МИА, № 96, 1961, с. 103–183.

11. **Ancient Pottery of Erez-Yisrael.** Jerusalem-Israel, 1959.

12. **Балабанов П.** Могилно погребения на богота Тракийска от Анхиало – Археология, кн. 3, София, 1979, p. 23–32.

13. **Boulter Cedric G.** Groves in Lenormant street Athens. – Hesperia, v. XXXVI, № 2, 1963, p. 113-137.

14. **Буюклиев Х.** Тракийският могилен некропол при Чатилка Старозагорски окръг. – Разкопки и проучвания. Кн. XVI, София, 1986.

15. **Heyes J. W.** Handbook of Mediterranean Roman Pottery. London, 1998.

16. **Heyes J.W.** Roman Pottery from the South Stoa at Corinth. – Hesperia, vol. 42, № 4, 1973, p. 416-470.

17. **The Athoman Agora.** Princeton, New Jersey, 1971.

18. **The Excavations of Dura-Europos** conducted by Yale University and the French Academy of Inscriptions and Letters. London, 1946.

19. **Wright K. S.** A Tiberian Pottery Deposit for Corinth. – Hesperia, vol. 49, № 2, 1980, p. 135-177.

ტაბულის აღწერილობა


ტაბ. I – 1-5. თიხის სანელსაცხებლეები დედოფლის გორის სასახლიდან. 6. თიხის კოსმეტიკური დანიშნულების ჭურჭელი. 7. თიხის სანელსაცხებლე მცხეთიდან.

Description of the Plate

Pl. I – 1-5. Clay unguentaria from the palace of Dedoplistgora. 6. Clay vessel for cosmetic purposes. 7. Clay unguentaria from Mtskheta.

²⁴ ტაბულა შესრულებულია ე. გომარელის მიერ.

ჭაბ. I



ირინე ვარშალომიძე

რომაული ხანის მონეტების განმი გონიო-აფსაროსიდან

გონიო-აფსაროსი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია. აფსაროსის ქალაქური ცხოვრების, პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ორიენტაციის კვლევისათვის პირველხარისხოვან წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს ნუმიზმატიკური მონაპოვარი.

1998 წელს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. აწ გარდაცვლილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. დ. ხახუტაიშვილი) გონიოს ციხის ტერიტორიაზე სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ზედაპირიდან 1,45 მ სიღრმეზე მიაკვლია რომაული ხანის ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც 42 ერთეულისაგან შედგებოდა.²⁵ განძი, როგორც ჩანს, ქიხის იყო მოთავსებული. შემორჩა მხოლოდ შესაკრავად გამოყენებული ვერცხლის თხელი ფირფიტა. მონეტები კარგადაა დაცული. მოხერხდა 41 ეგზემპლარის ზუსტი განსაზღვრა-ატრიბუცია.²⁶ ისინი მოჭრილია შემდეგი მმართველების სახელებით: 1) ტიბერიუსი (14-37 წწ.) – 1 ცალი, დენარი (ტაბ. I₁); 2) პოლემონ II (49-63 წწ.) – 4 დრაქმა, მათგან 1 მოჭრილია 56/57 წლებში (ტაბ. I₂), 2-57/58-ში (ტაბ. I₃); 3) ვესპასიანე (69-79 წწ.) – 1 დენარი, მოჭრილია 75 წელს (ტაბ. I₄); 4) ტრაიანე (98-117 წწ.) – 3 დენარი (ტაბ. I₅₋₆); 5) ადრიანე (117-138 წწ.) – 5, 2 – დენარი, ერთი მოჭრილია 125-128 წწ. (ტაბ. I₇), 2 – 121/2 წწ. მოჭრილი დიდრაქმა (ტაბ. I₈), 1 – ნახევარდრაქმა; 6) ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.), 1 – 134 წ. მოჭრილი, დენარი (ტაბ. I₉); 7) ფაუსტინა II (161-176 წწ.), 1 დენარი (ტაბ. I₁₀); 8) მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.) ან კომოდუსი (117-192 წწ.), 1 დენარი (ტაბ. II₁₁); 9) კომოდუსი, 1 დენარი (ტაბ. II₁₂); 10) სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) – 9, 1 – 210 წელს მოჭრილი დენარი (ტაბ. II₁₃), 8 დრაქმა – 1 – 203, 2 – 205, 1 – 206, 2 – 208 (ტაბ. II₁₄), 1 – 210 (ტაბ. II₁₅), 1 – 211 წლებშია მოჭრილი; 11) იულია დომნა (=217 წ.) – 5 დრაქმა, 1 – 197 (ტაბ. II₁₆), 1 – 207 (ტაბ. II₁₇), 1 – 208, 2 – 210 წლებშია მოჭრილი; 12) კარაკალა (198-217 წწ.) – 7, 2 – დენარი, 1 – 199 წელსაა მოჭრილი (ტაბ. II₁₈), 5 დრაქმა, 2 – 206 (ტაბ. II₁₉), 1 – 207, 1 – 211 წლებშია გამოცემული; 13) გეტა (209-212 წწ.), 2, 1 – 203 წელს მოჭრილი დენარია (ტაბ. II₂₀), მეორე 213 წლის დრაქმა (ტაბ. II₂₁).

ზარაფხანების მიხედვით განძის მონეტები ასე ჯგუფდება: ლუგდუნუმი (გალია) – 1 (ტიბერიუსი), პონტოს სამეფო – 4 (პოლემონ II),

რომი – 14 (ვესპასიანე – 1, ტრაიანე – 3, ადრიანე – 2, ანტონინუს პიუსი – 1, კომოდუსი ან მარკუს ავრელიუსი – 1, კომოდუსი – 1, ფაუსტინა II – 1, სეპტიმიუს სევერუსი – 8, იულია დომნა – 5, კარაკალა – 5, გეტა – 1). კესარიული მონეტებიდან 1 ნახევარდრაქმა (ადრიანე), 19 დრაქმა, 2 – დიდრაქმა (ადრიანე). განძის ბირთვის შეადგენს III საუკუნის დასაწყისის მონეტები.

ამდენად, განძის ადრეული მონეტაა ტიბერიუსის (14-37 წწ.) დენარი, გვიანდელი გეტას სახელით 213 წელს მოჭრილი დრაქმა. ქრონოლოგიური ჩარჩო განძის ადრეულ და გვიანდელ მონეტებს შორის 176 წელია. განძის ტეზავრაცია მოხდა 213 წლის შემდეგ.

აღნიშნული განძი აფსაროსის ციხეში I-III სს. მდგომი რომაული გარნიზონის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ, მოკლედ შევეხებით ძეგლის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს.

ცნობილია, რომ კოლხეთის სამეფო ძვ.წ. II საუკუნის ბოლოს თუ I საუკუნის დასაწყისში მითრიდატე IV პონტოელის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა [6, გვ. 119-152; 26, გვ. 76; 27, გვ. 119-130]. რა თქმა უნდა, აფსაროსსაც პონტოს სამეფო დაეუფლა. ძვ.წ. 65 წელს პონტო რომაელთა სარდალმა პომპეუსმა გაანადგურა და კოლხეთში რომაელები გაბატონდნენ. ძვ.წ. 40 წელს რომაელებმა აღადგინეს პონტოს სამეფო [34, გვ. 304]. მის შემადგენლობაში კოლხეთთან ერთად შევიდა აფსაროსიც [21, გვ. 113]. 63 წელს ნერონმა გააუქმა პოლემონური პონტო. ის გალათიის პროვინციაში იქნა შეყვანილი, თვლიან, რომ იგივე ბედი ეწია კოლხეთსაც [22, გვ. 171].

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პოლემონისა და მისი მემკვიდრეების დროს, ვიდრე კოლხეთი რომის იმპერიის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა პუნქტებში იდგა პონტოელთა გარნიზონები, რომლებიც შემდგომ რომაელთა ლეგიონერებმა შეცვალეს [13, გვ. 40-42].

ახ.წ. 77 წლით დათარიღებულ ნაშრომში გაიუს პლინიუს სეკუნდუსი მოიხსენიებს მდინარე აფსარს და ამავე სახელობის ციხე-სიმაგრეს. ე.ი. ამ დროს აფსაროსი მოქმედი ციხეა, რაც აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალებითაც დასტურდება [11, გვ. 26-27; 8, გვ. 129; 9, გვ. 88-101].

ახ.წ. 72 წლიდან დომიციანეს მმართველობაში (81-96 წწ.) კოლხეთი, როგორც ფიქრობენ, შედიოდა „კაპადოკიურ კომპლექსში“, შემდეგ კი ცალკე ჩამოყალიბებული კაპადოკიის პროვინციის ნაწილად გვევლინება [31, გვ. 48].

134 წელს იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) დავალებით აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, და

²⁵ მონეტებთან ერთად იყო ამავე პერიოდის

ვერცხლის ბეჭედი

²⁶ ერთი ცალი მონეტა დაუანგული იყო, განსაზღვრა არ მოხერხდა

მათ შორის აფსაროსშიც, იმოგზაურა და იქ არსებული მდგომარეობა აღწერა „პერიპლუსში“ კაპადოკიის ლეგატმა ფლავიუს არიანემ [2, გვ. 35].

აფსაროსის რომაული გარნიზონის შესახებ ცნობებს გვაწვდის სხვა წყაროებიც. იტალიაში, ნოლას მახლობლად, აბელაში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით მარკუს პრეტორიუს ცელერი, რომელიც ტრაიანემ დააჯილდოვა პართიის ომში (113-117 წწ.) მონაწილეობისათვის, ერთ დროს ასრულებდა რომაელთა იმ სანაპირო ჯარების მეთაურის მოვალეობას, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ პონტოს აფსაროსში [28, გვ. 310-311]. მნიშვნელოვანია ფაიუმში (ეგვიპტე) აღმოჩენილი II საუკუნით დათარიღებული პაპირუსის ფრაგმენტი, რომელიც აფსაროსის ვეტერანის მიერაა დაწერილი. აქ მოხსენიებულია აფსაროსში მდგარი კლაუდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი [19, გვ. 135-136]. აღნიშნული კოჰორტის დგომა აფსაროსში ნივთიერი მასალითაც დასტურდება [14, გვ. 122].

IV ს. რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის რუკაზე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა კასტელუმებისაგან განსხვავებით, აფსაროსი აღნიშნულია სქემატური გამოსახულებით [17, გვ. 82-83]. ცნობილია, რომ იგი იყენებდა I-II ს. წყაროებს [32, გვ. 226].

ამავე პერიოდის ამსახველ ცნობებს უნდა გვაწვდიდეს პროკოფი კესარიელი (VI ს.): „ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრით და ჰიპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია“ [16, გვ. 94-95].

ახ.წ. III ს. ავტორი იპოლიტე რომაელი ასახელებს აფსაროსს, როგორც სამხედრო ბანაკს [15, გვ. 20]. ასევე ბანაკის სახელით მოიხსენიებს აფსაროსს ევსევი კესარიელი (260-340 წწ.) [15, გვ. 32]. აქვე გარდაიცვალა ქრისტიანობისათვის წამებული ორენტიოსის ორი თანამოაზრე [18, გვ. 415].

აფსაროსის ციხეს III-IV სს. მიჯნაზე დროებით შეუწყვეტია ფუნქციონირება. ამ პერიოდის კულტურულ ფენებს ემჩნევა ნგრევის კვალი [1, გვ. 29]. ამის შემდეგ აფსაროსის ციხე განაგრძობდა რომაელთა სამხედრო ბანაკის მოვალეობის შესრულებას IV ს. I ნახევრამდე [1, გვ. 30-31; 21, გვ. 118].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია გვიანანტიკური ხანის რამდენიმე განძი: ლურჯულში (გერზეული) ხ30ჯბ ნაბაკევი [25], ეკში [3], სეფიეთში [12; 3], ბიჭვინთაში [4; 20]. გონიოს განძში ჩამოთვლილი განძებისაგან განსხვავებით გვხვდება პონტოური ფული. პოლემონ II მონეტები დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია გალში [35, №27, 29, № 174], სოფ. ფახულანში (წალენჯიხის რაიონი) [35, № 175], ბიჭვინთაში [4, გვ. 282], სოფ. წყალთაშუაში (ბაღდადის რაიონი) [7, გვ. 120]. როგორც

ფიქრობენ, „პოლემონურ“ პერიოდში კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში პონტოური ფული წამყვან როლს ასრულებდა [7, გვ. 122].

პოლემონ II დრაქმების აღმოჩენა აფსაროსის ტერიტორიაზე ბუნებრივად გვეჩვენება. მაგრამ გაცვლას იწვევს ის ფაქტი, რომ ისინი აქ გამოვლინდა II-III სს. რომსა და კესარიაში მოჭრილ მონეტებთან ერთად. აღნიშნული საფასეების მიმოქცევა III ს. პირველ ნახევარში პირველად დაფიქსირდა საქართველოში.

რაც შეეხება განძის სხვა მონეტებს, რომელიც პროლექცია წარმოდგენილია 14 ერთეულით. ვესპასიანეს, ფაუსტინას, ანტონინუს პიუსის, სეპტიმიუს სევერუსის სახელით მოჭრილი დენარები გონიოს ციხეში ცალკეული ერთეულების სახითაც არის მოპოვებული [9, გვ. 88-101]. რომაული დენარები, როგორც ფიქრობენ, საქართველოში ვრცელდებოდა მცირე აზიის ქალაქებიდან [25, გვ. 35-36].

გონიოს განძში დომინირებს კაპადოკიის ქ. კესარიაში მოჭრილი მონეტები – 22 ცალი.

ქ. კესარია ტიბერიუსის (14-37 წწ.) დროიდან გადაიქცა დიდ საიმპერიო ზარაფხანად აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე რომის დომინიონებისათვის, რომელიც აწარმოებდა როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის მონეტების ემისიას [40, გვ. 8]. რომაული დომინიონების უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობით, საომარი ხაზიდან დაცულ მანძილზე, კესარია გამორჩეულად ხელსაყრელი იყო სამხედრო საჭიროების ზარაფხანისათვის. ამ ანგარიშით, და უეჭველია პოლიტიკური მიზნებითაც, რომის იმპერატორმა ტრაიანემ, ჩანს, მოიფიქრა მცირე აზიის სამონეტო ცენტრის გადატანა დასავლეთის პროვინციებიდან კესარიაში, რომელიც გამოიყენა იმ მონეტების მოსაჭრელად, რომლებიც განკუთვნილი იყო აღმოსავლეთ პროვინციებში ცირკულიაციისათვის [40, გვ. 14].

კოლხეთი ახ.წ. II-III სს. რომის პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში შედიოდა. შესაბამისად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეებში მდგომი რომაული გარნიზონი ექვემდებარებოდა კაპადოკიის სამხედრო სარდლობას [33, გვ. 365].

პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში, განსაკუთრებით ადრიანეს მიერ ლაზიკის სამეფოს ოფიციალური ცნობის შემდეგ, გაბატონებული ადგილი ეკავა კესარიულ მონეტებს, რომელთა აღმოჩენის ტოპოგრაფია საქართველოში ფართოა. გარდა ლურჯულის (476 ც.), ნაბაკევის (13 ც.), ეკის (907-დან 771 ც. კესარიულია), სეფიეთის განძებში შემავალი კესარიული მონეტებისა, ისინი ნაპოვნია ციხისძირში ხ10ბ გვ. 104ჯბ ურეკში, სუფსაში [5, გვ. 118], ნოქალაქევი [1, გვ. 273], ვანში [6, გვ. 127], წებელდაში [38, გვ. 207-211; 23, გვ. 174-180; 24, გვ. 183-198], სოხუმში [37, გვ. 280-429; 39, გვ. 57-74], ბიჭვინთაში [3, გვ. 280-418; 13, გვ. 99-105]. 1995-98 წწ. გონიოს ციხეში გათხრებისას აღმოჩნდა ტრაიანეს (1 ცალი), ადრიანეს (7), ანტონინუს

პიუსის (1), სექტიმიუს სევერუსის (2), იულია ღომნას (1), გორდიანე III (1) სახელებით მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის კესარიული მონეტები [9, გვ. 88-101].

კესარიული მონეტები საქართველოში საზღვაო გზით შემოდიოდა ქ. ტრაპეზუნტიდან, რომელიც დიდ როლს თამაშობდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პოლიტიკაში. აქედან კი ისინი მიდიოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში და შემდეგ ვრცელდებოდა ქვეყნის სიღრმეში [25, გვ. 35-36].

კესარიული მონეტების შემოსვლა აფსაროსში შეიძლება პირდაპირი გზითაც ვივარაუდოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლოკუმენტური მასალებით დადასტურებულია, რომ აქ იდგა II საუკუნის შუა ხანებში კაპადოკიაში განლაგებული კლაუდიუსის სახელობის II კოპორტა.

ჯერჯერობით გაურკვეველია თუ რა გარემოებამ გამოიწვია განძის ჩამარხვა. III საუკუნის დასაწყისისათვის აფსაროსში არც არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით არ შეიმჩნევა გლობალური ნგრევის კვალი.

ამრიგად, განძის შემადგენლობის ანალიზმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფსაროსი I-III სს-ში მცირე აზიის გავლენის სფეროს წარმოადგენს და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობათა მთავარი გეზი მიმართულია კაპადოკიის პროვინციისაკენ.

I. Varshalomidze

HOARD OF COINS OF THE ROMAN PERIOD FROM GONIO-APSAROS

(Summary)

A hoard consisting of 42 silver coins of the Roman period was discovered in 1998 by the permanent Gonio-Apsaros Archaeological expedition during the excavations at the southwestern corner of the fortress, at the depth of 1.45 m from the surface. Of these one is a denarius minted in Lugdunum (Gaul); it belongs to Tiberius (14-37), four are drachmae of king Polemon II of Pontus (49-063), 14 denarii were minted in Rome: Vespasian (69-79) – 1; Trajan (98-117) – 3; Hadrian (117-138) – 2; Antoninus Pius (138-161) – 1; Commodus (117-192) or Marcus Aurelius (161-180) – 1; Commodus – 1; Faustina II (161-176) – 1; Septimius Severus (193-211) – 1; Caracalla (198-217) – 2; Geta (209-212) – 1; twenty two coins were minted in Caesarea of Cappadocia: Hadrian – 3, Septimius Severus – 8; Julia Domna (=217) – 5, Caracalla – 5, Geta – 1, of the Caesarean coins 1 is a hemidrachma, 19 drachmae and 2 (Hadrian) – didrachmae.

The earliest coin of the hoard is a denarius of Tiberius (14-37), the oldest is a drachma minted in the name of Geta in 213, so the burial of the hoard took place at 213.

Analogous monetary units in the form of separate items and hoards have been discovered

repeatedly in Georgia, but money from Pontus and coins of the 2nd and 3rd cent., minted in Caesarea and Rome – collected together – are a novelty not only for Apsaros but also for Georgia. An analysis of the hoard once again confirmed that in the 1st-3rd cent. Apsaros was under the influence of Asia Minor and its political and economic relations were oriented towards Cappadocia.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი თ. ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები (1973-1982 წწ.). – ნოქალაქევი-არქეოპოლისი. არქეოლოგიური გათხრები. 1978-1982 წწ. თბ., 1987, გვ. 274-287.

2. არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაყმაძისა. თბ., 1961.

3. დუნდუა გ. საქართველოს სამონეტო განძები. თბ., 1979.

4. დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს. – დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 280-430.

5. დუნდუა გ. გურიის ნუმიზმატიკური მასალა. – გურია, I, თბ., 1997, გვ. 100-118.

6. დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ. მონეტები ვანიდან. – ვანი, III, თბ., 1977, გვ. 119-152.

7. დუნდუა თ. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1993.

8. ვარშალომიძე ი. მაკედონური და იუდეური მონეტები გონიო-აფსაროსიდან. – ლიტერატურული აჭარა, № 2, ბათუმი, 1999, გვ. 128-131.

9. ვარშალომიძე ი. გონიო-აფსაროსი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. – ლიტერატურული აჭარა, № 7, ბათუმი, 1999, გვ. 88-101.

10. ინაიშვილი ნ. ციხიძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1993.

11. კახიძე ე., ხალვაში მ. გონიო-აფსაროსი წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (I-VI სს.). – კულტურის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1998, გვ. 26-33.

12. მაკალათია ს. სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი. – სსმმ, XII-0, 1944, გვ. 217-259.

13. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინტის ნაქალაქარი. თბ., 1991.

14. ნონეშვილი ა. რომაულ-ქართული ურთიერთობანი ახ.წ. I ს-ის II ნახევარში. – კულტურის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1998, გვ. 21-25.

15. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბ., 1961.

16. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა. ტ. II, თბ., 1934.

17. ყაუხნიშვილი ს. გეორგიკა. ტ. III, თბ., 1963.

18. ყაუხნიშვილი ს. გეორგიკა. ტ. IV, თბ., 1952.

19. შპაიდელი მ. კავკასიის საზღვარი. II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. – მაცნე. ისტორიის ... სერია, 1985, № 1, გვ. 134-140.

20. ცუხიშვილი ი. გვიანრომაული მონეტების ბიჭვინტის ვანძი. – დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977, გვ. 250-301.

21. ხანუტაიშვილი დ., კახიძე ა., მამულაძე შ., კახიძე ე., ხალვაში მ. გონიო-აფსაროსი. – ლიტერატურული აჭარა, № 2, ბათუმი, 1999, გვ. 128-131.

22. Амиранашвили А. И. Иберия и римская экспансия в Азии. – ВДИ, № 2, 1938, с. 161-173.

23. Воронов Ю. Н., Юшин В. А. Новые памятники цебельдинской культуры в Абхазии. – СА, № 1, 1973, с. 171-191.

24. Воронов Ю. Н., Юшин В. А. Ранний горизонт (II-IV вв. н.э.) в могильниках цебельдинской культуры (Абхазия). – СА, № 1, 1979, с. 181-198.

25. Голенко К. В. Денежное обращение Колхиды в римское время. Л., 1964.

26. Дундуа Г. Ф. Нумизматика античной Грузии. Тб., 1987.

27. Дундуа Г. Ф., Лордкипанидзе Г. А., Денежное обращение Центральной Колхиды в VI-I вв. до н.э. Тб., 1983.

28. Ельницкий Л. А. Из исторической географии древней Колхиды. – ВДИ, 1938, № 2, с. 307-320.

29. Зограф А. Н. Распространение находок античных монет на Кавказе. – ТОНГЭ, т. I, 1945, с. 29-85.

30. Ивашенко М. М. Герзеульский клад монет Кесарии Каппадокийской. – ИГАИМК, т. 7, вып. 10, 1931, с. 3-23.

31. Кудрявцев О В. Провинция Каппадокия в системе римской Восточной политики (17-72 г.). – ВДИ, № 2, 1955, с. 48-73.

32. Леквинадзе В. А. Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости. – ВВ, т. XX, 1961, с. 225-242.

33. Моммзен М. История Рима. Т. V, М., 1949.

34. Максимова М. И. Античные города Юго-Восточного Причерноморья. М.-Л., 1956.

35. Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. I, Баку, 1926.

36. Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. III, Баку, 1940.

37. Трапш М. М. Труды, т. II, Сухуми, 1969.

38. Трапш М. М. Труды, т. III, Тб., 1971.

39. Шамба С. М. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. – XIII в. н.э.). Тб., 1987.

40. Sydenham E. The Coinage of Caesarea of Cappadocia. London, 1933.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. – 1. ტიბერიუსი (14-37 წწ.), დენარი, ლუგდუნუმი (გალია); 2. პოლემონ II (49-63 წწ.), დრაქმა; 3. პოლემონ II, დრაქმა; 4. ვესპასიანე (69-79 წწ.), დენარი, რომი; 5. ტრაიანე (98-117 წწ.), დენარი, რომი; 6. ტრაიანე, დენარი, რომი; 7. ადრიანე (117-138 წწ.), დენარი, რომი; 8. ადრიანე, დიდრაქმა, კესარია; 9. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.), დენარი, რომი; 10. ფაუსტინა II (161-176 წწ.), დენარი, რომი.

ტაბ. II. – 11. მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.) ან კომოდუსი (117-192 წწ.), დენარი, რომი; 12. კომოდუსი, დენარი, რომი; 13. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.), დენარი, რომი; 14. სეპტიმიუს სევერუსი, დრაქმა, კესარია; 15. სეპტიმიუს სევერუსი, დრაქმა, კესარია; 16. იულია დომნა (=217), დრაქმა, კესარია; 17. იულია დომნა (=217), დრაქმა, კესარია; 18. კარაკალა (198-217 წწ.), დენარი, რომი; 19. კარაკალა, დრაქმა, კესარია; 20. გეტა (209-212 წწ.), დენარი, რომი; 21. გეტა, დრაქმა, კესარია.

[მონეტები გადაღებულია რამდენიმეჯერ]

Description of the Plates:

Pl. I – 1. Tiberius (14-37), denarius, Lugdunum (Gaulia); 2. Polemon II (49-63), drachma; 3. Polemon II, drachma; 4. Vespasian (69-70), denarius, Rome; 5. Trajan (98-117) denarius, Rome; 6. Trajan, denarius, Rome; 7. Hadrian (117-138), denarius, Rome; 8. Hadrian, Caesarean didrachma; 9. Antonius Pius (138-161), denarius, Rome; 10. Faustina II (161-176), denarius, Rome;

Pl. II. – 11. Marcus Aurelius (161-180) or Commodus (117-192), denarius, Rome; 12. Commodus, denarius, Rome; 13. Septimius Severus (193-211), denarius, Rome; 14. Septimius Severus, Caesarean drachma; 15. Septimius Severus, Caesarean drachma; 16. Julia Domna (=217), Caesarean drachma; 17. Julia Domna, Caesarean drachma; 18. Caracalla (198-217), denarius, Rome; 19. Caracalla, Caesarean drachma; 20. Geta (209-212), denarius, Rome; 21. Geta, Caesarean drachma.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



ტაბ. II



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



დავით მინდორაშვილი


სამარხთა აღნაგობა და დაპრაქტიკის ფენი გველეთის სამაროვანზე

დარიალის ხეობაზე გამავალ მაგისტრალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინა აზია – სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული კავშირუბრუნების განვითარების საქმეში. ამის გამო, ცხადია, ყოველთვის სათანადო ინტერესს იწვევს დარიალის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები: გველეთი, დარიალის ციხე, ლარსი, გიგას სათიბის (არკას) სამაროვანი და სხვ., რომელთა გამოვლენა ჯერ კიდევ XIX ს. მიწურულიდან იწყება და მეტ-ნაკლები ინტენსივობით ამ ბოლო ხანებამდე გრძელდებოდა (გ. ხატიასოვი, ა. კრუგლოვი, ლ. წითლანაძე, გ. ლამბაშიძე).

დარიალის ხეობის (ისტორიული ხევი, ყაზბეგის რ-ნი) სიძველეებს შორის ყურადღებას იპყრობს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) მიერ შესწავლილი გველეთის ადრეული შუა საუკუნეების (VI ს. დასას. – VIII ს. დასაწ.) სამაროვანი, რომელიც მდებარეობს გველეთის ციხის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, მაღალი კლდის ძირას. სამაროვანი შემთხვევით აღმოჩნდა 1991 წ., როცა გაზის ტრასის მშენებლებმა იგი ნაწილობრივ დააზიანეს. სამარხები განლაგებულია დამრეც ფერდზე. მშენებლებს თხრილი გაეჭრა სამაროვნის დასავლეთ ნაწილში, კლდის ძირის გაყოლებით. ჭრილში შემორჩენილი იყო 7 მეტ-ნაკლებად დაზიანებული ქვისსამარხი. სამწუხაროდ, ველარაფერს ვიტყვით მთლიანად დანგრეულ სამარხებზე, რომელთა რაოდენობა დაახლოებით ამდენივე უნდა ყოფილიყო. პირველ რიგში გაითხარა ის სამარხები, რომლებიც დაზიანდა ან დაზიანება ელოდათ. უსახსრობის გამო შემდგომ წლებში იქ მუშაობის გაგრძელება ვერ მოხერხდა. ამდენად, ძველი ჯერჯერობით სრულად არაა შესწავლილი. სამაროვანი დაფარულია კლდიდან ჩამოშლილი ქვა-ლორღით. მის ქვემოთ ქვიშნარი ფენაა, რომელიც ზემოდან ეფარა თიხნარის საკაოდ დიდ მასივს. სამარხთა უმრავლესობა განლაგებულია ქვიშნარ ფენაში. ზოგიერთი სამარხი ჩაჭრილი იყო თიხნარ ნიდაგში (სამარხები №№ 13-16). სამარხების მიწის სიღრმეში განლაგების თავდაპირველი ზომების დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან მშენებლებს უკვე მოესწროთ მიწის ზედა ფენების გადაწმენა.

სამარხი № 1 მდებარეობს სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კლდის ძირას (სურ. 1). მისი კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარ-

ხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე – 2,2 მ, სიგანე – 0,7 მ, სიმაღლე – 0,45 მ (ტაბ. I₁). სამარხში აღმოჩნდა: რკინის დანა, ორი ბუდე-მთლიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი, ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი, ბრინჯაოს B-ს მაგვარი აბზინდა (ტაბ. II₁), მოჩალისფროდ გამოძწვარი სამტუჩა ხელადის პირის ნატეხი.



სურ. 1

სამარხი № 2 მდებარეობს № 1 სამარხის ჩრდილოეთით, 1,4 მ დაშორებით (სურ. 1₂). მისი კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. გარდა რამდენიმე უფესვო კბილისა, სამარხში ძვლები არ შემორჩენილა. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე – 1,1 მ, სიგანე – 0,4 მ, სიმაღლე – 0,35 მ (ტაბ. I₂). სამარხში აღმოჩნდა: რკინის მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი და თიხის შავპრიალა სასმისის პირ-ყელის ნატეხი.

სამარხი № 3 მდებარეობს № 2 სამარხის ჩრდილოეთით, 1 მ დაშორებით (სურ. 1₃). მისი კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. სამარხში ძვლები არეულია, რის გამოც დაკრძალვის პოზიის დადგენა ჭირს. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე – 2,5 მ, სიგანე – 0,7 მ, სიმაღლე – 0,5 მ (ტაბ. I₃). სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს

ბალთა (ტაბ. II₂), ბეჭედი, რკინის ჭვინტიანი მშვილდსაკინძი, სარდიონის, მინისა და პასტის მძივები.

სამარხი № 4 მდებარეობს № 3 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, 20 სმ დაშორებით (სურ. 14). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. სამარხი თავის დროზე გადახურული უნდა ყოფილიყო ფილებით, რომლებიც, როგორც ჩანს, ტრაქტორმა მოანგრია მიწის ზედა ფენის ალებისას. სამარხის ძირი მოგებულია ფიქალით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელის მტკვნები ელაგა საზარდულთან. ფეხები გადაჯვარდინებული ჰქონდა მუხლებთან. მენჯისა და კუდუსუნის ძვლები გამოვლინდა მკერდის არეში, ქვედა ყბა – თავის ქალას ზემოთ. ძვლების ამგვარი აღრევა უნდა გამოეწვია ტრაქტორის ზემოქმედებას. სამარხის ზომები: სიგრძე – 2 მ, სიგანე – 0,45 მ, სიმაღლე – 0,4 მ (ტაბ. I₄). სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის 2 ცალი თვალბუდიანი ბეჭედი, ბრინჯაოს „ნიღბისებური“ ბალთა (ტაბ. I₃), რკინის ორი დანა, ბუდეშლიანი მშვილდსაკინძი, ოვალურჩარჩოიანი აბზინდა, წითლად გამომწვარი, ყელგოფირებული სამტუჩა ხელადა, მინისა და პასტის მძივები.

სამარხი № 5 მდებარეობს № 3 სამარხის ჩრდილოეთით 1,5 მ დაშორებით (სურ. 15). სამარხი დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ფიქალის ქვის სამი ფრაგმენტი. სამარხის შესახებ ერთადერთი ის შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა ქვისსამარხს და დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე.

სამარხი № 6 მდებარეობს № 5 სამარხის ჩრდილოეთით 2,5 მ დაშორებით (სურ. 16). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. სამარხის ძირი მოგებულია ფიქალით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. მიცვალებულის ძვლები არ შემორჩენილა. სავარაუდოდ მიცვალებული ესვენა თავით დასავლეთით, რადგან იმ ადგილას აღმოჩნდა ვერცხლის საკიდები. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე – 1,4 მ, სიგანე – 0,6 მ, სიმაღლე – 0,55 მ (ტაბ. I₆). სამარხის სახურავზე აღმოჩნდა რკინის შუბისპირი (ტაბ. II₄). საკუთრივ სამარხში გამოვლინდა: ვერცხლის ჭვინტიანი მშვილდსაკინძი (ტაბ. II₅), ორი მორკალური საკიდი, ბრინჯაოს ბალთა, საკინძის ნატეხი, სარდიონის, მინისა და პასტის მძივები.

სამარხი № 7 მდებარეობს № 6 სამარხის ჩრდილოეთით 1,4 მ დაშორებით (სურ. 17). მისი კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. სამარხის ძირი

მოგებულია ფიქალით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია. მიცვალებულის ძვლები არ შემორჩენილა. სამარხის ზომები: შემორჩენილი სიგრძე – 1,2 მ, სიგანე – 0,7 მ, სიმაღლე – 0,6 მ (ტაბ. I₇). სამარხში აღმოჩნდა რკინის ბალთის (?) ნატეხი.

სამარხი № 8 მდებარეობს № 7 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2,2 მ დაშორებით (სურ. 18). მისი გვერდითი კედლები შედგენილია ჰორიზონტალურად დალაგებული ფიქალის ფილების ორი რიგით. თავბოლო კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიცვალებულის ძვლები არ შემორჩენილა. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,5-0,6 მ, სიმაღლე – 0,4 მ (ტაბ. I₈). სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს აბზინდა (ტაბ. II₆), რკინის ბუდეშლიანი მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი, დანა, ვერცხლის საყურე, ლურჯი მინის მძივები.

სამარხი № 9 მდებარეობს № 8 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,8 მ დაშორებით (სურ. 19). მისი კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხი სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლებით ზემოდან ფარავდა № 10 და 14 სამარხებს (სურ. 19,10,14). სამარხი საოჯახოა. ორი მიცვალებულის ძვლები მიხვეტილი იყო აღმოსავლეთ ნაწილში. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაეკრძალათ მესამე მიცვალებული – ჩვილი ბავშვი, რომლის მხოლოდ სარძევე კბილები შემორჩა. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,9 მ, სიმაღლე – 0,6 მ (ტაბ. I₉). სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლისა და შავი მინის ბეჭედი (ტაბ. II₇₋₈), ბრინჯაოს გრენილი სამაჯური, საყურეები (ტაბ. II₉), რკინის დანა, მინის სხვადასხვა ფორმის მძივები, რომელთა შორის მრავლად გვხვდება ინკრუსტირებულიც.

სამარხი № 10 მდებარეობს № 9 სამარხის სამხრეთით ისე, რომ უკანასკნელი სამხრეთ-დასავლეთი კუთხით ზემოდან ფარავდა № 10 სამარხის ჩრდილოეთ გვერდით კედელს (სურ. 10). სამარხის გვერდითი კედლები შედგენილია ჰორიზონტალურად დალაგებული ფიქალის რამდენიმე ფილით. თავბოლო კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღ-

მოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა პარალელურად განლაგებული ქვედა კიდურების ძვლები. შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე – 2 მ, სიგანე – 0,5 მ, სიმაღლე – 0,4 მ (ტაბ. I₁₀). სამარხში აღმოჩნდა: რკინის დაჟანგული ნივთი, შუბის მასრა და სარდიონის ერთი მძივი.

სამარხი № 11 მდებარეობს № 8 სამარხის აღმოსავლეთით, 0,5 მ დაშორებით (სურ. 1₁₁). სამარხის გვერდითი კედლები შედგენილია ჰორიზონტალურად დალაგებული ქვიშაქვისა და ფიქალის ორი-სამი რიგით. თავბოლო კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხში გაიწმინდა მიცვალებულის პარალელურად განლაგებული ქვედა კიდურების ძვლები. მიცვალებულს ხელის მტევნები დალაგებული ჰქონია მუცელზე, რაზეც მიუთითებს მუცლის არეში აღმოჩენილი ორი სამაჯური და ბეჭედი. შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე – 1,6 მ, სიგანე – 0,7 მ, სიმაღლე – 0,35 მ (ტაბ. I₁₁). სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ორი სამაჯური (ტაბ. II₁₀), საკინძის თავი, თვალბუდიანი ბეჭედი, რკინის მშვილდსაკინძისა და დანის ფრაგმენტი.

სამარხი № 12 მდებარეობს № 1 სამარხის აღმოსავლეთით, 5,5 მ დაშორებით (სურ. 1₁₂). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხში შემორჩა მიცვალებულის მარჯვენა მკლავის ძვალი, რომელიც ირიბად იდო. სამარხის ზომები: სიგრძე – 1,2 მ, სიგანე – 0,55 მ, სიმაღლე – 0,45 მ (ტაბ. I₁₂). სამარხში აღმოჩნდა: რკინის ჭვინტიანი, მუხლსასხრიანი მშვილდსაკინძი (ტაბ. II₁₁), შუბის მასრა, ბრინჯაოს ბეჭედი, ძეწკვი, სარდიონისა და მინის სხვადასხვა ფორმის მძივები.

სამარხი № 13 მდებარეობს № 12 სამარხის ჩრდილოეთით 1 მ დაშორებით (სურ. 1₁₃). მისი კედლები შედგენილია ფიქალისა და ქვიშაქვის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებულის ძვლები ცუდად იყო შემონახული. თავის ქალა გაიწმინდა სამარხის დასავლეთ ნაწილში. ქვედა კიდურები მუხლის არეში ჰქონდა გადაჯვარედინებული. სამარხი ეკუთვნოდა მცირეწლოვან მიცვალებულს. სამარხის

ზომები: სიგრძე – 1,1 მ, სიგანე – 0,52 მ, სიმაღლე – 0,4 მ (ტაბ. I₁₃). სამარხის სახურავზე აღმოჩნდა მოჩალისფროდ გამომწვარი მრგვალი-პირიანი ხელადა (ტაბ. II₁₂). საკუთრივ სამარხში გამოვლინდა: რკინის სამი დანა, სამი მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს მხედრისგამოსახულებიანი საკიდი (ტაბ. II₁₃), ბეჭედი, სამი ეჟვანი, ორი ზარაკი, ჰერალდიკურფარაკიანი აბზინდა (ტაბ. II₁₄), ვერცხლის საყურე, გემიანი ბეჭედი, კავადის (488-531 წწ.) ვერცხლის მონეტა,²⁷ თიხის შავპრიალა სასმისი, მოჩალისფროდ გამომწვარი სამტუჩა ხელადა, ბრინჯაოს ფიალა, სარდიონის, გიშრის, მინისა და პასტის სხვადასხვა ფორმის მძივები.

სამარხი № 14 მდებარეობს № 9 სამარხის ჩრდილოეთით. უკანასკნელი ჩრდილო-დასავლეთით კუთხით ზემოდან ფარავდა № 14 სამარხის სამხრეთი კედლის შუა ნაწილს (სურ. 1₁₄). სამარხის გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვისა და ფიქალის ფილების ჰორიზონტალურად დალაგებული ორი რიგით. თავბოლო კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიცვალებულის ძვლები არ შემორჩენილა. სამარხის დასავლეთ ნაწილში გაბნეული მძივების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული დაუკრძალავთ თავით დასავლეთით. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,6 მ, სიმაღლე – 0,4 მ (ტაბ. I₁₄). სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის საყურე (ტაბ. II₁₅), ნახევარსფეროსებური მცირე ზომის ნივთი, რკინის მშვილდსაკინძი, დანის ნატეხი, სარდიონისა და მინის მძივები.

სამარხი № 15 მდებარეობს № 13 სამარხის სამხრეთით, 1,3 მ დაშორებით (სურ. 1₁₅). სამარხის ჩრდილოეთ გვერდით კედელს ზემოდან ფარავდა № 12 სამარხი (სურ. 1₁₂, 1₁₅). სამარხის კედლები შედგენილია ფიქალის ფილებით. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხში დაუკრძალავთ ორი მიცვალებული. მამაკაცი ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელი ელო ტანის გასწვრივ. იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელის მტევანი ელო ბარძაყის ძვლებს შორის. მკერდზე ესვენა მცირეწლოვანი ბავშვი, ზურგზე გაშოტილი, რამდენადმე ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით დამხრობილი. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე – 1,4 მ, სიგანე – 0,5 მ, სიმაღლე – 0,4 მ (ტაბ. I₁₅). სამარხში

²⁷ მონეტა განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ირ. ჯალალანიაძემ.

აღმოჩნდა 42 დასახელების სხვადასხვა ნივთი: რკინის დანები, ბრინჯაოსა და რკინის ჭვინტიანი მშვილდსაკინძები, ვერცხლის საკიდები, „ნიღბისებური“ ბალთები, ფირფიტა ფრინველის გამოსახულებით, ბრინჯაოს ფირფიტებით შედგენილი დიადემა (ტაბ. II₁₆), საკინძები (ტაბ. II₁₇), მთლიანი ქამარი, დარახტული ცხენის გამოსახულება, ბრინჯაოს სარკე, ბრინჯაოსა და ვერცხლის გემიანი ბეჭდები, სარდიონის, ქარვის, მთის ბროლის, მინის მძივები, ნიჟარები და სხვ.

სამარხი № 16 მდებარეობს № 13 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, 1 მ დაშორებით (სურ. 1₆). სამარხის გვერდითი კედლები შედგენილია ქვიშაქვისა და ფიქალის ფილების ორი რიგით. თავბოლო კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ფიქალის ფილებია. გადახურულია ასეთივე ფილებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ელაგა ტანის გასწვრივ. მიცვალებულს მარჯვენა ფეხის კიდურები გაჭიმული ჰქონდა, მარცხენა – მენჯის არეში მოხრილი. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი. სამარხის ზომები: სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,6 მ, სიმაღლე – 0,35 მ (ტაბ. I₁₆). სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ფირფიტებისაგან შედგენილი დიადემა (ანალოგიური № 15 სამარხის დიადემისა), ქამრის დეტალები, მილაკები, საკინძი, აბზინდის ენა, მთლიანი ქამარი, ვერცხლის საკიდები (ტაბ. II₁₈), ნახევარსფეროსებური მცირე ზომის ნივთები, ბუდეაბმული მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი, გემიანი ბეჭედი, სარდიონისა და ქალცელონის მძივები, ნიჟარები.

შესწავლილ 16 სამარხიდან ყველა ქვისსამარხია. სამარხთა აღნიშნული სახე ტიპურია ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს როგორც ბარის, ისე მთის რაიონებისათვის [1, გვ. 45].

ქვისსამარხები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაშიც [12, გვ. 246-249]. კატაკომბებისაგან განსხვავებით, მკვლევარები მათ ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობის კუთვნილებად მიიჩნევენ [12, გვ. 251; 15, გვ. 53]. სამარხების გასამართად გამოყენებულია ფიქალის ფილები, რომლებიც ხევში უხვად მოიპოვება და თითქმის ბოლო დრომდე ძირითად მასალას წარმოადგენდა როგორც სამარხების, ისე საცხოვრებელი შენობების ასაგებად. შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული ქვიშაქვის ქვები.

სამარხები მიცვალებულის ასაკის შესაბამისად სხვადასხვა ზომისაა. მცირეწლოვანთა სამარხების სიგრძე მერყეობს 1,1-1,4 მ შორის. მოზდილთა სამარხების საშუალო სიგრძეა 1,8-2 მ. ზოგიერთ შემთხვევაში სამარხის ზომა საკმაოდ დიდია. მაგ., № 3 სამარხის სიგრძე 2,5 მ

აღწევს. სამარხების ზომების მიხედვით მათ ასაგებად გამოყენებული ქვების რაოდენობაც სხვადასხვაა. თავბოლო კედლებისათვის ძირითადად გამოყენებულია თითო ვერტიკალურად ჩადგმული ქვა. იმ შემთხვევაში, თუ თავბოლო კედლების ზომები სამარხის სიმაღლეზე ან სიგანეზე ნაკლები იყო, მათ ზემოდან ან გვერდიდან თითო ქვა ემატებოდა (სამარხები №№ 1, 15, 16). გვერდითი კედლების შესადგენად გამოყენებული ქვების რაოდენობაც სამარხების ზომების მიხედვით სხვადასხვაა და მერყეობს ერთიდან ხუთ ქვამდე. თუ გვერდითი კედლების ქვები სამარხის საჭირო სიმაღლეზე დაბალი იყო, მას ზემოდან ემატებოდა ფილების ერთი ან ორი რიგი (სამარხები №№ 8, 10, 11, 15, 16).

სამარხების სიგანე დამოკიდებულია მიცვალებულის ასაკზე. მოზრდილ მიცვალებულთა სამარხების სიგანე მერყეობს 0,5-0,7 მ შორის. მცირეწლოვანთა სამარხების სიგანეა 0,4-0,5 მ. თუმცა, გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა მოზრდილი მიცვალებულის სამარხი საკმაოდ ვიწროა – 0,45 მ (სამარხი № 4). განივი ზომებით (სიგანე – 0,9 მ) სხვა სამარხებს შორის გამოირჩევა № 9 სამარხი, რომელშიც თავის დროზე ორი მიცვალებული ესვენა, შემდგომ მესამეც დაუკრძალავთ. გვხვდება ისეთი სამარხიც (№ 15), რომელშიც ორი მიცვალებული ესვენა, მაგრამ სიგანით ეს სამარხი ინდივიდუალური სამარხებისაგან არ განსხვავდება. მისი სიგანეა 0,5 მ. სამარხების სიმაღლე არაა დამოკიდებული მის სიგრძე-სიგანეზე. ეს განზომილება მერყეობს 0,35-0,4 მ შორის. სამარხები გადახურულია ფიქალის ფილებით, რომელთა რაოდენობა მით უფრო მეტია, რაც უფრო დიდია სამარხი. გადახურვის ფილებსა და გვერდით კედლებს შორის დარჩენილი ღიობები შევსებულია წვრილი ფილებით ან გამოლესილია თიხით. სამარხების კედლებს გასამაგრებლად გარედან, ძირზე შემოუყვება წვრილი ქვები. სამარხების ძირი მოტკეპნილია. გვხვდება ისეთი სამარხებიც, რომელთა ძირი ფიქალის ფილებითაა მოგებული (სამარხები №№ 1, 4, 6, 7). თუ გველეთის სამარხებს შევუდარებთ დარიალის ციხის სამაროვანზე გათხრილ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სამარხებს, რომელთა უმრავლესობა ნაწილობრივ ან საერთოდ დაუმუშავებელი ქვებითაა ნაგები [4, ტაბ. VII], ადვილად შევამჩნევთ, რომ ადრეული შუა საუკუნეების ხევში ქვისსამარხების აგებას უფრო გულდასმით ეკიდებოდნენ. ყველა სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენიმე ოდნავ გადახრილია ჩრდილო-დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთით (სამარხები №№ 6-8, 10, 11, 14). ამგვარი გადახრები მკვეთრი არაა და დაკავშირებულია მიცვალებულის წელიწადის სხვადასხვა დროს დაკრძალვასთან. ასეთი გადახრები ჩვეულებრივია შუა საუკუნეების სამარხებისთვის [1, გვ. 46].

მთელ რიგ სამარხებში გამოვლინდა ნახშირის კვალი. ანალოგიური სიტუაციაა დადასტურებული დარიალის ხეობაში გიგას სათიბის (არკას) სამაროვანზე [21, გვ. 75], ხევსურეთში, ხანმატის სამაროვანზე [6, გვ. 77] და სხვ. სამარხებში ნახშირის აღმოჩენის ფაქტები მრავლად გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაშიც [11, გვ. 61; 14, გვ. 199; 19, გვ. 199; 22, გვ. 118]. საფლავის ცეცხლით განწმენდა უძველეს ტრადიციათა რიგს მიეკუთვნება. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აღნიშნული წესი ემყარებოდა უძველეს რწმენას ცეცხლზე, როგორც ავი სულების საწინააღმდეგო და უწმინდურობისაგან განწმენდ ძალაზე [2, გვ. 82; 3, გვ. 24; 6, გვ. 77].

სამარხები ინდივიდუალური და საოჯახოა. ინდივიდუალურ სამარხთა ჯგუფს მიეკუთვნება 12 სამარხი (№№ 1, 2, 4, 6-8, 10-14, 16). სამი მიცვალებულია დაკრძალული № 9 სამარხში, № 15-ში – ორი. საგარაუდოდ № 3 სამარხიც საოჯახო უნდა ყოფილიყო. ამის საფუძველს გვაძლევს სამარხის უჩვეულოდ დიდი ზომა (მისი შემორჩენილი სიგრძეა 2,5 მ) და ერთმანეთში არეული ძვლები. ვერაფერს ვიტყვით № 5 სამარხზე, რომლისგან მხოლოდ რამდენიმე ქვაა შემორჩენილი. სამარხებიდან სამი ბავშვისაა (№№ 2, 12, 13). ბავშვები დაკრძალულია დიდებთან ერთად № 9 და № 15 სამარხებში.

როგორც აღვნიშნეთ, სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, მცირეოდენი გადახრებით. მიუხედავად იმისა, შემორჩენილია თუ არა სამარხში ძვლები, ერთი რამ ცხადია, ყველა მიცვალებული დასვენებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, თავით დასავლეთით. იმ სამარხებში, სადაც ძვლები არ იყო შემორჩენილი, თავსამკაული, მიცვალებულის კბილები თუ თავის ქალის მცირე ფრაგმენტები მხოლოდ სამარხის დასავლეთ ნაწილში ჩნდებოდა. სხვა საქმეა მიცვალებულთა პოზიის კონკრეტული დეტალების დადგენა, რაც მასალის სიმცირის გამო შეუძლებელია 9 სამარხის (№№ 2, 3, 5-9, 12, 14) მიხედვით.

№ 4 სამარხში მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. ქვედა კიდურები გადაჯვარედინებული ჰქონდა მუხლის არეში (ტაბ. I4). ამგვარადაა დაკრძალული მიცვალებული № 13 სამარხში (ტაბ. I3). მიცვალებულის ფეხებგადაჯვარედინებული დაკრძალვის წესი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების სამარხებში [1, გვ. 47; 7, გვ. 260]. იმ პერიოდის სამაროვნებისათვის ძირითადად დამახასიათებელია მიცვალებულის ზურგზე გამოტვა. აგრეთვე მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი დაკრძალვა. მიცვალებულის ფეხებგადაჯვარედინებული დაკრძალვა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაში [18, გვ. 14, 17, 26; 20, გვ. 183; 23, გვ.

89]. ფეხებგადაჯვარედინებულ დაკრძალვას სარმატულ-ალანურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირებენ [17, გვ. 79], მაგრამ როგორც ირკვევა, დაკრძალვის ამგვარი წესის ეთნიკურ ერთეულთან დაკავშირება უმართებულოა, რადგან დაკრძალვის ეს წესი პროცენტულად უფრო მეტად გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობის სამარხებში, ვიდრე სარმატულ-ალანურ სამაროვნებზე [16, გვ. 18; 17, გვ. 79].

თუ ზოგიერთ სამარხში დაკრძალვის პოზიის დეტალების დადგენა ჭირს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ №№ 1, 10, 11, 15, 16 სამარხებში მიცვალებულები ქრისტიანული წესით იყვნენ დაკრძალული. № 1 სამარხში მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით, ხელები ელაგა ტანის გასწვრივ (ტაბ. I1). № 10 სამარხში გამოვლინდა მიცვალებულის პარალელურად განლაგებული ქვედა კიდურები და ეჭვს არ იწვევს, რომ მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით, ხელები ელაგა ტანის გასწვრივ (ტაბ. I10). სამარხეული ინვენტარის განლაგებით ამგვარი სურათი ჩანს № 11 სამარხშიც (ტაბ. I11). საესებით გარკვეულია ვითარება №№ 15, 16 სამარხებში, სადაც დაკრძალვის ქრისტიანული წესი კარგად დგინდება (ტაბ. I15, 16).

დაკრძალვის ამგვარი პოზა: ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით, ხელები ტანის გასწვრივ, ჩრდილოეთ კავკასიის თანადროულ სამაროვნებზეც საკმაოდ მრავლად გვხვდება [13, გვ. 204]. თუმცა, იმ პერიოდის ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ (ან ნაკლებად) იყო გავრცელებული. ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებზე გამოვლენილ დაკრძალვის ამგვარ წესს ჩრდილოკავკასიურ გავლენად მიიჩნევს და ქრისტიანობას ნაკლებად უკავშირებს [13, გვ. 204]. ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე დაკრძალვის ეს წესი მართლაც ხშირად გვხვდება, მაგრამ არც თუ იშვიათად, ჩრდილოეთ კავკასიის კატაკომბებსა და ქვისსამარხებში დაკრძალული ზურგზე გამოტილი მიცვალებულები ყოველთვის დასავლეთით არ არიან ორიენტირებული. რაც შეეხება გველეთის სამაროვანს, აქ ყველა სამარხი ერთი მიმართულებითაა დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხთა დამხრობა და მიცვალებულთა დასავლეთით ორიენტირება ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას, რაც ძნელია ქრისტიანობის გავლენას არ დაუუკავშიროთ. მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის ქართლში ოფიციალურად გამოცხადებული ქრისტიანული სარწმუნოება უკვე რამდენიმე საუკუნეს ითვლიდა. ქართლის სამეფოს მესვეურთათვის მთის მოქცევა ყოველთვის იყო აქტუალური პრობლემა, როგორც სამეფოს

მთისა და ბარის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ერთიანობის საფუძველი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გაქრისტიანების პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების დროს, როცა მირიან მეფის ინიციატივით წობენში მისული წმიდა ნინოსა და მისი თანმხლები ერისთავის წინაშე მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დათმო ძველი კერპები [8, გვ. 125, 126; 5, გვ. 17, 18]. ვახტანგ გორგასლის მიერ კავკასიონის მთიანეთის დამორჩილებისათვის ბრძოლას მთაში (მათ შორის ხევში) ქრისტიანობის ახალი ტალღის გავრცელება უნდა მოჰყოლოდა [5, გვ. 18]. შემდგომში ამას ერთვის ისე წილკნელის სამისიონერო მოღვაწეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში [9, გვ. 558]. ბუნებრივია, რომ ხევი, როგორც ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი „ქვეყანა“, ამ პროცესების მიღმა ვერ დარჩებოდა. რა თქმა უნდა, იმ პერიოდის ქართლის ბარსა და მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების მასშტაბები რადიკალურად განსხვავებულია, მაგრამ VI-VII სს. ხევის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რომ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარია, ამაზე ნათლად მეტყველებს გველეთის სამაროვანზე მიცვალებულთა დაკრძალვა ქრისტიანული წესით.

ზოგიერთ სამარხში შეინიშნება მიცვალებულისათვის შეგნებულად დაზიანებული ნივთების ჩატანება. №№ 4, 9, 11 სამარხებში აღმოჩენილი დანები წინასწარ გატეხილია და მათი მხოლოდ ფრაგმენტებია მიკვლეული. მიცვალებულისათვის დაზიანებული ნივთების ჩატანება ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში შეიმჩნევა [10, გვ. 65]. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა ქვემო ალევის სამაროვანზეც და ამგვარი შემთხვევები ქრისტიანულ სამაროვანზე „წარმართობის“ გამოვლენადაა მიჩნეული [1, გვ. 51]. მიცვალებულისათვის საკუთრივ სამარხებში ჩატანებული ნივთების გარდა №№ 6, 12 სამარხების სახურავზე აღმოჩნდა რკინის შუბები, № 13 სამარხის სახურავზე – ხელადა.

გველეთის სამაროვანზე თვალში საცემია სამარხეული ინვენტარის (ტაბ. II), მათ შორის თიხის ჭურჭლების სიმრავლე, რაც ბარის თანადროული ძეგლებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. ბარისაგან განსხვავებით, მთაში მიცვალებულისათვის ნივთების ჩატანების ტრადიცია დიდხანს შემორჩა. სამარხებში გამოვლენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთები: დანები, შუბისპირები, ბალთები, აბზინდები, მთლიანი ქაშები, საყურეები, ბეჭდები, სამაჯურები, დიადემები, საკიდები, კერამიკული ნაწარმი, ლითონის ჭურჭელი, მძივები და სხვ. თარიღდება VI ს. მიწურული – VII ს. VIII ს. დასაწყისს მხოლოდ № 9 სამარხის ნივთები მიეკუთვნება. სამარხეული ინვენტარი უაღრეს

სად საყურადღებოა ადრეული შუა საუკუნეების ხევის ისტორიის სხვადასხვა პრობლემების გასაშუქებლად. ნაშრომის მოცულობის განსაზღვრულობის გამო ამჯერად მხოლოდ სამარხთა აღწავლისა და დაკრძალვის წესს შევეხეთ.

D. Mindorashvili

THE STRUCTURE OF BURIALS AND BURIAL CUSTOMS AT THE NECROPOLIS OF GVELETI

(Summary)

The early medieval necropolis of Gveleti (end of the 6th cent.–beginning of the 8th cent.) is situated in the Daryal Gorge (Qazbegi district), on the left bank of the r. Tergi, near Gveleti fortress. All 16 burials excavated here are cyst burials. The bones of the deceased did not survive in some of them. In two burials (4 and 13) the corpse was buried in extended supine position, facing west, and the legs were crossed. In burials 1, 10, 11, 15, 16 the Christian custom of burial was confirmed. There is a good reason to assume that in the 6th-7th centuries at least part of the population of the Daryal Gorge was of Christian faith.

ლიტერატურა

1. აფნაზავა ნ. ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.
2. ბარდაველიძე ვ. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941.
3. გიორგაძე დ. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბ., 1987.
4. მინდორაშვილი დ. დარიალის ციხე. თბ., 1991, პრეპრინტი.
5. რამიშვილი რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გაქრისტიანების ძირითადი საფეხურები და თავისებურებანი არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით. – ადრექრისტიანული არქეოლოგიის მეორე კონფერენცია მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1996, გვ. 16-19.
6. რჩეულიშვილი გ. ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1990.
7. ტყეშელაშვილი თ. ადრე ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან. – სსმმ, ტ. XIX-B, 1956, გვ. 255-280.
8. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.

9. წილკნელის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი 1669 წლისა. – ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III, თბ., 1970, გვ. 558-560.

10. **წითლანაძე ლ.** ვარსიმაანთკარის სამაროვანი. – ჟინვალის I. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში. თბ., 1983, გვ. 52-76.

11. **Абрамова М. П.** Раннесредневековый могильник с. Чми в Северной Осетии. – Новые материалы по археологии Центрального Кавказа. Орджоникидзе, 1986, с. 60–70.

12. **Виноградов В. Б.** Раннесредневековый могильник у селения Харачай в горной Чечне. – СА, № 2, 1970, с. 244–251.

13. **Виноградов В. Б.** Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Мацне. Серия истории ..., № 2, 1978, с. 200–206.

14. **Габуев Т. А.** Аланские погребения IV в. н.э. в Северной Осетии. – СА, № 2, 1985, с. 197–204.

15. **Гмыря Л. Б.** Некоторые особенности погребального обряда населения Восточного Предкавказья в IV-VIII вв. н.э. – Крупновские чтения по археологии Северного Кавказа. Тезисы докладов. Махачкала, 1988, с. 52–53.

16. **Каменецкий И. С.** Датировка слоев по процентному соотношению типов керамики. – Методы естеств. и техн. наук в археологии. Тезисы докладов. М., 1963, с. 18–19.

17. **Ковалевская В. Б.** Кавказ и аланы, М., 1984.

18. **Кузнецов В. А.** Аланские племена Северного Кавказа. – МИА, т. 106, 1962.

19. **Минаева Т. М.** Поселение в устье р. Узун-кол. – СА, № 2, 1960, с. 193–207.

20. **Плетнева С. А.** На Славяно-Хазарской пограничье (Дмитриевский археологический комплекс). М., 1989.

21. **Рамишвили Р., Джорбенадзе В., Цитланадзе Л. и др.** Результаты работ Жинвальской археологической экспедиции. – ПАИ, 1972 (1973), с. 67–77.

22. **Семенов А. П.** Археологические разведки в Ассинском ущелье. – КСИИМК, вып. XLVI, 1952, с. 110–121.

23. **Смирнов К. Ф.** Археологические исследования в Дагестане в 1948–1950 годах. – КСИИМК, вып. XLV, 1952, с. 83–96.

სურათისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – გველეთის სამაროვნის გეგმა.

ტაბ. I – №№ 1-16 სამარხები.

ტაბ. II – სამარხეული ინვენტარი.


Description of Figure and Plates

Fig. 1 – Plan of the Necropolis of Gveleti.


Pl. I – Burials 1-16.

Pl. II – Grave goods.

ტაბ. I



ტაბ. II



ოთარ ტყეშელაშვილი – 75 წლისაა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ოთარ ბესარიონის ძე ტყეშელაშვილს შეუსრულდა 75 წელი. ცენტრი ულოცავს ბატონ ოთარს ამ თარიღს და უსურვებს ჯამრთელობასა და შემდგომ წარმატებებს მეცნიერებაში.

ოთარ ტყეშელაშვილი დაიბადა 1925 წლის 23 აპრილს ონის რაიონის ს. შეუბანში. 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო შემდგომ (1948-1951 წწ.) სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის სპეციალობით. 1952-1954 წწ. ხელშეკრულებით მუშაობდა ინსტიტუტში.

მონაწილეობა აქვს მიღებული ვანის, კოლხეთის (ყულევის), სამგორის, უჯარმის, რუსთავის, ზემო რაჭის, ბოლნისის, მესხეთ-ჯავახეთისა და სხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბატონ ოთარს მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე გამოვლენილი ადრეული შუა საუკუნეების ნივთიერი მასალების შესწავლაში. სამთავროს სამკაულებს მიუძღვნა რამდენიმე სტატია, რომლებიც დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაპბეში: „ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ახ. წ. IV-VIII სს.), ტ. 19-ი, 1956; „სამთავროს ახ.წ. IV-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები“, ტ. 19-ზ და 21-ი. 1957; „სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები“, ტ. 20-ი, 1959. ამ კვლევა-ძიების შედეგები ო. ტყეშელაშვილმა შეაჯამა თავის სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც 1958 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1954 წლის მაისიდან ბატონი ოთარი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჯერ განყოფილების გამგედ, ხოლო 1959 წლის თებერვლიდან მუზეუმის დირექტორია 1975 წლამდე. მისი კვლევა-ძიება ძირითადად დაკავშირებულია თბილისის და მისი მიდამოების შუა საუკუნეების ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების შესწავლასთან.

1956-1957 წწ. ო. ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობდა თბილისში ერეკლე II-ის სახ. მოედანზე ჩატარებულ გათხრებს ი. გპელიშვილთან ერთად. ამ გათხრების შედეგებს მიეძღვნა მონოგრაფია „თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები“, რომელიც გამოიცა 1961 წელს ი. გპელიშვილთან თანავტორობით.

1966 წელს თბილისის დედაციხეზე დაწყებული გათხრების ერთ-ერთი ხელმძღვანელია აწ განსვენებული გ. ლომთათიძესთან და ი. გპელი-

შვილთან ერთად. გარდა ამისა, ოთარ ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა დაზვერვები და გათხრები თბილისის და მისი შემოგარენის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად. ამ კვლევა-ძიების შედეგები ასახულია სტატიაში „არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში (1954-1962 წწ.)“, რომელიც დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის შრომების I ტომში, 1966 წელი.

ქვემო ქართლში 1958 წელს მუშაობის შედეგებს მიუძღვნა ო. ტყეშელაშვილმა მონოგრაფია „ფოლადაურის ხეობა. ძვ.წ. VI-V სს მატერიალური კულტურის ძეგლები შორის ნასოფლარიდან“, რომელიც გამოიცა 1969 წელს.

ო. ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით, მუზეუმში მუშაობის დროს, მოწყობილია რამდენიმე თემატური გამოფენა, მათ შორის თბილისის ისტორიაზე, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

იგი ავტორია არაერთი გზამკვლევისა ქართულ და რუსულ ენაზე, რომელიც ეხება თბილისის ისტორიულ წარსულს.

ბატონი ოთარი 1975-1977 წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების გამგეა, ხოლო 1977 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელია.

მისი ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩატარა წორბისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (1981-1985 წწ.) ფრონეს ხეობაში. ამ შედეგების შესახებ გამოქვეყნდა რამდენიმე ანგარიში.

ბოლო დროს ო. ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები თბილისის დედაციხეზე, ერეკლე II-ის სახ. მოედანზე წმ. გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, აბანოთ უბნის წმ. ორმეოც სებასტიელ მოწამის ეკლესიისა და სხვა ძეგლებისა.

ბატონ ოთარს დაბეჭდილი აქვს არაერთი სტატია ენციკლოპედიაში, გაზეთებსა და სხვა მეცნიერულ-პოპულარულ გამოცემებში.

ო. ტყეშელაშვილი ერთ-ერთი ავტორია 1990 წელს გამოცემული წიგნისა „თბილისის ისტორია“, ტ. I.

ავტორია 60-მდე მეცნიერული და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომისა, ზოგის თანავტორი.

ო. ტყეშელაშვილს მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ცნობილ ქართველ არქეოლოგს, უფროსი თაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ალექსანდრე რამიშვილს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

ჩვენ მისი კოლეგები და მეგობრები ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ დღეგრძელობასა და მრავალ წარმატებას ცხოვრების ყველა ასპარეზზე.

ალექსანდრე (ბიჭიკო) ტიტეს ძე რამიშვილი დაიბადა 1930 წლის 22 მაისს ჭიათურაში. 1937-48 წწ. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის რკინიგზის № 3 საშუალო სკოლა. 1948-1953 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1957-1958 წწ. იგი მუშაობს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოში, არქეოლოგად, ხოლო 1959-1966 წლებში ალ. რამიშვილი ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უძეგროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1966 წ. მან მუშაობა დაიწყო აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში იგივე თანამდებობაზე.

1971 წ. ალ. რამიშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში“, რისთვისაც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1973 წლიდან იგი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1980-1985 წწ. ალ. რამიშვილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და ფიქსაციის განყოფილების გამგის მოადგილეა. ამჟამად კი – ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელია. 1998 წ. მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ალ. რამიშვილს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია, როგორცაა „კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“ (1974) და 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი. იგი რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმების მონაწილეა, სადაც მისი მოხსენებები საქართველოს გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის პრობლემებზე ყოველთვის იწვევდა სპეციალისტთა განსაკუთრებულ ინტერესს.

ალ. რამიშვილის საველე-არქეოლოგიური საქმიანობა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან იწყება. იგი მონაწილეა 40-ზე მეტი არქეოლოგიური ექსპედიციისა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომელთა უმრავლესობის ხელმძღვანელად თვითონვე გვევლინება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ 1976 წ. ჩამოყალიბებული ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიცია და მისი საქმიანობა. რის შედეგადაც შიდა ქართლის, ფაქტიურად, შეუსწავლელ ნაწილში მიკვლეული და გამოკვლეულ იქნა ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორცაა ხაშურის ნაცარგორისა და წაღვლის სამაროვანი. აქ მოპოვებულმა მასალებმა უცხოელი სპეციალისტების ყურადღებაც მიიპყრო. მასალის ერთი ნაწილი ამჟამად გამოფენილია ინგლისში, აშშ-ის მუზეუმის ქართველოლოგიურ კაბინეტში. ამ სამაროვნის მასალები დაამშვენებს საქართველოს არქეოლოგიურ გამოფენას გერმანიაში.

ალ. რამიშვილის ძალისხმევითა და დიდი მონაწილეობით შეიქმნა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის ექსპოზიციაც მთლიანად მის მიერაა შესრულებული. მუზეუმი დღეს რეგიონის მნიშვნელოვან

კულტურის კერად იქცა. მისივე ინიციატივით აქვე შეიქმნა არქეოლოგიური ბაზა-საცავი.

ალ. რამიშვილის სამუშეო საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. ჯერ კიდევ ბათუმში მუშაობის დროს, ჩამოყალიბდა ახალგაზრდა ენთუზიასტთა ჯგუფი, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ალ. რამიშვილს ეჭირა. მას, ჯერ კიდევ დამწყებ სპეციალისტს წილად ხვდა ისეთი საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულება, როგორცაა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური კოლექციების სისტემატიზაცია, კატალოგიზაცია და კომპლექსთა დადგენა. მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ საქმეს.

ალ. რამიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი საინტერესო, რთული და სპეციფიკური ძეგლების შესწავლა, როგორცაა შავი ზღვისპირეთის დიუნური ნასახლარები. მან დააკავშირა ისინი უძველეს რკინის მეტალურგიასთან და სავარაუდოდ აღადგინა რკინის მოპოვების მთელი პროცესი.

ალ. რამიშვილის მეცნიერული ღვაწლის სრულად დახასიათება ძნელია. ასევე ძნელია, ყველა იმ პრობლემის ჩამოთვლა, რომელსაც შეხებია მკვლევარი. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ინტერესი, რომელსაც იჩენს იგი ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხებისადმი, რადგან სწორი ქრონოლოგიური შკალის შემუშავება საფუძველია უძველესი ეპოქებისა და მოვლენების სწორად შესწავლისათვის.

ალ. რამიშვილის ნაშრომებს ახასიათებს ფართო მიდგომა ამა თუ იმ საკითხისადმი. იგი ერთნაირი ინტერესით სწავლობს აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ძეგლებს, ამ ორი რეგიონის კულტურათა ურთიერთობისა და ურთიერთმონაცვლეობის საკითხებს და სხვა.

ალ. რამიშვილი აქტიური მონაწილეა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში წარმოებული ყველა მეცნიერული საქმიანობის. იგი კოორდინატორი და ერთ-ერთი რედაქტორია „საქართველოს არქეოლოგიური ატლასის“, რომელშიც შეჯამებულია ქართული არქეოლოგიური მეცნიერების ყველა მიღწევა და მონაპოვარი. ამ ნაშრომის ნაკვეთების გამოცემა უკვე წელს დაიწყება.

დიდაა ალ. რამიშვილის დამსახურება ქართული არქეოლოგიური მეცნიერების წინაშე. ჩვენ, მისი კოლეგები და მეგობრები, კიდევ ბევრ ახალსა და საინტერესოს ველით მისგან.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ მას მრგვალ თარიღს და ვუსურვებთ ახალგაზრდულ ენერჯიას, შემართებასა და დიდ აღმოჩენებს საყვარელი საქმიანობის გასაგრძელებლად.

არქეოლოგიის ისტორია

დიმიტრი ბაქრაძე

(1826 – 1890)



დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე დაიბადა 1826 წელს სოფელ ზაშში მღვდლის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და შემდგომ – მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1851 წელს ბრუნდება საქართველოში. 1852-57 წლებში მუშაობდა გორის სამოქალაქო სკოლაში. 1858-61 წლებში მსახურობს ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში. 1861 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობს თბილისში. გორში მუშაობის პერიოდში დაიწყო ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური წერილების გამოქვეყნება ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში. თანამშრომლობდა კავკასიის არქეოლოგიურ კომისიაში, თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიებს. მისი ინიციატივით 1873 წელს დაარსდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელიც შემდგომში გადაიქცა „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებად“ (დ. ბაქრაძე თავმჯდომარეა 1881-86 წწ.). 1879 წლიდან ს.-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. იგი იყო უნივერსალური ხასიათის მკვლევარი. სხვადასხვა წლებში, სამეცნიერო ინტერესების გამო, მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში და მის გარეთ, რაც შემდგომ აისახა მის ნაშრომებში. 1881 წელს დ. ბაქრაძის ინიციატივით თბილისში ჩატარდა არქეოლოგთა V ყრილობა. 1889 წელს, მისივე წამოწყებით, შეიქმნა თბილისის საეკლესიო მუზეუმი. დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა 1890 წელს. დაკრძალულია თბილისში დიდუბის პანთეონში.

თხზ.: Горис-цихе. – "Кавказ", 1855, № 48-49; Сванетия. – "Кавказ", 1861, № 1-4; საქართველოს ისტორიის პირველდაწყება. – „მნათობი“, 1871,

№ 2-3; Об археологических разысканиях в Лорийском приставстве. – ИКОИРГО, I т., 1872-1873; Археологические разыскания в Тифлисском уезде. – ИКОИРГО, I т., 1872-1873; შესახებ „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებისა, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში“, „ცისკარი“, 1873, № 3-4 (სრულად გამოცემულია – გ. გამყრელიძე, ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. თბ., 1996, გვ. 32-35, დანართი); По поводу предполагаемого открытия общества любителей Кавказской археологии, "Кавказ", 1873, № 19; Краткий отчет об археологической поездке в Гурию в 1873 г., – Записки Имп. АН, т. XXIII, С-Пб., 1874; Кавказ в древних памятниках христианства. – ЗОЛКА, т. I, 1875; ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ. ოსმალოს საქართველო ანუ მესხეთი. – „ივერია“, 1877, № 8, 10, 11; О доисторической археологии вообще и Кавказской в особенности, Тифлис, 1877; Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. С-Пб., 1878; ბათუმის მაზრა. გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და არხეოლოგიური მიმოხილვა. – „დროება“, 1880, № 74, 78, 80; Об археологической поездке в Чорохский бассейн, Батум, Артвин и Артанудж. – Записки Имп. АН, т. 37, кн. I, С-Пб., 1880; ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართული ტომის დასაწყისზე, I წიგ., ტფილისი, 1881; ქართული ისტორია, ქართული ისტორიის დასაწყისისათვის ზოგიერთი საჭირო არხეოლოგიური ცნობა. – „დროება“, 1882, № 12-13; ისტორია საქართველოსი (უძველესი დროდამ მე-10 ს.). ტ. I, ტფილისი, 1889; არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1887.

ლიტყ: ზ. ქიქინაძე, სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. დიმიტრი ბაქრაძე. ტფ. 1891; მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა). ბათუმი, 1950; გ. ანჩაბაძე, დიმიტრი ბაქრაძე როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. თბ., 1982; შ. ხანთაძე, ბაქრაძე დიმიტრი. – ქსე, ტ. II, 1977, გვ. 240-241; საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, 1991, თბ., გვ. 19-24; Gamkrelidze G. On the History of the Inception and Development of Archaeology in Georgia. Tbilisi, 1990, p. 2-4 (preprint.).

გელა გამყრელიძე

ლევან მუსხელიშვილი

(1900-1942)



მიმდინარე წელს დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ ისტორიკოსსა და არქეოლოგს ლევან მუსხელიშვილს. იგი ქართული არქეოლოგიის სათავეებთან იდგა და საფუძველი დაუდო საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერ შესწავლას. ამ ახალგაზრდა მეცნიერმა ძალზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენის სამშობლოს წარსულის წარმოჩენის საქმეში.

ლევან მუსხელიშვილი დაიბადა 1900 წლის 8 აპრილს (ძვ.სტილით) ვახტანგ მუსხელიშვილისა და ნატალია მირზაშვილების ოჯახში. თბილისის ლევანდოვსკის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი უმაღლესი განათლების მისაღებად გერმანიაში გაემგზავრა. რამდენიმე წელი ლექციებს ისმენდა გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მაგრამ ავადმყოფობის გამო სწავლის დასრულება ვერ შეძლო და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1924 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტისა და აქვე ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1931 წელს იგი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში ჯერ ასისტენტად, ხოლო შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ პერიოდში აქ მეცნიერ-კონსულტანტად მუშაობდა უნივერსი-

ტეტიდან გამოძევებული დიდი ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ჩუბინაშვილის აქტიური მცდელობით, გერმანელი არქეოლოგის ა. შნაიდერის ხელმძღვანელობით, 1930-1931 წლებში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ნოქალაქევეში, მაგრამ იგი მოულოდნელად შეწყდა. ნოქალაქევეში მიიღო ლ. მუსხელიშვილმა პირველი საველე-არქეოლოგიური „ნათლობა“. მიუხედავად ავადმყოფობისა, 1931-34 წლებში მაინც ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. დიდ ყურადღებას იჩენს მისადმი და სათანადო რჩევა-დარიგებებს აძლევს მას ივანე ჯავახიშვილი.

1936 წელს, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დაარსებასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც აღნიშნული მუზეუმის დირექტორად დაინიშნა, ლ. მუსხელიშვილი მიიწვია ჯერ ამ მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო შემდეგ, 1937 წელს იგი დაინიშნა მუზეუმის სწავლულ მდივნად. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებამდე. ამავე დროს შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახლად დაარსებული ისტორიის განყოფილების გამგედ.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, რამდენიმე თვეში უქმდება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი და მის ბაზაზე იქმნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, რომელსაც უერთდება შოთა რუსთაველის მუზეუმი, როგორც მისი მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება. ლ. მუსხელიშვილი ინიშნება აღნიშნული განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობდა იგი სიცოცხლის ბოლომდე.

ლევან მუსხელიშვილი პირველი არქეოლოგი იყო, რომელსაც შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილისათვის მზადების პერიოდში ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით მიენდო საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების გამოვლინება-შესწავლა და ამასთანავე, სათანადო არქეოლოგიური მასალების შეგროვება საიუბილეო გამოფენისათვის. ამ ამოცანის შესრულებისათვის ლ. მუსხელიშვილი უკვე მაშინ სავსებით მომზადებული იყო. საფუძვლიანად იცნობდა საქართველოს ისტორიას, მის წყაროებს, პალეოგრაფიას, ქართულ არქიტექტურას და, საზოგადოდ, ხელოვნების ძეგლებსა და მათ ისტორიას, მომზადებული იყო არქეოლოგიაში, ჰქონდა საველე მუშაობის გამოცდილება, იცოდა უცხო ენები, მათ შორის ლათინური და სომხური.

1936 წელს ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიწისაგან გაანთავისუფლა ბოლნისის სიონი. ამ დროს და შემდგომში მასთან კონსულტანტად მუშაობდა გ. ჩუბინაშვილი. მათ დააზუსტეს ქართული ხუროთმოძღვრების ამ ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის გეგმა. აღმოჩენილ და გაშიფრულ იქნა ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, უპირველეს ყოვლისა, ბოლნისის სააღმშენებლო წარწერა, რომელიც ამ ექსპედიციის მუშაობის შედეგად აღმოჩნდა. ექსპედიციამ აღმოაჩინა უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, სამარხები. ამასთანავე, შესწავლილი იყო მთელი ხეობის მოსახლეობის ისტორია, შემადგენლობა და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს შუა საუკუნეების ერთ-ერთი დიდი და თავისი დროისათვის მდიდარი ქალაქის დმანისის არქეოლოგიურ შესწავლას ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით.

დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრის დაწყება საქართველოს არქეოლოგიაში ნიშნავდა საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლების, მათ შორის ნაქალაქარების გეგმაზომიერი მეცნიერული შესწავლისათვის საფუძვლის ჩაყრას.

ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1936-37 წლებში მხოლოდ სამი თვე იმუშავა. ეს კი ძალზე მცირე დრო იყო ასეთი დიდი მასშტაბისა და რთული ძეგლის დმანისის ნაქალაქარის შესწავლისათვის, რომელსაც გარეუბნებითურთ 30 ჰა-მდე ფართობი უჭირავს.

მიუხედავად ამისა, ექსპედიციამ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებას მიაღწია. მან აღმოაჩინა და გამოამზეურა იმ დროისათვის სრულიად უცნობი ძეგლები, არქეოლოგიური და სხვა მასალა (საეკლესიო და საერო ნაგებობები, ეპიგრაფიკული ძეგლები, მონეტები, კერამიკა, ლითონის, ძვლისა და ქვის ნივთები და სხვ.).

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებისა და მოპოვებული მასალების საფუძველზე, ლ. მუსხელიშვილმა საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგინა საქართველოს შუა საუკუნეების კლასიკური ქალაქი. ამასთანავე, მოპოვებული მასალები იმდენად მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ დიდი და განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის საიუბილეო გამოფენაზე.

დმანისის ნაქალაქარზე გათხრების პარალელურად ლ. მუსხელიშვილმა არქეოლოგიური ექსპედიციები მოაწყო მდინარეების – ფინეხაურის, დამბლუტის, ისპანისა და მაშავერას ხეობებში ქვეშამდე. ექსპედიციას ძალზე დაძაბული მუშაობა უხდებოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მცირე დროში უნდა აღმოეჩინათ და შეეგროვებინათ სათანადო მასალები შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების დახასიათებისა-

თვის. დმანისის ექსპედიციის ასეთ დაძაბულ მუშაობაზე მიუთითებს 1937 წელს ლ. მუსხელიშვილის გაგზავნილი წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი: „მე ისე ვარ დატვირთული გათხრებით, რომ არამც თუ ვერ ვასწრებ შრომის წერას, რისი დიდი იმედიც მქონდა, არამედ აქამდის ვერ მომიწვრივია მრავალი ადგილობრივ შესრულებული და აუცილებელი საქმის გაკეთება, როგორცაა მაგ., სომხური წარწერების (მემორიალურ ძეგლებზე, ძირითადად, საფლავის ქვებზე. – ჯ.კ.) წაკითხვა და სხვ. ისე, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში გახლავართ და მერწმუნეთ, რომ სავსებით განვიცდი ჩემ ხვედრ პასუხისმგებლობას“.

1937 წლის 3 ოქტომბერს, არქეოლოგიური ექსპედიცია დმანისში მუშაობის დამთავრებისთანავე შეუსვენებლივ გაემგზავრა გეგუთში იქ არსებული ციხე-დარბაზის გათხრა-შესწავლისათვის. დრო ძალზე მცირე იყო და ამიტომ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით შეძლო მხოლოდ რამდენადმე დაეზუსტებინა ქართული საერო ხუროთმოძღვრების ამ უნიკალური ძეგლის გეგმა და აშენების თარიღი.

ლ. მუსხელიშვილი ივანე ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი იყო. დიდმა მეცნიერმა ლ. მუსხელიშვილს 1938 წელს დააკისრა ახალი, გუდარეხის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა. 1938-39 წლებში არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა გუდარეხის ტერიტორიაზე. ამჯერად შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა არა ნაქალაქარი, არამედ შუა საუკუნეების ნამოსახლარი. ექსპედიციამ გამოავლინა საეკლესიო და საერო ნაგებობათა მთელი კომპლექსი.

ლ. მუსხელიშვილი უშუალო მონაწილე იყო არმაზისხევის ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენების.

მის კალამს ეკუთვნის არაერთი ნაშრომი ისტორიაში, არქეოლოგიაში, წყაროთმცოდნეობაში და სხვ.

სამწუხაროდ, ლ. მუსხელიშვილმა მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრო, 1942 წელს იგი გარდაიცვალა.

ჯუმბერ კობალიანი

ლეონ მუსხელიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია

ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და არქეოლოგის ლ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით პირველად ქვეყნდება მისი შრომების ბიბლიოგრაფია. მასში შესულია სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის ნაშრომები, მათ შორის წყაროების გამოცემები, თარგმანები და რეცენზიები. მასალა დალაგებულია გამოცემების წლების მიხედვით. ყველა ნაშრომი ნახულია *de visu*.

1. **ჰერცფელდ ე.** კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში. გერმანულიდან გადმოთარგმნილი **ლ. მუსხელიშვილის მიერ.** ტფილისი, 1931, 60 გვ.

2. **მუსხელიშვილი ლ.** დმანისის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები. – კომუნისტი, 28 თებერვალი, 1937.

3. **მუსხელიშვილი ლ.** ბოლნისი. – ენიშკის მოამბე, ტ. 3, 1938, გვ. 311-382, ილ., რეზ. რუს. და ფრანგ. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

4. **მუსხელიშვილი ლ.** დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა. – შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ., 1938, გვ. 317-448, ილ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

5. **ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.).** გამოსცა **ლ. მუსხელიშვილმა.** ქართული სამართლის ძეგლები № 1. რედ. ს. ჯანაშია. ტფილისი, 1939, 131 გვ.

6. **მუსხელიშვილი ლ.** დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI-XVII სს. (მასალები სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის). – ენიშკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 267-319, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

7. **მუსხელიშვილი ლ.** თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით. – სსმმ, ტ. 10-B, 1940, გვ. 23-47, რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

8. **მუსხელიშვილი ლ.** ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. წიგნი I, გვ. 1-94 და წიგნი III, გვ. 10-75. ტფილისი, 1928 [რეც.]. – ენიშკის მოამბე, ტ. 7, 1940, გვ. 151-165, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

9. **მუსხელიშვილი ლ.** არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში. თბ., 1941, 105 გვ., ილ., რეზ. რუს. და ფრანგ. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

10. **აბუსერიძე ტბელი.** ბოლოკ – ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე 1233 წლ. ტექსტი გამოსცა **ლ. მუსხელიშვილმა.** 1941, 90 გვ.

11. **მუსხელიშვილი ლ.** ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დას. საქართველოში XVI-XVIII სს. (ფოხალი, მენახევრე, მახათელი, მთელი კოკა, საპალნე). – სსმმ, ტ. 11-B, 1941, გვ. 20-24, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

12. **მუსხელიშვილი ლ.** უკანგორის ისტორიული ნაშთები. – ენიშკის მოამბე, ტ. 10, 1941, გვ. 159-182, ილ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

13. **მუსხელიშვილი ლ.** მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და

მათი დამოკიდებულება მეღქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან. – ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორის შრომები. ტ. I, თბ., 1942, გვ. 133-142, რეზ. ფრანგ. ენ. გვ. 169-170, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

14. **მუსხელიშვილი ლ.** სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი. – ენიშკის მოამბე, ტ. 13, 1942, გვ. 85-106, ილ., რეზ. რუს. და გერმ. ენ.

15. **ყაუხნიშვილი სიმ.** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. პირველი წიგნი IV-VII საუკუნეები. თბ., 1948, 216 გვ. დამატება: გათხრა ნოქალაქევ – არქეოპოლისში. ნოქალაქევის გათხრა. გვ. 188-201.

[ა. შნაიდერის ანგარიში გერმანულიდან თარგმნა **ლ. მუსხელიშვილმა.**]

16. **მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ. და ჯაფარიძე ვ.** გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. **ლ. მუსხელიშვილის** რედაქციით. თბ., 1954, 138 გვ., ილ., რეზ. რუს. ენ.

17. **1930-1931 წლების** ექსპედიციის ანგარიში. – ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I. არქეოლოგიური გათხრები 1973-1977. თბ., 1981, გვ. 228-239.

[წინასიტყვაობა ს. ყაუხნიშვილისა. ა. შნაიდერის ანგარიში თარგმნილია გერმანულიდან **ლ. მუსხელიშვილის მიერ.**]

18. **მუსხელიშვილი ლ.** ნოქალაქევის დღიური (1930. XII. 28 – 1931. I. 28) (№ 23). – ნოქალაქევი – არქეოპოლისი. არქეოლოგიური გათხრები. 1978-1982. თბ., 1987, გვ. 289-306, რეზ. რუს. და ინგლ. ენ.

19. [Muxelišvili L.] Город эпохи Руставели. – ИМ, кн. 3, 1937, с. 224-225.

[По статье Л. Мухелишвили из газеты "Заря Востока"].

20. **Мухелишвили Л.** Раскопки в Дманиси (Краткий очерк). – СА, № 6, 1940, с. 258-286, ил., рез. на франц. яз., библиогр. в примеч.

21. **Muskeli L.** Kaukasische parallele zu einem altaegyptischen Rennwagen. – საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VIII, ტფილისი, (1933 და 1934) 1935, გვ. 143-148, ილ., რეზ. ქართ. ენ.

შემდგენელი ბესარიონ ჯორბენაძე

ქრონიკა CHRONICLE

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1999 წელს

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

ცენტრის თანამშრომლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით: საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაციები, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ცნობარი, ინტერდისციპლინარული კვლევები, საქართველოს არქეოლოგიის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.

გრანტით შესრულებული სამუშაო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით დაგეგმილ თემებზე მუშაობა დამთავრდა. 2000 წელს მუშაობა გრძელდება ორ გრანტზე: 1. კოლხეთი და გარე სამყარო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის ისტორიის პრობლემები), 2. საქართველო და სკვითური სამყარო.

სამეცნიერო სესიები

2 აპრილს ცენტრში გაიმართა სამეცნიერო კოლოკვიუმი „ალექსანდრე კალანდაძე და საქართველოს არქეოლოგიის პრობლემები“, რომელიც მიემდინარეობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე კალანდაძის დაბადებიდან 90 წლის-თავს. კოლოკვიუმი შესავალი სიტყვით „ალექსანდრე კალანდაძე“ გახსნა ცენტრის დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ოთ. ლორთქიფანიძემ. მოხსენებები წაიკითხეს: მ. ნიორაძემ „არქეოლოგიური გათხრები წონას მღვიმეში და კავკასიის აშელისა და მუსტიეს ეპოქის ზოგიერთი პრობლემა“, ლ. ნებიერიძემ „ალექსანდრე კალანდაძე – საქართველოს ნეოლითის პირველი მკვლევარი“, კ. კალანდაძემ „ალ. კალანდაძის ღვაწლი წყალტუბოს მხარის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის საქმეში“, ვ. სადრაძემ „სამთავროს სამაროვანი და მასთან დაკავშირებული ქრონოლოგიის პრობლემები“, გ. კვიციანიამ „ალ. კალანდაძე – გათხრები სოხუმში და ძველი დიოსკურიის ისტორიის პრობლემები“.

მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ალ. კალანდაძის ცხოვრების ამსახველი ფოტოები და მისი ნაშრომები.

15 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა სხდომა, მიმდინარეობდა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის ალექსანდრე (სანდრო) კალანდაძის დაბადებიდან 90 წლის-თავისადმი. სხდომა მოაწყო საქართველოს არქეოლოგიურმა კომისიამ, არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრამ და მცხეთის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა.

ცენტრიდან მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ოთ. ჯაფარიძე, აკადემიის წევრ-კორეს-

პონდენტი ოთ. ლორთქიფანიძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ნიორაძე.

ოთ. ლორთქიფანიძემ მოხსენება წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. აკ. ურუშაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სესიაზე.

20-28 აპრილს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესია „საქართველოში 1998 წელს ჩატარებული სავალე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.“ სესია შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრის დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ. წაიკითხული იყო შემდეგი მოხსენებები: მ. გაბუნია „სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“, შ. ჩართოლანი, რ. ხვისტანი „სვანეთის ექსპედიცია“, გ. ნარიმანიშვილი „წალკის რაიონის ექსპედიცია“, ზ. მახარაძე „კასპის რაიონის ექსპედიცია“, რ. პაპუაშვილი „კოლხეთის ექსპედიცია“, ოთ. ლორთქიფანიძე „გათხრები ვანის ნაქალაქარზე“, ოთ. ტყეშელაშვილი, მ. ძნელაძე, ვ. გვეტაძე, ზ. კალანდაძე „თბილისის წმ. ორბელიანის მონასტრის მოწამეთა ეკლესიის არქეოლოგიური კვლევა-ძიების 1998 წლის შედეგები“.

მოსმენილ იქნა მოხსენებები მიმდინარე მშენებლობების ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი: ვ. ლიჩელი, რ. ნორმანი (საქართველოს მილსადენის კომპანია), ნ. გაბედავა (სააქციო საზოგადოება „ეგრი“) „არქეოლოგია მშენებლობის ზონაში“, თ. მეშველიანი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) „მილსადენი და გორაძირის გათხრები“, ალ. რამიშვილი „არქეოლოგიური გათხრები მილსადენის ფლევის მონაკვეთზე – სოფ. ნაცარგორასთან“, ვ. ჯაფარიძე „მონიტორინგი და არქეოლოგიური ძიება ნავთობსადენის ზესტაფონ-ბაღდადის მონაკვეთზე“, ვ. სადრაძე, რ. დავლიანი „გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია“, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე „მილსადენის კათოდური დაცვის ზონაში ჩატარებული გათხრების შედეგები“, გ. მინდიაშვილი „გორის რაიონის ექსპედიცია მილსადენისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობაზე“, ნ. მირიანაშვილი „ნასტაკის ექსპედიცია მილსადენისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობის ზონაში“, ა. აფაქიძე, გ. ყიფიანი, ვ. ნიკოლაიშვილი (მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი) „არქეოლოგიური აღმოჩენები ნარეკვავზე“, კ. კახიანი „მაშავერას ხეობის ექსპედიცია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობაზე“.

ერთი დღე მიემდინარეობდა საერთაშორისო ექსპედიციების მუშაობას. წაიკითხული იყო მოხსენებები: ვ. კოპალიანი „დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი“, მ. ნიორაძე, ო. იორისი (მაინცი) „დმანისის პალეოლითური რაზმი“, კ. ფიცხელაური, ვ. ვარაზაშვილი, მ. კორფმანი (ტიუბინგენი), ა. ფურტენგლერი (ჰალე) „ქართულ-გერმანული ექსპედიცია კახეთში“, ვ. ლიჩელი, ვ. მორინი (მონრეალი-ანკარა) „მეცხეთის ქართულ-კანადური ექსპედიცია“, ა. კახიძე

(ბათუმი), მ. ვიკერსი (ოქსფორდი) „ქობულეთ-ფიჭვნარის ქართულ-ბრიტანული ექსპედიცია.“

წარმოდგენილი იყო ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გათხრების ანგარიში გონიო-აფსაროსში. მოხსენებებით გამოვიდნენ შ. მამულაძე „გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური კვლევის მოკლე ისტორია“, ა. კახიძე „სამხრეთის კარიბჭე და აბანოს უბანი“, გ. თავაძე „არქეოლოგიური გათხრები ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში“, ნ. ინაიშვილი, მ. ხალვაში „გონიოს ციხის ცენტრალურ მონაკვეთზე ჩატარებული მუშაობის შედეგები“, მ. ხალვაში „კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან“, ირ. ვარშალომიძე „ნუმიზმატიკური მონაპოვარი“, ნ. აფხაზავა, შ. მამულაძე „მოტიქული კერამიკა“, ვ. ჯაფარიძე „ციხის ზღუდის სამხრეთის კედელი და საფორტიფიკაციის სისტემის სტრატეგია“.

სესიაზე მოხსენება წაიკითხა ზ. ბრავაძემ (საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი) „აღმოსავლეთ კოლხეთის ექსპედიცია.“

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა უცხოეთიდან. სორბონის უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრე ლარონდმა (საფრანგეთი) წაიკითხა მოხსენება „კირენეს აპოლონიის წყალქვეშა არქეოლოგიური გათხრები.“ მოხსენებას დაესწრო საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქალბატონი მირეი მიუსო, საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლები და საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი სპირიდონ გეორგილესი.

გარდა ამისა, მოხსენებით ხმელთაშუა ზღვაში ჩატარებული წყალქვეშა სამუშაოების შესახებ გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები კრისტინ რომეი და აიშე ატაუში.

ცენტრის დაარსების დღეს 28 აპრილს ოთ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1998 წელს.“

სესიისათვის მოეწყო საგანგებო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო უკანასკნელი აღმოჩენები, ცენტრის თანამშრომლების მიერ 1998 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები და სტატიები დაბეჭდილი პრესის ფურცლებზე.

2-5 მაისს მოეწყო ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სიმპოზიუმი „ქუთაისური საუბრები – VI.“ სიმპოზიუმის თემა იყო „ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში.“ ცენტრიდან მოხსენებები წაიკითხეს ოთ. ლორთქიფანიძემ, ვ. ჯაფარიძემ, ვ. ლიჩელმა, ალ. რამიშვილმა, მ. ჭირაქაძემ, გ. ჩიქოვანმა. სიმპოზიუმის მასალები დაიბეჭდა.

11-13 მაისს ჩატარდა შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის I სამეცნიერო სესია, მიძღვნილი წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნების პრობლემებისადმი. ცენტრიდან წარდგენილი იყო ორი მოხსენება მ. ნიორაძისა და ვ. ნიორაძის და ვ. ჩხლაძის. მოხსენებათა შინაარსები დაიბეჭდა.

12 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში

ჩატარდა აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, სადაც მოხსენება წაიკითხა ოთ. ლორთქიფანიძემ „ახალი აღმოჩენები ვანში.“

18-19 მაისს გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში“, სადაც ცენტრიდან მოხსენებით „ჭყერემის ნაქალაქარი“ გამოვიდა ნ. მამაიაშვილი.

27-28, 31 მაისს და 1-2 ივნისს გაიმართა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეექვსე სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი. სესია გახსნა ცენტრის დირექტორმა ოთ. ლორთქიფანიძემ. მოხსენებები წაიკითხეს: გ. მირცხულავამ „ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობისა და განვითარების გზები“, ლ. ჯობლაძემ „კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის შავპრიალა კერამიკის წარმომავლობისათვის“, ნ. სულავამ „სამთავროს სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის“, რ. პაპუაშვილმა „კოლხეთის ბრინჯაოს ექსპორტი სამხრეთით (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში)“, მ. აბრამიშვილმა „ხარის კულტი ძველ საქართველოში“, ლ. წითლანაძემ „მასალები ქართველ ტომთა უძველესი სულიერი კულტურის ისტორიისათვის“, ნ. სულავამ „თლის სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის“, მ. ფირცხალავამ „ე.წ. სკვითური ელემენტების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის (ახალი მონაცემების შექმნა)“, ა. ჭყონიამ „ელმინისტური „კოინე“ და კოლხეთი (საიუველდრო ხელოვნების ზოგიერთი ნიმუშის ინტერპრეტაციისათვის)“, დ. ახვლედიანმა „კოლხეთის ვაჭრობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ძვ.წ. IV-II სს-ში“, ი. ცუხიშვილმა „ტრაპიზონული მონეტების განძი ქუთაისიდან“, გ. ლამბაშიძემ „დალესტანში აღმოჩენილი ერთი ქართული წარწერის ახლებური წაკითხვის შესახებ“, ვ. ჩიხლაძემ „ჟინვალის სამაროვნის სამაჯურები“, დ. მინდორაშვილმა „ხევის გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხები (გველეთის სამაროვნის მასალების მიხედვით)“, გ. რჩეულიშვილმა „ზოროასტრიზმის გადმონაშთები ფშავ-ხევსურეთში“ და ივ. წიკლაურმა „მონასტრები და სამონასტრო ცხოვრება აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში.“

სესიის მუშაობის პერიოდში გაიმართა კოლოკიუმი თემაზე „სამთო საქმე და მეტალურგია ძველ საქართველოში (ძვ.წ. III-I ათასწლეულებში)“, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ: დ. ლამბაშიძე „ძველი სამთამადნო წარმოება გეოლოგიური მონაცემების მიხედვით“, ბ. მაისურაძე, გ. ინანიშვილი „სამთო-მეტალურგიული წარმოების ძეგლები რაჭაში“, შ. ჩართოლანი „სამთამადნო წარმოების უძველესი ძეგლები სვანეთისა და აფხაზეთის მაღალმთიან ზოლში (არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები და პერსპექტივები), გ. ინანიშვილი „ბრინჯაოს მეტალურგია და ლითონდამუშავება ძვ.წ. III-I ათასწლეულში“, ირ. ლამბაშიძე „ბრინჯაოს წარმოება მესხეთში ძვ.წ. II-I ათასწლეულში.“

20-23 სექტემბერს ვანში, არქეოლოგიური მუზეუმის სხდომათა დარბაზში შედგა შავიზღვისპირეთის

ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმში თემაზე „ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა.“ სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა საქართველოდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ნიდერლანდებიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან და აშშ-დან. ცენტრიდან მოხსენებები წაიკითხეს ოთ. ლორთქიფანიძემ, გ. კვიციანიამ, ა. ჭყონიამ, დ. ახვლედიანმა, ვ. თოლორდავამ, დ. კაჭარავამ, ნ. სულაგამ, ე. გიგოლაშვილმა, ნ. მათიაშვილმა, მ. ფირცხალავამ, რ. ფუთურაძემ და ნ. ლორთქიფანიძემ. სიმპოზიუმის მონაწილეებმა დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრები ვანში და მუხეუმის ახალი ექსპონატები. გამსვლელი სხდომები შედგა ბათუმსა და გონიოში. სიმპოზიუმისათვის ცალკე წიგნად გამოიცა მოხსენებების მოკლე შინაარსები, რომელიც ცენტრის ჟურნალის „ძიებანი“ № 1 დამატებანია. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდმა გამოსცა ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ № 3, რომელიც მიეძღვნა სიმპოზიუმს. მასში გამოქვეყნებულია სტატიები ახალ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაზე დასავლეთ საქართველოში.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მისალმება გაუზღავნა საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ.

12-13 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს არქეოლოგიური კომისიის სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში.“ კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის 85 წლისთავს. ცენტრიდან მოხსენებები წაიკითხეს ოთ. ლორთქიფანიძემ, კ. ფიცხელაურმა, ვ. ლიჩელმა და ნ. მამიაშვილმა. დაიბეჭდა მოხსენებათა მოკლე შინაარსები.

29 ოქტომბერს ჩატარდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქრისტიანული არქეოლოგიის მესამე სამეცნიერო კონფერენცია, სადაც წარდგენილი იყო რ. რამიშვილის, გ. რჩეულიშვილის, ვ. ჩიხლაძისა და მ. ხავთასის მოხსენებები. დაიბეჭდა მოხსენებათა მოკლე შინაარსები.

1 დეკემბერს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გაიმართა საიუბილეო სხდომა, მიძღვნილი დავაწლ-მოსილი ქართველი არქეოლოგის გიორგი ლომთათიძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი, რომელიც მოაწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, არქეოლოგიურმა კომისიამ, არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა. მოხსენებები გ. ლომთათიძის სამეცნიერო მოღვაწეობაზე და ზოგიერთი შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლაზე წაიკითხეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ, ვ. ჯაფარიძემ, ბ. ჯორბენაძემ, რ. რამიშვილმა და ც. ჩიკოიძემ. მოგონებებით გამოვიდნენ ნ. ჯავახიშვილი, ოთ. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი, გ. ჟორდანიანი, გ. ლამბაშიძე, კ. ჩოლოყაშვილი, ივ. ჯაფარიძე და პ. ფირფილაშვილი. შედგა გ. ლომთათიძის წიგნის „გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა“ პრეზენტაცია, რომელიც მეცნიერის იუბილესათვის გამოსცა არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა.

წიგნი წარმოადგინა მისმა შემდგენელმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ონომასტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა გ. ბედოშვილმა.

დასასრულს ქალბატონმა ნინო ლოლობერიძემ დიდი მადლობა მოახსენა ყველას ვინც მოაწყო სხდომა და პატივი სცა გიორგი ლომთათიძის სახელს.

მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ფოტოები და ბატონი გოგის ნაშრომები, მათ შორის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული.

არქეოლოგიური საუბრები

თებერვალ-აპრილის თვეებში ჩატარდა არქეოლოგიური საუბრები (ოთხშაბათობები), სადაც მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. ოთ. ლორთქიფანიძე, ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის მე-100 საიუბილეო სესია; 2. გ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლიტერატურის ტექსტების ქასკას (ქაშკა) და აბეშლას ტომთა ეთნიკური ვინაობისათვის; 3. დ. კაჭარავა, საფრანგეთში მივლინების ანგარიში; 4. ზ. მახარაძე, არქეოლოგიის მეთოდოლოგიის პრობლემები; 5. გ. გამყრელიძე, თურქეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიში; 6. მ. მუმლაძე, არქეოლოგია გახეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით; 7. ნ. მათიაშვილი, თურქეთში მივლინების ანგარიში; 8. გ. მინდიაშვილი, კოლოკვიუში სტამბულში „ევეფრათიდან კავკასიამდე“; 9. მ. ნიორაძე, გ. ნიორაძე, ხელოვნების ნიმუშები დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლებიდან; 10. ზ. ცქვიტინიძე, ქვემო ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური თავისებურებანი (დმანისის რაიონის მასალების მიხედვით); 11. ლ. ნებიერიძე, მღვიმე საგვარჯილეს ამულეტებისა და სამკაულების დათარიღებისათვის; 12. ნ. რუსიშვილი, 1998 წელს მოპოვებული ზოგიერთი პალეოეთნოლოგიური მასალის შესწავლის შედეგები; 13. ბ. მურვანიძე, რამდენიმე ექსპონატი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუხეუმის ფონდიდან; 14. ნ. მათიაშვილი, მონუმენტური ორმო ვანის ნაქალაქარის სალოცავიდან; 15. მ. კვაჭაძე, სამაროვანი ს. კავთისხევიდან; 16. მ. ოდიშელი, სამეცნიერო მივლინება ინგლისსა და ირლანდიაში; 17. ქ. რამიშვილი, ცხენის გამოსახულებიანი მშვილდსაკინძი არაგვის ხეობიდან; 18. ირ. ლამბაშიძე, ვანის (თურქეთი) აიანიზ-თეფეს არქეოლოგიური გათხრები.

ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარი

შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს რ. რამიშვილმა და მოწვეულმა მეცნიერებმა ზ. კიკნაძემ, რ. პატარიძემ, გ. ნარსიძემ და სხვ.

სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოზე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სპეციალობით დაცული იყო 22 დისერტაცია. მათ შორის იყვნენ ცენტრის თანამშრომლები. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვეს: 1. გ. კვიციანიამ; 2. ვ. ჯაფარიძემ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვეს: 1. თ. ჩიგოშვილმა; 2. ა. გაბრიაძემ; 3. ირ. ლამბაშიძემ; 4. კ. წერეთელმა; 5. გ. ჩიქოვანმა;

6. ე. გიგოლაშვილმა; 7. ნ. ახვლედიანმა; 8. ნ. დოლიძემ; 9. ვ. ჩიხლაძემ; 10. მ. მარგველაშვილმა. გარდა ამისა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 10 დეკემბერს დისერტაცია დაიცვა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ა.ი. ნოვრუზლუმ „Позднесредневековое ремесло Азербайджана (XIV-XVII вв.)“ მ. ჭირაქაძემ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოთა გაერთიანებულ სხდომაზე.

ექსპედიციები

ცენტრის ექსპედიციებმა ჩაატარეს არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე, მათ შორის ახალმშენებლობების ზონაში: 1. გურიის (ვ. სადრაძე); 2. დმანისის (ჯ. კობალიანი); 3. დმანისის ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი (მ. ნიორაძე) ქ. მაინციის გერმანულ-რომაულ მუზეუმთან ერთად; 4. ეგრისის (ვ. ჯაფარიძე); 5. ვანის (ოთ. ლორთქიფანიძე); 6. კასპის რაიონის (ზ. მახარაძე); 7. კოლხეთის (რ. პაპუაშვილი); 8. კუხეთის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელი რაზმი (ვ. ჩიკოიძე, ვ. მინდიაშვილი); 9. მაშავერას ხეობის (ვ. კახიანი); 10. ნასტაკისის (ნ. მირონიანი); 11. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის (მ. გაბუნია); 12. სამცხის (ვ. ლიჩელი); 13. სვანეთის (შ. ჩართლანი); 14. წალკათრიანეთის (ვ. ნარიშვილი); 15. ამერიკულ-ქართული ჰიდროარქეოლოგიური – ფოთში (ვ. გამყრელიძე).

[საკვლე ქრონიკა დოკუმენტური ანგარიშების მიხედვით დაიბეჭდება ჟურნალში „ძიებანი“ № 6].

ერთობლივი ექსპედიცია მთის რაჭასა და სვანეთში

არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ქ. ბოხუმის (გერმანია) სამთო მუზეუმის მოლაპარაკების შედეგად ქ. ბოხუმის სამთო მუზეუმში 2001 წელს გათვალისწინებულია მოწყობა გამოფენისა „საქართველოს სამთო საქმე და მეტალურგია.“ მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით 7-15 აგვისტოს მოეწყო ერთობლივი ექსპედიცია მთის რაჭასა და სვანეთში. მასში მონაწილეობა მიიღეს ცენტრის თანამშრომლებმა: ოთ. ჯაფარიძემ, ბ. მაისურაძემ, გ. ინანიშვილმა, მ. ბარამიძემ, ვ. გობეჯიშვილმა, ირ. ლამბაშიძემ და დ. ლამბაშიძემ. სტუმრებიდან იყვნენ ქ. ბოხუმის სამთო მუზეუმის არქეომეტალურგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ანდრეას ჰაუფტმანი, ამავე ინსტიტუტის აღმოსავლეთ ქვეყნების კოორდინატორი უნზალ იალჩინი და ბოხუმის სამთო მუზეუმის დირექტორი რაინერ ზლოტა. ცენტრში სტუმრებმა დაათვალიერეს საგანგებოდ მოწყობილი გამოფენა „საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები.“ ინახულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიური კათედრების გამოფენები. აგრეთვე ნახეს თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის გამოფენა და ს. ჯანაშიას სახ. სა-

ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები. ზემო რაჭასა და სვანეთში ექსპედიციის წევრებმა დაათვალიერეს სპილენძის ძველი საბადოების ნაშთები, მალაროები, სპილენძისა და ანთიმონის ძარღვების ნიმუშები და ა.შ. გარდა ამისა, სვანეთში გაეცნენ სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზას, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მ. ხერგიანის სახლ-მუზეუმს და სხვა ისტორიულ ძეგლებს. შერჩეული იყო მასალები გამოფენისათვის. სვანეთში ექსპედიციას მასპინძლობას უწევდა ცენტრის სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. შ. ჩართლანი).

ოთ. ლორთქიფანიძეს ა. ჰუმბოლდტის პრემია

ოთ. ლორთქიფანიძეს მიენიჭა ცნობილი გერმანელი მეცნიერის ალექსანდერ ჰუმბოლდტის პრემია, რომელიც ითვალისწინებს გერმანიის სამეცნიერო ცენტრებში ნ-თვიან სამეცნიერო მუშაობას სრული ფინანსური უზრუნველყოფით.

ოთ. ლორთქიფანიძე – ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი

17 დეკემბერს გამოჩენილი ესპანელი ისტორიკოსების ზოსე ბლანკო მარტინესის, ქვინტონ ალდეა ვაქეროს და მარტინ ალბაგრო გორბეას წარდგინებით ოთ. ლორთქიფანიძე არჩეულია საისტორიო მეცნიერებათა ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრად.

მივლინებები და ურთიერთობები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე იანვარში ორი კვირით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მოხსენებები წაიკითხა ვაშინგტონში ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტში, ჩიკაგოს აღმოსავლურ ინსტიტუტში, კოლუმბიაში მისურის უნივერსიტეტში. მისი (10 დღე) – პარიზში წარწერების აკადემიაში წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგია საქართველოში“ (თანამომხსენებელი პროფ. პ. ლარონდი), ნანტში გაეცნო პალეოგეომორფოლოგიური ცენტრის მუშაობას ფასისის ლოკალიზაციის პროგრამასთან დაკავშირებით. ივნისში (ერთი კვირით) – თურქეთში ანკარის ბიკენტის უნივერსიტეტში ჩაატარა სემინარი ბერძნულ-კოლხური ურთიერთობების პრობლემებზე. მილეტში (თურქეთი) იონიური არქეოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაიკითხა მოხსენება „იონიური კოლონიზაცია და კოლხეთი.“ გერმანიაში (ნოემბერი-დეკემბერი) მუშაობდა მაინციის რომაულ-გერმანულ მუზეუმში, ლექციები წაიკითხა შტუტგარტისა და ბოხუმის უნივერსიტეტებში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში "Il mare nero" (რომი) და "Colloquia antiqua" (ოქსფორდი) შეასრულა ერთდროული სამუშაოები, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრმა. გაუკეთა რედაქტირება (პროფ. პ. ლევეკთან ერთად) შავი ზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის VII და VIII სიმპოზიუმებისადმი მიძღვნილ კრებულებს, რომლებიც გამოიცა პარიზში.

მ. ნიორაძე (4-25 ნოემბერი) მივლინებით იმყოფებოდა იტალიაში. ქ. რომში პალეონტოლოგიის მუზეუმში გაეცნო იტალიის ძველი ქვის ხანის ძეგლების მასალებს. იტალიის პალეონტოლოგიის მუზეუმის

და საფრანგეთის ტოტაველის მუზეუმის თანამშრომლებისათვის და რომის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის წაიკითხა მოხსენებები: „დმანისი და მისი მატერიალური კულტურის ნაშთები,“ „დმანისის უძველესი ქვის ინდუსტრია“ და „Homo erectus“-ის ძეგლოვანი ნაშთები დმანისიდან.“

დ. კაჭარავა (15 ოქტომბრიდან) იმყოფება დიდ ბრიტანეთში, სადაც ქ. ეგზეტერის უნივერსიტეტში კლასიკურ განყოფილებაში (შავიზღვისპირეთის პროექტი) მუშაობს შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ იმპორტზე (ბერძნული ქალაქებიდან და სკვითური კომპლექსებიდან).

ნ. შანშაშვილი (13/II – 7/VIII) ფოლქსვაგენის სტიპენდიით მუშაობდა ქ. ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის სახ. უნივერსიტეტთან არსებულ აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტში პროფ. ვ. ორტმანის ხელმძღვანელობით. მუშაობდა აღმოსავლეთ არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის, პრეისტორიული ხანის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში.

ნ. სულავამ (დეკემბერი) მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო კონფერენციაზე "Боспорский феномен: греческая культура на периферии античного мира," რომელიც ჩატარდა ს.-პეტერბურგში.

გ. კვიციანი (მაისი-ივნისი) იყო გერმანიაში მაინცის ცენტრალური რომაულ-გერმანული მუზეუმის სტიპენდიით.

მ. აბრამიშვილი (ოქტომბერი-ნოემბერი) იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მუშაობდა მეტროპოლიტენ-მუზეუმში დაცულ არქეოლოგიურ მასალებზე. ბოსტონში მიაკვლია ჟაკ დე მორგანის მიერ კავკასიაში გათხრილ გამოუქვეყნებელ არქეოლოგიურ მასალებს.

მ. ფუთურიძემ მონაწილეობა მიიღო (4-8 ოქტომბერი) ხეთოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში ქ. ვიურცბურგში (გერმანია), სადაც წაიკითხა მოხსენება „ანატოლიურ-ამიერკავკასიური კონტაქტების ზოგიერთი ასპექტი ძველბაბილონურ ხანაში.“ გარდა ამისა, მონაწილეობა მიიღო (2-10 ნოემბერი) ქ. სტამბულში (თურქეთი) გამართულ კილიკიის საერთაშორისო სიმპოზიუმის "Espaces et Pouvoirs Locaux (Space and Changes)" მუშაობაში, რომელიც ეძღვნებოდა კილიკიის ძვ.წ. II ათასწ. – ახ.წ. IV ს. არქეოლოგიის პრობლემებს.

ვ. ლიჩელმა (ნოემბერი) მონაწილეობა მიიღო ათენში (საბერძნეთი) გამართულ კონფერენციაში „სასახლეთა ინსტიტუტი ძველ სამყაროში,“ სადაც წაიკითხა მოხსენება.

ცენტრის ბიბლიოთეკის ურთიერთობა სხვა ბიბლიოთეკებთან

ცენტრს აწ განსვენებული მ. მიწიშვილის ოჯახმა გადმოსცა მისი პირადი ბიბლიოთეკიდან არქეოლოგიური ლიტერატურა.

ცენტრის ბიბლიოთეკას (გამგე თ. კობახიძე) წიგნები გადასცეს და გამოუგზავნეს: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, თბილისის უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალციხის ფილიალმა, ჟურნალ „მეგლის მეგობრის“ რედაქციამ, ა. დიუმას სახ. ფრანგულ-ქართუ-

ლი კულტურის ცენტრმა, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, სახელმწიფო ერმიტაჟმა, ს.-პეტერბურგის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტმა, მაინცის (გერმანია) რომაულ-გერმანულმა ცენტრალურმა მუზეუმმა, საფრანგეთის არქეოლოგიის ინსტიტუტმა იტალიაში, თრაკოლოგიის ინსტიტუტმა რუმინეთში, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო არქეოლოგიის ინსტიტუტმა, გერმანიის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა რომში.

ცენტრის ბიბლიოთეკამ წიგნები გადასცა და გაუზავნა: ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკას, საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას, ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტს, ს.-პეტერბურგის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტს, აშშ საზღვაო არქეოლოგიის ინსტიტუტს, პარიზში სორბონის უნივერსიტეტს, ბერძნულ-ქართული კულტურის ურთიერთობათა ისტორიის ქართულ ინსტიტუტს ქ. ათენში, გერმანიაში ჰალეს უნივერსიტეტს.

გატარდა ნ. უგრელიძის ოჯახის მიერ გადმოცემული წიგნები, რომლებიც შეადგენს 641 სახელწოდების ლიტერატურას.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკას წიგნები გადასცა ოთ. ლორთქიფანიძემ, ბ. ჯორბენაძემ, მ. ინაძემ, კ. კუშნარიოვამ (ს.-პეტერბურგი), ი. ვინოგრადოვმა (მოსკოვი) და სხვ.

ბიბლიოთეკაში სულ შემოსულია 800-მდე წიგნი, ხოლო გაგზავნილია – 170-მდე.

ო. მიქელაძის სახელობის კაბინეტი ცენტრში

14 აპრილს ცენტრში გაიმართა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თეიმურაზ (გული) კონსტანტინეს ძე მიქელაძის (1925-1998) ხსოვნისადმი. ცენტრის დირექტორმა ოთ. ლორთქიფანიძემ შესავალ სიტყვაში ისაუბრა თ. მიქელაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე, დაახასიათა მისი ორგანიზატორული საქმიანობა. მოხსენებები წაიკითხეს დ. მუსხელიშვილმა „კოლხეთის ექსპედიციის ანაკლიის რაზმი,“ მ. ბარამიძემ „კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლთა პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის პრობლემები თეიმურაზ მიქელაძის ნაშრომებში,“ რ. პაპუაშვილმა „თეიმურაზ მიქელაძე – კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი,“ დ. კაჭარავამ „წვირილფიგურული კილიკები სიმაგრის ნამოსახლარიდან,“ მ. ჭირაქაძემ „ეთნოლინგვისტიკის საკითხები თეიმურაზ მიქელაძის ნაშრომებში.“ მოგონებებით გამოვიდნენ ოთ. ჯაფარიძე, თ. ჩიქოვანი, რ. რამიშვილი, ე. გოგაძე, ნ. ხაზარაძე და პ. ფირფილაშვილი.

იმავე დღეს თეიმურაზ მიქელაძის სამუშაო ოთახში გაიხსნა მისი სახელობის კოლხეთის არქეოლოგიის კაბინეტი. ამ კაბინეტს საფუძვლად დაედო განსვენებული მეცნიერის ბიბლიოთეკა (ლიტერატურა 1300 სახელწოდების), არქივი, თარგმანები და

სხვა მასალები, რომლებიც ანდერძით გადაეცა არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

საგაზეთო სტატიების პუბლიკაციები

ოთ. ჯაფარიძემ, კ. ფიცხელაურმა, თ. ჩიქოვანმა, ბ. ჯორბენაძემ, მ. ჩხატარაშვილმა, რ. პაპუაშვილმა, გ. ბოლქვაძემ, ირ. ლამბაშიძემ, ჯ. კოპალიანი, ა. აბდალაძემ და სხვ. დაბეჭდეს სტატიები გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „ახალი განათლება“, „ახალი საქართველო“, „ეციცინათელა“, „Сводная Грузия“, „გურჯისტანი“ („საქართველო“).

არქეოლოგია ტელეკრანებზე

საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემა „არტეფაქტი“ მიმოიხილავს ქართული კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებს და საზოგადოებას აცნობს ახალ აღმოჩენებს საქართველოსა და უცხოეთში. ტელეგადამცემას უძღვება ვ. ლიხელი.

გ. ლამბაშიძემ ტელეარხ „ეკრიკაში“ განახორციელა გადაცემათა სერია „ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთისეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში.“

გ. თორთლაძე ვერესტზე

ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი გ. თორთლაძე რამდენიმე წელია ნაყოფიერად სწავლობს ტყიბულის რაიონის ზედაპალეოლოგიურ ძეგლებს. ამ მასალებზე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები. არქეოლოგიის გარდა გიას დიდი გატაცებაა ალპინიზმი. მას დაპყრობილი აქვს არაერთი სიმაღლე კავკასიონზე, პამირზე, ტიან-შანზე, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და ჰიმალაიში. 1999 წლის 26 მაისს გ. თორთლაძემ თავის ჯგუფთან ერთად დალაშქრა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8848 მ) ტიბეტის მხრიდან.

გამოქვეყნებული ნაშრომები მონოგრაფიები, კრებულები, ჟურნალები

1. **ახვლედიანი დ.** კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან. თბ., 1999, 74 გვ., ილ., რეზ. ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 86 სხვ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

2. **ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში:** აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, 74 გვ. ქართ., რუს., ინგლ., გერმ., ფრანგ. ენ. (ძიებანი. დამატებანი. I).

3. **კოპალიანი ჯ.** ქვეშის ციხე (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ., 1999, 120 გვ., ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 80 სხვ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილება).

4. **ლომთათიძე გ.** გამდიდრებისათვის ქართული ხეებისა. თბ., 1999, 140 გვ. რეზ. ინგლ. ენ. შემდგენელი გ. ბედოშვილი. რედაქტორები გ. კვარაცხე-

ლია, ოთ. ლორთქიფანიძე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

5. **მილსადენის არქეოლოგია,** ტ. I, თბ., 1999, 120 გვ., ილ., რეზ. ინგლ. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მილსადენის კომპანია).

6. **ქუთათელაძე ქ.** საქართველოს ისტორია (V კლასის სახელმძღვანელო). თბ., 1999, 133 გვ., ილ.

7. **შანშაშვილი ნ.** ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე. თბ., 1999, 66 გვ., ილ., პარალ. ტექსტი რუს ენ., ბიბლიოგრ.: 60 სხვ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

8. **ძიებანი.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. № 3, თბ., 1999, 120 გვ., ილ., რეზ. რუს., გერმ., და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.

9. **ძიებანი.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. № 4, თბ., 1999, 120 გვ., ილ., რეზ. რუს., გერმ., და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.

10. **La mer Noire zone de contacts.** Actes du VII^e Symposium de Vani (Colchide) – 26-30.IX. 1994. Publiés sous la direction de Ot. Lordkipanidzé et P. Lévêque. Paris, 1999, 170 p., ill., bibliog. (Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité).

11. **Religions du Pont-Euxin.** Actes du VIII^e Symposium de Vani (Colchide) – 1997. Publiés sous la direction de Ot. Lordkipanidzé et P. Lévêque. Paris, 1999, 183 p., ill., bibliog. (Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité).

სტატიები

1. **ახვლედიანი დ., გაბუნია ო., კალაძე ნ., ვაშაყმაძე მ.** ვანის მუზეუმი. – ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა. საანგარიშო კრებული. 1998, [თბ., 1999], გვ. 126, რეზ. ინგლ. ენ. (ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“).

2. **ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ.** კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპური კერამიკული დამღები. – ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 50-56, რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 25 სხვ.

3. **ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ.** კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსულ ამფორათა დამღები. – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 47-52, რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 17 სხვ.

4. **ახვლედიანი ნ. ი.** რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან (თრელის ნამოსახლარი და სამაროვანი). – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, 31 გვ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: 4 სხვ.

5. **გაბრიაძე ა. ა.** ქუთაისი X-XV საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, 34 გვ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: 3 სხვ.

6. **გაბრიაძე ა.** ცხოველთა ბრძოლის ამსახველი ერთი რელიეფი ბაგრატის ტაძრიდან. – კულტურის ისტორიის საკითხები. VII. მეორე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თბ., 1999, გვ. 49-53, ილ., ბიბლიოგრ.: 10 სხვ. (ივ. ჯავახიშვილის სახ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა).

7. გამყრელიძე გ. ბიოგეოგრაფიის ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ისტორიაზე. – სამეგრელო. კოლხეთი. ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 12-21 (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი).

8. გამყრელიძე გ. დიმიტრი მელვინეთუხუცესი-შვილი (1815-1878). – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 91-93, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ.

9. გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ისტორიისათვის. – სამეგრელო. კოლხეთი. ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 122-128 (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი).

10. გვინიძე გ. ციხისძირის ციხე-ქალაქის სახელწოდების წარმომავლობისათვის. – ძმ, № 1, 1999, გვ. 6-8, რეზ. ინგლ. ენ. გვ. 53, ბიბლიოგრ.: 5 სხვ.

11. გიგოლაშვილი ე. ვერცხლის სიტულები ვანიდან. – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 53-56, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 14 სხვ.

12. გიგოლაშვილი ე. ვერცხლის სიტულები ვანიდან. – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 9, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ. გვ. 48.

13. გიგოლაშვილი ე. გ. ძვ.წ. V-IV საუკუნეების ტორეტიკის ძეგლები კოლხეთში. – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, 31 გვ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: 3 სხვ.

14. დიუბონი პ., კაჭარავა დ. ფისის მოლესილობის ნაშთები არქაულ ბერძნულ ამფორებზე სიმარის ნამოსახლარიდან. – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 9, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ. გვ. 45.

15. დოლიძე ნ. გ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული). – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, 24 გვ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: 4 სხვ.

16. ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ. ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის. – ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 37-44, ჰისტოგრაფები, ანალიზის ტაბულები, რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 4 სხვ.

17. ისაკაძე რ. არქეოლოგიური მასალები XV-XVIII სს. ქუთაისის წყალმომარაგებისათვის. – კულტურის ისტორიის საკითხები. VII. მეორე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თბ., 1999, გვ. 60-63, ილ., ბიბლიოგრ.: 6 სხვ. (ივ. ჯავახიშვილის სახ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა).

18. კვაჭაძე მ. შუაბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხები სოფ. კავთისხევთან. – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 23-28, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 11 სხვ.

19. კვიციანი რ. დაკრძალვის წესი ბორჯომის ხეობაში ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში. – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 37-46, რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 11 სხვ.

20. კვიციანი გ. ბერძნული ვაჭრობა ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივ საზოგადოებებთან. – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 24-25, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ. გვ. 55-56.

21. კვიციანი გ. თ. სავაჭრო ურთიერთობანი შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ ხანაში. – ავტ. ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, 73 გვ., პარალ. ტექსტი რუს. ენ., ბიბლიოგრ.: 12 სხვ.

22. ლიხელი ვ. ეთნოკულტურული ინოვაციები ძვ.წ. II-I ათასწლეულების სამხრეთ საქართველოში. – ქუთაისური საუბრები – VI. სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი, 1999, გვ. 106-107 (ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი).

23. ლიხელი ვ. მილსადენის მშენებლობა და არქეოლოგია. – მილსადენის არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1999, გვ. 5-8, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ.

24. ლიხელი ვ. სამცხის წარმართული ქალაქები (სოსანგეთ-აწყური). – ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 12-14, ილ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს არქეოლოგიური კომისია).

25. ლორთქიფანიძე ნ. არგონავტები ლემნოსზე – ადრეარქაული ხანის ხელოვნების თემა? – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 25-26, პარალ. ტექსტი გერმ. ენ. გვ. 57-58.

26. ლორთქიფანიძე თ. არქეოლოგია და თანამედროვეობა. – მილსადენის არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1999, გვ. 13-16, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ.

27. ლორთქიფანიძე თ. ეთნოკულტურული სისტემის განვითარების დინამიკა დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში. – ქუთაისური საუბრები – VI. სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი, 1999, გვ. 111-113 (ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი).

28. ლორთქიფანიძე თ. ვაჭრობა შავ ზღვაზე – „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წინამძღვარი. – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში:

აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავი-ზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი, 1999 წლის 20-23 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 26-28, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ., გვ. 58-59.

29. ლორთქიფანიძე თ. „კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ იკონოგრაფიისათვის. – ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 45-49, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 42 სხვ.

30. ლორთქიფანიძე თ. „ოქრომრავალი კოლხეთი“ (მითი და რეალობა). – სამეგრელო. კოლხეთი. ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 37-91, ილ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი).

31. ლორთქიფანიძე თ., მუსხელიშვილი დ. საქართველოს უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. – ივერია. ქართული, კავკასიური და ევრაზიული ცივილიზაციები. პარიზი, 1999, გაზაფხული-ზაფხული, გვ. 5-41, ბიბლიოგრ.: გვ. 36-41 (ქართულ-ევროპული ინსტიტუტი).

32. ლორთქიფანიძე თ. ფასიანე თეოს – ΦΑΣΙΑΝΗ ΘΕΟΣ (ფლავიუს არიანეს ერთი ცნობის განმარტების ცდა). – ΑΝΑΘΕΣΙΣ ფილოლოგიური ისტორიული ძიებანი. აკად. თ. ყაუხჩიშვილის საიუბილეოდ. თბ., 1999, გვ. 199-214, ილ., რეზ. ინგლ. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი).

33. ლორთქიფანიძე თ. ქალაქი ფასისი ძვ. წ. VI-V სს-ში. – ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 16-17, (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს არქეოლოგიური კომისია).

34. მაისურაძე ბ., მინდიაშვილი გ. აეროარქეოლოგია შირაქში. – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 29-36, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 8 სხვ.

35. მამაიაშვილი ნ. ქალაქი ჭერემი საისტორიო წყაროების მიხედვით და არქეოლოგია. – ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, გვ. 17-18 (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს არქეოლოგიური კომისია).

36. მამაიაშვილი ნ. ჭერემის ნაქალაქარი. – საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში (1999 წლის 18-19 მაისს ინსტიტუტში ჩატარებული კონფერენციის მასალები). თბ., 1999, გვ. 3-14, ბიბლიოგრ.: 11 სხვ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

37. მარგველაშვილი მ. გ. ქალაქი ჟინვანი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, 38 გვ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: 17 სხვ.

38. მახარაძე ზ. ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე. – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 57-66, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 5 სხვ.

39. მეშველიანი თ., პაპუაშვილი რ., ქორიძე ე., ჯალაბაძე მ. გორაძირის არქეოლოგიური გათხრები. – მილსადენის არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1999, გვ. 71-81, ილ., რეზ. ინგლ. ენ.

40. მინდიაშვილი გ. 1989 წლის სავლე მუშაობები. – ძიებანი, № 4, თბ., 1999, გვ. 102-110, ილ., პარალ. ტექსტი რუს. და ინგლ. ენ.

41. მირიანაშვილი ნ. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია. – მილსადენის არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1999, გვ. 39-54, ილ., რეზ. ინგლ. ენ.

